

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

იზა ჩანტლაძე

მარტო ამისთვის ღირდა  
ს ი ც ო ც ხ ლ ე

წიგნი ეძღვნება ცნობილი საზოგადო მოღვაწის,  
ზემო აჭარის სოფელ ოლადაურის ქართული სკოლის  
დამაარსებლის **ნური ბერიძის** ნათელ ხსოვნას  
(დაბადებიდან 170-ე წლისთავთან და სკოლის  
საუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით)

გამომცემლობა  
„სპეტი +“  
ISBN 978-9941-9442-8-4

თბილისი – ბათუმი  
2015-2016

Tbilisi Ilya State University

**Iza Chantladze**

**Only for this it was worth to live!**

The book is dedicated to the memory of the  
founder of the Oladauri Georgian school  
of the Upper Ajaria Nuri Beridze  
(*170<sup>th</sup> birth anniversary and century-old  
jubilee of the school*)

Tbilisi-Batumi  
2015-2016

## სარედაქციო საბჭო:

**ალეგო ზაკურაძე** (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი) – თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე;

**რამაზ სურმანიძე** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი) – თ ა ნ ა - თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე;

**შუშანა ფუტყარაძე** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი – ქართველოლოგი);

**მარიკა ჯიქია** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი – თურქოლოგი);

**მერაბ ზერიძე** (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი – ქართველოლოგი);

**ეკატერინე დადიანი** (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი – ქართველოლოგი).

## რეცენზენტები:

**ნანი გუგუნავა** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი);

**ეთერ ზერიძე** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი);

**ვახტანგ მაკარაძე** (ოლადაურის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი, შუახვევის რაიონის განათლების განყოფილების ყოფილი გამგე, სოფელ ფერიის საჯარო სკოლის პედაგოგი).

## Editorial board:

**Aleko Bakuridze** – Chairman (Tbilisi State Medical University, Doctor in Medicine);

**Ramaz Surmanidze** – Co-Chairman (Batumi Shota Rustaveli State University, Doctor in Medicine);

**Shushana Putkaradze** (Batumi Shota Rustaveli State University, Doctor in Philology, Kartvelologist);

**Marika Jikia** (Ivena Javakhishvili Tbilisi State University, Doctor in Philology, Turcologist);

**Merab Beridze** (Samtskhe-Javakheti State University, Doctor in Philology, Kartvelologist);

**Ekaterine Dadiani** (Kutaisi Akaki Tsereteli State University, Academic Doctor in Philology, Kartvelologist).

## Reviewers:

**Nani Gugunava** (Batumi Shota Rustaveli State University, Doctor in Pedagogical Sciences);

**Eter Beridze** (Batumi Shota Rustaveli State University, Academic Doctor in Philology);

**Vakhtang Makaradze** (Ex-director of the Oladauri secondary school, ex-head of the Department for Education of the Shuakhevi region, teacher at the Peria Public School).

## კონსულტანტები:

აკაკი ხერიძე (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი, ოლადაურის საშუალო სკოლის პირველი ოქროსმედალოსანი, ქირურგთა საერთაშორისო საუკუნოვანი ასოციაციის წევრი, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი 1995-2004 წლებში, ბათუმისა და შუახევის საპატიო მოქალაქე, ჰაჯი ლომან ეფენდი ქარცივამისა და ყადი ნური ეფენდი ხერიძის შვილთაშვილი, აჭარელ ხერიძეთა თავკაცი);

ჯემალ ხერიძე (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის წევრი, საქართველოს პარლამენტის ორგზის მოწვევის დეპუტატი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტაშორისო ასამბლეის საგარეო პოლიტიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე სანკტ-პეტერბურგში (1994-1999 წ. წ.), საპატიო ბათუმელი, ჰაჯი ლომან ეფენდი ქარცივამისა და ყადი ნური ეფენდი ხერიძის შვილთაშვილი);

ტარიელ ფუტყარაძე (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს პარლამენტის პირველი მოწვევის დეპუტატი, ჰაჯი ლომან ეფენდი ქარცივამის შვილთაშვილი და ოლადაურის სკოლის კურსდამთავრებულის – ალექსანდრე ფუტყარაძის შვილი);

ელგუჯა მაკარაძე (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს პარლამენტის ორგზის მოწვევის დეპუტატი, ჰაჯი ლომან ეფენდი ქარცივამის შვილთაშვილი).

## ტექნიკური რედაქტორები:

თინათინ გაბროშვილი, ლევან ვაშაკიძე

მთარგმნელი ნანა ქავთარაძე

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში, დაიბეჭდა ეროვნული კულტურის სკოლა „კაი ყმის“ ფინანსური მხარდაჭერით.

© იზა ჩანტლაძე

თუ რამეს ერთი წლით გეგმავ –  
დათესე ბრინჯი, თუ ათი წლით გეგმავ –  
დარგე ხეები, ხოლო, თუ ასი წლით გეგმავ –  
გაანათლე ხალხი (კუან-ძუ – დიდი ჩინელი  
განმანათლებელი V საუკუნეში)

If you plan something for a year –  
sow rice, for ten years – plant trees,  
for century – educate people (Kuan-Dzu –  
Great Chinese Enlightenment of the 5<sup>th</sup> c.)

აჭარის მთებში ნარინჯ-თურინჯად, ზურმუხტად,  
მარგალიტად და სიყვარულად გაბნეულო, სულზე უტკბე-  
სო ჩემო ძმებო და დებო, ჩემო სისხლო და ხორცო! ჩაუქ-  
რობელი იყოს თქვენი ოდის საკვამურიდან ამოსული  
ფუტი!.. (ნოდარ დუმბაძე)

**My Ajarian brothers and sisters, my flesh and  
blood, sweeter than the soul, scattered in the Ajarian  
mountains like emeralds, pearls, and love! Let the  
smoke coming out of your chimney be eternal!..  
(Nodar Dumbadze)**

იმ დროს, როდესაც ტფილისსა და გარშემო ადგილებში მაჰმადიანობის გავრცელებას მეცადინეობდნენ არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და საერო წიგნებს ქრისტიანობისას სთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სასწავლებელთ მართავდნენ... სწავლა-განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთ დროს.

მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით დასილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ, ძმებო — ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი...

ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელი განათლებისა და სწავლის აკვანი, ძველი საქართველო დღეს შემოგვიერთდა და, თუ კარგად მოექცევინ, ჩვენთან ერთად იქნება სამუდამოდ

სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. თავისი რელიგიისათვის ჯვარცმულმა ქართველმა იცის პატივი სხვისი სარწმუნოებისაც. სხვა ქვეყანაში დევნილნი და დაჩაგრულნი აქ, ჩვენში, ჰპოულობდნენ მშვიდობის მყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებას...

At that time when they were trying to spread Islam in Tiflis and its outskirts through Arabic books, the Georgians of Samtskhe-Klarjeti were translating Christian divine and secular books, to strengthen Christianity they were building monasteries, where the young people were taught. At one time education, devoted love of homeland came over our country just from there.

The oppress, perfidy, treachery, cheating, misfortune of Georgia separated us from each other – the brothers who shed blood, contributed, had good and bad times together...

Our flesh and blood, "fighter against black destiny" along with us, nest of the heroes, a cradle of our education, Old Georgia has joined us and, if it is treated well, it will be with us forever

We are not afraid of religious differences. A Georgian who fought for the Christianity respects other's faith. Those who had been persecuted and oppressed in their countries, found peaceful shelter and freedom in our country ...

**Ilia Chavchavadze**



ყვავილი რომ მოსწყდება ღეროს, დასჭკნება, გაყვითლდება. მიიკარით იგი გულზე, დაიჭირეთ ხელში, ეალერსეთ და იქმნება იგივე ყვავილი, რაც რომ იყო!...

აჭარა ბედმა მოსწყვიტა საუკუნეობით სამშობლოს გულს და ნუ გიკვირთ, თუ ეუცნაურებით; თუ დღეს ვერ უცვნიხართ, მოჰკიდეთ ხელი და ისევ თქვენთან იქნება...

### **მემედ აბაშიძე და მისი თანამოდარდენი**

(ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, №11, გვ. 3, ტფილისი, 1916)

When a flower separates from a stem, it becomes wilt and turns yellow. Hold it, clasp to bosom, treat it with love and it will be the same flower what it was before! Fate separated Ajaria from the heart of homeland over centuries. And don't be surprised if you are unfamiliar for it! If today it cannot recognize you, grasp it firmly and it will be again with you...

**Memed Abashidze and his sorrow-sharers**

(journ. "Theatre and Life", N11, p. 3, Tiflis, 1916)

მინდოდა მთელი აჭარა წამეყვანა თურქეთში, მაგრამ ახლა ამის გაკეთება არ შემიძლია, რადგანაც მშობელ ხალხს სასიკვდილოდ ვერ გავიმეტებ.

თურქეთის მთავრობის დაპირებათა იმედები არ გამართლდა, ამიტომაც ვრჩებით საცხოვრებლად იმ ადგილებში, სადაც აქამდე ვცხოვრობდით...

ჩვენ ქართველები ვართ თხემით ტერფამდე; ჩვენი ნათესავები აგერ იქით (იგულისხმება ტაო-კლარჯეთი) არიან; ჩვენი და იმათეური ენა და წიგნიც ერთი არის.

ბევრი ადგილი დავიარე, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთანა შემკობილი და საჩვენო ვერსად ვნახე რა...

ჰაჯი გურჯი ლომან ეფენდი ქარცივაძე, „დიდ (ე. ი. საპატიო) პროფესორად“ წოდებული, თურქეთის ერთ-ერთი სულთნის აღმზრდელი, მასწავლებელი და ბოლო შესაძლებლობამდე მისი ერთგული...



დათოვლილი ოლადაური

Snow-covered Oladauri

I wanted to take the whole Ajaria to Turkey, but now I cannot do it, because I cannot sacrifice my people. Turkish government didn't realize our hopes. Therefore we remain to live in the places where we lived before ...**We are Georgians from head to foot.** Our relatives are over there (i.e. Tao-Klarjeti, I.Ch.). Our and their language is the same.

**I have visited many places, but I haven't seen so beautiful and familiar place anywhere like our country**

**Haji Gurji Loman Effendi Kartsivadze** “Great (i. e. Honorable) Professor” of the Istanbul University, a tutor, educator of one of the Sultans of Turkey, and his faithful to the end of his life...



შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,  
შენ ისე ღრმა ხარ...  
სამკვიდრო შენს ქვეშ  
მტრად შემოსულმა  
ვერაფინ ნახა:  
ვერცა ოსმალომ, ვერცა მონღოლმა  
და ვერცა სპარსმა...  
შენი დიდების მომღერალია  
ოშკი და ზარზმა,  
ბებერი ტაო...  
შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი,  
ქართულო ცაო...

ანა კალანდაძე

Thou art so deep, Georgian sky,  
Thou art so deep...  
Those who arrived thee to harm  
Found no soil to take root under thee:  
Neither Osman, nor Mongol  
Nor Persian...  
The singers of your glory  
Are Oshki and Zarzma,  
And ancient Tao...  
Thou art so deep, so pure,  
O, Georgian sky...

Ana Kalandadze

(translated into English by  
Nana Bukhradze)



წმიდა გიორგის ტაძარი სოფელ ოლადაურში –  
დათოვლილი და ღვთიური სხივებით გაბრწყინებული.

„რალაც სხვა დღეა, დღე სხვა ოცნების,  
გვიბრუნდებიან როგორც ობლები –  
დედაენაზე თქმული ლოცვები,  
ოთხ საუკუნეს ტყვედ ნამყოფები...“

**ფ რ ი დ ო ნ ხ ა ლ ვ ა შ ი**

St. George Church in the village Oladauri –  
covered with snow and shone with the divine light.

“It is unusual day, day of dreams;  
Prayers in mother language,  
Captivated for four centuries,  
Are returning like orphans...”

**P r i d o n K h a l v a s h i**

**მტკივა საქართველო, ძალიან  
მტკივა, – ეს ღვთისთვალება ანგელოსი...**

**ჯემალ (სარგის) ჯაყელი**

საქველმოქმედო ასოციაციის – „მესხეთის“  
პრეზიდენტი, საქართველოს მწერალთა კავში-  
რის აჭარის ორგანიზაციის ყოფილი თავ-  
მჯდომარე

**My Georgia causes me pain, I ache  
this divine angel very much...**

**Jemal (Sargis) Jaqeli**

President of the Charity Association “*Meskheti*”,  
Ex-Chairman of the Ajarian Branch of the Union  
of Writers of Georgia.

**„მთა ჩემი სალოცავია..., სულ მენატრება..., მშობლიური  
ოლადაური კი ადგილის დედაა, საიდანაც იწყება ჩემი  
თვალსაწიერი და სანუკვარი საქართველო...**

სოფელში რომ ავდივარ, სადაც არც ერთი ოჯახის კა-  
რი არასდროს იკეტება, ვგრძნობ, რომ შინაგანად ანგარიშს  
ვაბარებ აქაურობას ჩემი საქმიანობის შესახებ და უკან  
უფრო განწმენდილი ვბრუნდები...

**ქირურგია ხომ ღვთაებრივი ხელოვ-  
ნებაა (ი. ვ. გოეთე)!**“

**აკაკი ბერიძე**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი, მედი-  
ცინის მეცნიერებათა დოქტორი, კლინიკა „მედინას“  
ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ქი-  
რურგთა საერთაშორისო საუკუნოვანი ასოციაციის წევ-  
რი, არაერთი საავტორო ოპერაციის შემოქმედი, ბათუ-  
მისა და შუახევის საპატიო მოქალაქე, აჭარულ  
ბერიძეთა თავკაცი.

**“I worship a mountain... I always miss it ... My native  
Oladauri is a protective spirit of that place from which a  
broad way of my life and beloved Georgia begin ...**

When I go up to the village, where any family's door is  
never closed, I feel that I report to this place what I have done  
and afterwards I return back more purified... **“Surgery is a  
divine art” (Goethe).**

**Akaki Beridze**, Doctor in Medicine, Emeritus Professor at  
the Batumi Shota Rustaveli State University, Head of the  
Surgery Department of Clinics *“Medina”*, Member of the  
International Association of Surgeries, creator of many  
authorized operations, Honorable Citizen of Batumi and  
Shuakhevi, Chief of the Ajarian Beridzes.

*In the morning there were three lessons.<sup>33</sup> At the first lesson Georgian was taught, at the second – Russian, at the third – Arab.<sup>34</sup> After noon classes continued at Mosques... Georgian and Russian were taught by Gurian teacher Iliko Natsvaldze, Arab – by inhabitant of Oladauri Nuri Effendi, son of Qadi Akhmed Beridze”.*

It should be noted that Mr Memed’s son – Vladimer Mikeladze headed the Oladauri school for a long time. One of his grandchildren (Solomon) is an Academic Doctor, Professor in Physics and Math, the other (Otari) – a famous radiologist.

*“All villages are picturesque in Georgia, but they are more beautiful in Ajaris and Mareti Gorge. But Oladauri– has other charm... It is distinguishable in entire Shusakhevi and highland. This beauty is accompanied by pride – the very first rural school which was opened in October, 1915, when it was going the World War I and thousands of people were running to Mubajir. Meanwhile in Oladauri a Georgian school was opened and its first teacher, director and supporter was Ilia Natsvaldze, patron – Nuri Beridze who opened the school in his own house and himself was a teacher, too...Everything was covered with snow but it wasn’t cold... “ (Janberidze/Japaridze 1995: 2).*

---

<sup>33</sup> According to other data, math and music were alternately taught at the 4<sup>th</sup> lesson. (Makaradze 2003: 46).

<sup>34</sup> Today at some private schools the classes begin with education in English. *“Georgian pupils are taught a foreign language from the first grade. By doing this have me outrun the educated world? It looks like this: “Penny –wise, pound – foolish” (lit. “Owner of a sweet apple looks for a wild pear in the forest”)* (Gogolashvili, *ibid.*, 143: 181). The point of Nuri Beridze’s personal dignity is that in Muslim Georgia every day at school began with Georgian lesson, afterwards it was followed by a foreign (Russian, Arab) language. But we are sure that for this method a local government hadn’t groveled to him.





სოფელ ოლადაურის პეიზაჟები


Landscapes of the village Oladauri



ერთ-ერთი სამუშაო დღე სოფელ ოლადაურის სკოლაში  
One of the school working days in the village Oladauri



ლაზი და აჭარელი „უსტების“ აშენებული სახლი ოლადაურში  
A house built by Laz and Ajarian builders ('ustis') in the village Oladauri



ოლადაურის საშუალო სკოლის პირველი გამოშვების  
 პედაგოგები მარცხნიდან მარჯვნივ I რიგი : აკაკი მსხილაძე,  
 კარლო გ გ შ ილი ლამ რ ლორია სარდიონ კალანდარიშ-  
 ილი შოთ ქ რცი დირექტორი ლევან ბერიძე (შუახე-  
 ვის რაიონის გან თლების განყოფილების გამგე), მიხეილ მაკა-  
 რაძე დავით ბ ლ ჯინჭარაშვილი: (II რიგი): ნიაზ  
 ბერიძე, ეთერ მგელ ძე ნ ნო ქ ცივაძე ლეონინა არჯევანიძე,  
 ქეთევან ღლონტი ნელი ვაჭ ძე შალვა ქარცივაძე; მოსწავლე-  
 ები (I რიგი): აკაკი ბერიძე (ნური ეფენდის შვილთაშვილი –  
 ერთადერთი ოქროსმედალოსანი), ზურაბ ფუტკარაძე, ნადია  
 ფუტკ რაძე, მერი ზოიძე ავთანდილ თავდგირიძე, ნაზი  
 ქარცივაძე, რუსუდან მაკარაძე, ნოდარ ბერიძე, არჩილ დიასა-  
 მიძე ვაჟა თურმანიძე, (II რიგი) აბესალომ ფუტკარაძე, ბესარიონ  
 მაკარაძე ალექსანდრე ფუტკარაძე, ბეჟან ქარცივაძე, რაფიელ  
 ფუტკარაძე, შოთა ბერიძე, ზია ბერიძე, კარლო ფუტკარაძე.

**The teachers of the first leavers of the Oladauri secondary school (from left to right in the 1<sup>st</sup> row): Akaki Mskhiladze, Karlo Gugushvili, Lamara Loria, Sardion Kalandarishvili, Shota Kartsivadze (Director), Levan Beridze (Head of the Educational Department of Shuakhevi Region), Mikheil Makaradze, David Beltadze, Otar Jincharashvili; (2<sup>nd</sup> row): Niaz Beridze, Eter Mgeladze, Nino Kartsivadze, Leonina Arjevanidze, Ketevan Glonti, Neli Kvachadze, Shalva Kartsivadze; Pupils (1<sup>st</sup> row): Akaki Beridze (Nuri Effendi's great-grandson, the only gold medalist), Zurab Putkaradze, Nadya Putkaradze, Mary Zoidze, Avtandil Tavdgiridze, Nazi Kartsivadze, Rusudan Makaradze, Nodar Beridze, Archil Diasamidze, Vazha Turmanidze; (2<sup>nd</sup> row): Abesalom Putkaradze, Besarion Makaradze, Alexander Putkaradze, Bezhan Kartsivadze, Rapiel Putkaradze, Shota Beridze, Zia Beridze, Karlo Putkaradze.**



მაღალმთიანი აჭარის სოფლის სკოლიდან  
მაღალაკადემიურ მეცნიერებამდე – პროფესორი აკაკი ბერიძე  
აკადემიკოს ბორის პეტროვსკისთან ერთად

From a rural school of mountainous Ajaria to high  
academic science – Prof. Akaki Beridze and Acad. Boris Petrovsky



...და სკოლისკენ ჰერი, ჰერი!..  
And keep moving to the school!



ოლადაურის სკოლის 2015 წლის გამოშვება (მარცხნიდან მარჯვნივ):  
ამირან ფუტკარაძე, ნანა მაკარაძე, მირზა ფუტკარაძე, ნატო მაკარაძე,  
შოთა მაკარაძე, სოფიო ტაკიძე, თორნიკე მაკარაძე.

The Oladauri school-leavers of 2015 (from left to right): Amiran  
Putkaradze, Nana Makaradze, Mirza Putkaradze, Nato Makaradze, Shota  
Makaradze, Sofio Takidze, Tornike Makaradze.

იდგა 1995 წლის 30 ოქტომბერი... თავ-თავიანთი პროფილის სადისერტაციო-საატესტაციო საბჭოების საჯარო სხდომებზე მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად ქირურგიისა და სატელეკომუნიკაციო თუ თანამგზავრულ სისტემათა პრობლემებზე შესაბამის დისერტაციებს იცავდა ორი ძმა. მაშინ ზემო აჭარის ულამაზესი სოფლის – **ოლადაურის საშუალო სკოლას დაარსებიდან 80 წელი უსრულდებოდა.**

„თამარჭალას ირემი რბის,  
მხრებზე რქებდახლართული...  
აჭარულად დაჯარულან  
და შეძრულან დავლურით –  
ჭიშკარს აღებს, ზეიმს იხდის  
სკოლა ოლადაურის“.

### **ზურაბ გორგილაძე**

დიახ, მაშინ „მაღალ მთაზე ტაძარივით აღმართული“ საშუალო სკოლის პირველი ოქროსმედალოსნები – **აკაკი და ჯემალ ბერიძეები** ღირსეულად იდგნენ კათედრებზე თბილისის სამედიცინო და საქართველოს ტექნიკურ სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ახლა კი უკვე სახელგანთქმული პროფესორ-აკადემიკოსები **საოცარი სიამაყით ხვდებიან** თავიანთი დიდი ბაბუის, ოლადაურელ ბერიძეთა მესამირკვლის – **ნური ეფენდი ბერიძისა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“** (ზოგჯერ „სახალხო განათლების სა-


მინისტროსაც“ რომ უწოდებდნენ<sup>1)</sup>), უფრო კი „ქართველთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების“ ძალისხმევით ან სულაც პირადი ინიციატივით მაღალმთიან აჭარაში დაარსებული პირველი ეროვნული სასწავლებლის საუკუნოვან იუზილეს – ეს ხომ იმ სოფელში ხდება, სადაც დღემდე ახალშობილ ყრმებს აკვანში დიდი იაკობ გოგებაშვილის – „ქართველი ერის საკუთარი შეგნების ფეხზე დადგომისათვის ყავარჯნის მიმწოდებლის“ (იოსებ იმედაშვილი) „დედა-ენას“, ქართული პედაგოგიური აზროვნების მწვერვალს, უდებენ, მათ ჭიპლარს კი სკოლის ეზოს მიწაში ინახავენ (მაკარაძე 2003: 149). ჩვენი „წიგნთა წიგნი – ვარდნაზამი ფურცელი“ (გიორგი ლეონიძე), ჩვენი „აი ია მეგზურად დაუდგა ქართველ ბავშვს და საუკუნეზე მეტია ერთგულად უკვალავს გზას წიგნიერების ჯადოსნურ სამყაროში“ (გოგოლაშვილი 2014: 10)...

როგორც გადმოგვცემენ, სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი ორი საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ დისერტანტთა ბრწყინვალე გამარჯვება მათ მეგობრებს, კოლეგებსა თუ ნათესავებს ექიმთა და ინჟინერთა გაერთიანებული ქართული სუფრით აღუნიშნავთ, რომელსაც მარეთის ხეობიდან გამოგზავნილი უტურფესი ყვავილები და უგემრიელესი ნუგბარები ამშვენებდა.

---

<sup>1</sup> უფრო მეტიც! – კიტა აბაშიძე სვამდა საკითხს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ „ქართულ სამეცნიერო აკადემიად“ გადაკეთების შესახებ (იხ. „სახალხო გაზეთი“, №283, თბილისი, 1911 და ა. აბრამიშვილი, კიტა აბაშიძე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შესახებ (წარსულიდან), „სკოლა და ცხოვრება“, №4, თბილისი, 1974).





ძმები აკაკი და ჯემალ ბერიძეები თავიანთი სადოქტორო დისერტაციების დაცვის დღეს – 1995 წლის 30 ოქტომბერს.

Akaki and Jemal Beridzes on the defending day  
of their doctoral thesis – October 30, 1995.

ბატონი ლევან ბერიძე (დისერტანტების მამა) 1937 წელს რეპრესირებული „ხალხის მტრის“ შვილი იყო, რომელიც სულ იმაზე ოცნებობდა – ერთი ძვალის რომ მაკოვნიანა მამაჩემისა, საფლავს მოვუწყობდი და ცოცხალივით მეყოლებოდაო; როგორც ჩანს, საბანკეტო დარბაზში მას გული აუჩუყდა და, თუმცა ცრემლმორეულს, მაგრამ მაინც ვაჟკაცური სიამაყით უთქვამს: **მარტო ამისთვის ღირდა სიცოცხლეო.**

დიახ, ნამდვილად ღირს სიცოცხლე მაღალ-აკადემიური განათლებისთვის! – სხვაგვარად ვერანაირი ქვეყანა, ვერც ერთი ერი პროგრესულს ვერაფერს შექმნის!.. მეცნიერება გარდაქმნის ქვეყანას, განათლება კი გაასხივოსნებს მას.

დიდი ილია ბრძანებდა: „უმეცრებაა ჩვენი საშიშარი მტერი, უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან... ცხოვრების მოედნიდამ ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს. მცოდნეს აქვს საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზედ და თუ უცოდინარისთვის რჩება რამე, ეს მარტო მცოდნეს ნასუფრალია, მცოდნე კაცის ნახლერტია“

სწორედ ამიტომ შევარჩიეთ ჩვენი სამეცნიერო-პოპულარული ნაღვაწის სათაურად მთელ აჭარაში გამორჩეული პიროვნების – სტამბოლის უნივერსიტეტის დიდი (ანუ საპატიო) პროფესორის ლომან ეფენდი ქარცივადის შვილთაშვილის – საოცარი აღელვების ჟამს წარმოთქმული სიტყვები და შევეცდებით, ამ იდეით გამსჭვალულებმა გადმოგცეთ XIX-XX საუკუნეთა პერიპეტიები სწავლა-განათლების თვალსაზრისით საქართველოს ძირძველ კუთხეში.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ დაარსებისთანავე თავისი მზრუნველი კალთა გადააფარა აჭარას. მის მესვეურებს მიაჩნდათ, რომ, უპირველეს ყოვლისა, ისეთი სახალხო სკოლები უნდა გახსნან, რომლებშიც სწავლება მშობლიურ ქართულ ენაზე წარიმართება; გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს საზოგადოება იყო კერა, რომელმაც ქართველ ხალხს შეუნარჩუნა დედაენა და ეროვნული კულტურა (აბაშიძე ჰ., 1963: 121-122). 1881 წელს ბათუმში გახსნილმა პირველმა ქართულმა სკოლამ მტკიცე საძირკველი ჩაუყარა აჭარაში განათლებისა და კულტურის აღმავლობას.

უმადლესი განათლება ზედა სართულია, რომელიც ემყარება საშუალო განათლებას – ქვედა სართულს, დაწყებითი სკოლა რომ აქვს საძირკველად. სწორედ ასეთი საძირკველი ამოიყვანა ნური ბერიძემ ოლადაურში საუკუნის წინ.

**„ამ მძლავრ ფესვზე ამოიზარდა პირველდაწყებითი ქართული სკოლა, რომელმაც 1915 წლიდან დღემდე სახელოვანი გზა განვლო და საკუთარი ისტორია შექმნა. ოსმალთაგან დახსნილ აჭარას სწავლა-განათლების აღორძინებაში სრულიად საქართველომ გამოუწოდა ხელი“ (მაკარაძე 2003: 13).**

რაც შეეხება საკუთრივ ოლადაურის სასკოლო სისტემის დეტალებს, წინამდებარე წიგნში მათ შესახებ იმსჯელებენ მზცოვანი და ახლანდელი დირექტორები, აგრეთვე ამ სკოლა-დამთავრებული მოსწავლეები, რომლებიც დღეს ქართული მეცნიერების, ტექნიკისა თუ კულტურის სხვადასხვა დარგში ჩინებულად მოღვაწეობენ. გარდა ამისა, ოლადაურის სკოლის საგანმანათლებლო მეთოდოლოგიის, მისი პედაგოგიური კადრებისა თუ აღსაზრდელ-აღზრდილთა მოღვაწეობის შესახებ არსებობს რამდენიმე საინტერესო მონოგრაფია, ამიტომ აქ ჩვენ აღარ განვმეორდებით.

რაკილა შეცდომისგან დაზღვეული არავინაა, გონიერ მკითხველებს გულწრფელად ვთხოვთ, დაუზარებლად მოგვაწოდონ შენიშვნები, რათა ისინი წინამდებარე წიგნის მეორე გამოცემაში მაინც გავითვალისწინოთ.

**„ოდესღაც წერა-კითხვის მცოდნე პირთა რიცხვით დაშიმშილებული, ჩამორჩენილი აჭარა დღეს მეცნიერების სხვადასხვა დარგის სამჭედლო გახდა, ხოლო ჩვენი სკოლების ახალგაზრდები ამ სამჭედლოს ნაცადი კადრების მომავალი კონტინგენტია“ (ახვლედიანი/კირისილოლი 1944: 3).**

ოლადაურის დაწყებით, რვაწლიანსა თუ საშუალო სკოლას სხვადასხვა დროს არაერთი დიდებული ადამიანი ხელმძღვანელობდა; მათ შორის გამორჩეულია მთელი სიცოცხლის მანძილზე ახალგაზრდობის ჭეშმარიტი განათლებისთვის უანგარო მოღვაწე, უმაღლესი კატეგორიის მოძღვართ-

მომღვარი ვახტანგ მაკარაძე, რომელმაც მშობლიური სკოლის 80 წლის იუბილეზე მოწვეულ უამრავ ხალხს ყველაზე დიდი სიხარული – ჯანმრთელი სიცოცხლე უსურვა, რათა ისინი მოსწრებოდნენ იმავე სკოლის ასწლოვან იუბილეს.

**და აი, ეს დღევ დადგა!**<sup>2</sup> – ბატონი ვახტანგი ახლა უკვე 92 წლისაა, მაგრამ ძალზე სერიოზული ასაკი მას სულაც არ ეტყობა და იცით რატომ?! – 58 წელი გულის ჯიბით დაატარებდა თავისი უსაყვარლესი მასწავლებლის შალვა ჭყონიას სურათს, ჯერ კიდევ მეშვიდეკლასელი მთელი სულითა და გულით ამეცადინებდა ქართული წერა-კითხვის უცოდინარ 40-50 წლის თანასოფლელებს და არაერთი კაცურკაცური საქმის თავკაციც ყოფილა – განსაკუთრებით კი გამონათლევის უძველესი ტაძრის ნანგრევთა მრავალტანჯულ საძირკველზე წმიდა გიორგის სახელობის ახალი ეკლესიის აგებისა, ასე რომ აღამაზებს და განამტკიცებს ისედაც მშვენიერი სოფლის თავმომწონე მოსახლეობას.

თავის დროზე გელათის აკადემიას ჩვენმა წინაპარმა შემდეგი სტრიქონები უძღვნა:

**ვნატრი გელათსა, თვით მას ელადსა!**<sup>3</sup>..

ღმერთმა ინებოს, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ „**ბატარა ათონად**“ წოდებულ ტაძარს არამხოლოდ ვიზუალურად ებრწყინოს საქართველოში!..

---

<sup>2</sup> თუმცა სპეციალურ ლიტერატურასა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ პრესაში სხვადასხვა თარიღია დასახელებული (ბან 1915 წ., ხან 1916 წ., ერთ-ერთ ავტობიოგრაფიაში 1914 წელიც კი!); ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ მოსაზრებას, რომელიც მკვლევართა და ჟურნალისტთა უმრავლესობის შრომებშია წარმოდგენილი – უფრო მეტიც! – მცოვან ოლადაურელთა და ამ სკოლის პირველ მოსწავლეთა მემსიერებასაც სწორედ 1915 წლის ოქტომბერ-ნოემბერი შემორჩა.

<sup>3</sup> ნეტავ, თ-ლად-ა-ურ-ი კოლხურად ნათქვამი „ელადელი“ ხომ არაა?!

ამ ბოლო დროს ოლადაურის საშუალო სკოლის ყველაზე ხანდაზმულ დირექტორს თურმე ერთი სიზმარი უნახავს: შემოდგომაზე მერცხლებს გაჰყვლია სამხრეთის თბილ ქვეყნებში, გაზაფხულზე კი ისევ დაბრუნებულია მშობლიურ საქართველოში – ღმერთმა კეთილად აუხდინოს ბატონ ვახტანგს ეს სიზმარი, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ იგი გამოძახილია აჭარის სუსხიანი დღეებისა, რომლებიც არაერთხელ დასტყდომია თავს აქაურ მოსახლეობას.

ყოველმხრივ შევეცდებით, წინამდებარე წიგნით დედა-სამშობლოშივე გავუთბოთ გული მკითხველებს, განსაკუთრებით კი მხცოვან პედაგოგთა საზოგადოებას, რათა მათ ანალოგიური სიზმრები აღარ იხილონ.

„რომელი კუთხიდანაც უნდა შეხედო ოლადაურს, ყოველი მხრიდან მოჩანს **თეთრი შენობა – სვეტი ნათლისა**, გედივით რომ ჩამჯდარა შუა სოფელში და თვალს ასე ჰგონია, საცაა აფრინდება და ლურჯ სივრცეში კამარას შეკრავსო, მაგრამ **სინათლის საგანე** გაფრენას არ აპირებს. პირიქით, მისკენ წელიწადის ყოველ დროს გუნდ-გუნდად მოფრინავენ მერცხლები და ეზო-მიდამოში ირაოს უვლიან, კლას-კაბინეტებს კი ჟივილ-ხივილით ავსებენ“ (თურმანიძე 1995).

**დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი ხალხის განათლებამ, მეცნიერებამ უნდა გადაწყვიტოს, რადგან იგი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული სიძლიერის სათავეა, პროგრესულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ინტეგრირების აუცილებელი პირობაა.**

მუშაობის პროცესში დაგვჭირდა უამრავი სპეციალური (როგორც სამეცნიერო-პოპულარული, ისე საგანმანათლებლო) ლიტერატურის, საარქივო მასალისა თუ XIX-XX საუკუნეთა საკმაოდ ძნელად ხელმისაწვდომი წიგნადი ფონდის ნახვა და

არაერთი ისტორიული ამბის თვითმხილველ ხანდაზმულ მთქმელებთან გასაუბრება, რასაც ვერაფრით შევძლებდით ჩვენი წიგნის რედაქტორების, კონსულტანტების, რეცენზენტებისა თუ თარჯიმნების ან ბათუმელი კოლეგების გარეშე. განსაკუთრებული მადლობით გვინდა მოვიხსენიოთ ღვაწლმოსილი პროფესორები **შუშანა ფუტკარაძე** და **რამაზ სურმაწიძე** (საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრი), აგრეთვე, ოლადაურის სკოლის ყოფილი თუ ახლანდელი დირექტორები – **ბატონები ვახტანგ მაკარაძე** და **მერაბ ფუტკარაძე**, რომელთაც მოგვცეს თავიანთი არქივებით სარგებლობის საშუალება.

რომ არა პროფესორ **ხარიტონ ახვლედიანის** სახელობის ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ქუთაისისა თუ თბილისის არქივების თანამშრომელთა დაუზარელი დახმარება, ჩვენს წიგნს არაერთი საინტერესო მონაცემი დააკლდებოდა. ამ მხრივ გამორჩეულია ისტორიის აკადემიურ დოქტორთა **ოთარ გოგოლიშვილისა** და **მერაბ კერძევაძის**, აგრეთვე, მეცნიერთანამშრომლის **ნათელა შერვაშიძის** თანადგომა.

ჩემს მოწაფეებს – ფილოლოგიის აკადემიურ დოქტორებს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს **ქეთევან მარგიან-სუბარსა** და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელს **რუსუდან იოსელიანს** სრულიადაც არ ევალებოდათ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსისთვის მოემზადებინათ „ლომან ეფენდი ქარცივაძის ღვაწლის“ საკმაოდ რთული კომპიუტერული ვარიანტი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ თავდაუზოგავად იშრომეს, რითაც

უდიდესი დახმარება აღმოუჩინეს თავიანთ მასწავლებელს – წინამდებარე წიგნის ავტორს.

ბოლოს კი ღირსეული მადლობა უნდა გადავუხადოთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს სპარსეთის ყურის ქვეყნებში, ეგვიპტესა და სირიაში 2007-2010 წლებში, ბატონ გოჩა ჯაფარიძეს, არტაანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების გამგეს, პროფესორ რაიმე ყავრელიშვილს, იმავე უნივერსიტეტის სემიტოლოგ პროფესორს აბდულაჰ მოჰამადის, ირანელ ქართველთა საზოგადოებისა და ფერეიდანში პირველი ქართული სკოლის დამფუძნებელს, პროფესორ საიდ მულაიანს, სემიტოლოგ ახალგაზრდებს – ყურანის შესანიშნავ მცოდნეებს, სტამბოლის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულებს რამაზ კაკალაძესა და ედუარდ გორგოძეს, რომლებიც ძალიან დაგვეხმარნენ ჰაჯი ლომან ეფენდი ქარცივაძის, ისმაილ ხოჯა ხალიფაშვილისა და ყადი ნური ეფენდი ბერიძის თითქმის განადგურებულ ბიბლიოთეკებში დღემდე რის ვაივაგლახით მოღწეულ ოსმალურ-სპარსულ-არაბულ წიგნთა თუ ხელნაწერთა გაშიფვრა-ამოკითხვაში.

**ამქვეყნად არსებობენ: ერისკაცები, კაცები და კაცუნები. ჩვენ მხოლოდ ერისკაცთა (როგორც წარსულ, ისე თანამედროვე) კატეგორიის განხილვას შევეცდებით წინამდებარე ნაშრომში. აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აჭარაში მოღვაწე ჩინებული პედაგოგის, ეობულეთში პირველი სკოლის დამაარსებლის – გულო კაიკაციშვილის სიტყვებს: „შვილის უსწავლელად დატოვება თვითმკვლელობას ნიშნავს!“ – ამგვარ რასმე, ერისკაცის გარდა, იტყვის ვინმე?!**

მონოგრაფიის თავფურცლებიდანვე ჩანს, რომ დიდებული მამულიშვილებს შთამომავლობაც შესაფერისი ჰყავთ: სახელგანთქმული მეცნიერები თუ საზოგადო მოღვაწეები ყოველთვის მოკრძალებულ პატივს მიაგებენ სანაქებო პაპის პაპებს, რომლებმაც სტამბოლისა და პეტერბურგის ოქრო-ვერცხლით მოვარაყებულ სასულთნო თუ საიმპერატორო სასახლეებში ფუფუნებით ცხოვრებას მაინც თავიანთი მშობლიური სოფლის უსაყვარლესი „ღელე-ღურდანი“ არჩიეს, სადაც საკმაოდ მძიმე ხვედრი ხვდათ წილად. მშობელი ხალხის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში არაერთ ჭირგამოვლილ პატრიოტებს სამუდამო განსასვენებელიც იქვე – ოლადაურში აქვთ.

„ბადიშებს“ არასდროს ავიწყდებათ წინაპართა „საქმენი საგმირონი“ და თავიანთი საქველმოქმედო მოღვაწეობით ცდილობენ მათ გაგრძელებას. ასე მაგალითად:

**პროფესორმა ჯემალ ბერიძემ** გამონათლევის ეკლესიის მშენებლობისთვის, შუახევის საკაბელო და ტელეკომპანია „იმედის“ სატელევიზიო არხის დასამონტაჟებლად, ოლადაურის საშუალო სკოლის სამთო-სპორტული საბაგრო გზის გაყვანისა და სოფლის ავტომატური სატელეფონო სადგურის აპარატურის შესაძენად შესაბამის ბანკს 30 000 ლარი გადაურიცხა, ხოლო სასკოლო ლაბორატორია ელექტრონული აპარატურით დაასაჩუქრა;

**პროფესორმა აკაკი ბერიძემ** თავად იკისრა ოლადაურის სკოლის ერთ-ერთი საიუბილეო სამზადისის მატერიალური ორგანიზება, აგრეთვე, 50 წყვილი თხილამური, დიდ თოვლში გამოსაყენებელი ფეხსაცმელი და სპორტული გაჯანსაღებისთვის აუცილებელი ატრიბუტები აჩუქა ოლადაურელ მოსწავლეებს;



**პროფესორმა ელგუჯა მაკარაძემ** ამერიკის ერთ-ერთი კომპანიის (USAID) მხარდაჭერით უზრუნველყო ოლადაურის საშუალო სკოლის რემონტის ჩატარება და მყარ საწვავზე მომუშავე გათბობის ცენტრალური სისტემის შექმნა;

**პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ** ლომან ეფენდი ქარცივადის დაბადების მე-200 წლისთავს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიუძღვნა საგანგებო სამეცნიერო კონფერენცია და გამოსცა მაღალაკადემიური კრებული „ქართველური მემკვიდრეობა“, რომლის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს არამხოლოდ ქართველმა, არამედ უცხოელმა ცნობილმა მეცნიერებმაც...

### **იზა ჩანტლაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, დამარსებელი ეროვნული კულტურის სკოლისა „კაი ყმა“, სადაც სწავლობს დიდი **ნური ეფენდი ბერიძის** მეექვსე თაობის წარმომადგენელი, პროფესორ **ჯემალ ბერიძის** შვილიშვილი – პატარა **ირაკლი ბერიძე**.

It was October 30, 1995. Two brothers were defending their dissertations on surgery and the problems of satellite telecommunications systems before the Dissertation Boards to earn a honorary degree of doctor. Then the Oladauri secondary school of the most beautiful village of Upper Ajaria was celebrating its 80<sup>th</sup> year anniversary.

*"In Tamarchala a twisted horned  
Deer runs...  
They have assembled  
And are rocking an Ajarian dance –  
School Oladauri  
Opens gate to celebrate".*

### Zurab Gorgiladze

Yes, the first gold-winners of the secondary school which *"is standing on high mountain like a white temple"*, **Akaki** and **Jemal Beridzes** were standing with dignity at the Chairs of the Tbilisi Medical and Technical State Universities. And today eminent professors and academicians are proud for the century-anniversary of the **first national school of the Mountainous Ajaria** founded with the effort of their great-grandfather, a founder of the Oladaurian Beridzes **Nuri Effendi Beridze** and *"Society for spreading of literacy among Georgians"* (sometimes it was called *"Ministry of Public Education"*)<sup>4</sup>, exactly *"Cultural and educational society among*

---

<sup>4</sup> Moreover! – Kita Abashidze put issue to change the *"Society for spreading of literacy among Georgians"* into *"Georgian Academy of Sciences"* (see, *"People's Newspaper"*, №283, Tbilisi, 1911, and A.Abramishvili, Kita Abashidze about *"Society for spreading of literacy among Georgians"* (from the past), *"School and Life"*, №4, Tbilisi, 1974).

*Georgians*". This is the village where the book of I. Gogebashvili – "a passer of a crutch to the nation for recovering its consciousness" (Joseb Imedashvili) "*Mother language*" – the peak of Georgian pedagogy is put in a cradle of newborns, their umbilicums are kept in a school soil (Makaradze 2003: 149).

*"The "book of books" our "ai ia" guides a Georgian child and has been faithfully paving the way to the magic world of literacy for more than a century"* (Gogolashvili 2014:110).

As they narrate, after finishing two meetings of Dissertation Boards the friends, colleagues, relatives of candidates laid on a Georgian united banquet of doctors and engineers to celebrate this brilliant victory. The feast was decorated with flowers sent from the beautiful Mareti gorge and delicious sweets.

Mr **Levan Beridze** (father of PhD students) has been expelled from school only because he was a son of "enemy of the people" repressed in 1937. He dreamed of finding just one of his father's bones to bury in the grave. Apparently, at the banquet hall he was on the verge of tears, and with tears on his eyes but still manly proudly he said: "*Only for this it was worth to live*".

Yes, life is really worth for high academic education! Otherwise no country, no nation can create anything progressive!... Science reforms the country, education lights it up.

Great Ilia says: "*Ignorance is our dangerous enemy. Only science can fight with it... Only an educated man can score a ball from the field of life. An educated man is honorable served at the table of life and if something is remained for an uneducated man it's just the leftovers of an educated man*".

That is why the title of my scientific and popular book is the delighted words said by a great-grandson of a distinctive person – Great (i. e. honorary) Professor of the Istanbul University Loman

Effendi Kartsivadze. And being inspired with this idea I did my best to show you the pictures of the 19-20<sup>th</sup> cc. in terms of education in the ancient region of Georgia.

*“Society for spreading of literacy among Georgians”* guarded Ajaria. Its leaders believed that above all, the public schools should be opened, in which teaching would be conducted in mother Georgian language. It can be said without exaggeration that this society was that hearth, which preserved mother tongue and national culture to Georgian people. The first Georgian school which had been opened in Batumi in 1881 laid the strong foundations for education and culture growth in Ajaria.

High education is an **upper** ‘floor’ which is based on secondary education – on **lower** ‘floor’ which, for its turn, is based on **primary** school. Just such foundations were laid by Nuri Beridze in Oladauri a century ago. *“The Oladauri primary school which had passed a glorious way since 1915 to date and created its own history, is based on this powerful roots. The whole Georgia helped Ajaria who could rescue itself from the Ottomans, to revive education”* (Makaradze 2003:13).

The details of Oladauri school system will be told by a venerable former- and acting directors as well as the school-leavers who today are contributing greatly to the improvement of different fields of national sciences and culture. In addition, there are some interesting monographs on Oladauri school educational methodology, activities of the teaching staff, students and gradulators. So I will not speak about them at present.

Since no one can avoid errors, I willingly consider reader’s notes and remarks for the second edition.

*"At one time Ajaria which suffered a lack of literacy, today it is a 'smithy' of different branches of science, and the young people of our schools are the future contingent of skilled cadres of this 'smithy'."* (Akhvlediani/Kirisilogli 1944: 3).

At various times the Oladauri elementary, secondary and primary school of eight-classes was headed by many great people. Among them is a selfless person who lived his life to educate the youth, the highest "abbot-preceptor" **Vakhtang Beridze**, who wished the people who had been invited at the 80th anniversary of the Native School, healthy life to attend the century-anniversary of the same school.

**And this day has come!**<sup>5</sup> – Mr. Vakhtangi now is 92 years old, but this serious age couldn't do him no harm! Do you know why? During 58 years he has been carrying the photo of his beloved teacher **Shalva Chqonia** in a hurt pocket. When he was in the seventh grade he wholeheartedly taught illiterate 40-50-year-old villagers Georgian. He was an initiator of many public affairs – especially of the construction of new and wonderful St. George Church on the ruins of the Gamonatlevi ancient temple.

At one time, our forefather dedicated the following lines to the Gelati Academy:

*"We dream of Gelati – our Hellas!..."*<sup>6</sup>

Let the temple which the local population call "**Minor Athos**" shine in Georgia not only visually! ...

---

<sup>5</sup> Though special literature and the Georgian press of the first quarter of the 20<sup>th</sup> c. name various dates (sometime 1915, sometimes 1916, in one of autobiographies – even 1914!). We support the view which is given in the works of most scholars and journalists. Moreover, in the memory of venerable inhabitants of Oladauri and the first school-leavers just October-November of 1915 is preserved.

<sup>6</sup> It is interesting, if **o-lada-ur-i** is a Colchian 'Eladian'?!

Recently the oldest director of the Oladauri secondary school had a dream: in autumn he went to the southern warm countries with swallows, in spring he returned to his native Georgia. Let God a Mr Vakhtangi's dream come true well. We think that it is an echo of a stroke of bad luck which repeatedly befell the Ajaria's population.

I will try in every way to warm hearts of readers, especially the older teachers' society in their homeland, not to have similar dreams no longer.

*"From which side one looks at Oladauri, from each side one can see a white building – column of light, placed in the middle of the village like a swan and watching it, as if it is about to fly up and make a great leap. But the house of light is not going to fly up. On the contrary, every time of the year 'swallows' in groups 'fly' hither in the yard and fill class rooms with cheerful melody, chatters, clamor"* (Turmanidze 1995).

**Education, science should solve the future of the independent Georgia, because it is a source of the country's political, economic and cultural power, it is an essential condition of the integration into progressive community of nations.**

In the working process I had to look through many scholarly (popular science as well as education) literature, archival material or hardly available book fund of the 19-20<sup>th</sup> cc., to talk with elder people who are the eye-witnesses of many historical events. **We could not carry out these labor** without editors, consultants, reviewers, interpreters and the colleagues from Batumi. My special thanks to the honored Professors **Shushana Putkaradze** and **Ramaz Surmanidze, Nugzar Zosidze** (Member of Union of Writers and Journalists of Georgia), former and acting directors of the Oladauri

school **Vakhtang Makaradze** and **Merab Putkaradze**, who gave me the opportunity to use their archives.

If not tireless support of the staff of the **Batumi Khariton Akhvlediani Local Museum**, Tbilisi and Kutaisi archives, a large number of noteworthy data would haven't been entered into my book. In this regard, great support of Academic Doctors of History **Otar Gogolishvili** and **Merab Kerdzevadze**, and a research-fellow **Natela Shervashidze** should be signified.

My postgraduate candiditates – Academic Doctors in Philology, Associate Professor of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University **Ketevan Margiani-Subari**, and Research-Fellow of the Arn.Chikobava Institute of Linguistics **Rusudan Ioseliani** were not obliged to prepare rather complex computer option of the Shota Rustaveli National Science Foundation grant "*Merits of Loman Effendi Kartsivadze*". Nevertheless, they unsparingly worked to give aid to their teacher – the author of the present book.

Finally, many thanks to Full Professor of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctor in History, Extraordinary and Plenipotentiary Ambassador in the Persian Gulf countries, Egypt and Syria in 2007-2010 **Gocha Japaridze**, the Head of the Georgian Language and Literature Department at the Ardahan State University Professor **Roin Qavrelshvili**, semitologist Professor of the Ardahan University **Abdulah Mohamad**, a founder of Iranian Georgians' society and the first Fereydan Georgian school Professor **Said Mulian**, young semitologists – good experts of Quran, gradulators of the Istanbul seminary **Eduard Gorgodze** and **Ramaz Kakaladze** who helped us to decrypt and read the Ottoman-Persian-Arabic books and manuscripts which are preserved in

almost destroyed libraries of **Haji Loman Effendi Kartsivadze, Ismail Khoja Khalipashvili** and **Qadi Nuri Effendi Beridze**.

In the world there are **public men, men and little men**. I'll speak about (past and contemporary) public men in the present work. One cannot read calmly the words of **Gulo Kaikatsishvili** – an excellent teacher, a founder of the first school in Kobuleti who worked in Ajaria in the 19-20<sup>th</sup> cc.: "***To have an illiterate child is equal to suicide!***" No one can say such words but a public man!

From the first pages of the monograph it is clear that glorious fathers have appropriate offspring: celebrity scholars and public figures always respect praiseworthy grand-father fathers, **who preferred the gullies and ravines of their native villages, lovely gardens, yards where they had a quite a hard fate to luxurious life in the gold and silver carved Istanbul Sultan's and St. Petersburg Emperor's Palaces**. Many patriots who had experienced vicissitudes in the struggle for a better future of their native people have been buried in Oladauri.

Grandchildren never forget their ancestors' heroic deeds and try to continue with their charitable activities. For example:

Prof. **Jemal Beridze** has transferred 30 000GEL to build the Gamonatlevi church, to install the TV channel of the Municipal Cable and TV Company "Imedi" in Shuakhevi, to purchase equipments for the: Oladauri high school mountain-sports funicular railway, automatic telephone station and school laboratory.

Prof. **Akaki Beridze** sponsored one of the Oladauri school jubilees and donated 50 pairs of skis, boots and other sport necessary attributes to the pupils of Oladauri.



Prof. **Elguja Makaradze** provided Oladauri secondary school repairs and fuel central heating system with the support of one of the American companies (USAID).

Prof. **Tariel Putkaradze** dedicated a special scientific conference to the 200th birth anniversary of Loman Effendi Kartsivadze at the Kutaisi State University and published a collection "*Kartvelian Heritage*", which has been compiled by Georgian as well as foreign outstanding scholars ...

**Iza Chantladze**

Doctor in Philology, Honorable Professor of the Ilia State University, founder of the Tbilisi National Cultural School "*Kai Qma*", where a representative of the sixth generation of great **Nuri Beridze**, grandson of Prof. **Jemal Beridze** little **Irakli Beridze** studies.

## აჭარა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვან“ საქართველოში რა გამოლევს ულამაზეს ადგილებს – მოყვარეს გულს რომ უხარებს, მტერს კი თვალს უბრმავებს, მაგრამ აჭარა მაინც სულ სხვაა! დარწმუნებულნი ვართ, დიდმა გალაკტიონმა ერთი ამოსუნქვით დაწერა შემდეგი ტექსტი:

„შეხედე, რა ცაა! –  
ეს არის, რაცაა!  
შეხედე ამ მხარეს! –  
ზღვით დილა გვახარებს!  
შეხედე, რა ზღვაა!  
ო, ეს ზღვა სულ სხვაა:  
გულია, მიწაა!..  
რა ცაა, რა ცაა!“

ეს შესანიშნავი პოეტური სტრიქონები საგალობელია ცისა, ზღვისა, ბუნებრივი ბაღნარის – აჭარის თვალწარმტაცი სანახებისა!

„აქაური მთა მთელი ტრაქტატია ადამიანის მიდრეკილებათა, გრძნობათა და მისწრაფებათა გამაფაქიზებელი, გამაკეთილშობილებელი; რასაც ადამიანის გრძნობა წლობით ვერ შეიძენს ბარად, იმის შესაძენად საკმარისია ერთწამიერი ხილვა დიდებული და ამაღლებული ბუნების სიმშვენიერისა: კარჩხალის მთას თხემი თეთრად გადალესოდა თოვლითა, კალთები კი სანახევროდ ნისლში ჰქონდა გახვეული. აქა-იქ გამოჩნდა შავი ლაქები, რაიცა მთელ ტანს ბუმბერაზისას აჭრელეზულ სახეს აძლევდა. თითქო მიიჯაჭვა ამ სურათმაო, კაცი მის წინ ხმაამოუღებლადა დგას, მუნჯივით, გარინდული, მთლად

ქვერად და აღტაცებად ქცეული; სული უგუზდება მეტისმეტ სიამისაგან; კალამი მარტოოდენ მკრთალ სურათს თულა გამო-  
ჰხატავს ამ მშვენიერ ადგილისას“ (სახოკია 1950: 127-128).

ვის არ უმოგზაურია აჭარაში ნებისმიერ ეპოქაში! – ქარ-  
თველსა თუ უცხოელს – მეცნიერების არაერთი დარგის  
წარმომადგენელს, მწერალს, პოლიტიკოსსა და ჩვეულებრივ  
მოკვდავს, ვისაც სურდა ყოველდღიური ერთფეროვნება რა-  
ღაცით შეელამაზებინა! ხშირად მათ საბნად ეხურათ ვარს-  
კვლავთვალეზა ფირუზი ზეცა, ლეიზად კი მწვანე ხავერდოვა-  
ნი ქედი ეგოთ, მაგრამ არც დიმიტრი ზაქრამეს, არც გიორგი  
ყაზბეგს, პეტრე უმიკაშვილს, ზაქარია ჭიჭინაძესა თუ თედო  
სახოკიას – არც ერთ მათგანს სილამაზით ტკბობისთვის არ  
ეცალათ, იმდენად მძიმე მდგომარეობა დახვდათ აჭარაში:  
**იქაური მოსახლეობა ნამდვილად იტანჯებოდა ჯერ ოსმალე-  
თის, მერე კი რუსეთის უღელქვეშ.** მიუხედავად ამისა, მათ  
ცდუნებას ვერ გაუძლეს – არც ერთი მათგანი გულგრილი არ  
დარჩენილა „ღვთისა და კაცისაგან მივიწყებული მხარის“ (სა-  
ხოკია 1950: 229) ხასხასა ხავერდით შემოსილი ციცაბო ფერ-  
დობების, ღრმა უფსკრულთა პირას მდებარე კლდეში გაჭრი-  
ლი „იკლიბაკლო გზა-ბაწრების“, დახრამული ღარტაფების,  
ნაირ-ნაირ ხმებზე მოდუღუნე „თავქეიფა მოგზაურების“ (კამ-  
კამა ნაკადულების), ბროლივით ანკარა და ყინულივით ცივი  
ვერცხლისფერი წყაროების, „ფირუზისფერი აჭარისწყლისა“  
და „სპილენძნარევი ჭოროხის“, ფიქალი ქარაფების, თვალწარ-  
მტაც ბაღებში ჩაფლული სოფლებისა და ადგილობრივი „უს-  
ტების“ მიერ ჩამოქანდაკებული კოხტა სახლების მშვენიერე-  
ბის წინაშე.

უნებლიეთ გვახსენდება გენიალური ვაჟა:

„გზას ვამბობ, თორემ რა გზაა  
ვიწრო ბილიკი კლდეზედა?!“

და მაინც, ასეთ უმძიმეს პირობებში როგორ მოხიბლეს აჭარლებმა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე საზოგადო მოღვაწეები, არამედ უცხოელებიც? – უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ სადაც კი შედიოდნენ ისინი, რომელი სოფლის ყოფა-ცხოვრებაც უნდა შეესწავლათ, ყველგან ალალი გული, თავანკარა მეტყველება, ფანტასტიკური სტუმართმოყვარეობა და „ყელგადაგდებული“ ვედრება ხვდებოდათ: **ქართული წერა-კითხვა გვასწავლეთ, ქართული წიგნები ამოგვიტანეთ და როგორმე ქართული სკოლა გაგვიხსენითო**. არც თედო სახოკიას შეფასებაა დასავიწყებელი: „უნდა ახლო გაიცნოს კაცმა აჭარელი, რომ მართლა დააფასოს მისი რაინდული ხასიათი. თუ კარგი გული უჩვენეთ, თქვენთვის თავის დადებას ნეტარებად ჩასთვლის მთის შვილი, მაგრამ, თუ ერთი ბეწოც არის, მუხანათობა შეგატყოთ, დაუნდობელია“ (სახოკია 1950: 131).

1892 წლის მონაცემების მიხედვით, **ზედა აჭარაში**, დაბა ქედაში, ახლა აგებენ საკმაოდ ფართო სასკოლო შენობასო – ხაზგასმით აღნიშნავს ზაქარია ჭიჭინაძე – „სკოლას, სხვათა შორის, სხვადასხვა სახელოსნო განყოფილებაც ექნება, ნამეტურ ბაღოსნობისა. შენობა კეთდება ქედის მაზრის უფროსის შრომით და ცდით, ხალხისაგან შეწირულობით და მოგროვილის ფულით. შენობა მალე დამთავრდება (ჭიჭინაძე 2013: 180-181).

შედარებით მოგვიანებით კი პრესაში იბეჭდებოდა მოთხოვნა უმაღლესი სასულიერო სასწავლებლის გახსნის საჭიროების შესახებ ქალაქ ბათუმში (ჭიჭინაძე 2013: 201).

**პეტრე უმიკაშვილს**, რომელმაც 1864 წელს შეადგინა „ქართული ანბანი და საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისათვის“, დღემდე საოცარი მოკრძალებით იხსენიებს **ზემო აჭარის მოსახლეობა**, რომელთაგან ზოგიერთს ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა პატივცემულ პროფესორთან. ასე მაგალითად: ვინმე შაქირ ეფენდი მიქელაძისთვის პირადად ბატონ პეტრეს უსწავლებია ქართული წერა-კითხვა აჭარაში მოგზაურობის დროს. ამის შემდეგ თბილისში წამოსულ მასწავლებელს თა-

ვისივე კალიგრაფიით უგზავნიდა ხოლმე მოწაფე წერილებს და სისტემატურად სთხოვდა ქართულ წიგნებსა და გაზეთებს ხალხისთვის. რასაკვირველია, წიგნებთან და ჟურნალ-გაზეთებთან ერთად, პეტრე უმიკაშვილი შაქირ მიქელაძეს არც საპასუხო ბარათებს აკლებდა, რომელთაც საგანგებოდ წერდა დიდი ასოებით. „თუ მართლა გნებავთ ქართული წიგნი, – სწერს იგი წერილში, – დიდის სიამოვნებით გამოგიგზავნით, რაც შემეძლება. გაზეთი გამოდის ქართულად და წიგნებიც ბევრი იბეჭდება ტფილისში. **სასიამოვნო იქნება, რომ აქედან გასულმა გურჯებმა თავისი ენა არ დაივიწყონ და წიგნი იცოდნენ.** მე დიდროვან ასოებით გწერთ. მემინია, იქნება ესეც ვერ წაიკითხოს და გაუჭირდესო, – ვფიქრობ, – ამიტომ თათრულადაც ვაწერინებ ჩემს ნაცნობსა“ (ქართული ხალხური სიტყვიერება 1964: 12-13).

ნამდვილად შესაშური მეთოდიკაა ფოლკლორისტიკა! – ნეტავ, რომელიმე პედაგოგი თუ იყენებს ამგვარ ხერხს ბავშვისთვის წერა-კითხვის სასწავლებლად დღეს?

ცნობილია, რომ ქედის მაზრის უფროსსაც, მაიორ თოფან ბეგ შერშვაშიძესაც პეტრე უმიკაშვილმა გაუგზავნა იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“, რათა მას ქართული წერა-კითხვა ესწავლა (მიქელაძე 1991: 43). როგორც გადმოგვცემენ, იგი ყველაზე ხშირად „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდა.

გაზეთ „დროებაში“ სისტემატურად ქვეყნდებოდა სტატიები აჭარის შესახებ. მის რედაქტორს, ცნობილ ჰუმბლიცისტს სერგეი მესხს მიაჩნდა, რომ აჭარის კულტურის წარმოსაჩენად აუცილებელი იყო რაც შეიძლება ბევრი სახალხო სკოლის გახსნა, ქართული ლიტერატურის ადგილზე გავრცელება და ხალხური სიბრძნის მარგალიტების შეკრება.

„ბევრ ფანატიკ მოხუცებულთ და ხოჯა-მოლებს ძლიერ ეწყინათ მაჭახელში ქართული წიგნების მიტანა, მაგრამ მაინც ამ ხნეიერ პირთ წინაშე მოურიდებლად გამოჩნდნენ ბევრნი ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც დიდის ხვეწნით მემუდა-

რებოდნენ მათ სოფლებში ანბანის სწავლებას. მე ბევრს ვერ შევეუსრულე თხოვნა, რადგანაც გარემოება ნებას არ მაძლევდა. ამათ დამავალეს, რომ ეგების მერმის მაინც ამოგვიგზავნოთ ისეთი ვინმე, რომ ჩვენც წერა-კითხვა გვასწავლოსო, ...სახლსა და ხარჯს ჩვენ მივსცემთო – მე პირობა მივეცი“ (ჭიჭინაძე 2013: 241) – წერდა ზ. ჭიჭინაძე 1892 წელს. ეს ის დროა, როცა საფლავებსაც კი ოსმალურ წარწერებს უკეთებდნენ აჭარაში ჯერ კიდევ (მუსლიმანური კალენდრით).

მხოლოდ აჭარის მშვენიერებით, კალმით ნახატი უმანკო, სანეტარო ბუნებით, „მზის სხივთაგან ოქროში დაფერილი სივრცითა“ და აქაური ხალხის კეთილშობილებით აღფრთოვანება, ადგილობრივთა უმაღლესი თავაზიანობისა და სხვათა სამსახურისთვის მზადმყოფობის ჩვენება როდი გამოსჭვივის XIX საუკუნის ცნობილ მოღვაწეთა ნაშრომებიდან! – ნებისმიერ მკითხველს გულს მოუკლავს თედო სახოკიასეული კინემატოგრაფიული ექსკურსი აჭარის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ისტორიისა.

„აჭარისწყლის ხეობაში მდებარეობს ღრატოვანი და ხევიან-კლდიანი კუთხე საქართველოსი. მუნ სახლობს ბუნების ყოველგვარ სისასტიკესთან მეგრძოლი, მრავალჭირნახული, სიამეს დანატრებული ხალხი ქართველთა ტომისა. იმის წყალობით, რომ ეს ხალხი თურქეთის საზღვარზე ცხოვრობდა, ხან გულიდან მოგვწყდებოდა და, თურქთა ხელში ჩავარდნილი, მათი მტარვალობის მსხვერპლი ხდებოდა. საქართველო ღონეს მოიკრეფდა, წელში გასწორდებოდა, მტერთა მიერ მოსვრულ ოჯახს ადადგენდა, მტერს ლომივით შეებმოდა, წარსულის ჯავრს იყრიდა – და ეს მხარეც, სხვასთან ერთად, საქართველოს უბრუნდებოდა, მის ფრთებს ქვეშ შეაფარებდა თავსა. აჭარა ვერ მოასწრებდა სულის მოთქმას, ეკონომიურად წელში გასწორებას, რომ ისევ მტერი ჩაიგდებდა ხელში, ისევ განახლდებოდა (ახლა კი გაორკეცებული სიმმაფრით!) რბევა და დაწიოკება სოფლებისა, მკვიდრთა ავლა-დიდებისა, მუს-

რვა შვილთა და ქალთა, შეგინება და შელახვა რწმენისა. ჭემზარიტად გასაოცარია, როგორ არ აღიგავნენ დედამიწის პირისაგან აჭარა და მისნი მკვიდრნი, როგორღა დარჩა ხსენება მათი!...“ – აღნიშნავდა თედო სახოკია 1897 წელს.

ან კიდევ:

„ცხენით თუ ქვეითად მიდის აქაური, ლეწავს კალოზე თუ თივასა ჰთიბავს – ხმას არ იღებს, საერთო დუმილს არ არღვევს, თითქო საერთო რამ მწუხარება გადასწოლია მთელ მხარესა და მის მკვიდრთაო. ოღონდაც რომ მიზეზი არ აკლიათ გლოვისთვის! ორასი წლის მწარე კირთება ვის არ დაავიწყებს მხიარულებას?! ამას ის გარემოებაც დასძინეთ, რომ აქაური სუფრიდან სევდის უკუმყრელი, ადამიანის სულის გამამხიარულებელი და ამამღერებელი სასმელი – ღვინო, თანახმად მაჰმადის ბრძანებისა, განდევნილია... (სახოკია 1950: 186).

კიდევ უფრო დიდი ტკივილი იგრძნობა შესანიშნავი ეთნოგრაფის ერთ-ერთი მასპინძლის, ღორჯომელი სეფერ ხათიბ-ოღლი ირემამის სიტყვებში: „გურჯული ქითაბი (= ქართული წიგნი) კარგია, რომ ვიცოდე, მაგრამ მასწავლებელი არავინ მყავდა. მედრესეში მარტო თათრულს გვასწავლიან. ჩვენს მემლექეთში გურჯული ქითაბი არავინ იცის“ (სახოკია 1950: 120). მართლაც ძალიან ძნელია, უკომენტაროდ დატოვო ან, საერთოდ, შეაფასო საუკუნეზე მეტი ხნის წინანდელი სასწავლო პროცესი (შეიძლება კი მას სასწავლო პროცესი ვუწოდოთ?!): „პირველი ჯამეები აშენდა აჭარაში თუ არა, მათთან ერთად დაარსდა თურქული მედრესე, სადაც თავად უსწავლელი მოლები აჭარელ ბავშვებს ჯოხის ცემითა და ყვირილით არაბულს ასწავლიდნენ. მასწავლებელ-მოლებს საპედაგოგო მოღვაწეობისათვის ყურანის კითხვისა და რამდენისამე არაბული ლოცვის ზეპირად ცოდნის მეტი არაფერი მოეთხოვებოდათ. მასწავლებელი სულ იმის ცდაშია, შიშითა და ბრძოლით შეათვისებინოს თავის მოწაფეს ის „სიბრძნე“, რაც თვითონ ვაინაჩრობით შეუძენია. ცემა ხელით, ჯოხით და საზოგა-

**დოდ ყოველგვარი ხორციელი სასჯელი – საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ სწავლების დროს... რამდენიმე წლის ტანჯვის შემდეგ საცოდავი ბავშვი თუ სულ არ გამოტვინდა თავისებური მასწავლებლის ხელში და გაუძლო მთელ პედაგოგიურ ინკვიზიციას, მან შეიძლება ისწავლოს არაბული ყურანის წაკითხვა, რამდენიმე არაბულივე ლოცვა ზეპირად (რომლის შინაარსი, რასაკვირველია, არ გაეგება!) და ოსმალური წერა. უმრავლესობა ამასაც ვეღარ სწავლობს და სასწავლებელს თავს ანებებს“ (იქვე: 183).**

„ხოჯას ჰქონდა ორი ჯოხი – პატარა ჯოხს იგი მაშინ ხმარობდა, როცა მოწაფეს ზეპირობისას რაიმე შესცდებოდა ხოლმე. დიდი ჯოხით, რომლის სიგრძე 2-3 მეტრს უდრიდა, ის სცემდა მოწაფეებს ადგილიდან. გაკვეთილის მოყოლა ხდებოდა ხოჯის წინ მუხლებზე დაჩოქვით. იყო შემოღებული სიმინდის ან ლობიოს მარცვლებზე მუხლებით დაყენების წესი“ (ახვლედიანი 1943: 131).

ამაზე „უკეთეს“ პედაგოგიურ მეთოდოლოგიას თუ წასწყდომიხართ სადმე?!

სწორედ მაშინ, როცა სეფერ ირემამე ესაუბრებოდა თედო სახოკიას, გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 402-ე ნომერში (გვ. 3, 1897 წ.) სათაურით „სკოლის ბედ-იღბალი“ გამოქვეყნდა შემდეგი ინფორმაცია:

„უმაღლესის ბრძანებით, ხულოში დაარსდა ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი და შუა ოქტომბრიდან სწავლებაც დაიწყო; მობრძანდა მასწავლებელი ესედ-აღა-ისმაილ-აღა-ზადე-ნასირი, რომელიც სპარსულად ესაუბრებოდა მოწაფეებს, მაგრამ მათ მისი არა ესმოდათ რა, რადგან ჩვენში ბავშვებმა ქართული ენის მეტი არა იციან რა. თავდაპირველად 20

---

<sup>7</sup> კიდევ კარგი, რომ დღეს რადიკალურადაა შეცვლილი განათლების სისტემა როგორც საკუთრივ თურქეთში, ისე საქართველოს თურქულენოვან სკოლებში, სადაც ყველა ბავშვს (მათ შორის ქართველებსაც), ძირითადად, სწორად წვრთნიან.



მოწაფე დადიოდა, მერმე თანდათან იკლო და ბოლოს ხუთზე მიაღწია. მასწავლებელმაც იგრძნო, რომ აქ ყოფნა უნაყოფო იყო, რადგან ქართულის ენისა ინჩიც არ ესმოდა, და მოჰკურცხლა ნოემბერშივე. ამნაირად სკოლამ ერთი თვე ძლივს გასძლო და მომავალში როგორ გამოაკეთებენ საქმეს, ალაჰმა უწყის“.

აჭარის მოსახლეობას ქართველი ფაშები და ბეგები მართავდნენ, მაგრამ „მაშინ არ შექმნილა კულტურის არც ერთი ძეგლი, არც ერთი ქართული წიგნი თუ მხატვრული ნაწარმოები, თუმცა აჭარელი ქალები – ოჯახის ბურჯები – ცდილობდნენ, გადაეწერათ და შთამომავლობისათვის გადაეცათ კარაბადინთა თითო-ოროლა ხელნაწერი“ (სურმანიძე 1996: 14).

ქართულ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია XIX საუკუნის ერთი კარაბადინი (№1258ა), რომელიც შესრულებულია ძალზე თავისებური მხედრულით (ე. წ. „დედაბრული ხელით“), აღმოჩენილია ქობულეთში და ახლავს ექვთიმე თაყაიშვილის მოკლე შენიშვნა. ქართული დამწერლობის საკმაოდ ორიგინალური სახე მაშინ იქცა ეთნიკური ერთიანობის შეგნების მძლავრ ფაქტორად, რასაც არაერთხელ გადაურჩენია ქართველობა სრული ეროვნული განადგურებისაგან (ხახუტაიშვილი 2011: II, 282).

1891 წელს ზაქარია ჭიჭინაძე ასეთ ცნობას გვაწვდის აჭარაში გურიიდან ჩამოსახლებული დევაძეების სოფელ აგარის შესახებ: „ჯამეს გვერდით სასწავლებელია, სადაც ხოჯა ქართველ ხავშეებს მარტო თათრულს ასწავლის. ამ ბოლო დროს ქართული კითხვა სამს დავასწავლე, ახლა ამათგან სხვებს დაუსწავლიათ. აქ მცხოვრებთ ერთს ოჯახში ბგელი პატარა ქართული კარაბადინი აღმოჩნდა, რომელიც ახდულ ეფენდომ წერა-კითხვის სამმართველოს გამოუგზავნა. ეს პატარა კარაბადინი დიდი რამ განძი არ არის, მაგრამ ჩვენთვის ის არის დიდი, რომ ეს ხელთნაწერი აქაურს მაჰმადიანთ ქართველს

ოჯახში აქამდის შენახულა და მის პატრონს დედაბერს ქართული კითხვაც სცოდნია“ (ჭიჭინაძე 2013: 165).

ისიც ცნობილია, რომ ქედაში, ზეჟანიძეთა წარჩინებულ ოჯახში, თედო სახოკიამ „დედაბრული ხელით“ შესრულებულ „ანზანთქებასაც“ მიაკვლია (ქურნალი „მოამბე“, №10, 1901; სახოკია 1950: 243-244; სურმანიძე 2004: 84).

აი, რა უამბეს 1895 წელს ზემოაჭარელთა გმირული სულისკვეთების შესახებ ზეგნელმა მოხუცებმა ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელსაც დიდმა გალაკტიონმა „წიგნის რაინდი“ უწოდა:

„ჩვენ ახალციხელები გახლავართ. ახალციხე და ახალქალაქი რომ რუსმა აიღო, მის შემდეგ ჩვენ იქ არ დავდექით და ახმედ ფაშას გამოვყევით. იმან ზეგანში მოგვიყვანა და სხვადასხვა სოფლებში დაგვასახლა. მაშინ, ჩვენს აქ მოსვლამდის, ზეგნელებს შეშინებოდათ, ვაითუ, რუსები მოვიდნენო, და ამიტომ ისინი ოსმალში გაქცეულიყვნენ. ჩვენ რომ მოვედით აქ, ზეგანში 40 სოფლამდის იყო აყრილი და წასული“.

„ქართული ენა ჯავახეთის ქართველებში ადრიდგანვე დაცემულა. საოცარია, რომ ახალციხის გასწვრივ, ქვაბლიანსა და ფოცხოვს, ქართველ მაჰმადიანებში ქართული ენა აღარავინ იცის და იმათ იქით კი ზეგანს, სადაც 120 სოფელია, აჭარას და სხვაგან, მთლად ქართულად ლაპარაკობენ ქართველი მაჰმადიანები. დღეს ახალციხის და ახალქალაქისკენ ქართული ენა ნატამალობს“ (ჭიჭინაძე, ქართველთა გამუსლიმება, გვ. 118-120).

ენა დედაა ერისა ...ქართული ენა უნდა დაიდგას ქვაკუთხედად ჩვენის განათლებულობისა ...უდედაენოდ გონების გახსნა ზავშვისა ყოვლად შეუძლებელია... უმეცრებაა ჩვენი საშიშარი მტერი, რომელთანაც ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. (ილია);

ქართლად ფრიადი ქუეყანამ აღირაგებების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ყამი შეიწირვის და ლოცვამ ყოველი აღესრულების! (გიორგი მერჩულე);

დედა-ენა სულია სკოლისა... ყოველს ქვეყანაში დედა-ენის, სამშობლო ქვეყნის და ლიტერატურის შესწავლა შეადგენს მთავარს საგანს ზრუნვისას და ყოველს სასწავლებელში დათმობილი აქვს უპირველესი ადგილი (იაკობ გოგებაშვილი 1940: 70, 117-118); გულზე მოქმედებს მარტო დედა-ენა; ყოველი უცხო ენა აქ, როგორც ენა მებსიერებისა, უძლურია (გოგოლაშვილი 2014: 21);

ენა უკანასკნელი ძაფია, ურომლისოდაც, რომელიც არ უნდა იყოს ერი, თავის პიროვნებასა ჰკარგავს, არ ერობს (თედო სახოკია 1950: 112);

ენა ჩვენი ერის მთლიანობის გამომხატველია. როდესაც ესა თუ ის ერი დაკარგავს მშობლიურ ენას, შემდეგ დაურჩება განა მას რაიმე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სახე? (მემედ აბაშიძე 1998: 42);

დედა-ენის გარეშე ჩვენი სკოლები ქვიშაზე იქნება აგებული (გაზეთი „მომბე“, №5, ტფილისი, 1895)...

სწორედ ამიტომაც, რომ 1874 წელს სხალთაში თავის მართლება უწევს აჭარის ბეგს შერიფ ხიმშიაშვილს რუსეთის გენერალ-ადიუტანტის გიორგი ყაზბეგის წინაშე: „ძალზე საოცარია, რომ ჩემმა შვილებმა არ იციან თავიანთი წინაპრების ენა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ბალები აქამდე არდაგანში ცხოვრობდნენ – თავიანთი დედის ოჯახშიო“ (ყაზბეგი 1995: 46).

ვერაბატმა (= ვერა ბატონმა), შერიფ ბეგ ხიმშიაშვილისა და გერმანელი ქალბატონის ასულმა, პირველმა ქრისტიანმა გამაჰმადიანებულ აჭარლებს შორის, შესანიშნავად იცოდა არა მხოლოდ ევროპული და ოსმალური ენები, არამედ რუსულიც და ქართულიც. მშობლიურ მეტყველებას მას ასწავლიდა ბეგების სასახლეში მყოფი ახალგაზრდა მოლა ზერიძე, რომელსაც შეხვედრია თედო სახოკია ხიმშიაშვილებთან. **ქართული კითხვა კი ვიცი, მაგრამ წერა ვერაფერ მასწავლა და ძალიან კარგს იწეებო, მასწავლიდეთო.** მეც სიამოვნებით მოვუყუე და რამდენიმე საათის განმავლობაში ხელნაწერი ასოების ხასია-

თი გავაცანი. სიხარულით ცას ეწია – ახლავ ვერაბატისაც ვასწავლი გურჯულ წერასაო. გამომშვიდობებისას მთხოვა, აგრეთვე, ქალაქიდან მის მშვენიერ შეგირდისათვის გურჯული ქითაბი (წიგნი) გამეგზავნა. მეც დიდი სიამოვნებით გავუგზავნე „დედა-ენა“ იმ იმედით, რომ, იქნება ამ წიგნის საშუალებით მაინც გაიცნოს მისმა შეგირდმა ჩვენი ცხოვრება, იქნება სახელმძღვანელო წიგნის გავლენით ოდნავადაც არის ატოკდეს მისი ნორჩი და მიძინებული ქართული გული...“ – იგონებს „მოგზაურობათა“ ავტორი (სახოკია 1950: 227).

სამწუხაროდ, მასწავლებლის სახელს რატომღაც არ გვიმხელს თ. სახოკია, თუმცა ეს არცაა გასაკვირი! – მთქმელთა და თანამეგზურთა ინკოგნიტოდ დასახელების სტილი XIX საუკუნის აჭარაში მოგზაურ მკვლევართ თუ არამკვლევართ – ყველას თანაბრად ახასიათებს. მოსალოდნელია, რომ შერიფ ხიმშიაშვილის ასულის მოლა ყოფილიყო თავად ნური ბერიძე, რომელიც ბეგთა სასახლეში ნამსახური ფინანსებით აპირებდა სტამბოლში განათლების მიღებას რვა წლის განმავლობაში, რათა ხოჯა გამხდარიყო.

მკითხველისთვის, ალბათ, ისიც საინტერესო იქნება, რომ ქალბატონი ვერას და 1890 წელს სხალთაში მოუნათლავს იონა მეუნარგიას მღვდლის მიერ ყველა სარიტუალო წესის დაცვით.

ერთხელ სერგეი მესხს უკითხავს შერიფ ბეგ ხიმშიაშვილისათვის:

– მშობლიური ქართული ენა ხომ არ დაავიწყდათ აჭარლებს?

– რა ბრძანებაა, ბატონო! მთელ აჭარაში სულ ქართულს ლაპარაკობენ, შინაობაში სხვა ენას ვინ ხმარობს?! მამაკაცებმა კიდევ იციან თათრული, დედაკაცებს ქართული სიტყვა-პასუხი აქვთ.

– წერა-კითხვა, ბატონო ბეგო?

– მაგაში კი სუსტობენ, ალაგ-ალაგ იციან ზემო აჭარაში... უფრო დედაკაცებმა იციან ქართული წერა-კითხვა (გაზეთი „დროება“, 1887, №126).

1883 წლის 31 მარტს ბათუმიდან დიდ ილიას შემდეგი წერილით მიმართავს ნური ზეგ ხიმშიაშვილი:

*უპირველესად თქვენს ბედნიერებას და კეთილდღეობას ვისურვებ და ვთხოვთ ყოველად შემძლე ღმერთს თქვენს წარმატებას და დღეგრძელობას...*

*საქმე იმაშია, რომ მე მსურს, შავშეთში სკოლა დააარსდეს, რათა იქა მცხოვრებთა, რომლებიც ქალაქებს მოშორებულნი არიან, მიეცეს საშვალება, აღზარდონ შვილები და ასწავლონ მათ ჩვენს დედაენა. თუ შესაძლებელია, გთხოვთ, იშუამდგომლოთ «წერა-კითხვის საზოგადოების» წინაშე, რომლის თავმჯდომარე თქვენ ბრძანდებით, რომ ბათუმის სკოლა, რომელშიც მაჰმადიან ქართველთა შვილები არ მოიპოვებიან, გადმოიტანონ შავშეთში. თუ ეს რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელი იქნება, მაშინ ვთხოვთ «წერა-კითხვის საზოგადოებას», მასწავლებელი დაგვინიშნოს და მისცეს მას ჯამაგირი; რაც შეეხება სახლსა სკოლისათვის და მასწავლებლისათვის, მე მივცემ მუქათა სადგომს და მის მოწყობილობას; ვალად ვიძებ, შევკრიბო ყმაწვილები რიცხვით 60-80 (მათ შორის 12 ბეგების შვილები), ღარიბებს და ობლებს კი მე თვითონ მივსცემ სარჩოს...*

*ბათუმში ბევრს გვიჭირს ყმაწვილების ჩამოყვანა – ზოგს ჰავის აუტანლობის გამო, ხოლო ზოგს ქალაქის სიშორის და სიღარიბის გამო. შავშეთში ჩემს მეცადინეობას არ მოვაკლებ, რადგანაც მე იქ ვაპირებ დარჩენას ჩემს სახლობაში.*

*იმედი მაქვს, ყოველივე ამაზე გვაცნობებთ თქვენს გადაწყვეტილებას და, შეძლებისამებრ, დაგვებმარებით.*

*თქვენი პატივისმცემელი და ერთგული*

**ნური ზეგ ხიმშიაშვილი**



„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“  
დამფუძნებლები

Founders of “Society for Spreading of Literacy among Georgians”

პირველი წესდება დამტკიცებულია კავკასიის სამხრეთის სანამესტრიის აზნა-ტის გენ. ად. სვიატოპოლ-შჩისკის მიერ 21 მარტს 1879 წ.

შუამდგომელი წესდება დამტკიცებულია ოფიცის გენერალის საზოგადოებათა საქმეების მართვადობის და-დაპირვებით 21 მარტს 1907 წ. და „საზოგადოება“ შევიწროვდა რე-ქსტრუქციის 27.

## წესდება

კავკასიის სანამესტრიის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა.

### I სავანი საზოგადოებისა.

§ 1 საზოგადოების სავანია, ხელი წყნარად წერა-კითხვისა და დანაწყოების განათლების გავრცე-ლებას კავკასიის სანამესტრიის მკვიდრ ქართველთა შორის.

§ 2. ამ სავანის მისაღწევად საზოგადოებისა:

ა) დაეხმარება იმ სკოლებს, რომელიც არსებობს;

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“

წესდება

Charter of "Society for Spreading of Literacy among Georgians"

1878 წელს სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებით, დაიბეჭდა ცნობილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის (აგრეთვე, ლინგვისტიკაში ფრიად განსწავლულის) **დიმიტრი ზაქარაძის** შესანიშნავი წიგნი "Археологическое путешествие по Гуріи и Адчаръ (Съ Атласомъ)", რომელიც ეძღვნება დიდებულ ქართველოლოგს, ფრანგ მეცნიერს, აკადემიკოს **მარი ზროსეს**. ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სწორედ გურიასა და აჭარაში არქეოლოგიური მოგზაურობის ამსახველ ნაშრომში იხსენებს ავტორი ბრწყინვალე კავკასიოლოგის, აკადემიკოს (იმავედროულად გენერალ) **პეტრე უსლარის** თვალსაზრისს ქართული ანბანის შესახებ: „არსებული ალფაბეტებიდან იგი თითქმის ყველაზე სრულყოფილია. მასში ყოველი ბგერა განსაკუთრებული ნიშნით გამოიხატება და ყოველი ნიშანი მუდამ ერთსა და იმავე ბგერას გამოხატავს. ყველა ევროპულ ენაში არსებობს ლოდი შებრკოლებისა – ეს არის ორთოგრაფია. ქართველებისათვის, მათი ანბანის სრულყოფილების წყალობით, ეს სიძნელე თითქმის არ არსებობს!“ (ზაქარაძე 1987: IV).

შემთხვევითი, რასაკვირველია, არ გახლდათ პეტრე უსლარის ქართულ ანბანთან დაკავშირებული შეხედულების გახსენება აჭარაზე მსჯელობისას, სადაც ოსმალეთის ბატონობა უკვე სულს ღაფავდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოღვების სკოლების გარდა, არსად არანაირი სასწავლებელი არ იყო (ბათუმში გახსნილ ბერძნულ სკოლას თუ არ ჩავთვლით). „აქ არის შეძლებული გვარები (თავდგირიძეები, ბეჟანიშვილები, ...), მაგრამ მათში არავინაა ისეთი, რომ შვილების აღზრდა შეძლოს: მათ არა აქვთ არც ერთი სასწავლებელი, გარდა მეჩეთებთან არსებული უზადრუკი სკოლებისა – ერთი სიტყვით, განვითარების გზა მოჭრილი აქვთ“ – წერდა დიმიტრი ზაქარაძე 1874 წლის 3 აპრილს.



„საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სხალთის ხეობის სოფელ ხიხაძირში არ იყო არც ერთი სკოლა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. იშვიათად მოინახეზოდა კაცი, რომელმაც ქართული წერა-კითხვა იცოდა. გლეხი წერილს თუ მიიღებდა, ფეხით რამდენიმე კილომეტრი უნდა გაევიღო, რომ ვინმესთვის წაეკითხებინა. უგზოობის გამო ზევრ ხიხაძირელს ქ. ხათუმიც კი არ ენახა“ (ხოზრევანიძე 1959: 14).

ზემო ქართლი, ანუ სამცხე-საათაბაგო, რომლის ისტორიული ნაწილი აჭარაც იყო, საუკეთესო ქართველ მწიგნობართა აკვანი გახლდათ, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ ენა, რომელიც არ გადაეცემა ზავშეებს, მკვდარია. ქართულ ენას არც აჭარის სოფლების, არც შავშეთ-იმერხევისა და არც ტაოკლარჯეთის ოჯახებში სიცოცხლე არასდროს შეუწყვეტია. სწორედ ის აკავშირებდა თანამედროვე თუ ისტორიულ აჭარლებს თავიანთ გმირულ წარსულთან – აურაცხელი ბრძოლების მატთანესთან; იმავდროულად ქართულ ენაშივე იყო ჩაქსოვილი მათი კულტურა, რასაც სამირკველი სწორედ სკოლაში ეყრება ყველა ქვეყანაში. ამ თვალსაზრისით, თავისთავად ცხადია, საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება.

საოცარი გახლდათ აჭარლების დამოკიდებულება მკვლევარ მოგზაურთადმი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არაჩვეულებრივი მასპინძლები იყვნენ, მთლად ბოლომდე მაინც არ ენდობოდნენ სტუმრებს, რომლებიც სულ რაღაცას იწერდნენ მათგან. თუმცა არც არაფერია გასაკვირი! ეს ის პროცესი იყო, როცა დამხვდურთ უნდოდათ მათთან მიახლოება, მაგრამ ძალზე უჭირდათ მიღება, მოგზაურთაც სურდათ მათი გაცნობა, თუმცა მიახლოება ეძნელებოდათ, რადგანაც თითქოს ერთნიც იყვნენ და არც იყვნენ ერთნი, გაუცხოებულან. „თითქოს გენატრება, უნდა ჩაეხვიო, ენატრები და უნდა ჩაეხვიოს, მაგრამ ჩვენს შორის არსებულ ჰაერს სიმყარე შეჰპარ-

ვია“ (ეთერ ბერიძე, შესავალი ზაქარია ჭიჭინაძის წიგნისა „მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“, თბილისი, 2013, გვ. 7).

„სიტყვა ქართველი, – განაგრძობს დიმიტრი ბაქრაძე –, აჭარის მცხოვრებთათვის უცნობია; ისინი თავის თავს მხოლოდ აჭარლებს ეძახიან, ხოლო თავის ენას – გურჯი ენას. ქალები ქართულად უფრო წმინდად ლაპარაკობენ, ვიდრე მამაკაცები... აჭარლები შინ, ახლობლებთან, უფრო გულახდილნი არიან, ვიდრე ხალხში, სადაც საეჭვო პირები ეგულუბათ და ეშინიათ მათი. გზაში ისინი მაინცადამაინც კეთილი თვალთ არ მიყურებდნენ, მაგრამ რამდენადმე გული მოუღებოდათ ხოლმე, როცა გურჯის ენაზე დაველაპარაკებოდი“ (იქვე: 45-46).

ამ სიტუაციას „გულ-ცეცხლ საწვავი სიტყვებით“ კიდევ უფრო გამმაფრებულად გვიხატავს ცნობილი ბიბლიოფილი ზაქარია ჭიჭინაძე (2013: 272), რომელსაც აკადემიკოსი ნიკო მარი შავშელ-აჭარელსაც კი უწოდებდა (იმდენად ჰქონდა უნიჭიერეს, მაგრამ ოფიციალურ სკოლადაუმთავრებელ მწიგნობარსა თუ მოგზაურს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უმძიმესი ბედ-იღბალი „გასიგრძეგანებული“), ხოლო იოსებ იმედაშვილი – „ქართველ მოწაფეთა, მუშა-ხელოსანთა და მსახურთა მოძღვარს“ (კომახიძე 2001: 105, 129). მასზე ალალია, აგრეთვე, ფრიდონ ხალვაშის შემდეგი სტრიქონები:

„გურჯი, დაცვეთილქალამნიანი,  
გულნადვლიანი, სახენათელი,  
არც ქრისტე იყო, არც მუჰამედი –  
იგი, უბრალოდ, იყო ქართველი“.

სულისშემძვრელია დამსახურებული საზოგადო მოღვაწის, პედაგოგისა და ჟურნალისტის დიმიტრი დუმბაძის სიტყვებიც: „ზაქარია იყო ჩვენი აკადემია, ჩვენი უნივერსიტეტი,

ჩვენი სახელგამი, ჩვენი მოციქულთა მოციქული ყველგან, ყოველთვის, ყველაფერში“ (კომანიხიძე 2001: 471).

ნიკო მარის აზრით, ქართველების გაოსმალების პროცესმა განვლო სამი ხანა:

1. **პოლიტიკური შესისხლხორცება ოსმალეთის სახელმწიფოებრივ ორგანიზმში;**

2. **სარწმუნოებრივი გარდაქმნა-მოქცევა ისლამზე, რაც მხოლოდ XVIII-XIX საუკუნეებში დამთავრდა;**

3. **ლინგვისტური ხანა, რომელიც საკმაოდ ადრე დაიწყო, ჯერაც არ დასრულებულა და, ახალი ისტორიული ფაქტების გამო, საეჭვოა, როდისმე დამთავრდეს.**

რა სწორად განჭვრიტა დიდებულმა ლინგვისტმა ქართველთა გამუსლიმანების პერიპეტიები, განსაკუთრებით კი თურქულ ენასთან ქართულისა და ლაზურის ინტერფერენციის (ლამის „ჩაყლაპვის“) მოსალოდნელი პროცესი საუკუნის წინ!

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნი „მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“ გვაუწყებს:

„როგორც კარჩხალის, ისე არსიანის მთიდან მთლად ჩანს დასავლეთი საქართველო... როცა კაცი წარმოიდგენს მის სივრცეს, სილამაზეს, მოხდენილობას და, აგრეთვე, იმას, თუ ამოდენა ადგილებში ამდენი ქართველობა უნდა ყოფილიყო ძველათ დასახლებული, უნებლიეთ გული შეუწუხდება... მე არ შემიძლია მკითხველს გარდავეცე ის მწუხარება, რა მწუხარებასაც ჩვენი მამულისშვილი იგრძნობს იმ დროს, როცა ის ზემოხსენებულს მაღალს მთებზე ავა და იქიდან სულ ძველათ ამადლებულ და შემდეგ დაღუპულს და განადგურებულს საქართველოს ადგილებს გადახედავს“ (ჭიჭინაძე 2013: 311-312).

XIX საუკუნეში ზ. ჭიჭინაძემ, თბილისიდან წაღებულ ქართულ წიგნებთან ერთად აჭარაში თავისი მრავალგზისი

მოგზაურობის დროს, არაერთი სოფელი ფეხით შემოიარა და-  
რსა თუ ავდარში, კლდესა თუ ღრეში. კინტრიშის ხეობის 34  
სოფლის აღწერის შემდეგ ის დაასკვნის:

„ეს სოფლები არის მხოლოდ მეთასე ნაწილი იმ ძველის  
საქართველოსი, რომელიც რუსეთმა შემოიერთა. ყველა ამ  
სოფლებში, შინა თუ გარედ, კაცი, ქალი და ბავშვი სულ ქარ-  
თულს ენაზედ ლაპარაკობენ. მთელი ეს ხეობა დავიარე, ვიყა-  
ვი ისეთ მთებში და ტყეებში, სადაც დღემდის ქართველი კაცი  
თვალითაც არ უნახავთ. ქართული ენა ამათ ისე შეუნახავთ,  
როგორც თუშ-ფშავ-ხევსურეთში. აქ, ამ დაშორებულს მხარე-  
ში, ოცში ერთმაც არ იცის ოსმალური ენა, ქალებმა ხომ სულ  
არ იციან! აქა-იქ არაბული კითხვა დაუსწავლიათ და პარასკევ  
დღეობით ორის საათის განმავლობაში დაჩოქილები კითხუ-  
ლობენ, მაგრამ გაგებით კი არავის არაფერი ესმის. ყოველ  
დღესასწაულის ლხინებს, სიმღერებს, ტირილს და სხვა ასე-  
თებს ქართულს ენაზე ასრულებენ“ (ჭიჭინაძე 2013: 66).

გასაოცარია, რომ ოფიციალური კლასიკური განათლების  
არმქონე თვითნასწავლ მოგზაურს მეტად სწორი ლინგვისტური  
აზრები აქვს: საქართველოს მთიანეთში, როგორც ქართულ, ისე  
სვანურსა თუ მეგრულ-ლაზურ მეტყველებაში, არაერთი იდენ-  
ტური ეთნოლოგიურ-გრამატიკული პროცესი ფიქსირდება.

„აჭარის წარსულს ფიქრით რომ ჩავუღრმავდები და სა-  
თანადოდ მოვიაზრებ, სხეულში ცივი ჟრუანტელი მივლის  
ხოლმე. ჩემმა სახელოვანმა წინაპრებმა არნახული ტანჯვა-ვაე-  
ბა გამოიარეს; ქვეყნად არ დარჩენილა თითქმის არანაირი და-  
მპყრობი, რომელსაც ამ ლამაზი და სტრატეგიულად მნიშვნე-  
ლოვანი მიწა-წყლის ხელში ჩაგდება არ ეცადოს. მრავალრი-  
ცხოვან დამპყრობთაგან თავისი მიზანმიმართულ-მიზანსწრა-

ფული ქმედებით გამოირჩეოდა ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობა და დაფუძნება, სწორედ რომ ოსმალთა, რომლებმაც აჭარის ტერიტორიაზე პირველად 1547 წელს მოიკიდეს ფეხი და მტკიცედ დამკვიდრდნენ გონიოს ციხესიმაგრეში... მოგვიანებით კი, სახელდობრ 1704 წელს, თავიანთი ბატონობა და ჰეგემონობა იმით განამტკიცეს, რომ ბათუმის ტერიტორიაზე ორი ციხესიმაგრე ააგეს. სწორედ ამის შემდეგ იწყეს მათ ძალისმიერი ქმედებით აქაურებში მუსლიმანური რელიგიის გავრცელება და პარალელურად, ლამის ყველა კუთხესა თუ სოფელში, ჯამეებისა და მეჩეთების დაფუძნება, რომელსაც თან მოაყოლეს ამ კუთხეში ქართული სკოლების, ქართული წიგნისა და დამწერლობის მეთოდურ-მიზანმიმართული ამოძიარკვა“ – წერდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თეიმურაზ კომახიძე 2001 წელს (იხ. გვ. 148).

როგორც ცნობილია, ძალზე რთულია არაბული ანბანი არა მხოლოდ გრაფიკული, არამედ წაკითხვის წესის (მარჯვნიდან მარცხნივ!) თვალსაზრისითაც. არც თავად არაბული ენა ადვილად შესასწავლი. მიუხედავად იმისა, რომ ხოჯებსა და მოლებს ყოველი ჯამეს გვერდით პატარ-პატარა მედრესეები ჰქონდათ, სამეცნიერო პედაგოგიკის არანაირი მეთოდი და ხერხი არ არსებობდა მათ სკოლებში, სადაც ბავშვები ოთხი-ხუთი წელი სწავლობდნენ ხან არაბულად, ხანაც თურქულად, შემდგომში ბერძნულად თუ რუსულად, მაგრამ, შესაბამისი ანბანისა და ლოცვების მეტი, არაფერი იცოდნენ. არამშობლიურ ენაზე ასე ადვილი რომ იყოს განათლების მიღება, მაშინ პოლიგლოტებს ვეღარ აუვიდოდით! თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმდროინდელ აჭარაში პროგრე-

სულად მოაზროვნე ხოჯებიც (რეჯებ მჟავანაძე, ახმედ შარაშიძე...) იყვნენ, რომლებიც მოსწავლეებს ადგილობრივი ხელი-სუფლებისაგან მალულად ქართულ წიგნებსაც უკითხავდნენ.

მაშინდელი აჭარის ინტელიგენციამ, რომელიც, ძირითადად, სტამბოლსა თუ ანკარაში იყო განსწავლული, საქმე რომ გაეადვილებინა, ქართულ ენაზე თარგმნა ყურანი, ოღონდ, რაკი მათმა უმრავლესობამ ქართული წერა-კითხვა არ იცოდაო – გვიამბობენ მოგზაურები XIX საუკუნეში (რაც ძნელი დასაჯერებელია!), ხელნაწერები შესრულდა პალეოგრაფიასა თუ ლინგვისტიკაში ძველთაგანვე მიღებული ე. წ. ალოგლოტოგრაფიის მეთოდით – ქართული ტექსტი მოცემული იყო არაბული კალიგრაფიით, ვფიქრობთ, ადგილობრივ მუსლიმან ხელისუფალთა თვალის ახვევის მიზნით, „სათვალფერისოდ“. ამ საქმის ინიციატორი გახლდათ სოფელ სამზიარში დაბადებული ისმაილ ხოჯა ხალიფაშვილი, უდიდესი დამცველი ეროვნული ინტერესებისა და ქართული ენისა. მან სტამბოლიდან შემოუთვალა ბათუმის მუფთს, რომ აჭარელ ხოჯებსა თუ მოლებს გადაეწერათ მისი ხელნაწერი და ჯამეებში ყველგან ქართულად ექადაგათ ყურანის მოძღვრება. მართლაც ეს ასეც ხდებოდა 1850 წლამდე, მაგრამ რუსეთთან ომის შემდეგ ყველაფერი მოისპო – როგორც ხელნაწერები, ისე ისმაილ ხოჯას შემოღებული მეთოდები მაშინდელ სასწავლებლებში. სამწუხაროდ, დღემდე არ არის მიკვლეული არც დედანი და არც ყურანის ხალიფაშვილისეული თარგმანის სხვათა მიერ გადაწერილი ნუსხები. (ყველა როგორ განადგურდებოდა?!).

---

\* ამ საკითხის შესახებ იხ. სურმანიძე რ., ლომან ეფენდი ქარცივაძე (დაბადების 200 წლისთავთან დაკავშირებით), ჟურნალი „ჭოროხი“, №3, ბათუმი, 2013, გვ. 104.

ზოგჯერ მუსლიმანი ქართველები იმიტომაც წერდნენ ქართულ ტექსტებს არაბული ანბანით, რომ წერა-კითხვა არ იცოდნენ თავიანთ მშობლიურ ენაზე. ასე იქცეოდა, მაგალითად, ცნობილი მელექსე მოლა, გვარად დიასამიძე (კომახიძე 2001: 352).

საპირისპირო სიტუაციას ზაქარია ჭიჭინაძემ სპეციალური ნაშრომიც კი მიუძღვნა (იხ. მისი „ქართველ მაჰმადიანთა ლოცვები არაბულის სიტყვებით და ქართული ასოებით“).

ისმაილ ხალიფაშვილის თანამედროვეა ოლადაურელი სწავლული, „დიდ პროფესორად“ წოდებული ჰაჯი ლომან ეფენდი ქარცივაძე – გამორჩეული პატივით მიღებული როგორც თურქეთის, ისე რუსეთის იმპერატორთა კარზე. მიუხედავად ამისა, მან მიატოვა ფუფუნებითი ცხოვრება სულთნის სასახლეში და საქართველოს საზღვრებში დაბრუნებულმა აჭარაში დაიდო სამუდამო ბინა, დასახლდა მშობლიურ სოფელ ოლადაურში, ხულოში კი სკოლაც დააარსა, სადაც 100 აჭარელი ახალგაზრდა ეუფლებოდა განათლებას. გადმოგვცემენ, რომ ლომან ეფენდის ჰქონია ოსმალური ანბანით დაწერილი ქართული გრამატიკა თუ ლექსიკონი, რომელსაც ის იყენებდა არა მხოლოდ თავის სკოლაში.

XIX საუკუნეში ქედის მუფთი გახლდათ ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი, რომელიც მედრესეში ბავშვებს ქართულ ენაზე ასწავლიდა, რისთვისაც პასუხისგებაში მიცემა დაუპირეს. აი, რა უთქვამს ხელისუფალთათვის ჭემმარიტ პატრიოტს: „ჩვენ ქართველები ვართ, მეც ამ ენით ვქადაგებ, რომ ისლამი უკეთ გავაცნო-შევასწავლო“ (ახვლედიანი 1943: 109).

აჭარელ სწავლულთა და საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობის ამბავმა, როგორც ჩანს, ჩრდილო კავკასიამდეც მიაღწია. 2006 წელს ინტერნეტის ვებგვერდზე "Мечети мира" გამოქვეყნდა

ინგუში პროფესორის რაშიდ საიდუტვინოვის სტატია, რომელშიც ნათქვამია: "В период господства Османской империи, а позже в составе царской России, видные мусульманские духовные деятели Аджарии, получившие образование в Анкаре и Стамбуле, активно выступали в защиту национальных интересов Грузии. Грузинской ориентации придерживались: Хаджи Ломан Ефенди Карцивадзе, Нури Беридзе, Ахмед Халваши, Ахмед Халипашвили, КаDIR Сурманидзе и другие. Даже в условиях жёстких законов Ислама они умудрялись вести благослужение в мечетях с использованием грузинского языка, а Ахмед Халипашвили впоследствии перевёл и на грузинский Коран".

უფრო მეტიც! – ცნობილმა გერმანელმა ისტორიკოსმა ოლივერ რაისნერმა (ამჟამად თბილისის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა) 2004 წელს ვისბადენში გამოსცა შესანიშნავი წიგნი "Die Schule der georgischen Nation", რომელშიც ბათუმის სახელმწიფო არქივებისა და მუზეუმთა მასალების საფუძველზე შედგენილია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ დააარსებულ სკოლებში აჭარელ მოსწავლეთა რაოდენობის დამადასტურებელი სქემა 1883-1916 წლებში (იხ. გვ. 158):

წელი	1883	1884	1885	1886	1887	1888	1894	1896	1898	1901
მოწავ. რაოდ.	58	64	60	47	34	47	64	105	155	176
აპარლები	27	28	30	10	0	12	24	25	29	?
წელი	1902	1905	1906	1907	1908	1909	1910	1911	1914	1916
მოწავ. რაოდ.	201	10	99	141	131	161	151	158	135	76
აპარლები	12	9	7	2	3	6	16	17	5	13



დიდი ილიას საზარელი მკვლელობის შემდეგ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გარდაცვალებამდე (1921 წლამდე) ხელმძღვანელობდა რუსეთის იმპერიის ყოფილი გენერალ-ადიუტანტი გიორგი ყაზბეგი, რომლის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკა არ მოეწონა რუსეთის მაშინდელ იმპერატორს და უსასტიკესი სიტყვებით – „ხალხს ყოველთვის უნდა ესროლო, გენერალო!“ – ჩოფიკაშვილთა გვარის ბრწყინვალე წარმომადგენელი ყოველგვარი მოზოდისების გარეშე გაათავისუფლა სამსახურიდან. საერო სამსახურში ის ძალიან დაუახლოვდა ქართველ არისტოკრატთა მეთაურს აჭარაში, ბათუმის მეჯლისის თავმჯდომარეს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელს, მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პირველ ხელმძღვანელს, მეტად ორიგინალურ შემოქმედს მემედ იბრაჰიმის ძე აბაშიძეს, რომელთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონია ნური ბერიძესაც, ამიტომაც მის პიროვნებას შედარებით ვრცლად შევხებით<sup>9</sup>.

სულ ახლახან ნური ეფენდის შვილთაშვილმა, პროფესორმა აკაკი ბერიძემ გადმოგვცა ბათუმის სახელმწიფო არქივში დაცული მასალა (ფონდი რ-406; აღწ. 1; საქ. 15; ფ. 58), რომელიც შედგენილია 1984 წლის 10 მარტს ნური ბერიძის ქალიშვილის ვაჟის, ბაბუის სეხნიის – 86 წლის ნური თავდგი-

---

<sup>9</sup> ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშავდება საპროექტო თემატიკა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ნინო დობორჯგინიძე). ჯგუფს ჯერ 1915 წლის, ანუ ნური ბერიძის მიერ ოლადაურის სკოლის გახსნის დროინდელი საარქივო მონაცემები არ დაუბუშავებია. დარწმუნებულნი ვართ, საქმიანობის დასრულების შემდეგ ჩვენ არაერთ საინტერესო ინფორმაციას შევითვობთ ამ ორი ქართველი პატრიოტი მოღვაწის ურთიერთობიდან – საპროექტო თემატიკის შემსრულებელ ჯგუფს წარმატებებს ვუსურვებთ...

რიძის მიერ მისივე კალიგრაფიით. ტექსტში წათქვამია: „სტეფანე ქემხაძეს და მემედ აბაშიძეს ერთიმეორეში ძალიან კარგი მეგობრობა ჰქონდათ. ამათი დახმარებით და ალისულთან გელაძის ხელმძღვანელობით იქნა სოფ. ოლადაურში სკოლა გახსნილი ქარცივაძეების საკუთარ ბინაში. სკოლის გახსნაში მონაწილეობდნენ: იუნუს ბერიძე, ნური ეფენდი ბერიძე, ხუსეინ თავდგირიძე, ემინ ეფენდი ქარცივაძე. საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ 1914 წელს თბილისიდან გამოაგზავნა მასწავლებელი და ყველა, რაც იყო საჭირო პირველი კლასისათვის, მათ მიერ იქნა გამოგზავნილი“ (სტილი დაცულია!).

მაშასადამე, ჩვენი ვარაუდი გამართლდა! – მემედ აბაშიძეს ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონია ბერიძეებთან; ცნობილია, რომ სტეფანე ქემხაძე არა მხოლოდ მუშაობდა ნური ბერიძის ძმისშვილთან – იუნუსთან (ფრიად განსწავლულ პიროვნებასთან, რომელსაც მთელი სიცოცხლე ხულოს მაზრის მუნიციპალიტეტში არაერთი საკმაოდ სერიოზული თანამდებობა ეკავა), არამედ მათთანვე ცხოვრობდა ბერიძეთა ძველ ფეოდალურ დიდ სახლში.

ნური თავდგირიძე თავად სწავლობდა ოლადაურის სკოლაში, ამიტომ ძნელია არ ვენდოთ მის ცნობას, თუმცა, რომ ეს სკოლა ემინ ქარცივაძის ოჯახში ფუნქციონირებდა, ამ ფაქტს ჩვენ მიერ მიკვლეული არც ერთი სხვა დოკუმენტი არ ადასტურებს – ყველგან ნური ბერიძის სახლში გახსნილ სკოლაზეა მსჯელობა. (იხ. წინამდებარე წიგნის ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილ ავტორთა – ვაჟა და ვახტანგ მაკარაძეების, რამაზ სურმანიძის, ნანი გუგუნიავას, შოთა ცეცხლაძის, შოთა მიქელაძის, მიხეილ მახარაძის, რომან და ნუგზარ ზოსიძეების, გივი თურმანიძის, ნუგზარ ჯაფარიძის, ოთარ გოგოლიშვილის, ოთარ ფუტკარაძის და სხვათა მონოგრაფიები თუ სტა-

ტიები, აგრეთვე მხცოვან ოლადაურელთა მოგონებანი). ისე კი, შენობა ხომ არ იყო გადამწყვეტი ამ უდიდეს პატრიოტულ საქმეში! – სრულიად ბუნებრივია, რომ ნური ბერიძეს მმის-შვილიც, ქალიშვილთა მეუღლეებიცა და ცოლისძმაც ამოუდგებოდა გვერდში!

ნური თავდგირიძე მეგობრობდა აკადემიკოს სერგი ჯიქიასთან, რომელიც, როგორც თურქოლოგი და ნიკო მარის მოწაფე, ხშირად იმყოფებოდა აჭარასა თუ ტაო-კლარჯეთში. ოლადაურლები გადმოგვცემენ, რომ თითქოს ბატონ სერგისთვის (ჩვენი წიგნის ერთ-ერთი რედაქტორის – პროფესორ მარიკა ჯიქიას მამისთვის) რაღაც ხელნაწერები თუ პუბლიკაციები გამოუტანებიათ ლომან და ნური ეფენდების ბიბლიოთეკებიდან თბილისში, ალბათ, იმდროინდელი ანტირელიგიური კამპანიისგან თავის დასაღწევად. ბევრი ვიწრომეთ, მაგრამ ამაოდ! – მათ ვერსად მივაკვლიეთ. ამიტომ აუცილებელია სერიოზული მუშაობა ბათუმის სახელმწიფო მუზეუმებსა და არქივებში, რათა ამ საკითხს ნათელი მოეფინოს; ეგების ნური ბერიძის შესახებაც უფრო მეტი ახალი მასალა შეგვემატოს, რადგანაც, როგორც გვეუბნებიან, საკმაოდ ვრცელია მამაშვილ ჰუსეინ და ნური თავდგირიძეთა არქივი. ამჯერად ჩვენ ეს ვერ მოვახერხეთ, მიუხედავად არაერთი მცდელობისა.

აღმოსავლური თუ არააღმოსავლური ენების დიდებულიმა მცოდნემ მემედ აბაშიძემ თავისი მასწავლებლობის პერიოდში ძალზე მნიშვნელოვანი კომენტარებითურთ გამოსცა არაბულიდან ქართულ ენაზე პეტრე მირიანაშვილის მიერ თარგმნილი „ყურანი“, რომელიც 1200 ცალი დაიბეჭდა და ნახევარი ტირაჟი ადგილობრივ მოსახლეობას საჩუქრად დაურიგდა. იგივე ბედი ეწეოდა მის მიერ თურქულად თარგმნილ „ვეფხისტყაოსანსაც“, მაგრამ, სამწუხაროდ, თარგმანი სადღაც გაქრა უკვალოდ.

ისიც ცნობილია, რომ მემედ აბაშიძე მუშაობდა არაბული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს შედგენაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, ხოლო თურქეთში მცხოვრებ ქართველებს სისტემატურად უზღავნიდა ქართულ წიგნებს და განზრახული ჰქონდა, იქვე დაეარსებინა ქართული სკოლა. 1914 წლის 19 აპრილის ერთ-ერთ კონფიდენციალურ დოკუმენტში (№800) ნათქვამია: „ქართველი მაჰმადიანებისა და ქართველი ქრისტიანების გაერთიანებისა და თურქეთში მცხოვრებ ქართველებს შორის წერაკითხვის გავრცელების მიზნით, რამდენიმე დღის წინათ მემედ ბეგ აბაშიძის ერთ-ერთი თანამებრძოლი ქემალ ნოლაიდელი რამდენიმე ხოჯის თანხლებით გაემგზავრა ქ. თბილისში, ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ კომიტეტში, თხოვნით, რათა მათ ეშუამდგომლათ თურქეთის მთავრობის წინაშე ქ. კონსტანტინეპოლში ქართული სკოლის გახსნის თაობაზე, სადაც ქართველ მაჰმადიანებს შესაძლებლობა ექნებათ, შეისწავლონ მშობლიური ენა“.

მემედ აბაშიძის აზრით, მხოლოდ სწავლა-განათლებით შეძლებდნენ ადამიანები ერთმანეთის დანახვას, მტრისა და მოყვრის გარჩევას, რადგანაც სწორედ ყურნალ-გაზეთებისა და ზეჰდური სიტყვის გავრცელებით, ლექციებისა და რეფერატების საჯარო კითხვა-მოსმენით საზოგადოებისთვის დიდი სამსახურის გაწევა შეიძლება (ყურნალი „ნიშადური“, 1907, №10). „ქართული სიტყვა წარმტაცია, საამური, სურათოვანი და შინაარსიანი; იგი ჩვენი შემეცნების, შეგნების, ხელოვნებისა და შემოქმედების წმინდა საუნჯეა“ (ქართული მწერლობა, 1926, №1). წიგნები და წერილები თუ ხალხის უმრავლესობისთვის იწერება, მაშინ მათთვის გასაგებ ენაზე უნდა დაიწეროს; უცხო სიტყვების ჩვენს მეტყველებაში მოკალათებას ვერ შევეურიგდებითო – აღნიშნავდა სწავლული – „სწორედ ამიტომ

არის, რომ მეც ჩემს თანამოადრდეებთან ერთად ნაღვლიანად ვამბობ, თუ ამის საწინააღმდეგო რაიმე ზომა არ მივიღეთ, ჩვენი ენა თანდათანობით დაემსგავსება ალჟირელთა ენას, რომელიც ლათინურის, იტალიურის, ფრანგულის, ესპანურისა და მათი მშობლიური ენის ნარევია“ (კომახიძე 1993: 97).

ცხადია, ბათუმის ოლქში რუსული სკოლების გახსნის მცდელობამ ძალზე ააღელვა იმდროინდელი ინტელიგენცია, განსაკუთრებით კი მუსლიმანი ქართველები, ამიტომ მაშინდელი სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი კ. კომაროვი იძულებული გახდა, თვალთმაქცური განცხადება გაეკეთებინა:

*მეჩეთებთან და ჯამეებთან მედრესეები უნდა გაიმართოს და იმამებმა ყმაწვილებს მუსლიმანთა რჯული და წერაკიტხვა უნდა ასწავლონ, როგორც ოსმალოს დროს ყოფილა. ჩვენი მთავრობა მედრესეებს შეეწევა და მფარველობას არ მოაკლებს...*

**რუსეთის მთავრობაც გამართავს თავის სკოლებს, მაგრამ ძალით არავის წაიყვანს ამ სკოლებში (ხაზი ჩვენია – ო. ჩ.); თუ ვინმე მუსლიმანმა ისურვა შვილის შეყვანა ამ სკოლაში ან იეთიმის პატრონმა ობლის გაზრდა, იმათ უნდა სთხოვონ მთავრობას და ის ნებას მისცემს, რომ ყმაწვილები მიიღონ სკოლებში. მუსლიმანთა შვილებს ამისთანა სკოლებში ეყოლებათ თავიანთი იმამები, რომელნიც ასწავლიან მუსლიმანის სჯულზე წერაკიტხვას. მოლებს, მუფტებს და იმამებს იმედი უნდა ჰქონდეთ, რომ რუსეთის მთავრობა შეეწევა მათ და თავის მოწყალებას არ მოაკლებს, როგორც არ აკლებს სხვა სარწმუნოების სასულიერო წოდებას.**

ფაქტობრივად რუსეთის ცივშუბლა ჩინოვნიკის ეს განცხადება (ისევე, როგორც ცარისტული რეჟიმის ამსახველი არაერთი დოკუმენტი!) შეიქმნა აჭარელთა მუსლიმანური და ქრისტიანული ოჯახების ურთიერთდასაპირისპირებლად.

მემედ აბაშიძე დიდი ილიას თანამებრძოლი იყო, რომელმაც გულის გამგმირავი საგოდებელი გამოაქვეყნა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის საზარელ მკვლელობასთან დაკვეთებით; „აკაკი წერეთლის შემდეგ მაშინ არავის წარმოუთქვამს ასეთი ღრმად მგრძნობიარე სიტყვა. მემედ აბაშიძემ გამოიყენა მანამდე უჩვეულო ხერხი – ილიას სამარიდან აალაპარაკა ჭეშმარიტი ღვიძლი შვილის დაკარგვით გულმოკლული სამშობლო“ (შარაძე 1998: 21):

*„მისთანა სულმნათ მოღვაწეებს განათლებულ ქვეყნებში სიცოცხლეშივე ძეგლს უდგამენ, ხელით ატარებენ და სულში ისმენ, თქვენ კი გულს უგმირავთ და ზედმეტ ჩირქსა სცხებთ! რისი იმედი გაქვთ? თუ დღეს ცხოვრების ჩარხი მრუდედ ტრიალებს, ნუ გგონიათ, რომ ეს ხანგრძლივი იყოს! ცხოვრება მალე ჩავარდება კალაპოტში, ის მალე დაიწყებს ჩვეულებრივად ტრიალსა და პირუთვნელად აღნუსხავს ყოველივე იმას, რაც თქვენ ჩაიდინეთ, მოიხვეჭეთ, დაიმსახურეთ!..*

*აწ თქვენთვის არამი იყოს ჩემი ამაგი, თქვენდამი ჩემი ზრუნვა, შრომა და ღვაწლი – ჩემი მშობლიური ტკბილი ძუძუ, რითაც გაიკვებენით! შიშვლები შეგმოსეთ, ობლები დაგაფაჟკაცეთ, ცოტად თუ ბევრად ცხოვრების საასპარეზო მოედანზედ გამოგიყვანეთ, იქნებ მომშველებოდით და ჩემს ძველ წყლოლებზე მალამოს დამიდებდით და მით ტანჯვა-მწუხარებას შემირმცირებდით და დამაიმედებდით-მეთქი, მაგრამ ამაოდ!.. თქვენისთანების შობასა, ქვა რომ მეშობა, იქნებ სამშობლოს სახეიროდ სადგომებზე, ანუ გზატკეცილებზედ მაინც მომხმარებოდა (ხაზი ჩვენია – ი. ი.), ხოლო ამგვარი შემარცხვენი, საზარელი და თავზარდამცემი, შემადრწუნებლი საეციელი არ მომხდარიყო?!*

*თქვენ მოჰკალით საუნჯე ჩემის ცხოვრებისა!.. თქვენ დამიხნელეთ სინათლე ჩემის არემარისა!.. თქვენ დაჰგმეთ ჩემი ვინაობა!.. თქვენ უარჰყავით ჩემი წარსული, რომელიც იწყება შორეული ისტორიის საზღვარს იქითა!.. თქვენ დამასახიჩრეთ!.. თქვენ დამამახინჯეთ!.. ამომთხარეთ შანთებით ორივე თვალები!.. ამომგლიჯეთ ენა, გულ-ღვიძლი ისე, როგორც უღმობელმა ჯალათმა!..*

*აწ ძალ აღარ მიძს! დასტკბით ჩემი სისხლითა, გაიხარეთ, სამშობლოს მტრებო!..” (ეურნალი „ნიშადური“ 1907, №7).*

ამ დიდებულ სიტყვებს ამბობდა კაცი, ვინც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვერაფრით მოახერხა უმაღლესი აკადემიური განათლების მიღება, იმდროინდელი მძიმე პოლიტიკური სიტუაციის გამო.

**„სიტყვა „საქართველოს“ განმარტება არ ესაჭიროება. როცა სიტყვა „ქართული“ ითქმის, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ამ სახელწოდების ენით მეტყველი ერი და მიწა-წყალი წარმოგვიდგება თვალწინ“ – ხშირად ამბობდა ხოლმე მგზნებარე პატრიოტული სულისკვეთებით გულანთებული დიდი პიროვნება. „ენა ეროვნებისა და სახელმწიფოებრიობის მთავარი ღერძია, ბურჯია მასზე ასაყრდნობი“ – აი, მემედ აბაშიძის ამოსავალი კრედო! (შარაძე 1998: 42).**

საგანგებოდ გვინდა შევნიშნოთ, რომ „თანამოაზრის“ სინონიმად მემედ აბაშიძემ შექმნა უბრწყინვალესი ლექსემა „თანამოდარდე“, რომელშიც თითქოს მისი თანამედროვე აჭარის კვენესა ისმის. ვერც იმას დავტოვებთ ყურადღების მიღმა, რომ „ენათმეცნიერების“ ნაცვლად მან მეტად ორიგინალური ტერმინი – „ენათმეტყველება“ შემოგვთავაზა.

უმშვენიერეს და საგნის არსის გადმომცემ, ანუ მოტივირებულ სიტყვათა მიმართ დამოკიდებულება განსაკუთრებული სიფაქიზით წარმოგვიდგინა სანაქებო პოეტმა თავის ერთ-ერთ ლექსში:

მზე გადიმხარა! ბათუმის ცაზე  
ვარსკვლავებმა  
თავის ქება იწყეს ციმციმით...  
როს კვლავ იმხარა,

„ვერ შევედრებითო“, –  
ვარსკვლავები ჩაქრნენ სირცხვილით...

თურქულ-არაბულ-სპარსული ენების შესანიშნავი მცოდნე ხმალამოდებული იდგა ქართული მუზის წმინდა ტაძართან და მშობლიურ ენას უცხო სიტყვათა სარეველას ამორებდა, რადგანაც ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი დიდი პოეტის გრიგოლ ორბელიანის შეგონება, რომელიც, რამდენჯერაც უნდა გავიმეოროთ, არასდროს „გაცვდება“:

**„რა ენა წარბდეს, ერიც დაეცეს!“**

„ჩვენ თუმცა სარწმუნოებით მაჰმადიანები ვართ, მაგრამ ეროვნებით ქართველები ვართ, ქართული სისხლი გვიდღულს, სულითა და გულით ქართველები ვართ და ამიტომ ჩვენში ვერასდროს ვერ მოიკიდებს ფეხს იმგვარი ქადაგება, რომელსაც მიზნად ექნება ჩვენს ძმებს – ქრისტიან ქართველებს გადაგვიდოს და ჩვენსა და მათ შორის მტრობა გააჩალოს“ (კომახიძე 1993: 95).

მემედ აბაშიძე სწავლობდა ილია ჭავჭავაძის ინიციატივით დაარსებულ ბათუმის სკოლაში, რომლის გახსნის პროცესს 1881 წლის 23 მარტს თავადაც დაესწრო დიდი ილია და ქართული სასწავლებლის ყველა პირველ მოსწავლეს შუბლოზე ეამბორა.

**„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ დაარსებისთანავე მიზნად დაისახა მშობელი ერის კონსოლიდაცია და ამიტომაც გადააფარა თავისი მზრუნველი კალთა აჭარას.**

**„აჭარელთა ცხოვრებაში დიდი ისტორიულ-ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა იყო ბათუმის პირველი ქართული სკოლის საზეიმო გახსნა. საუკუნეებით ჩამოწოლილი სიბნე-**



ლისა და სიდუხჭირის შემდეგ აჭარელთა შვილები პირველად აქ ეზიარნენ ქართულ ანბანს, დიდი იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენას“. პირველად აქ აინთო განათლების ჩირაღდანი, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ამ მხარეში ქართული სკოლების გახსნის საქმეს. ბათუმში რამდენიმე რუსული, სომხური, ბერძნული, თურქული სასწავლებელი, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, ექვსკლასიანი საქალაქო და მარინეს ქალთა სასწავლებლები მოქმედებდა, რომლებიც რუსეთის იმპერიის განათლების სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდა, მაგრამ მნიშვნელოვან წილად ქალაქის ბიუჯეტიდანაც ფინანსდებოდა. რუსულენოვანი სასწავლებლები მოქმედებდნენ, აგრეთვე, ქობულეთში, ქედაში, ხულოში, თუმცა სწავლა კი არა, სკოლებში ქართულ ენაზე საუბარიც კი იკრძალებოდა“ (დუმბაძე 2014: 521-522).

„მემედ აბაშიძეს სწამდა, რომ განათლების სისტემა მაშინ იქნებოდა სათანადო სიმაღლეზე აყვანილი, მაშინ მივიდოდა იგი ახლოს ხალხის ცხოვრებასთან, თუ, პირველ რიგში, სწავლება და სკოლა ჭეშმარიტ ეროვნულ ნიადაგს დაეფუძნებოდა“ (გუგუნავა 1997: 23).

ქართველი ერისკაცების – „წერა-კითხვის გამავრცელებელ“ და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებათა წევრების გულმოდგინე მოწადინების გარდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აჭარის პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციამაც (რეჟებ ნიჟარაძე, გულო კაიკაციშვილი, ჰაიდარ აბაშიძე, შერიფ და თემურ ხიმშიაშვილები, ლომან ქარცივაძე, ნური ბერიძე...). მათი მთავარი მიზანი იყო, აღესრულებინათ ადგილობრივ ქართველთა დიდი ხნის ოცნება – შვილებს ესწავლათ მშობლიურ ენაზე იმ სკოლებში, „სადაც მოწაფეები არ ნახავენ არც ბოქაულს, არც მოდავე პირებს და არც წესრიგის დამცველს (?!) „ჩაფრებსა“ და ჯარისკაცებს“ (დუმბაძე 2014: 530).

აი, როგორ იგონებს თავის სასკოლო წლებს მემედ აბაშიძე: რუსეთთან შეერთების შემდეგ ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა 50 პროცენტი გადასახლდა თურქეთში, მათ შორის ბევრი ბეგიც... როდესაც ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა, მასში სასწავლებლად შევედით 40 ქართველი მუსლიმანი ბავშვი. სკოლაში ჩვენ გვეუბნებოდნენ:

– თუ თქვენ ვინმე შეგკითხებათ, ვინა ხარ შენო, უნდა უპასუხო: „მე ეროვნებით თურქი ვარ!“

ამ კითხვაზე ქართველ ქრისტიანს უნდა ეპასუხა:

„მე ეროვნებით ქართველი ვარ!“

კითხვამ მაშინვე საგონებელში ჩამაგდო: „ჩემი მშობლიური ენა ქართულია, გვარიც ქართული მაქვს, ზნე-ჩვეულებები ქართული, ეროვნება კი – თურქი...“

როდესაც შემოვიდა კლასში ჩვენი მასწავლებელი მოსე ნათაძე, ძალიან მინდოდა, რომ მას დაესვა ჩვეულებრივი კითხვა – „ვინა ხარ შენ“?

თვალები მივაშტერე მასწავლებელს, მინდოდა ეს კითხვა ჩემთვის დაესვა და ხელი ავწიე; მასწავლებელმა შემომხედა და დამისვა კითხვა:

– ვინა ხარ შენ?

– მე ეროვნებით ქართველი ვარ!

მასწავლებელმა გაიცინა და მიბრძანა, დაჯექო. შვებით ამოვისუნქე, მაგრამ მუსლიმანმა ამხანაგებმა ზიზლით შემომხედეს. ამ პასუხით მე მათზე ისეთი შთაბეჭდილება მოვახდინე, თითქოს მუსლიმანობას ვულაღატე და მივიღე ქრისტიანობა, ვინაიდან სიტყვა ქართველი, მათი გაგებით, ქრისტიანობის სინონიმია...

ყველა ჩვენი უბედურება იმაშია, რომ რუსეთის მეფის ჩინოვნიკებმა, ხელი რომ შეეშალათ ქართველთა გაერთიანებისათვის, მუსლიმანური საქართველოს მცხოვრებლები თურქებად მონათლეს (კომახიძე 1993: 160-61).

„როცა ისტორია დაიწერება ჩვენისა და მაჰმადიან ქართველების დამოკიდებულებისა ამ ხნის განმავლობაში, მეისტორიემ არ უნდა დაივიწყოს ის უანგარო ღვაწლი და ამაგი, რა ღვაწლი და ამაგიც დაგვდო მაშინ პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებელმა მოსე ნათაძემ.<sup>10</sup> პირველადვე ისეთი წინდახედული, საქმის მოყვარული, შეგნებული კაცი რომ არ ჩადგომოდა სათავეში ამ დიდსა და წმინდა საქმეს, ვინ იცის, როგორ დაგვეფრთხო მაჰმადიანი ქართველები და ჩვენც სხვებივით მტრებად და მოღალატეებად დავესახეთ“ (სახოკია 1950: 187).

**„ნურავინ ფიქრობს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა!.. საღი გონება და ჩვენი ხალხის ისტორიული წარსული ყოველთვის მიკარნახებდა, რომ სამუსლიმანო საქართველო დარჩენილიყო თავის დედასთან – საქრისტიანო საქართველოსთან“** (აბაშიძე 1998: 11) – ხშირად გახაზავდა ხოლმე ამ დებულებებს მემედ აბაშიძე. „პუბლიცისტურმა სტატიებმა, მის უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად, ფასდაუდებელი როლი შეასრულა სამუსლიმანო საქართველოს ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება-განმტკიცების, ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა გამთლიანების დიდ მამულიშვილურ საქმეში“ (შიოშვილი 1995: 8).

გაზეთ „სახალხო ფურცელში“ (1916 წ., 3 დეკემბერი, №738) მემედ აბაშიძე აღნიშნავდა: „საჯავახოში სკოლა აკურთხეს, სადაც საპატიო ადგილი დაუთმეს ჯვრის გვერდზე ყურანს.

---

<sup>10</sup> რატომღაც მოსე ნათაძის პრიმარობა ეჭვის ქვეშაა დაყენებული სპეციალურ ლიტერატურაში; „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ ბათუმში დაარსებული სკოლის პირველი მასწავლებელი იყო ალექსანდრე ნანეიშვილი, რომელიც მოგვიანებით მოსე ნათაძემ შეცვალა – ბრძანებს ბატონი რამაზ სურმანიძე (2004: 69). კი, მაგრამ მემედ აბაშიძე ხომ ამავე სკოლის პირველი მასწავლებელი იყო? წარმოუდგენელია, რომ მას თავისი პირველი მასწავლებლის სახელი და გვარი შეულოდა! ან შესაძლოა მემედი ოდნავ გვიან შევიდა ამ სკოლაში, რადგანაც ალექსანდრე ნანეიშვილის შედგენილ სიაში მისი გვარი არ დასტურდება (სურმანიძე 2003).

ასეთმა საქციელმა ქართველ ქრისტიანებსა და ქართველ მაჰმადიანებში დიდი ნდობა და უსაზღვრო სიხარული გამოიწვია“.

ბათუმში ქართული სკოლის დაარსებაზე უკეთეს საქმეს იმ დროისათვის, მართლაც, რომ ვერ მოიფიქრებდნენ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და მისი თავმჯდომარე, **დიდი ილია ჭავჭავაძე**, ურომლისოდაც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ და გავიაზროთ ქართული ეროვნული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის არათუ საწყისი პერიოდი, გუშინწინდელი, გუშინდელი და დღევანდელი დღე, არამედ მისი ხვალისდელი მომავალიც; მან თავის დროზე ბარაქიანი კალთა გადააფარა აჭარის განათლების სისტემასაც, მაგრამ, სამწუხაროდ, სკოლა ხელმისაწვდომი აღმოჩნდა მხოლოდ ქვემო აჭარის თავადიშვილთათვის, ზემო აჭარის რეგიონი კი, ტერიტორიული სიშორის გამო, ვერაფრით ჩაება ამ მეტად მამულიშვილურ საქმიანობაში.

თედო სახოკიას ქედიდან ბათუმში მიმავალ გზაზე დაემგზავრა 20 წლის ახალგაზრდა ბეგი აბაშიძე, რომლის საუბარი ქართველი კაცის დაკოდილ გულს საღბუნად დაედო. „მეტად კოხტა, სირმიან აჭარულ ტანისამოსში გამოწყობილი ყმაწვილი ქართულს წმინდად ლაპარაკობდა, თურქულ სიტყვებს არც კი ურევდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლაში უსწავლია ბათუმში, განსვენებული **მოსე ნათაძის** ხელში. სასოებით იხსენიებდა თავის დაუვიწყარი მასწავლებლის სახელს, მის გულკეთილობას და შეგირდების სიყვარულს. **რაც ვიცი, სულ ჩვენმა მოსემ მასწავლა; უფრო მეტი მეგოდინებოდა, მაგრამ მხოლოდ ორ წელიწადს დავრჩი ამ სკოლაშიო** – ნაღლიანად დასძინა ახალგაზრდამ“ (სახოკია 1950: 244), რომელმაც აჭარის სტუმრებს ბათუმის ქართულ სკოლაში ნასწავლი „სამშობლო ხევსურისა“ უმღერა... თურმე მას

*"Madrasa should be exist at mosques. Imams should teach Muslim reading and writing to children, as it was at Ottoman times. Our government will support the Madrasa... Russian government will also open schools but nobody would study there by virtue (italics mine – I. Ch.). If any Muslim wishes to take a child in this school, he should address the government and it will allow a child to be enrolled. Muslim children will have their Imams at these schools. They will teach them Muslim reading and writing. Mullahs, Muftis and Imams should hope that like the representatives of other religions the Russian government will take them under its wings and support them"*.

Actually, (like other many documents reflecting a Tsarist regime!) this statement of Russian cold-blooded official has been created to make confrontation between Ajarian Muslim and Christian families.

Memed Abashidze was a fellow-warrior of Great Ilia. He published a painful grieving article on the terrible murder of a leader of national-liberation movement of Georgia Ilia. *"After Akaki Tsereteli nobody has made such a sorrowful speech. Memed Abashidze has used an unusual method – from Ilis'a grave he made a grief-stricken homeland speak"* (Sharadze 1998: 21):

*"In many countries such blessed public figures like he was, are idolized in their lifetime. But you hurt his heart and smear him. What do you hope? If fate's wheel is reserving badly, don't believe*



that it'll last long! Life will take its shape soon, it'll began usual rotation and will list everything what you have done, earned and deserve!..

*Let my good deeds, my care for you, contributions – my sweet breast which fed you bring you no luck! When you were nude – I dressed you, I made men from you when you were orphans, I brought you on a life arena as far as I could, hoping to help me and cure my wounds. But in vein! Maybe it would have been better to give birth to a stone to help me on a road than to give birth to people like you are!* (italics mine – I. Ch.). *If only such disgraceful, horrible and terrible act would haven't happened?!*

*You killed the treasure of my life!... You darkened the light of my area around!... You condemned my name!... You denied my past which begins beyond the borders of distance history!... You mutilated me!... You disfigured me!... You dug out my both eyes with branding irons, uprooted my tongue, heart and liver like a pitiless executioner!...*

*Now I have no power any longer!... Take pleasure in my blood, be glad you – enemies of my homeland!...* (Journ. "Nishadur", N7, 1907) – these brilliant words have been said by a man who after having finished a secondary school couldn't acquire high academic education due to hard political situation.

*"A word 'Georgian' doesn't need to be explained. When a word 'Georgian' is said, first of all we see a picture of the nation speaking this language and its homeland"* – a great patriot often said. *"Language is a basic axes, bastion on which nationality and statehood supports"* – *this is Memed Abashidze's basic credo*" (Sharadze 1998: 42).

I especially would like to emphasize that Memed Abashidze created a brilliant synonym for 'like-minded' – it is 'like-sorrowed' which reflects moaning over contemporary Ajaria. It should be also

noted that instead of 'science of languages' (linguistics) he offered very uncommon term 'language of expression'.

In one verse a poet reflected his attitude towards the wonderful words expressing essence, i.e. motivated words:

The sun declined!  
On the Batumi's sky  
The stars were praising themselves, twinkling...  
"We cannot compare with it"  
**And stars went down with shame..."**.

Excellent expert of Turkish-Arabic-Persian languages was always ready to protect Georgian, he 'uprooted the weeds' of foreign language from Georgian. Grigol Orbeliani's words "*When a language spoils, the nation falls down*" have been deep-rooted in his soul. "*Though we are Muslims, our nationality is Georgia, Georgian blood rushes in our veins, we are Georgian with our heart and flesh. And due to it the attempt which aims to turn us against our Christian Georgian brothers, will never be rooted among us*" (Komakhidze 1993: 95).

Memed Abashidze studied at the school founded by Ilia Chavchavadze in Batumi. Ilia attended the school opening meeting on March 23, 1881. Ilia kissed on the forehead all first students of the school.

***"The society for spreading of literacy among Georgians" aimed to consolidate the nation and supported Ajaria.***

***"A ceremonial opening of the first school in Batumi was the event of great historical and national importance in the life of Ajarians. After centuries-old darkness and hardship the children of Ajarians introduced with Georgian alphabet, great Jakob Gogebashvili's "Mother tongue" for the first time. For the first time here the torch of education had been kindled which laid a firm foundation for opening Georgian schools in the region. In Batumi there were several Russian, Armenian, Greek, Turkish schools,***

*Gymnasiums for men and women, six-class municipality and Marine's schools which were patronized by Russia's Ministry of Education, though they were also financed from city budget. Russian schools functioned in Kobuleti, Keda, Khulo, as well. But even Georgian speaking was forbidden at schools"* (Dumbadze 2014: 521-522).

*"Memed Abashidze believed that the education system would be on the proper height, it would come close to the people, if in the first place, teaching and a school are based on the true national ground"* (Gugunava 1997: 23).

Besides the enthusiasm of the members of the "Society for Spreading of Literacy among Georgian" and other charity societies a great contribution had been made by progressive Ajarian intelligentsia as well (Rejeb Nizharadze, Gulo Kaikatsishvili, Haidar Abashidze, Sherif and Temur Khimshiashvilis, Loman Kartsivadze, Nuri Beridze...). Their main goal was to fulfill a long-time dream of the local Georgians – to educate their children in native language at those schools *'where students won't see police superintendent, disputing parties, law enforcement, village constables and soldiers"* (Dumbadze 2014: 530).

Here's how Memed Abashidze recalls his school years:

*"After integration into Russia, 50% Georgian Muslims of Batumi region migrated Turkey. Among them there were many Beys. When in Batumi the first Georgian school had been opened, 40 Georgian Muslim children entered the school. At school we were said:*

*– If anyone asks you what is your nationality, you'd answer that you are Turkish."*

*A Christian should answer: "My nationality is Georgian".*

*This question vexed me: "My native language is Georgian, I have Georgian surname, my traditions are Georgian, and nationality – Turkish ...".*

*When our teacher Mose Natadze entered the class-room I wanted him to put me an ordinary question: Who are you? I stared at teacher. I wanted him to put me this question and I raised my hand. A teacher looked at me and asked:*

*-Who are you?*

*-I'm Georgian in nationality!*

*He laughed and said me to sit down. I breathed out with relieve. But Muslim class-mates looked at me with contempt. By this answer it seemed as if I betrayed Islam and converted Christianity, since the word Georgian is a synonym for Christianity...*

*The problem is that all Russian officials legalized that all Muslim Georgians were Turks to prevent the unification of Georgians.*"(Komakhidze 1993: 160-161).

*"When a history of relationship between us and Muslim Georgians is written, a chronicler shouldn't forget the deeds and contributions of the teacher of primary school Mose Natadze.<sup>16</sup> If not so thoughtful, amateur, educated, conscious leader nobody knows what relationship would have been with Muslim Georgians and we'd be enemies and traitors for them."* (Sakhokia 1950: 187).

*"Nobody should believe that religion and nationality is the same!... Right mind and the historical past of my nation always dictated me that Muslim Georgia should stay with its mother – with Christian Georgia"* (Abashidze 1998: 11) – M. Abashidze often underlined this statute.*" Along with his political activities, his*

---

<sup>16</sup> For some reasons Mose Natadze's being the first teacher is under suspicion in the specialist literature. The first teacher of the school founded in Batumi by the "Society for spreading of literacy among Georgians" was Alexander Naneishvili, who later was alternated by Mose Natadze – says R. Surmanidze (2004: 69). But Memed Abashidze was the first student of this school, wasn't he? It is incredible that he cannot remember the name and surname of his first teacher! Or it is possible that Memed entered the school later since his name hasn't been enrolled in a Naneishvili's list.

*publicistic articles have greatly contributed to the awakening and strengthening the national consciousness of Muslim Georgians as well as to the consolidating of Christian and Muslim Georgians*" (Shioshvili 1995: 8).

In the newspaper "*Sakhalkho purtseli*" (N738, December 3, 1916) M.Abashidze wrote: "*In Sajavakho a school was consecrated where the Quran was on the honorable place next to the cross. This caused great confidence and joy among Muslim and Christian Georgians.*"

"*Society for Spreading of Literacy among Georgians*" and its chairman **Great Ilia Chavchavadze** could do nothing better than opening a school in Batumi. Without Ilia Chavchavadze one cannot imagine and comprehend the primary period, past, present and future of a Georgian national school. He gave great patronage to Ajaria's education system. Unfortunately, only the noble children could go to school, but Upper Ajaria region couldn't enjoy it due to territorial distance.

On the way from Kedi to Batumi T. Sakhokia was accompanied by 20 year-old young man Bey Abashidze whose talking pleased him very much. "*A handsome young man dressed in Ajarian cloth was speaking pure Georgian. He didn't utter any single Turkish word. He studied at the Batumi school founded by the "Society for spreading of literacy among Georgians". His teacher was deceased Mose Natadze. He respectfully recalled his teacher's name, his kindles and love towards pupils. "Everything what I know Mose taught me. I'd have known more but I stayed at this school only for two years" –sorrowfully said a young man*" (Sakhokia 1950: 244) who sang to Ajaria's guests "*Khevsurian's homeland*" which he had studied at the Batumi Georgian school... He was sitting on a horse so beautifully as if he had been born on it. As it is noted in the specialist literature (Sharadze 1998: 14), it is supposed that this young man was Memed Abashidze.

It is well-known that not only teachers, but students were exceptional at the mentioned school. They always remembered Batumi Georgian school with great respect. Z. Chichinadze met some of them in Trabzon Military School of Turks where they continued studying and took with them Jakob Gogebashvili's *"Mother language"* and *"The door of nature"* (Chichinadze 2013: 98).

On 17<sup>th</sup> March, 1916, the newspaper *"Sakartvelo"* published Memed Abashidze's article *"Mother language and Muslim Georgia"*. Probably, a contemporary teacher cannot agree with its basic propositions. But some of them are noteworthy from methodical standpoint: *"We say that when a child begins reading in a mother language, there shouldn't be foreign words, since a child's young mind cannot absorb the names of these subjects and he/she losses all joy in reading. Of course, when a child meets familiar words, he/she turned delight – it is a child's nature."*

Speaking on the deeds of Memed Abashidze I'll finish with the memoir of famous son of outstanding writer David Kasradze – Kartlosi: *"There were legends on Memed-Bey in Batumi. When he visited us, I always hung him round a neck as he had always sweets in his pockets for children. He was considered to be the God among the Georgian writers and because of it his visiting was equal to one state"* (Memed Abashidze 1993: 143-144).

They say: **"See a school and thus find a country"**. If somewhere, on the territory of Tao-Klarjeti (e.g. in Imerkhevi!) there was a Georgian school in the 19<sup>th</sup> c. they would have been our citizens! Who knows?!

It isn't accidental that in 1911 Acad. N. Marr categorically expressed his standpoint on the importance of Tao-Klarjeti and "golden-wool ram" for the political, especially, cultural history of Georgia: *"This material would have been in the hands of researchers if government and national school were on other ground"*.

In those times in Kobuleti there was one Khoja (senior courtier) Kobaladze who met Z. Chichinadze and told him thus: ***“I know Arabic, but unfortunately, I don’t know Georgian reading and writing. I’ve been dreaming to learn it for a long time. I’ve the Gospel, Book of Psalms, Apostolic in Arabic. I wanted to read them in Georgian, but I found nobody to teach me Georgian alphabet.”*** (Chichinadze 2013: 54). Z.Chichinadze gave him a Georgian alphabet. But this wouldn’t change the situation. Khoja asked the ***“Society for the spreading of literacy among Georgians”*** to open a Georgian school and the costs would be paid by the local population. Afterwards he met General **Gr.Gurieli** whom he said: ***“In Kobuleti we’ve even a family church.” – “Khoja! Pray as you like, but don’t forget a mother language!”*** – answered a head of Batumi district, a real Georgian who had routed a Russian governor of Ajaria for calling Muslim Georgians as **“Tatars”** (Zosidze 2015: 211).

Z. Chichinadze hoped that the Kobuleti Georgian school would educate ***“honest, educated men with the help of who Georgian would be spread everywhere in a few years.”*** (Chichinadze 2013: 56).

In 1891-1909 in whole Ajaria there were only **36 schools**, mainly, private ones (Akhvlediani 1943: 240).

It should be emphasized that in 1915-1916, information and articles (sometimes critical ones) on the schools in Upper Ajaria (Khulo, Oladauri, Gorjomi, Riqeti, Tkhilvana, Skhalta, Pachkha, Upper Agara) were systematically published in the press. E. g. in 1916, in the newspaper ***“Ganatleba”*** N200, someone Mullah Effendi wrote:

***“The 1<sup>st</sup> September arrived. Today everywhere school yards are full of children. From everywhere one can hear their joyful noise. You are looking at them, their faces full of curiosity, listening their naïve questions and you forget all difficulties of the life and move to the dream land which belongs only to children’s pure heart. You feel happiness and hope for good future. This day is holiday for them who are real teachers.***

*But we see another picture at the schools of Upper Ajaria – yards are empty, school door is closed, Nobody can see neither a pupil, parent nor teachers. There are 7 schools in Upper Ajaria... and none of them opened the door on this day. A Georgian charity school should have been an example for others! It is essential that our school should be an exemplary. We write, speak, express sorrow, disturb enemy and well-wisher, but what we do?! Georgian school, spreading of Georgian literacy – this is a medicine for national-cultural integration of Georgian Muslims. All agree with it but yet only mere words! A goal should be fulfilled with love! Today, in this peaceful time, this contribution should be made by a national school.”*

It is pleasant that in the 19-20<sup>th</sup> cc. in the journals and magazines there were printed the articles not only on a teaching process and deeds of teachers, in rare but on student’s academic successes and living conditions since some students had to walk many kilometers to reach a school. Analogous materials were often published in the newspaper “*Sakartvelo*”, in which, unfortunately, sad facts were sometimes printed.

From this point, my attention was drawn by the 168<sup>th</sup> copy of the mentioned newspaper (p. 4), 1916, in which an outstanding public figure **Apolon Tsuladze** expressed woe of whole contemporary society on the narration of a teacher of the Khulo secondary school **Joseb Melikishvili’s** wife. Additionally, he objectively expressed his attitude towards the facts:

*“After destroying Ajaria, Soso and I returned Ajaria again. Our student **Agali Khozrevanidze** invited us at his home.*

*His family met us with customary hospitality. Agali’s mother was an intelligent woman. She asked me to tell my husband to open a school for women to teach them Georgian alphabet and sewing and promised that she’d house a woman teacher at her house.*

*A family’s lady was speaking only about women’s school and Agali’s education. She wished Agali to be a teacher at school. She wanted to take her other son at school since he was talented boy”...*



*"3-4 batches of school-leavers should have finished the Khulo school. But unfortunately it didn't happen since good teachers couldn't stay there for a long time and bad ones didn't care about the education of Ajarians. During the 14 years only one pupil finished the school"<sup>17</sup> – it was Ali-Sultan Mgeladze who practiced in beekeeping... Additionally, Ali-Sultan could write 'arzuali' ('written complaint/petition' – I. Ch.) for neighbors and protect them from injustice of officials. He always compete with everyone who wanted to rob Upper Ajarians. "Beches" and "Pukhars" considered Ali-Sultan to be their guardian and loved and honored him. Officials had it in for him and were preparing against him. But they didn't need either compliant or hired killer: people's friend, well-wisher died from infectious disease.<sup>18</sup> Everyone felt sorrow for his death.*

*Ali-Sultan died but at school there remained Agali Khozrevanidze. And we hoped for this young man, expected from him that he would be the second Ali-Sultan. But unfortunately, he became a victim of the same illness. Khoja of the Khulo school Khafiz Effendi Mekheshidze sent a letter to favorite teacher of Ajarians Soso Melikishvili: "Great trouble has come on us. 15 days after exams Agali died".*

*A teacher and his wife cried and so did I...Now before my eyes I can see a handsome, humble, modest, polite black-eyed 19-20 year-old young man, who had great eager to acquire education...*

*We have no longer Agali but we shouldn't woe – we should console his mother and Ajaria that we'll educate his young brother...*

*Until we remember Ajaria, we shouldn't forget you, my young friend, my Agali!"...*

*It is really too difficult to read Apolon Tsuladze's this article calmly!*

---

<sup>17</sup> Probably, it was the result of the fact that in the Khulo school teaching was carried out in non-native (Russian) language.

<sup>18</sup> Alisultan Geladze was a husband of Nuri Beridze's daughter.

## ჰაჯი ლომან ეფენდი ქარცივაძე და ყადი ნური ეფენდი ბერიძე



საქართველო რომ უდიდესი და უბველესი კულტურის ქვეყანაა, ეს ანბანური ჭეშმარიტება უკვე კარგა ხანია მთელი მსოფლიოს ინტელექტუალური საზოგადოებისთვისაა ცნობილი. ჩვენში ყოველთვის საოცარ პატივს სცემდნენ იმ ღირსეულ პიროვნებებს, რომლებმაც დღემდე მოიყვანეს „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტოვანი საქართველო“. მუდამ ტოლერანტები,

ანუ ყველა რელიგიის მიმდევართა შემწყნარებლები ვიყავით, მაგრამ საბჭოთა პერიოდში მაინც ძალიან რთულდებოდა შესაბამისი პატივის მიგება წინაპართათვის. მათ შორის აღმოჩნდა „გურჯი ჰაჯის“ სახელით ცნობილი და „დიდ პროფესორად“ წოდებული ლომან ეფენდი ქარცივაძეც, პირველი საპატიო პროფესორი მარეთის ხეობაში, თურქეთის სასულთნო ტახტის მემკვიდრეთა აღმზრდელი, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი საზოგადო და სასულიერო მოღვაწე, მრავალმხრივი მეცნიერი, ღვთისნიერი კაცი, რომელსაც დაბადებიდან 200 წელი შეუსრულდა. მის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით, ხოლო, რაც არსებობს, ისიც ფრაგმენტული სახითაა შემორჩენილი ქართულ, ოსმალურ, არაბულსა თუ რუსულ გამოცემებში ან დაცულია შესაბამის საარქივო მასალებში. დღეს ძალზე აქტუალურია ლომან ეფენდის მსგავს პიროვნე-

ბათა ღვაწლზე მსჯელობა, რადგანაც სწორედ ასეთი ადამიანები იბრძოდნენ ჩვენი დედისამშობლოს უკეთესი მომავლისათვის; რომ „გურჯი ჰაჯი“ და მისი თანამოაზრეები არა, საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს და უმდიდრეს კუთხეში – აჭარაში ქართველი ვეღარსად გაიჭაჭანებდა და იქაურობა, ვინ იცის, რომელი ეროვნების ხალხით აღარ იქნებოდა დასახლებული!

ჩვენ შევეცდებით ფუნდამენტურად და აკადემიურად შევისწავლოთ ლომან ეფენდის ცხოვრების გზა, რისთვისაც გამოვიყენებთ კულტუროლოგიური კვლევის ახალ მეთოდებს და საარქივო მასალების დამუშავების თანამედროვე ხერხებსა თუ ტექნოლოგიურ საშუალებებს.

და მაინც, ვინ იყო ლომან ქარცივაძე? – ის მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის ზემო აჭარაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პირად ითვლებოდა (მაკარაძე 2003: 98). ჩვენ ვაპირებთ, რაც შეიძლება სრულყოფილად წარმოვადგინოთ მისი ღვაწლი, რადგანაც, როცა აჭარის ტელევიზიით „დილის ტალღაში“ მსჯელობდნენ ლომან ეფენდის შესახებ, გადაცემის<sup>19</sup> წამყვანმა სრულიად მოულოდნელად წამოიძახა: ჩემდა სამარცხვინოდ, მე დღემდე არაფერი ვიცოდი მასზე – თურმე რა „დიდი კაცი“ გვყოლია ქართველებსო. აი, სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ სამეცნიერო პროექტის შექმნა, რათა არა მხოლოდ ჩვენს ახალგაზრდობას, არამედ საშუალო და უფროს თაობასაც არ გამოელოოს ღირსეულ წინაპართა საქმიანობის მისაბამი მაგალითები – ეს განსაკუთრებით გვჭირდება დღეს, პოლიტიკურად და სოციალურად უაღრესად რთულ ეპოქაში,

---

<sup>19</sup> მოკლემეტრაჟიანი ფილმი მომზადდა ჩვენი თხოვნის საფუძველზე ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ როინ მალაყმაძისა და პროფესორ შუშანა ფუტკარაძის ინიციატივით.

როცა ჩვენს „ერთი ციციქნა“, მაგრამ ულამაზეს ქვეყანას მთელი მსოფლიო შემოჰყურებს მუშტრის თვალით.

ლომან ქარცივაძე დაიბადა 1812 წელს ზემო აჭარის სოფელ ოლადაურში, ადგილობრივი მამასახლისის (მუხთორის) ალი მეკმედის ძე ქარცივაძის ოჯახში. რადგან მაშინ აჭარა მოშორებული იყო დედასაქართველოს კალთას, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს, აქაური ახალგაზრდობა უმაღლესი განათლების მისაღებად მიდიოდა: კაიროს, ბაღდადის, დამასკოს, ანკარის, სტამბოლის ცნობილ უნივერსიტეტებში.


ქარცივაძეთა ოჯახი მარეთის ხევეში გამორჩეული იყო განათლებისადმი ლტოლვით, ეკონომიკური შესაძლებლობით. ამიტომაც, მშობლების დახმარებით, ლომანი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა ცენტრალური ანატოლიის უძველეს ქალაქში – **კაისერში**. 1834 წლის აღწერის მასალების თანახმად, რომლებიც ოსმალეთის გენერალურ არქივშია დაცული, მაშინ ამ ქალაქში სოფელ ოლადაურიდან სწავლობდა მხოლოდ ორი ახალგაზრდა – ლომანი და ახმედი. ლომანი იმ დროისათვის უკვე მოლის წოდებას ატარებდა (molla არაბული სიტყვაა და ქართულად განათლებულს, მუსლიმანური სამართლის დოქტორს ან სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეს ნიშნავს).

თავისი განსაკუთრებული ნიჭის, საოცარი შრომისმოყვარეობის, უცხო ენათა შესწავლისადმი სწრაფვისა და ანალიტიკური ცოდნის მოპოვების წყალობით მან მეცნიერების არაერთ დარგში გამოიჩინა თავი: პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა სტამბოლის როგორც საერო, ისე სასულიერო თუ სამხედრო სასწავლებლებში, იყო სულთან აბდულ მეჯიდის მრჩეველი და სტამბოლის უნივერსიტეტის ფათიჰის ცნობილი მედრესეს „დიდი პროფესორი“.

ჰაჯი ლომან ეფენდი სასახლის კარზე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა, **შეიხ-ულ-ისლამის** უმაღლესი ტიტულის (მხოლოდ თითო-ოროლა ქართველს რომ ხვდა წილად!) მქონეს ყველა ანაგარიშს უწევდა; მას არაერთხელ **ჰქონდა მოლოცვილი მექა და მედინა.**

ლომან ეფენდი ქარცივაძისთვის ყველაზე ძვირფასი მაინც სამშობლო იყო, ამიტომაც მან ხანდაზმულ ასაკში მიატოვა ფუფუნებითი ცხოვრება და თავის მშობლიურ ოლადაურს დაუბრუნდა, რომელსაც არაერთი სიკეთე გაუკეთა – **მეზობლები გათურქებას გადაარჩინა (არ გაუშვა მუჰაჯირებად!) და სამშობლოში განათლების კერა გაუხსნა.** ქართველებსაც ძალიან ეძვირვასებოდათ თავიანთი საპატიო პროფესორი.

გულის მომკვლელია დიდი ქართველის – პეტრე უმიკაშვილის ერთ-ერთი გამოუქვეყნებელი სტატია, რომელიც საგანგებოდ შეისწავლა უნიჭიერესმა ეთნოლოგმა, სამწუხაროდ, ჩვენგან ძალზე ადრე წასულმა ვლადიმერ მგელაძემ: „ქრისტიანული საქართველო მუსლიმან ქართველთა ბედით სერიოზულად იყო შეშფოთებული. თუკი აჭარის მოსახელობა უთანასწორო ბრძოლებში პირწმინდად გაწყდებოდა ან დედაწულიანად ოსმალეთში გაიხიზნებოდა, საკითხავია „რადას ვიქნევინებდით დაცლილ-გავერანებულს ადგილსა, რაღად გვინდოდა მკვიდრთა მიტოვებული მხარე, თუკი მამა-პაპის სისხლით დაცულ-გაყდენთილ ადგილს შვილების მიერ დაგდებულს ვნახავდით?!“ (მგელაძე 2014: 136).



ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ლომან ქარცივაძის ბიბლიოთეკის ერთ-ერთი წიგნი (№147), რომელსაც გურჯი ჰაჯის კალიგრაფიით არაბულად აწერია: „ნუმან ეფენდი ახალციხელი“ (მაშინ ხომ აჭარა ახალციხის მაზრაში შედიოდა!).

One of books (N147) from Loman Kartsivadze's library kept at the Batumi Local Museum. The book has an inscription in Arabic written by Gurji Haji: "*Nurman Effendi from Akhaltsikhe*" (at that time Ajaria was a district of Akhaltsikhe!).

ლომან ქარცივადის ბიბლიოთეკის წიგნებს, რომელთა მხოლოდ ნაწილია დღეს დაცული ბათუმის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ძალიან ხშირად ახლავს შენიშვნები, მიწერილი გვერდების ოთხივე მხარეს (ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ, მარცხნივ). მათი უმრავლესობა, რამაზ კაკალაძის აზრით, ლომან ეფენდის კალიგრაფიით უნდა იყოს შესრულებული. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ „დიდი პროფესორის“ ფონდში ინახება არაბეთში სახელგანთქმული მეცნიერის ალი იბნ მუჰამად ალ-ჯურჯანის 1644 (ჰიჯრით 1054) წლის გრამატიკა, თელხისის სახელობის წიგნი („ენა და ლიტერატურა“), სხვადასხვა სიტყვარი (ლექსიკონი)... გაოცებულმა რამაზმა ისიც კი გვითხრა, რომ ლომან ქარცივადის ბიბლიოთეკაში ზოგი ისეთი სახელმძღვანელოც შემხვდა, რომელსაც დღესაც ვიყენებთ თურქულ-არაბულ სკოლებშიო.

როგორც ცნობილია, არაბული დამწერლობის არაერთი სახე (ქუფი, ტალაკი, სულო, ჯელი, ნესიჰი, რიკკა) არსებობს. ლომან ეფენდი, ძირითადად, „რიკკას“ იყენებდა და, ამასთანავე, სახელმძღვანელოთა აშეიბზე გაკეთებულ კომენტარებში მოსწავლეებს ავალეებდა, ჩაეხედათ არაბული დამწერლობის სხვა ტიპით გამოცემულ პუბლიკაციებშიც რომელიმე კონკრეტულ ლინგვისტურ საკითხთან დაკავშირებით – მაშასადამე, მასწავლებელი ბავშვებს სკოლიდანვე აჩვენებდა მეცნიერული მსჯელობის უნარს, სხვადასხვა თეორიების მქონე ავტორთა შეხედულებების ურთიერთშედარების გზით გარკვეული (დამოუკიდებელი) დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას.

ლომან-ეფენდი ქარცივადის ნათელი ხსოვნა განსაკუთრებით კარგად ჰქონდათ შემონახული ოლადაურიდან და ჯუმუშაურიდან მუჰაჯირად ადრე წასული მოსახლეობის შთამომავლებს.

აი, რას წერს ბურსაში მცხოვრები, წარმოშობით ლომანაურელი (შუახევის რაიონი) ნური ეფენდი თავდგირიძე 1906 წელს:<sup>20</sup>

„ჩემი აჭარის ლამაზ მთა-გორებს  
ღმერთიდამ მოსულ ცოდნას აფენდი,  
ოსმალეთიდამ ამიტომ მოხველ,  
ჩვენო სწავლულო, ლომან ეფენდი.  
მუჰაჯირობამ ყველას გვიმტყუნა,  
გულის კაკალი მწარედ ამოწვა...  
წყაროს წყალივით წინ წამოგვიყვანს,  
ლომან ეფენდი, შენი დალოცვა!“

(კრებული „გამონათლვეი“ 2014: 574-575)

1989 წელს, ლომან ეფენდის გარდაცვალების 100 წლის-თავზე, პროფესორი შუშანა ფუტკარაძე შეხვდა ასევე ას წელს მიტანებულ თავის დიდ ბებიას, მუნთაჰა ნენეს, რომელიც 1903 წელს მშობლებმა მუჰაჯირად წაიყვანეს ოსმალეთში. მას ხშირად ეჭირა ხელში ბროწეულის ყვავილისფერი კრიალოსანი და მარცვლავდა:

„ჩემი აჭარის, ჩემი ოლადაურისა და ჯუმუშაურის კარგად ყოფნას ვეხვეწები გამჩენელ ღმერთს და ჩვენს დიდ ხოჯასთან, ლომან ეფენდისთან, ახლოს ყოფნასაც ვთხოვ. ვიცი, იგი სამოთხეში იქნება, წმინდანი იყო თავისი ცხოვრებით. მეც მასთან ახლოს ყოფნა მინდა. ეს თესვა (კრიალოსანი) დიდი იადგარია (სამახსოვრო ნივთია) ჩემთვის. ჩემი დისთვის უჩუ-

---

<sup>20</sup> ნური ეფენდი თავდგირიძე პროფესორ შუშანა ფუტკარაძის დიდი ბაბუა იყო, რომელიც, მუჰაჯირობის პერიოდში, თურქეთიდან არალეგალურად უგზავნიდა თავის ხელნაწერებს სოფელ ლომანაურში ქალბატონი შუშანას დიდებას. მისი გარდაცვალების შემდეგ გაიხსნა დიდი სკივრი, რომელშიც, საიდუმლოდ შენახული ერთ-ერთი ხელნაწერის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ ამ ლექსის ავტორი კარგად იცნობდა ლომან ქარცივაძეს.




ქებია დიდ ლომან ეფენდის. ჩემი და ოლადაურის გაღმა, პაპოშვილებში, იყო გათხოვილი. მუჰაჯირად რომ მოვდიოდით, ის მელოგინე იყო – ლოგინში იწვა. მე და დედაჩემმა წასლიხან ვნახეთ, გამოვემშვიდობეთ. მან სახსოვრად ეს თესპა გადმომცა და დამაბარა: ღმერთს უკან დაბრუნება ეხვეწო. ჩვენ უკან დაბრუნება აღარ მოგვესწრო. რომ მოვკვდები, ჩემი სული გადმოფრინდება და ჩემს აჭარას ნახავს, ჩემს ეზო-კარს მოიარს და დიდი ლომან ეფენდის საფლავს დილის ნამივით დაასველებს ჩემი ცრემლები“ – უთხრა მან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

სხვაც რომ არაფერი გვცოდნოდა, მარტო ამ ასი წლის ქალბატონის ქრუანტელის მომგვრელი სიტყვები ღირს იმად, რომ თანამედროვე ქართველოლოგებმა, თურქოლოგებმა და სემიტოლოგებმა ღირსეული ყურადღება მივაქციოთ აჭარის პირველ პროფესორს. ამას ლომან ეფენდი უდავოდ იმსახურებს.

ლეგენდად ქცეული ბევრი მოგონებაა გაცოცხლებული მუჰაჯირი ქართველების ზეპირსიტყვიერებაში. რამდენიმე თქმულება ეხება ლომან ეფენდი ქარცივამის სასწაულთმოქმედებასაც. ამბობენ – მისი ვედრება ღმერთთან აღწევდა ხშირად და განსაცდელს აშორებდა ადამიანებსო: „ერთხელ თურმე ბათუმიდან სტამბოლში მიმავალ გემს მუჰაჯირი ქართველები გადაჰყავდა, მათ შორის ლომან ეფენდიც ყოფილა. შუა ზღვაში რომ შესულან, ამინდი შეცვლილა; ამოვარდნილა საშინელი ქარიშხალი და გემს ჩამირვით დამუქრებია. მგზავრები თურმე ევედრებოდნენ უმაღლეს სასულიერო პირს, ელოცა და შემწეობა ეთხოვა ღვთისაგან. მართლაც, გემბანზე დამდგარა თეთწვერა მოხუცი და ცრემლნარევი ხმით ხალხის გადარჩენა უთხოვია უფლისათვის. ლოცვის შემდეგ ქარიშხალი ჩამდგარა, ზღვაც დაწყნარებულა და მგზავრები მშვიდობიანად ჩასულან დანიშნულ ადგილას“. ამ ლეგენდად ქცეულ სინამ-

დვილეს გადმოგვცემს მთქმელი ასიე ბაიკოზიშვილი-ოლადა-ურიდან თურქეთში მუჰაჯირად წასული ქალბატონი.<sup>21</sup>

დიახ, XIX საუკუნეში აჭარის მოსახლეობა ლამის შეეწირა ორი დიდი იმპერიის მზაკვრულ ამბიციებს, თუმცა, ისლამურ გარემოცვაში ცხოვრების მიუხედავად, აჭარლებმა ბოლომდე დაიცვეს ქართული ყოფისა და კულტურის ზოგადი ტრადიციები: ძირძველ ადათ-წესებს, მშობლიურ ენას, ე. წ. „დედაბრულ დამწერლობას“ დააკისრეს ეთნიკური ფუნქცია და დაუპირისპირდნენ ისლამის მსოფლმხედველობაზე დაფუძნებულ ოსმალური ცხოვრების წესს, რაც იყო და არის ეროვნული თვითდამკვიდრების უმთავრესი წინაპირობა (ბახუტაიშვილი 2011, II: 278).



<sup>21</sup> დეტალურად ლომან ეგენდი ქარცივამის ღვაწლის შესახებ სტამბოლშიც და საქართველოშიც იხ. შუშანა ფუტყარამისა და რამაზ სურმანიძის სტატიები, რომლებიც მიეძღვნა დიდი ჰაჯის დაბადებიდან მე-200 წლისთავს.

სტამბოლში ლომან ეფენდის მოღვაწეობის დროს ვერავინ გაბედავდა მუსლიმანი ქართველების დაჩაგვრას, თუმცა, სამწუხაროდ, თავად ძალიან დაიჩაგრა ჩვენს სინამდვილეში. ჯერ ერთი, მისი მხოლოდ ერთადერთი (თუმცა არაჩვეულებრივი) სურათი შემოგვრჩა დღემდე და, მეორეც, ვიღა დაიჩივლებს ინფორმაციის ნაკლებობაზე მისი ღვაწლის შესახებ, როცა ახლახან სტამბოლში ქართულ ენაზე გამოცემულ მონუმენტურ წიგნში „ოსმალეთის ქართველები“ (ავტორი მურად ქასაბი) ერთი სიტყვითაც კი არ არის ნახსენები ლომან ეფენდი ქარცივაძე. ვფიქრობთ, რომ თურქეთში დღემდეც საკმაოდაა შენარჩუნებული სიმკაცრე მათი ოდესღაც ერთგული პროფესორის მიმართ, რომელმაც ბაჯაღლო ოქროთი მოჩუქურთმებულ სასახლეში ყოფნას თავისი ულამაზესი მშობლიური სოფლის რთულ კლიმატურსა თუ სოციალურ პირობებში ცხოვრება არჩია და მშობელი ხალხის უკეთესი მერმისის ძიების გზამ პეტერბურგში მიიყვანა – ის მიწვეული იყო ალექსანდრე III-ის ინაუგურაციის პროცესზეც კი. მაღალმთიან აჭარაში მან საქვეყნოდ განთქმულ ლაზ ხელოსნებს ააშენებინა სახლი, რომელიც მალე შემთხვევით (!!) დაეწვათ, მაგრამ სახელოვანი წინაპრის შესანიშნავმა შთამომავლობამ ფერფლისგან აღადგინა იგი ისევ ლაზების მიერ და დღემდე ამჟამად დგას ოლადაურში. იქვეა ლომან ეფენდის მოკრძალებული საფლავიც, რომლის ქვაზე მარადიული სიცოცხლის ხე და ოსმალური ეპიტაფიაა ამოტვიფრული.

„გურჯი ჰაჯის“ მსგავსი მოღვაწეები მართლაც მარადიულად ცოცხლობენ, მაგრამ მომავალ თაობებს არასდროს უნდა დაავიწყდეთ ეს ღვაწლი! ამიტომაც აუცილებელია მათი შემოქმედების გამოწვლილვით შესწავლა!

**XIX-XX საუკუნეებში მოღვაწე ქართველთაგან უთუოდ უნდა გამოვარჩიოთ ყადი ნური ეფენდი ბერიძე, რომელიც ინჯა ყადად (ყველაზე წმინდა, სამართლიან მსაჯულად) წოდებული ახმედ ბერიძის პირმშო გახლდათ, თავადაც სახელგანთქმული მიუდგომელი სამართლიანობით (წულაძე 1991: 23). ისინი ზემოაჭარლები, ფურტიოელები, იყვნენ. ორივეს დიდი წვლილი მიუძღვის მაშინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის სწორად წარმართვის საქმეში.**

ფურტიო ზემო აჭარის ერთ-ერთი უძველესი სოფელია, სადაც არა მარტო ქრისტიანობის, არამედ კერპთაყვანისმცემლობის დროინდელი ნაშთებიც კი შეიძლება მოიძიოს არქეოლოგმა. ამაზე მისი და მეზობელი სოფლის – ნენიის არქაული სახელებიც მეტყველებენ (სურმანიძე 2004: 70).

ძველ ქართულში **ფურტიო-ი** „ნაღვერდალს“ ნიშნავს, რომელიც, ალბათ, აჭარულ, გურულ და იმერულ დიალექტებში დღემდე დადასტურებულ **ფუტ-ს-ა-ც** („კვამლი, ბოლი, ხრჩოლი“, გადატ. „ოჯახი, კერა“) უკავშირდება. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ მიხედვით, **დიდი ფუტი** „ავი კვამლია“, „ფუტს“ კი ორი მნიშვნელობა აქვს: 1. **ფიტი** („თაფლის ნაჩენჩი“); 2. „ხის ქერქი ანაძრობი“. იმერულ მეტყველებაში „ხის ქერქის დარს“ დღესაც **ფუტი-ი** ჰქვია, ხოლო ქართული ენის რვატომეული განმარტებითი ლექსიკონის (მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა) მიხედვით, **ფუტი-ი** არის „ფუტურო, ფულურო – დამპალი და მშრალად გამოფიტული, სიმკვრივეს მოკლებული ხე“, „სიცარიელე, სიღრუე ხის ტანში“ ან „ძალზე გამხდარი ქათამი“.

**ფუტი-ურ-ო** აჭარის მეზობლად, მესხეთში, ვალეს მისადგომებთან, „უნაყოფო გორაკთა“ აღმნიშვნელი ლექსემაცაა.

გურულ დიალექტში ფურ-ურ-ა-ი „ცარიელი, უგულო თხილი ან კაკალია“, ხოლო ქიზიყურ მეტყველებაში – „დამპალი შეშა“. ამ სიტყვის მეტათეზისური ფორმები ფურ-ურ-ი, ფურ-ურ-ა „ძალიან მსუბუქს, მჩატეს“ გამოხატავენ იმერულში, ინგილოურად კი ფურტ „ფილტვს“ აღნიშნავს. ფურტ-ნ-ა-მ აჭარულ დიალექტში „ფურთხვის“ პროცესის გადმომცემი მასდარია.

ასე რომ, როგორც ვხედავთ, დიდი სიჭრელა საანალიზო ლექსემათა სემანტიკურ-სტრუქტურულ ნაირსახეობებში ფურტ-/ფურტ- ძირის წარმოდგენის თვალსაზრისით. ისიც საკითხავია, ამ შემთხვევაში ერთ (ინლაუტში ჩართულ რ სონორიან თუ მის გარეშე არსებულ) ძირთან გვაქვს საქმე თუ სხვადასხვასთან? ამიტომ აუცილებელია შესაბამისი ლაზური, მეგრული და სვანური ძირების მოხმობა კომპარატივისტულ-ეტიმოლოგიური ანალიზის ჩასატარებლად – მანამდე მეცნიერულად ვერ გადაწყდება ტოპონიმ „ფურტიოს“ წარმომავლობის საკითხი.

მთელ საქართველოში (განსაკუთრებით კი სვანეთში, ფშავ-ხევსურეთსა და მაღალმთიან აჭარაში) მეფე თამარის დიდებულ სახელს არაერთი ტაძრის, კოშკის, ხიდისა თუ სხვა ისტორიული მნიშვნელობის ძეგლის შექმნა უკავშირდება, რაც ასახულია შესანიშნავ გადმოცემებში, ლეგენდებში, თქმულებებში, ლექსებსა და ტოპონიმებში. ჩვენი სულმნათი დედოფლის მსგავსი ასული ჯერ არც ერთ ქალბატონს უშვია დედამიწის ზურგზეო – ამბობენ აჭარლები (გაიხსენეთ: „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა“).

შესაბამის ეპიზოდებს ძალზე საინტერესოდ გვიყვება თედო სახოკიას მასპინძელთაგან (უმრავლესობა გურული და აჭარელი ხერიძე იყო – ათი კაცი!) ერთ-ერთი, ფურტიოელი

**იუნუს ბერიძე** – დიდი ქართველი პატრიოტი ეთნოლოგის „ჩიჩერონე, წმინდა ქართულით მოლაპარაკე, უებრო მოამბე, მეტად თავაზიანი და საუცხოო თანამგზავრი“ (წინამდებარე წიგნის რეცენზენტის, ქალბატონ **ეთერ ბერიძის ბაბუა**), რომელმაც თავის დროზე 25 უპატრონო მოზარდი მიაღებინა ბათუმის ბავშვთა სახლს კულტურულად აღსაზრდელად და განსანათლებლად, 1926 წელს კი, თავისი დიდებული ბიძის – **ნური ეფენდი ბერიძის მსგავსად**, საკუთარ სახლში გახსნა პირველდაწყებითი სკოლა სოფელ ფურტიოში (ბერიძე 2003: 41):

**თამარ მეფე ხშირად დადიოდა სხალთის ტაძარში სალოცავად.** აქაურ მთა-გორიან ბილიკებზე „სავლელად“ მუდამ ჯორი ჰყავდა, რომლითაც ფურტიოს, ანუ „**დედოფლის ხიდზე**“ გამოდიოდა თურმე. ხიდს რომ მოადგებოდა, ძირს ჩამობრძანდებოდა და ფეხით გაბრძანდებოდა მეორე ნაპირას. ხიდის მარცხნივ ახლაცაა მიწაში ღრმად ჩამჯდარი ლოდი ოთხკუთხის ადლის სიფართისა, თითქმის ერთ ადლზე ამოწეული ნიადაგიდან. მას „**დედოფლის ქვას**“ ეძახიან. თამარ მეფე ყოველთვის ამ ქვაზე შესდგამდა ხოლმე ფეხს და ისე შებრძანდებოდა თავის ჯორზე.

ხიდიდან აღმართს ერთი გზა აჰყვება, რომელიც ნახევარი საათის სიარულის შემდეგ ორ ტოტად იყოფა: ერთი ტოტი ფურტიოში მიდის, ხოლო მეორეს სოფელ სხალთაში მიჰყავს მგზავრი. იმ გზას, რომლითაც თამარი სხალთაში დაბრძანდებოდა სალოცავად, დღესაც „**დედოფლის გზა**“ შერჩენია სახელად.

როცა სხალთაში მიმავალ მეფეს გზაში შემოადამდებოდა, თურმე ფურტიოში ისვენებდა ხოლმე. ერთხელ სწვევია შეძლებულ გლეხს – ვინმე სიმონას, რომელიც სიხარულისგან ცას ეწია და მაშინვე შვილისთვის ღვინო მიუცია წყაროში ჩასაცივებლად. თამარს ძალიან მოსწონებია ცივი ღვინო და იმ

დღის შემდეგ, როცა კი მოხვდებოდა ფურტიოს არემარეში, წყაროს გვერდს არ აუვლიდა – უსათუოდ მიირთმევდა ხოლმე კამკამა წყალს. ამიტომაც წყაროსთვისაც „**დედოფლის წყარო**“ დაურქმევიათ. ფურტიოელებს არც მეფის მასპინძელი დავიწყებიათ – თამარის ნასტუმრებ ადგილს, სადაც დღეს **არიფ ალა ბერიძე** ცხოვრობს, „სიმონაური“ ეწოდება (სახოკია 1950: 201-204).

„დედოფლობით“ (და არა „მეფობით“!) თამარს მხოლოდ საქართველოს მაღალ მთიანეთში (სვანეთში, აჭარაში, თუშეთში-ხევსურეთში) მოიხსენიებენ დღესაც.



ზემო აჭარაში (და საერთოდ, საქართველოში!) რომელი სოფელი არაა მშვენიერი, მაგრამ ფურტიოსა და ოლადაურს მაინც სულ სხვა ხიბლი აქვთ! ჰოდა, სწორედ ორივე მათგანში მოუწია ცხოვრება **ნური ბერიძეს**. მამამისს – დიდად პატივცემულ ყადის ორი სახლი ჰქონდა, მათ შორის ერთი მხოლოდ სტუმრებისთვის იყო განკუთვნილი – სტუმრები კი, იცოცხლეთ, უამრავი ჰყავდათ! ვინც კი სამეცნიერო, სამხედრო, პოლიტიკური თუ ტურისტული მიზნებით იმოგზაურა XIX საუკუნის მაღალმთიან აჭარაში, ყველა დიდი პატივითა და ალალი გულით იქნა მიღებული ბერიძეების მრავალშვილიან ოჯახში, მაგრამ ბავშვების ასაკობრივ ზრდასთან ერთად ინჯა („წმინდა“) ყადის არაერთი საზრუნავი ემატებოდა – უპირველეს ყოვლისა კი, მათ სწავლა-განათლებაზე ფიქრი. მუსლიმანურ

საქართველოში მაშინ მხოლოდ შეძლებული ოჯახების შვილები ახერხებდნენ სტამბოლსა თუ ანკარაში მაღალაკადემიური პროფესიული განათლების მიღებას. იგივე ბედი ეწია ნური ბერიძესაც, რომელმაც სამაგალითო მამის კვალდაკვალ ყადობა მოინდომა და თურქეთში ჩასვლისთანავე დაუკავშირდა „დიდ პროფესორს“, ჰაჯი ლომან ეფენდი ქარცივაძეს, რომელიც სტამბოლის ფათიჰის მედრესეში ცნობილი სწავლული იყო (ფათიჰის მედრესე ის უმაღლესი სასწავლებელი გახლდათ, რომელმაც საფუძველი მოუზადა სტამბოლის უნივერსიტეტის ჩამოყალიბებას) და გახდა მისი მოწაფე. შემდგომში ისინი დანათესავდნენ კიდევ.

უმაღლესი სასულიერო და იურიდიული განათლების მიღებასთან ერთად ნური ბერიძე „საფუძვლიანად დაეუფლა, აგრეთვე: ბუნებისმეტყველებას, გეოგრაფიას, ნიადაგმცოდნეობას, ასტრონომიას, მათემატიკას და სამხედრო მეცნიერებას. სამშობლოში დაბრუნებისთანავე იგი ახლანდელი მარეთის ხევის მოსამართლედ დაუნიშნავთ, ხოლო მომდევნო პერიოდში, მამის გარდაცვალების შემდეგ, 1880 წელს, მთელი ზემო აჭარის ყადი გამხდარა, რომელსაც ადგილსამყოფელი ხულოს ადმინისტრაციულ ცენტრში ჰქონია (სურმანიძე 2015).

მალე იმდენად მაღალკეთილშობილური თვისებები გამოამჟღავნა ახალმა სიძემ, რომ ქარცივაძეებმა მას და მის ოჯახს ოლადაურში გადასახლება შესთავაზეს. ეს ასეც მოხდა 1907 წელს.

ნური ეფენდიმაც მამისდაკვალად ორი სახლი ააშენა ოლადაურში – ერთი თავისი ოჯახისთვის, მეორე – ზემო აჭარის სტუმრებისთვის.

„გურჯი ჰაჯის“ საგანმანათლებლო ტრადიციები აჭარაშიც გაუგრძელებიათ მისი ოჯახის წევრებს: შვილებს, სიძეებს, შვილიშვილებს. მათ შორის ყველაზე გამორჩეული გახლდათ



ლომან ეფენდის ქალიშვილის – ასიე ხანუმის მეუღლე, ნური ბერიძე, ვინც, შესაფერისი შენობა რომ ვერ იპოვა სოფელ ოლადაურში, თავის სახლში გახსნა ქართული სკოლა, რომელსაც მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა. აი, რას წერს ამ მოვლენის შესახებ „განათლების ხევისბრად“ წოდებული ღვაწლმოსილი პედაგოგი ვახტანგ მაკარაძე: „ხულოს მაზრის მოსამართლედ მუშაობისას ნური ბერიძის აქტიური თაოსნობით დაწყებითი სკოლა გაიხსნა სოფელ ოლადაურში. 1915 წლის პირველ ოქტომბერს პირველი ზარი შემოჰკრეს ახლანდელი შუახევის რაიონში, სადაც 17 ახალგაზრდა ეზიარა მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლებას; გამგე-მასწავლებელი იყო ილიკო ნაცვალაძე. ნიშანდობლივია, რომ ნური ბერიძემ სკოლა გახსნა თავის სახლში – ერთი ოთახი კლასს დაუთმო, მეორეში კი მასწავლებელი დააბინავა და სკოლა უზრუნველყო ახალი დგამ-ავეჯით, სასწავლო წიგნებით, სახელმძღვანელოებით“ (მაკარაძე 2011: 283-284).

„1915 წლის შემოდგომა ახალი სიცოცხლის დასაწყისია მარეთის ხეობელთა ცხოვრებაში – ოლადაურში გაიხსნა პირველდაწყებითი სკოლა, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ამ სოფლის მკვიდრს, მაშინდელი ხულოს მაზრის ყადის – ნური ეფენდი ბერიძეს. მისი შვილთაშვილის, პროფესორ აკაკი ბერიძის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „იმ პერიოდში მაღალმთიან სოფელში ქართული სკოლის გახსნა გმირობის ტოლფასი იყო. ვინც ეს მოიფიქრა და ოცნება რეალობად აქცია, მას დიდების მეგლი უნდა დაგუდგათ, რადგანაც, ეროვნულობის თვალსაზრისით, ისტორიულ ფაქტთან გვაქვს საქმე“... კარგი იქნება, ოლადაურის სკოლას მიეკუთვნოს ნური ბერიძის სახელი, სახელი კაცისა, რომლის სახლში აიდგა ფეხი ზემო აჭარის უძველესმა სკოლამ. ამ წინადადებას

შესაბამისი ორგანოები უთუოდ გამოეხმაურებიან“ (თურმანიძე 1995). სამწუხაროდ, ეს დიდებული აზრი ოცი წლის მანძილზე რჩება ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა.

სულ ახლახან გამოქვეყნდა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის მთავარი ორგანოს – ჟურნალ „ჭოროხის“ მეხუთე ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია 92 წლის ღვაწლმოსილი პედაგოგის ვახტანგ მაკარაძის ვრცელი სტატია „მარეთი და მარეთლები“. მასში საკმაოდ მკაცრადაა ხაზგასმული შემდეგი: „სამწუხაროდ, გამოჩნდნენ ვაიმეცნიერები, რომლებმაც ოლადაურის დაწყებითი ოთხწლიანი სკოლის 1915 წლის ოქტომბერში გახსნის თარიღი საეჭვოდ მიიჩნიეს. მათ ვურჩევთ, წაიკითხონ ჩვენი წერილი „ოლადაურის სკოლის ისტორია“ წიგნში „გამონათლევის გამონათება“ (გვ. 305-320). საგულისხმოა, რომ ბატონი ვახტანგი არა მხოლოდ ამ სკოლაში აღიზარდა, არამედ მოგვიანებით მისი დირექტორიც გახდა და რაც უფრო მთავარია, – ოლადაურში პირველი ქართული სასწავლებლის დაარსების ისტორია ვახტანგ მაკარაძემ თავად მოისმინა ამავე სკოლის პირველ კურსდამთავრებულთაგან (ახმედ და მერჯან მაკარაძეები, მიხეილ მიქელაძე, ნური თავდგირიძე, დემურალ და ხუსია ფუტკარაძეები, ისრაფილ და კოლია ქარცივაძეები).

1994 წლის 31 აგვისტოს გაზეთ „აჭარაში“ (№135) დაიბეჭდა ოლადაურის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე მასწავლებლის შოთა მიქელაძის სტატია „სკოლა მთაში“, რომელშიც ნათქვამია: „ოლადაურის სკოლაში ერთმანეთს საოცრად ავსებდნენ ახალგაზრდა ილიკო ნაცვალაძე და 70 წელს მიტანებული, მეტად დინჯი, კეთილი და ქართული ეროვნული შეგნების მქონე არაბულის მასწავლებელი ნური ეფენდი ბერიძე, რომელიც შესანიშნავად იცნობდა მისი დროის მოწინავე ადამიანებს – თედო სახოკიას, ზაქარია ჭიჭინაძეს, აპოლონ წულაძეს და სხვებს“.

ერთი წლის შემდეგ იმავე გაზეთში („აჭარა“ – 15 ნოემბერი, 1995 წ., №228) ცნობილმა ჟურნალისტმა სერგო კაკაურიძემ გამოაქვეყნა ფრიად მნიშვნელოვანი სტატია „კენწეროში გატკბილდების“, რომლიდანაც ჩანს, რომ ავტორი პირადად შეხვედრია ნური ბერიძის შვილიშვილს – ლევან ბერიძეს. „სწავლა-განათლებისაკენ ყოველთვის ეჭირა თვალი ჩვენს ოჯახს. ბაბუაჩემი იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული კაცი იყო, პირველი სკოლა საკუთარ სახლში გაახსნევინა; 80 წლის წინათ იყო ესო“ – უთქვამს პროფესორების აკაკი და ჯემალ ბერიძეების მამას. „ლევან ბერიძე ამბობს ამას ასე მოკრძალებით“ – განაგრძობს ჟურნალისტი – თორემ აჭარის სამუზეუმო გაერთიანების მიერ გაცემულ ცნობაში (სამწუხაროდ, თარიღი არაა მითითებული!) შემდეგი რამაა დადასტურებულიო:

„1915 წლის დასაწყისში ნური ბერიძეს მემედ აბაშიძისთვის მიუმართავს – დაგვებმარე, სოფელში სკოლა გვჭირდებაო. იმავე წლის შემოდგომაზე ოლადაურში მართლაც გახსნილა დაწყებითი სკოლა (ბაზი ჩვენია – ი. ჩ.). ნური ბერიძეს სკოლისათვის საკუთარი სახლი გადაუცია და ინვენტარის დამზადებაც თავადვე უკისრია. სასწავლო სახელმძღვანელოები ხულოს დაწყებითი სკოლის მასწავლებლის ი. მელიქიშვილის დახმარებით შემოუტანია და ახალგაზრდა მასწავლებელი ილიკო ნაცვალაძეც თავისთან დაუბინავებია“.

სერგო კაკაურიძეც იმასვე იმეორებს, რასაც სხვა ავტორები, მაგრამ... „ახლა ოლადაურის საშუალო სკოლა 80 წლისაა... სავსებით სწორად ფიქრობენ, მას ნური ბერიძის სახელი მიანიჭონ და ამით უკვდავყონ ღვაწლი, რომელიც ამ კაცს მიუძღვის თანასოფლელთა წინაშე“.

მოგვიანებით, 1999 წლის სექტემბერში, ჟურნალმა „ლიტერატურული აჭარა“ გამოაქვეყნა ნოდარ ხვედელიძის სტატია „სკალპელიანი მინისტრი“ (გვ. 140-145), რომელშიც ნათქვამია: „ნური ბერიძე მემედ აბაშიძესთან დაახლოებული

პირი ყოფილა; მიაი დახმარებით სოფელ ოლადაურში გაიხსნა ორკლასიანი სკოლა, რომელსაც ნური ბერიძემ ახლად აგებული საკუთარი სახლი დაუთმო, მასწავლებელიც თვითონ შეარჩია, ქართული წიგნები და სათანადო ინვენტარიც შეიძინა. იმ სკოლის აღზრდილთა შორის მეცნიერებათა 2 დოქტორი და 12 კანდიდატი გახლავთ“. პროფესორებს გვერდს უმშვენებენ თავიანთი დიდი ბაბუის მიერ დაარსებულ სკოლაში განსწავლული ძმები აკაკი და ჯემალ ბერიძეები.

ზაქარია ჭიჭინაძის აზრით, ნური ბერიძე არა მარტო მოსახლეობას, არამედ ხოჯა-მოლებსაც ჩააგონებდა, რომ ჩვენ ქართველები ვართ და ჩვენი დედაენაც ქართულიაო. აჭარა საქართველოს ნაწილია და ჩვენი სამშობლო საქართველოაო. მისმა სიახლოვემ აჭარის პატრიოტულ ძალებთან და მათ შორის ხულოს სკოლის მასწავლებელ იოსებ მელიქიშვილთან გადამწყვეტი როლი შეასრულა ოლადაურის სკოლის გახსნაში (იქვე).

ნური ბერიძის ინიციატივითვე დაფუძნდა სკოლები: თხილვანაში, ფაჩხასა და ჯაბნიძეებში, სადაც პირველი მოწაფეები სწორედ ლომან და ნური ეფენდების შვილიშვილები თუ ახლო ნათესავები იყვნენ. ამ ორ დიდებულ მოღვაწეს რომ მაგალითი არ მიეცა სხვებისთვის, ვინ იცის, როგორ წავიდოდა მაშინ საგანმანათლებლო საქმე, რადგანაც იმ დროისათვის ადგილობრივ მოსახლეობას ეშინოდა ბავშვების ქართულ სკოლებში აღზრდა ურთულესი პოლიტიკური სიტუაციების გამო.

განსაკუთრებით რთული მოსაგვარებელი იყო აჭარელ ქალთა განათლების საკითხი არა მხოლოდ XIX საუკუნეში, არამედ მოგვიანებითაც. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, მკითხველს უთუოდ დააინტერესებს ოლადაურის სკოლის კურსდამთავრებულის, მცხოვანი ქალბატონის **ზულეიხა მიქელაძე-ფუტკარაძის** ერთი სევდანარევი მოგონება, რომელიც დაბეჭდილია ვაჟა მაკარაძის წიგნში „ჩემო სკოლავ, მაღალ მთაზე ტაძარივით დადგმულო“ (2003: 50-51).



92 წლის ზულიქა ფუტკარაძე – ოლადაურის სკოლის  
კურსდამთავრებული

92 year-old Zuleikha Putkaradze – a Oladauri school-leaver

*მამაჩემი – სულიმან მიქელაძე ჭკვიანი და საკმაოდ განათლებული კაცი იყო. მას კარგად ესმოდა სწავლა-აღზრდის სიკეთე და ერთ-ერთი პირველი აქტიურად უჭერდა მხარს ზემო აჭარაში პირველი ქართული სკოლის გახსნას, მაგრამ რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი მეზობლები ხშირად ჩასჩიჩინებდნენ: „სად გაგონილა ქალის სწავლა?! ქალიშვილებს სკოლაში არაფერი ესაქმებათ!“*

*დედაჩემი დებს გვიკრძალავდა სკოლაში წასვლას, მეცადინეობას, მაგრამ მისგან მალულად მაინც ვსწავლობდით წერა-კითხვას, ვკითხულობდით წიგნებს, რაშიც ძალიან გვებმარებოდა ჩვენი უფროსი ძმა – ზემო აჭარის პირველი ქართული სკოლის პირველი მოსწავლე, ოლადაურელი მეზედ მიქელაძე.*

დედ-მამა რომ დაიძინებდნენ, მალულად ავანთებდით ლამპას და ლამის 3-4 საათამდე ვმეცადინეობდით. პირუტყვის დასახედად გარეთ გასულ მშობლებს შუქი რომ არ შეენიშნათ, ისევ ვაქრობდით ხოლმე, მაგრამ სიჩქარეში ლამპის შუშა გვიტყდებოდა; მეორე დღეს კი, ეს რომ არავის გაეგო, კვერცხებს ვიპარავდით და იმით ლამპის შუშას ვყიდულობდით.

როცა დედამ შეიტყო, რომ დამოუკიდებლად შევისწავლეთ წერა-კითხვა, მდგომარეობას შეეგუა და მამას გაგვაცოლა ოლადაურის სკოლაში...

სულ ხუთიანებით გადავდიოდი კლასიდან კლასში, მათემატიკის მასწავლებლობაზე ვოცნებობდი, მაგრამ, ხელმოკლეობის გამო, მეტი ველარაფერი მოვახერხე...

ჩვენ საგანგებოდ შევხვდით დღემდე მაღალაკადემიურ სწავლა-განათლებას მოწყურებულ 92 წლის ქალბატონ ზულენიხას და ვარჩიეთ მისი ბუნებრივი მეტყველებით, ანუ ზემოაჭარული კილოკავით ჩაგვეწერა ზოგი რამ ოლადაურის ქართული სკოლის ისტორიიდან:

წერა-კითხვა ჩემმა ძიამ (ძიას მთიან აჭარაში უფროს ძმას ეტყვიან) მასწავლა. მე რომ დავბადულვარ, სკოლა ოლადაურში მეორედ მაშინ გახსნილა.

პირველი? პირველი ნიკოლას (ნიკოლოზის) დროს გულხსნიან და მემედ ძიას იქ უსწავლია. ჰამა, სკოლამ დიდხანს ვერ გაძლო მეგემ. ნიკოლაი მეფე რომ წულუქცივიან, მაშინ დახურულა.

სკოლა ჰად იყო და... მე ასე ვიცი, ძიამ იტყოდა, ყადისანების სახლში იყო გახსნილიო. ყადისანებს ბერიძეებს ეტყვიან... მათი დიდი დედეი, ნური ეფენდი, ხულოში ყადი ყოფილა და ყადისანებ იმისთვის ეტყვიან.<sup>22</sup>

---

<sup>22</sup> როგორც ჩანს, ფურტიოელ და ოლადაურელ ბერიძეებს ყადისანებს ნური ეფენდის მამის – ახმედ ინჯა ყადის გამო უწოდებდნენ.

**ქვლბეთ ყადი რომ იყო, დიდი კაცი, დიდი გამავლობა ქონდა და მის სოფელში სკოლა გაახსნევია.**

ქართულთან ერთად არაბულ წერა-კითხვასაც ასწავლიდენ. მასწავლებელი ნური ეფენდი იყოვო, სტამბოლში ნაწნავლი ყოფილა, იქ დუუმთავრებია უმაღლესი.

არაბული რატომ ისწავლებოდა და, ხოჯას ასე დომებია. ჩემ ძიას თქმით, მშობლები ბაღვებს სკოლაში არ გუუშვებდენ – ხოჯა აბლყყუნებდა (ატყუებდა) ხალხს, გაგავრდებითო (გაურჯოლოვდებითო). მემრე, 1923 წელში, სკოლა მეორეთ რომ გეიხსნა, ხოჯიები მაშინაც ატყვილებდენ სოფლელებ, ბაღვები კლასში არ შეიყვანოთო, მარა აშკარად ვერ იძახოდენ, თავრობის ეშინოდენ, აღარც ხალხი უჯერებდა.

ექესი წლის რომ გავხდი, მეც მიწოდდა სკოლაში მევლო, მარა პაწიხ ხარო და არ მიმიღეს. არც ჩემ ანა-ბაბოს (დედ-მამას) უწდოდა ჩემი გაშვება: გოგოს სკოლა სახლი, ეზო და ახორიანო. რომ ავტირდი, ჩემი ძმა მომეფერა, დამაწყნარა, არ იტირო და წერა-კითხვას მე გასწავლიო. ე, მაშინ ვისწავლე... მემრე სკოლაშიც მიმიღეს... ოთხი კლასი რომ გავათავე, იმის მემრე წერას და კითხვას მე ვასწავლიდი ბერ-დედაბრებს.

სკოლაში კარგად ვსწავლობდი, მარა ჩვენ სოფელში მაშინ საშვალაი არ იყო და სხვა სოფელში გოგოს ვინ გუუშვებდა?! ის კი არა, სახლშიც წიგნებ უჩუმალაი (მალულად) ვკითხულობდი, მიშლიდენ. მემრე გავთხოვდი, ბაღვები მეყოლა და სწავლითვინ აღარ მეცალა.

საქმე მიყვარდა და თავი არც კოლექტივში შემირცხვენია. ბევრი თუთუნი მომყავდა და თავრობიდანაც დაფასებული ვიყავი.

შვილებიც იგითები (ბეჯითები) გამოვდენ. ექესი შვილი გავზარდეთ მე და ჩემმა ბერმა – ოსმანამ. ორმა უმაღლესები დაამთავრეს, ერთმა აგრონომობის ტექნიკუმში, ერთი ბიჭიც

შოფერი იყო, გოგვები კი კოლექტივში საქმობდენ. ბადიშებიც ბევრი მყავს და ბადიშიშვილებიც, მარა სოფელში მარტო ერთი დამრჩა, სხვები დეიპანტენ – ზოგი ბათუმში, ზოგი ქობულეთში, ზოგიც გურიაში და სამეგრელოში.

ახლანდელ ბაღვებ რა უჭირან – სოფელში საშუალო სკოლა გვაქ, უმაღლესების კარებიც გასხნილია, ჰაცხა გინდა, წაი და ისწავლე.

დიდებული ოჯახი ჰქონდა ნური ბერიძეს; მათ შორის დღემდე ცოცხალი იყო მისი შვილიშვილი, ფოთის ერთ-ერთი საავადმყოფოს მთავარი ექიმი შოთა ბერიძე, რომელიც სულ ახლახან გარდაიცვალა, ხოლო მეორე შვილიშვილი ქალბატონი ასიე ბერიძე – თავისი სახელოვანი ბებიის – ასიე ქარცივაძის სეხნია, შემდეგნაირად იხსენებს მთელ ზემო აჭარაში ცნობილი მოსამართლის ოჯახს:

*ბაბუაჩემი, ნური ბერიძე, 1907 წლამდე ცხოვრობდა ბერიძეების საგვარეულო მიწაზე, ხულოს (ამჟამად შუახევის) რაიონის სოფელ ფურტიოში. იქ მას შეეძინა ორი შვილი – ნუსრედინი (მამაჩემი) და ესმა. მამიდა ესმამ დიდხანს იცოცხლა (103 წელი) და სიცოცხლის ბოლომდე იყო საღ გონებაზე. ამიტომ იგი ჩვენ – ბავშვებს, თავის ძმისშვილებს, გვიყვებოდა სხვადასხვა ისტორიებს მამამისის შესახებ. მე დავიბადე 1927 წელს, ბაბუას გარდაცვალებიდან 7 წლის შემდეგ, ამიტომ ყველაფერი მასზე ვიცი სხვების გადმოცემით.*

*ბაბუაჩემს ფურტიოში, თავის საცხოვრებელ სახლში, წლების მანძილზე მიწვეული ჰყოლია მასწავლებელი, რომელიც ნური ბერიძის შვილებს, ძმისშვილებსა და დისშვილებს რუსულ ენას ასწავლიდა. ამიტომ მამიდა ესმამ, ხანში შესულამაც კი, კარგად იცოდა რუსული. რაც შეეხება ქართულ ენას, ნური ბერიძის სახლში, როგორც ფურტიოში, ასევე ოლადაურში (სადაც ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა 1907 წელს), სა-*



უბრობდნენ მხოლოდ ქართულ ენაზე. ამავე სოფელში ნური ბერიძეს კიდევ შეეძინა სამი შვილი (ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი).

მამიდა ესმას გადმოცემით, ნური ბერიძეს შვილებისთვის ხშირად მოჰქონდა საჩუქრად ახალ-ახალი ჩასაცმელები, ოღონდ იმ პირობით, რომ მოდურ ტანისამოსს სოფელში არ ჩაიცვამდნენ – ოლადაურში ბევრი გაჭირვებული ხალხი ცხოვრობს და მათთან ახალი ტანსაცმლით კეკლუცობა დიდი ცოდვააო. ერთხელ ნური ბერიძეს თავისი შვილისთვის – ნუსრედინისთვის (მამაჩემი) უჩუქებია მოდური ზედა მოსასხამი (იელეგჩა) იმ პირობით, რომ მას ჩაიცვამდა ხულოში ან ბათუმში ისეთ საზოგადოებაში, სადაც ასეთი ტანისამოსით დადიოდნენ. ხანდახან თურმე ისე გავიღოდა მთელი წელი, რომ ესმა ერთხელაც კი ვერ ახერხებდა თავის მოწონებას მამის ნაჩუქარი კაბით (მოგეხსენებათ, მაშინ სოფლიდან გადაადგილება არც ისე ადვილი იყო!), ამასობაში კი იგი მოდიდან გადიოდა.

ესმა იმ დროისათვის ღრმად განსწავლული პიროვნების, სტამბოლის უნივერსიტეტდამთავრებულის, ჰუსეინ თავდგირიძის მეუღლე იყო. **მამიდაჩემი გვიყვებოდა ძმისშვილებს, და საერთოდ ახალგაზრდებს, ხულოს რაიონის სოფელ ჯაბნიძეებში (სადაც თავდგირიძეების ოჯახი ცხოვრობდა) ქართული სკოლის დაარსების შესახებ, რომლის ინიციატორი იყო ნური ბერიძე. მან თავის სიძეს, ქალიშვილის მეუღლეს, შეიძლება ითქვას, დაავალა ისეთივე სასწავლებლის გახსნა ჯაბნიძეებში, როგორც ოლადაურში, თავის საკუთარ სახლში ჰქონდა გახსნილი. მამიდას კარგად ახსოვდა, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდენ სკოლის გახსნის საქმეს ადგილობრივი ხოჯა-მოლები, მაგრამ ჰუსეინ თავდგირიძის ავტორიტეტს გადაუწონია და ყველაფერი კარგად დასრულებულა.**

ერთხელ ლევან ბერიძის ოჯახში სტუმრებისათვის გამართულ სუფრასთან, სადაც კარგად შეექცეოდნენ ქართულ ღვინოს, ესმასთვისაც უთხოვიათ შესვლა. მამიდაჩემი ღრმად მორწმუნე მუსლიმანი იყო, რომელსაც მამაკაცებისათვის სახის გამოჩენა ეკრძალებოდა, მითუმეტეს იმ სუფრასთან მისვლა, სადაც ღვინოს მიირთმევდნენ, მაგრამ თავისი ძმისშვილის – ლევანის ხათრით იგი დასწრებია ამ სუფრას, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ გაკვირვება გამოუთქვამს: სუფრაზე ღმერთის დიდების, დალოცვისა და ერთმანეთის მოსიყვარულების გარდა, არაფერი მსმენია და მუსლიმანები რატომ კრძალავენ ზომიერად ღვინის სმასო?!

ბაბუა საოცრად საქმიანი კაცი ყოფილა, უქმად არ გააგდებდა ერთ წუთსაც კი. დედაჩემისგან – სეით თავართქილაძისგან გამიგონია, რომ, როცა ოჯახი ერთად სადილობდა, პირველი წამოდგებოდა ხოლმე სუფრიდან – სულ ვიღაცის სასამართლო პროცესზე ეჩქარებოდა, თავისი დაგვიანებით ზედმეტ სანერვიულოს არ უჩენდა ისედაც განერვიულებულ ბრალდებულსა და მის ჭირისუფალს.

მე ოლადაურის სკოლაში სასწავლებლად შევედი 1938 წელს და ოთხწლელი დავამთავრე 1942 წელს. მაშინ სოფელში აქა-იქ საუბრობდნენ ამ სკოლის ისტორიის შესახებ, რომ მისი გახსნა ნური ბერიძის დამსახურება იყო. მახსოვს სკოლაში ორი მასწავლებელი იყო – ცოლ-ქმარი შალვა და თინა ჭყონიები, რომლებიც სკოლისაგან თავისუფალ დროს ჩვენს სახლში ატარებდნენ, რადგან დედაჩემი დიდ პატივს სცემდა თავისი მამამთილის – ნური ბერიძის ღვაწლს ოლადაურის სკოლის გახსნის საქმეში, ახსოვდა ყველაფერი, რაც ამ პროცესს ეხებოდა, და მუდმივად, სანამ ცოცხალი იყო (გარდაიცვალა 1960 წელს), ყველანაირად ხელს უწყობდა საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსულ მასწავლებლებს ყოფითი საქმეების მოგვარებაში.

ჩვენი ბაბუა პროგრესული პიროვნება იყო.

ერთხელ მე და ჩემი ძმა – ლევანი სტუმრად ვიყავით მეზობელ სოფელ მახალაკიძეებში ნური ბერიძის თანამედროვესთან, რომელიც მოგვიყვა ასეთ ამბავს: 1912 თუ 1913 წელს ნური ბერიძეს ოლადაურში შეუკრებია მეზობელი სოფლების მოსახლეობა ახალი ამბების გასაცნობად. მას მოუყოლია მოწყობილობაზე, რომელიც საშუალებას იძლეოდა შორს მანძილზე (მაგალითად, ბათუმიდან ოლადაურამდე) ადამიანის ხმის გადაცემისა, ე. ი. ტელეფონზე. აღუწერია პერსპექტივაში რაღაც ყუთის მსგავსი მოწყობილობა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ადამიანის სახის დანახვა და სხვა ამბები, რაც იმ დროის ცივილიზებულ მსოფლიოშიც კი სიახლეს წარმოადგენდა. შეკრების დამთავრების შემდეგ თურმე აქა-იქ გაისმოდა ჩურჩული – ნური ეფენდი „გაბეჩებულაო“ (გაგიყებულაო).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1907 წელს ნური ბერიძე ოჯახით გადასახლებულა სოფელ ოლადაურში, თავისი სიმამრის, უაღრესად პროგრესული და განსწავლული პიროვნების – **ლომან ეფენდი ქარცივაძის ოჯახის სიახლოვეს**, რადგან მათთან ჰქონდა ძალიან კარგი ადამიანური და საქმიანი ურთიერთობა, როგორც თანამოაზრეებთან. სწორედ აქ 1915 წელს მისი თაოსნობითა და ძალისხმევით გახსნილა ზემო აჭარაში პირველი ქართული სკოლა, რომლის პირველ მოსწავლეთა შორის ყოფილა ნური ბერიძის შვილი – ლო'ლ'მანი.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ჩვენს დამოკიდებულებაზე ფუძე ოჯახთან – ფურტიოელი ბერიძეების საგვარეულო ოჯახთან. არავის ახსოვს, ძმები რა პირობით გაიყვნენ, მაგრამ ცნობილია, რომ ნური ბერიძეს და მის შთამომავალთ არასოდეს გაუწყვეტიათ უაღრესად თბილი, ნათესაური ურთიერთობა ფურტიოელ ბერიძეებთან და ეს ტრადიცია დღესაც ამაღლებულად გრძელდება.

მახსოვს, დიდ სამამულო ომამდე და მის შემდეგაც, ყოველ შემოდგომაზე, რამდენიმე დატვირთული ცხენი მოადგებოდა ოლადაურში ბერიძეების ოჯახს, ძღვენით ფურტიოდან. განსაკუთრებით ბევრი იყო ყურძენი, რადგანაც ფურტიოში, მამინაც და ახლაც, ჩინებული ყურძენი იზრდება.



ახმედ ბერიძის-ინჯა ყადისა („წმინდა მსაჯულის“) და ნური ბერიძის შთამომავლები (III-IV-V-VI თაობა) სოფელ ჩელტაში (ბათუმის ახლოს). ცენტრში: ნური ბერიძის შვილიშვილი, ქალბატონი ასიე ბერიძე (88 წლისა) თავის შვილთაშვილთან დანიელ ბერიძესთან ერთად.

Descendants of Akhmed Beridze – Inja Qadi (“Saint judge”) and Nuri Beridze (III-IV-V-VI generations) with the guests from Petersburg in the village Chelta (neap Batumi). In the centre: Nuri Beridze’s granddaughter Asie Beridze (88 year-old) with her great-grandson Daniel Beridze.



თბილისში მცხოვრები ფურტიოელი და ოლადაურელი ბერიძეები.  
ცენტრში: ნური ბერიძის შვილიშვილი,  
პედაგოგი ნიაზ ბერიძე (89 წლისა).

Purtioan and Oladaurian Beridzes who reside in Tbilisi at present.  
In the centre: Nuri Beridze's grandson, teacher  
Niaz Beridze (89 year-old).

გადმოგვცემენ, რომ ლომან და ნური ევენდების მიერ დაარსებულ სკოლებში ისწავლებოდა არაბულ შრიფტში, ალ-ბათ, ე. წ. ალოგლოტოგრაფიული მეთოდით შენიღბული ქართული გრამატიკა, რომლითაც აჭარულ დიალექტზე მეტყველი მოსწავლეები სალიტერატურო ქართულს ეუფლებოდნენ, რათა შემდგომში გასცნობოდნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიღწევებს. ისიც ცნობილია, რომ იმავე სკოლებში ყურანსაც ქართულ ენაზე ასწავლიდნენ, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა. ვფიქრობთ, ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოც და მუსლიმანთა საღვთო წიგნის ქართული თარგმანიც

უდიდესი განმანათლებლის – ლომან ეფენდი ქარცივაძის კალამს უნდა ეკუთვნოდეს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერც ერთ ხელნაწერს ვერ მივაკვლიეთ, მიუხედავად არაერთი მცდელობისა. სავარაუდოა, რომ ყურანს სწორედ ნური ეფენდი ბერიძე ასწავლიდა ქართულად, რადგანაც თავის დაარსებულ სკოლაში ის არაბული ენის პირველი მასწავლებელიც იყო.

**„ზემო აჭარიდან პროგრესულად განწყობილ ბევრ სასულიერო პირს ახლო ურთიერთობა ჰქონდა: მემედ აბაშიძესთან, თედო სახოკიასთან, ზაქარია ჭიჭინაძესთან, აპოლონ წულაძესთან და სხვებთან. ისინი ამ ურთიერთობას მოხერხებულად იყენებდნენ იმისათვის, რომ „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“ დაეყენებინათ საკითხი მთის სოფლებში ქართული სკოლების გახსნის აუცილებლობის შესახებ. მარეტლები ხშირად მსჯელობდნენ ხალხის სატკივარზე ოლადაურში. 1915 წლის დასაწყისშიც შემდგარა ერთი ასეთი შეკრება, რომელსაც დასწრებიან: ნური ბერიძე, ახმედ მაკარაძე,<sup>23</sup> ხუსეინ თავდგირიძე, ემინ ქარცივაძე, სულეიმან მიქელაძე, ფაიყ მაკარაძე. თხოვნის ბარათი „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელზე სოფლელებს შეუდგენიათ – როგორმე მოეხედათ გაკვირებაში მყოფი ზემო აჭარის მოსახლეობისათვის და დაეყენებინათ საკითხი მარეთის ხეობაში ქართული სკოლის გახსნის შესახებ. ბარათის გადაცემა ნური ბერიძისათვის დაუვალებიათ“ (მაკარაძე 2003: 45-46).**

ნური ბერიძემ თავადვე დაამზადებინა ყველა აუცილებელი სასკოლო ინვენტარი, ხოლო სასწავლო სახელმძღვანელოები შეიძინა ზემო აჭარაში მაშინ უსაყვარლესი და ცნობი-

---

<sup>23</sup> თუ ახმედ მაკარაძე იგივე პიროვნებაა, ვინც ლომან ეფენდი ქარცივაძესთან ერთად სწავლობდა სტამბოლსა და კაისერში, მაშინ აქ (და არა მარტო აქ!) დაშვებულია შეცდომა – 1915 წელს ის კარგა ხნის გარდაცვლილი იყო.

ლი პედაგოგის, ხულოს დაწყებით სკოლაში მოღვაწე იოსებ მელიქიშვილის დახმარებით. გაზეთ „საქართველოს“ 1916 წლის 22 აპრილის 89-ე ნომერში ნათქვამია: „**ოლადაურის სკოლაში სწავლობს 20 ვაჟი. მასწავლებლად არის ახალგაზრდა ილია ნაცვალაძე, ...სჯულის მასწავლებლად კი მთელ აჭარაში კარგად ცნობილი ხოჯა ნური ეფენდი ბერიძე, რომელიც სკოლის წარმატებას დიდად უწყობს ხელს. სკოლაში მისი ვაჟიც სწავლობს და გადაწყვეტილი აქვს, შვილს სწავლა გიმნაზიაში გააგრძნობინოს. ნური ეფენდი ყველას ეჩიიჩინება: შვილები ქართულ სკოლაში აღზარდეთო**“.

ვფიქრობთ, მკითხველს დააინტერესებს ოლადაურის დაწყებითი სკოლის პირველი მოსწავლის მეშვეობით მიქელაძის მოგონება, რომელიც ცნობილმა ჟურნალისტმა ოთარ ფუტკარაძემ დაბეჭდა ჟურნალში „სკოლა და ცხოვრება“ (1977 წ., №4):

„სკოლაში თავდაპირველად 14 ბავშვი შევედით. სკოლა 1915 წლის შემოდგომაზე გაიხსნა და სწავლება ოთხწლიანი იყო. სულ სამი<sup>24</sup> გაკვეთილი ტარდებოდა დილის საათებში. პირველ გაკვეთილზე ქართული ენა ისწავლებოდა, მეორეზე – რუსული, მესამეზე – არაბული.<sup>25</sup> შუადღის შემდეგ „მეცადინეობა“ ჯამეში გრძელდებოდა... ქართულ და რუსულ ენებს გურუ-

---

<sup>24</sup> სხვა მონაცემებით, სკოლაში მათემატიკა და მუსიკა მონაცვლოებით ისწავლებოდა მეოთხე გაკვეთილზე (მაკარაძე 2003: 46).

<sup>25</sup> ახლა ზოგიერთ კერძო სკოლაში მოსწავლეთა განათლების პროცესი ინგლისური ენის სწავლებით იწყება: ხუთი წლის ბავშვს უცხო ენას რომ ვასწავლით პირველ კლასში, ამით მართლა გავუსწარით განათლებულ მსოფლიოს? (გოგოლაშვილი 2014: 325); ისე არ გამოგვივიდეს, „თურამაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასა“-ო (იქვე: 143-181). ნური ბერიძის პიროვნული ღირსება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ იმაში ჩანს, რომ მუსლიმანურ საქართველოშიც კი მის სკოლაში ყოველდღე პირველი გაკვეთილი ქართულ ენაში ტარდებოდა, მერე კი უცხო (რუსულ, არაბულ) ენებში, თუმცა დარწმუნებულნი ვართ, ამ მეთოდისთვის მას ადგილობრივი მთავრობა ფიანდაზად არ გაუგებოდა.

ლი მასწავლებელი ილიკო ნაცვალაძე გვასწავლიდა, არაბულს კი – ოლადაურელი ნური ეფენდი, ყადი ახმედის ძე ბერიძე“.

აღსანიშნავია, რომ ბატონი მეძედის ვაჟი – ვლადიმერ მიქელაძე კარგახანს იყო ოლადაურის სკოლის დირექტორი, ხოლო შვილიშვილთაგან ერთ-ერთი (სოლომონი) ფიზიკა-მათემატიკის აკადემიური დოქტორია, პროფესორი, მეორე (ოთარი) კი – ცნობილი რენტგენოლოგი.

„ყველა სოფელი ლამაზია, მით უფრო საქართველოში, მით უფრო აჭარაში და მით უფრო მარეთის ხეობაში, მაგრამ, ოლადაური სხვაა მაინც, სხვა ხიზლით ბრწყინავს იგი მთელს შუახევში, გნებავთ მთელს ზეგანში. ამ სილამაზეს სიამაყეც ახლავს და ერთი უპირველესთაგანი სოფლის სკოლაა, რომელიც გაიხსნა 1915 წლის ოქტომბერში, მაშინ, როცა მსოფლიო ომი ვარვარებდა, თანაც ფრონტი იყო გახსნილი და ათასობით ადამიანი მიუსავლეთში გარბოდა მუჭაჯირად; ოლადაურში კი ქართული სკოლა გაიხსნა და მისი პირველი მასწავლებელიც, გამგეც, მზრუნველიცა და აღმზრდელიც ილია ნაცვალაძე იყო, ხოლო პატრონი გახლდათ ნური ბერიძე, რომელმაც საკუთარი სახლი დაუთმო სკოლას და თავადაც მასწავლებლობდა იქ... გარეთ თოვლი იდო, მაგრამ არ ციოდა...“ (ჯანბერიძე/ჯაფარიძე 1995: 2).

საგანგებოდ უნდა გავხაზოთ, რომ ყველა ზემოაქარულ სოფელში, სადაც კი სკოლა გაიხსნა 1915-1916 წლებში, ყოველ დილით სწავლა-განათლება მედრესეში იწყებოდა და მერე ბავშვები იქიდან გადადიოდნენ სასწავლებლებში, ნური ეფენდის საგანმანათლებლო მეთოდოლოგია კი სხვაგვარი გახლდათ – მოსწავლეები თავიანთ სკოლაში სწავლობდნენ ენებს (ჯერ მშობლიურს, მერე კი რუსულსა და არაბულს), მათემატიკას, მუსიკას, ხოლო დღის მეორე ნახევარში, სალიტერატურო ქარ-



თულ-არაბული ლექსიკითა და გრამატიკული ცოდნით აღ-  
ჭურვილნი, კითხულობდნენ ყურანს მედრესეში. ვფიქრობთ,  
ყოველივე ეს ეროვნული საგნმანათლებლო და დიდი ლომან  
ქარცივაძის მეთოდოლოგიის გამოძახილია. ჰაჯი ეფენდი ხომ  
ადგილობრივ ხოჯებსა თუ მოლებს სულ იმას ეცედრებოდა,  
ქართულ ენაზე ასწავლეთ მოსახლეობას მუსლიმანთა საღვთო  
წიგნი, რათა ადვილად აღიქვას მისი სიბრძნეო.

პროფესორი აკაკი ბერიძე ხშირად ამბობს ხოლმე: „ოლა-  
დაურს იმერხევისგან მხოლოდ ერთი აღმართ-დაღმართი  
ჰყოფს. ჩვენს სოფელში ქართული სკოლის გახსნას თავის  
დროზე მარტოოდენ საგანმანათლებლო დანიშნულება არ  
ჰქონია – ეს ფაქტი მაშინ უდიდეს ეროვნულ-სახელმწიფოებ-  
რივ მოვლენად იქცა. რომ ქართული სკოლა არა, აუცილებ-  
ლად გაგვათათრებდნენ, იმდენად ახლოს ვიყავით მათთან  
ტერიტორიულად“.

რა საოცარია, რომ ქართულ ენაში „განათლება“, „განათე-  
ბა“ და „ნათლობა“ („გამონათლევიც“) ერთი და იმავე ნათ-  
ძირის საძირკველზეა აღმოცენებული! ო. ფუტყარაძეს სტატიაში  
„შუქი აჭარის სოფელში“ ერთი ოლადაურელი მოხუცის ნამ-  
ბობი ულამაზესი ლეგენდაც მოჰყავს:

*ვერ ათბობდა გლებკაცს ნამგალა მთვარე, ვერ აღწევდა  
მისი შუქი ჩვენს ქობებში; ვერც ის პატარა ვარსკვლავი შველო-  
და რამეს, მთვარეს რომ თან დაჰყვებოდა.*

*მაგრამ აი, უცებ ცაზე ვეება მზე ამობრწყინდა, რომელ-  
საც კაშკაშა ვარსკვლავი მიუძლოდა გზის მაჩვენებლად. ბნელ  
ყარადერებში<sup>26</sup> ჩააღწია მისმა ნათელმა; გლებკაცის ქობშიც შეი-  
ბედა, ბნელეთი უკუაგდო, სინათლეს დანატრებულს სითბო*

---

<sup>26</sup> ყარა დერებს („შავბნელ ღელეს“) თურქები უწოდებდნენ მარეთის  
ხეობას.

და ნუგეში უწილადა და მას შემდეგ გლეხკაცის მუდმივი თანამგზავრი გახდა: **სოფლებს სკოლები მოჰყვინა, ელექტრონათურები ააკიაფა, ცისფერი ეკრანიც ააციმციმა...**<sup>27</sup>

მაშინ წმიდა გიორგის ტაძარი ჯერ კიდევ არ არსებობდა სოფელ ოლადაურში, თორემ „გამონათლევის გამონათებას“ როგორ არ „მიჰქარგ-მოჰქარგავდა“ ქრისტიანულ განათლებას დანატრებული მოხუცი მთქმელი?!

თურქეთში სწავლა-განათლებამიღებული და მერე რუსეთის ბიუროკრატიულ მოხელეებად ქცეული ქართველი საზოგადო მოღვაწეები XIX-XX საუკუნეების აჭარაში ხან მუსლიმანთა სამსახურში იყვნენ, ხანაც – ქრისტიანებისა. მათი უმრავლესობა ერთგულად ემსახურებოდა არსებულ სისტემას, თუმცა „სათვალფერისოდ“ (შ. ხიმშიაშვილი), ანუ ეს მოჩვენებითი ერთგულება იყო, ყველა ცდილობდა თავისი სამოღვაწეო სარბიელი როგორმე საქართველოს სასიკეთოდ გამოეყენებინა.

**„ნური ბერიძემ იმთავითვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება როგორც თავისი მიწა-წყლის მოყვარულმა ერისკაცმა და ჭეშმარიტმა მამულიშვილმა. იგი მოურიდებლად ებრძოდა როგორც ოსმალეთის, ასევე რუსეთის ცარიზმის გაბატონებას ჩვენს მხარეში“** (ზოსიძეები 2008: 199-200).

ამ მხრივ მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ „ღვაწლმოსილი მამულიშვილის, ხულოს მეჯლისის ყადის“ (სიორიძე 2002: 136) ნური ეფენდი ბერიძის ერთ-ერთი შვილიშვილის, მისი სეხნიის – ნური თავდგირიძის მეტად მნიშვნელოვანი მოგონებისაკენ:

---

<sup>27</sup> ცხადია, აჯობებდა, აჭარელი მოხუცის (და საერთოდ, ყველა ხანდაზმული მთქმელის) ნაამბობი მშობლიურ დიალექტზე დაფიქსირებულიყო.

*„ჩემი დედეი (ე. ი. ბაბუა) მუსლიმანი იყო, მარა ქართველებზე ცუდ ვერ ათქმევებდი; ოსმალების სამსახურში იყო, მარა სძულდა ისინი.<sup>28</sup> საქართველოს ისტორია იცოდა კარგად; დაგვაჯდუმლებდა ბაღნებ, გვიყვებოდა, ტიროდა და ჩვენს გვაგრემლებდა. დედემ გვითხრა: ბაგრატ VII რომ იყო მეფე, ის გაამუსლიმანეს, არჩილ მეორეც, ვახტანგ V, როსტომ მეფეც, სვიმონ მეფეც, გიორგი XI, კიდევ სხვებიც (აღარ მახსოვს იმათი სახელებიო), მარა გულით ვის ემსახურებოდნენ? – ჩვენს დელე-ლურდანს, მემლექეთს!..*

*სულხან-საბამ რომ კათოლიკობა მიიღო, რისთვის მიიღო? – საქართველოსთვის! – ეგებ რამე ვუშველოო.*

*რწმენითვის კაცი არ დეიზრაბება!..*

*წყალი მიდგებ-მოდგება და თავის პირველ კვალ დუღბრუნდება მაინც!“ (ზოსიძე 2015: 264).*

ამიტომაც სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ ნური ეფენდიმ ზაქარია ჭიჭინაძესა და თედო სახოკიას მთელი ზემო აჭარა ფეხითა თუ ცხენით შემოატარა, რომლის დროსაც არა მარტო სოფლები გააცნო, არამედ საგულდაგულოდ დაათვალიერებინა უძველესი ციხესიმაგრეები თუ ეკლესიათა ნანგრევები – ოდესღაც მართლმადიდებელი ქვეყნის ისტორიის უტყვი მოწმეები.

დიახ, მაშინ სხვა საშუალება არ იყო მაღალკადემიური განათლების მიღებისა და იმისთვის მიდიოდნენ სტამბოლსა თუ ანკარაში, მაგრამ მათ არასდროს დავიწყებით, რომ, უპირველეს ყოვლისა, ქართველები იყვნენ თხემით ტერფამდე. ამიტომაც არც ის გაგკვირვებია, რომა ბათუმის ხ. ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცულ ლომან ეფენდი ქარცივამის

---

<sup>28</sup> ახალციხის ფაშებს – ჯაყელებს და აჭარის მოსახლეობასაც ოსმალები სძულდათ (უმიკაშვილი 1877; მგელაძე ვლ. 2014: 134).

ფონდში (№74) შეგვხვდა არაბულ-ოსმალურად დაწერილი „მომართვა ლივანის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი“.

რასაკვირველია, იმაზე აღარაფერს ვიტყვით, რომ აჭარელი დიასახლისები ოსმალთა ბატონობის შავზნელ ხანაშიც კი ჯვარგამოსახულ მჭადსა და პურს აცხობდნენ („მჭადზე ხშირად გაუცნობიერებლად დასმული ჯვარი ხომ ის გენეტიკური კოდია, რომელიც ყოველგვარ ძალადობას აღუდგება წინ!“ – ბაკურიძე 2014: 15). უფრო მეტიც, ნური ეფენდის შვილთაშვილის – გურამ ბერიძის ოჯახში, კრწანისში, დღემდეა შემორჩენილი დიდი პაპის ნაყიდი ყალიბი ნამცხვრისა, რომელზედაც ქრისტიანული ჯვრებია ამოტვიფრული და რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სათუთად უფრთხილდებოდნენ თითქმის ორი საუკუნის მანძილზე, ახლაც ასრულებს თავის ფუნქციას – სიტკბოს არ აკლებს ბერიძეთა დიდ საგვარეულოს.

საგანგებოდ აღვნიშნეთ, აღარაფერს ვიტყვითო, მაგრამ შეუძლებელია ამ წიგნში არ მოხვდეს გაზეთ „აჭარის“ 1999 წლის 9 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატია ნიკოლოზ დუმბაძისა სათაურით „ჩემი რექტორის ცრემლები“, რომელიც ეხება დიდი მეცნიერისა და მწერლის ახუსერბიძე ტბელის ნათელი ხსოვნისადმი მიძღვნილი დღესასწაულის აღწერას სოფელ ხიხაძირში 1979 წლის 13 ოქტომბერს. რა ატირებდა დიდებულ მამულიშვილს პროფესორ ვლადიმერ ქემხაძეს – ნური ეფენდის მეგობრის – სტეფანე ქემხაძის ბრწყინვალე შვილს? მოვუსმინოთ ავტორს: „სუფრაზე თვალი მოვკარი, ბატონი ვლადიმერი მჭადის ქერქს ახვევს ქალალდში და ცრემლებს იწმენდს. შევშფოთდი, აღარ ვიცოდი, რა მექნა და მოწიწებით ვეახელი რექტორს.“

– ხედავ? აჭარლები მჭადზე ჯვარს რომ ასვამენ, ეს საოცარი ჩვეულებაა, ქართული სულის მარადიულობის გამომსახველი. ქერქის ეს ნატები იმად მიმაქვს, რომ შვილიშვილებს ვუჩვენო, რადგანაც ასე, თვალის ერთი გადავლებით, წა-

კითხული ისტორია სულ სხვანაირი ემოციებით აღიქმება. მიხარია და მემამყება, პატარა წვლილი რომ მიმიძღვის ამ კუთხის მკვიდრთა სწავლა-აღზრდაში, მაგრამ გულიც მწყდება იმავდროულად – თვისტომთაგან ბევრმა არ იცის ხეირიანად, თუ რაოდენი ამაგი დასდეს აჭარლებმა საქართველოს გადაარჩენას – სინანულით თქვა რექტორმა“.

არაჩვეულებრივი მოგონებები აქვთ „დიდად გონიერი და პატივცემული ყადის“ შესახებ ღვაწლმოსილ ქართველებს – ზაქარია ჭიჭინაძეს, თედო სახოკიას, აპოლონ წულაძეს – „ქრთველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიურ წევრებს. გულდია მასპინძელი, რომელიც სტუმრებისთვის არაფერს დაინანებდა, სულ მობოდიშებით ამთავრებდა თურმე პურობას – თქვენი საკადრისი პატივი ვერ გეცითო – და არა მარტო მარეთის, არამედ ღორჯომის ხეობაშიც თან დაჰყვებოდა მათ. ცნობილია, მაგალითად, რომ ნური ეფენდიმ ზაქარია ჭიჭინაძეს მიაწოდა დეტალური ცნობები 92 სოფლის მაშინდელი ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ (იხ. ჭიჭინაძე 2013: 222-232), რაც ვფიქრობთ, ძალიან გამოადგებათ თანამედროვე ეთნოლოგებს ქართული სოფლის სტრუქტურის ისტორიული კვლევის თვალსაზრისით.

იმასაც გადმოგვცემენ, რომ თედო სახოკიას ყადისაგან არაერთი თქმულება ჩაუწერია, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ კვალს ჯერჯერობით ვერ მივაგენით. სპეციალურ ლიტერატურაში (ბერიძე 2003: 151; სურმანიძე 2015, №5) გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ აბაზა ბერიძისა და ფარნა ჭინკაძის შვილის ქიშპობის (იხ. სახოკია 1950: 206) ცნობილი ამბავი სწორედ ნური ხოჯასაგან უნდა მომდინარეობდეს – ნეტარ არიან მორწმუნენი! არა გვგონია, ისეთ გონიერ კაცს, როგორც ეფენდი იყო, სტუმრისთვის ეამბნა ბერიძეთა ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენლის არცთუ მთლად სახარბიელო თავგადასავალი.

აპოლონ წულაძის აზრით, „მიუდგომელი სამართლიანობით სახელგანთქმული ყადი ისეთივე მამულიშვილია, როგორც: ახმედ ხალიფაშვილი, სკანდერ ცივაძე, გულო კაიკაციშვილი, დედე ალა ნიჟარაძე“ (წულაძე 1991: 23).

საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიული მუზეუმის მონაცემთა მიხედვით, "Нури Эфенди-руководитель духовных дел всего Верхне-Адjarского участка, человек пользующийся большим почётом населения, очень умный и хитрый". როგორც ჩანს, მაშინდელმა ადგილობრივმა (რუსულმა) ხელისუფლებამ სწორი ალღო აუღო ნური ეფენდის პოლიტიკურ პერიპეტიებს, რაკილა მის „ემმაკობასაც“ გაუსვა ხაზი, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ემმაკი კი არა, ძალზე მოხერხებული იყო სტამბოლში განსწავლული ყადი და ამ თვისებასაც დედასამშობლოს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში იყენებდა. სპეციალურ ლიტერატურაში ზეგნელთა შესახებ გარკვეული აზრია ჩამოყალიბებული („წყნარი, უემმაკო ხალხია და უფრო დინჯ ცხოვრებას მისდევენ“ – ჭიჭინაძე 2013: 216), ამიტომ ალბათ არც ნური ბერიძე (როგორც აქაური მკვიდრი) იქნებოდა გამონაკლისი, მაგრამ იმასაც ხომ ამბობენ, **ემმაკობა ჭკუააო** – ჰოდა, ნური ეფენდის ამგვარი ჭკუის დემონსტრირების ერთ-ერთი ეპიზოდი გვინდა გავახსენოთ მკითხველებს:

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების (1878 წ.) შემდეგ ახლად შეერთებულ ოლქებში რუსეთმა თავისი მმართველობა დააწესა. იმ პერიოდში აჭარასა და ტაო-კლარჯეთში დასახლებულ უმველეს ქართულ მოსახლეობას, ძირითადად, ისლამის სარწმუნოება ჰქონდა მიღებული. ამ ფაქტორის გათვალისწინებით ხელისუფლებამ რუსული კანონმდებლობით მომუშავე სასამართლოების პარალელურად დატოვა მუსლიმანური შარიათის მართლმსაჯულებაც (ალბათ დროებით!). ყველა ადმინისტრაციულ უბანში შარიათის კანონებს ახორციელებდა

სპეციალურად შერჩეული პირი – უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე მაღალავტორიტეტული პროფესიონალი – ყადი. ზემო აჭარაში ამ თანამდებობაზე დაინიშნა მიუკერძოებელი სამართლიანობით გამორჩეული ეფენდი ნური ბერიძე, რომელსაც თავისუფლად შეეძლო ძალზე უბრალოდ, მაგრამ იმავდროულად საოცარი სიამაყით ეთქვა ის, რაც მისმა თანამედროვე დიდმა ქართველმა მამულიშვილმა იაკობ გოგებაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა: ისეთი მოკავშირის წყალობით, როგორცაა სიმართლე, ერთხელაც არ დაგმარცხებულვარო (გოგებაშვილი, IV, 1955: 303). ალბათ ისინი ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ კიდევ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ გამართულ ღონისძიებებზე კიდევ ერთი დიდი ქართველის – მემედ აბაშიძის წყალობით.

ოსმალთა იმპერია ვერ ეგუებოდა დაპყრობილი ტერიტორიების დაკარგვას და ყოველმხრივ ცდილობდა იქ მცხოვრებ მუსლიმანთა გადაბირებას. ამ მიზნით ის ხშირად აგზავნიდა აჭარაში სპეციალურ ჯაშუშებს („ჩეთნიკებს“) მოსახლეობაში თურქული ორიენტაციის აგიტაციისთვის. ერთ-ერთი ასეთი აგენტურის შესახებ არის მოთხრობილი 1912 წელს ჩატარებული სასამართლოს 400 გვერდიან ოქმებსა და მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში.

სპეციალური აღნიშვნის ღირსია საქმის წარმოების იმდროინდელი მაღალი კულტურა, დასაბუთებული არგუმენტაცია. საბეჭდ მანქანაზე შესრულებული ტექსტი, ძირითადად, რუსულ ენაზეა, ალაგ-ალაგ კი მოწმეთა დაკითხვის ოქმები მშვენიერი ქართული კალიგრაფიითაა წარმოდგენილი.

ამგვარად შეკრული „ნური ბერიძის საქმე“ ეხება თურქეთის აგენტთა ოთხკაციან ჯგუფს, რომელიც სოფელ სხალთაში შემთხვევით წამოეწია გზად მიმავალ ყადის. ამ დროს მას, როგორც მუსლიმან სასულიერო პირს, მაშინდელი ეტიკეტის მიხედვით, სპეციალური ქუდი – სარუდი ეხურა; ამიტომ ჯაშუ-

შემა იგი თავისიანად (თურქოფილად) მიიჩნიეს, გამოუტყდნენ თავიანთი ჩანაფიქრის თაობაზე და თანადგომა სთხოვეს „წმინდა“ საქმეში. ნური ეფენდის დიპლომატიამ გაჭრა – „მოთაფლული“ საუბრით მან „ჩეთნიკების“ ნდობა დაიმსახურა; ამასობაში კი ყველანი სხალთის ადმინისტრაციულ ცენტრში აღმოჩნდნენ, სადაც რუსმა ჩაფრებმა დააპატიმრეს ჯაშუშები, ბადრაგით გადაიყვანეს ხულოში და იქ საპრობილეში ჩასვეს.

რამდენიმე დღის მერე პატიმრები ციხიდან „გაიქცნენ“. შემდგომში გაირკვა, რომ „ჩეთნიკებმა“ ჩაფრები დაქრთამეს, მათი გათავისუფლება კი ნური ბერიძეს დაბრალდა. სწორედ ამის გამო ჩატარდა საგამოძიებო მოკვლევა (ვიმეორებთ! – 400 გვერდის მომცველი), რასაც მოჰყვა სასამართლო პროცესი. ბრწყინვალე ყადიმ, თავის დროზე „დიდი პროფესორის“ – ლომან ეფენდი ქარცივადის საუკეთესო მოწაფემ, იურისპრუდენციაში ფრიად განსწავლულმა, დასაბუთებული და უეჭველი არგუმენტაციით საჯაროდ გააქარწყლა მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების ყველა პუნქტი, რის შედეგადაც ის გაათავისუფლეს, ციხის მცველი რუსი ჩაფრების წინააღმდეგ კი საქმე აღიძრა. ამ დროს ნური ბერიძე 67 წლის გახლდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს განაჩენს თან ერთვის მოხსენებითი ბარათი კავკასიის მეფისნაცვლის ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის სახელზე, სადაც მოკლედაა აღწერილი „ნური ბერიძის საქმის“ ძირითადი არსი და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, გამოკვეთილია სასამართლოს აზრი ცარიზმისა და თურქეთის მმართველობისადმი აჭარის მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ. საგანგებოდაა ხაზგასმული ის, რომ რუსეთის პოლიტიკის მიმართ ადგილობრივ მოსახლეობაში დადებითი განწყობის დამკვიდრების საქმეში დიდი როლი ეკუთვნით ნური ბერიძეს და აჭარის მმართველ ბეგებს.



სასამართლო პროცესზე სხვა დროსაც (1915 წლის 17-19 სექტემბერს) აღმოჩნდა უებრო ყადი და ღვაწლმოსილი მამუ-ლიშვილი (სიორიძე 2002: 136) – პროგრესულად მოაზროვნე აჭარლებთან ერთად მხცოვან მოსამართლეს რუსეთის დალა-ტი დასწამეს, მაგრამ მათ ამ დროს მთელი საქართველო იცავ-და (სურმანიძე 2004: 73);

სხვებთან ერთად ქართველ მაჰმადიანთა დაცვა-გადა-რჩენის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ზემო აჭარის სო-ფელ ფურტიოს კანცელარიის მწერალს სტეფანე ქემხაძეს, რომლის გაბედულებამ მაშინ ბევრი განწირული იხსნა სასჯე-ლისაგან (ქემხაძე 1958: 35; სიორიძე 2005: 135).

უფრო მეტიც – „სახალხო ფურცელმა“ (1915 წ., №390, გვ. 3) შეაჯამა 27 სასამართლო პროცესი და გამოაქვეყნა საგანგებო პუბლიკაცია „აჭარლების გასამართლება“, რომელშიც ნათქვა-მია: „თვით ბრალმდებელმა განაცხადა, მე ბრალს არ ვსდებ აჭარის მოსახლეობას“. რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემაც კი თავის ტელეგრამაში (2.II.1915 წ.) მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისადმი ბათუმისა და ყარსის ოლქების მო-სახლეობაზე თავს დატეხილი განსაცდელი შეაფასა არა დალა-ტად, არამედ – უბედურებად (სიორიძე: იქვე).

იმავე წლის გაზით „საქართველოს“ 101-ე ნომერში სტა-ტიაში „ხოჯა ნური ეფენდი ბერიძე“ ზაქარია ჭიჭინაძეს „სა-მღრთო ვალად“ მიაჩნია მისი დაცვა, რადგანაც „ზეგნის სოფ-ლებიდან რომ თითო-ოროლა კომლი მიდიოდა ოსმალებით, ეს სულ ამ ხოჯას და ასეთ პირთა საქმე იყო... ნური ეფენდის კარგად ესმოდა საქართველოს შინაური საქმეების პირობები. იგი სხვა ხოჯებზეთ ფანატიკი არ გახლდათ, იყო წმინდა მუსლიმანი, ხოლო მასთან შეგნებული ქართველი... კეთილის მოსამართლეობით ნური ეფენდი ცნობილი იყო მთელს აჭა-რაში. რაც კი ძნელი, მძიმე სადავო იყო და მას მეჯლისი და ყა-

**დები ვერ დააშოშმინებდნენ, იმას ყოველთვის ნური ეგენდი ახერხებდა. იგი იყო რუსეთის მთავრობის და კანონის მომხრე..., რუსული ენის შესწავლის პატივისმცემელი, ბათუმის გუბერნატორის კანონებსაც მეჯლისში ყოველთვის დაუბრკოლებლივ ესარჩლებოდა. საზოგადოდ, ნური ეგენდი იყო მეტად გონიერი სასულიერო პირი..., დღეს კი ასეთ პირს რუსეთის მთავრობის წინაშე ვიღაცა მეჭორეების წყალობით მოღალატედ სთვლიან და ასამართლებენ სახელმწიფო ღალატში. ჩვენის ფიქრით ეს უნდა იყოს ცილი, ჭორი და ბოროტება, ვინაიდან მოხუც ბერიძეს რამდენადაც პატივისმცემლები და მომხრეები ჰყავდნენ, იმათზედ მეტი მტრებიც გახლდენ, რომელნიც მის დასაღუპად არაფერს ცილს სულ არ მოერიდებოდნენ...“**

ეკ, უნებლიედ გვახსენდება ჩვენი დიდებული მწერლობის დამამშვენებელი კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილი სიტყვები: **„ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა; ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი ხალხის მოღალატენი; თვით ჩემს მსტოვარებში ნახევარი ბიზანტიელებს ჰყავდათ შესყიდული, ნახევარი – სარკინოზებს. როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას... თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის, რადგან ჯერ არსად გაუმარჯვნიათ მშიშრებსა და მსტოვარებს... ჩვენი უბედურებაც ეგაა – სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს, ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი... ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს – მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დაგვორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.** – რა საოცარია, რომ ამ სიტყვებს ამბობს თავად მეფე გიორგი I,

სახელოვანი ბაგრატი კურაპალატის ღირსეული მემკვიდრე! კიდევ უფრო საოცარი ისაა, რომ ჯერ თურქეთის, მერე კი შავრაზმული რუსეთის აჭარაში ბატონობის პირობებში როგორ შეძლო ნური ბერიძემ ის, რაც მოახერხა. ასე მაგალითად:

მისთვის, როგორც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრისთვის, სრულიად ნათელი იყო დედააზრი დიდი ილიას გამონათქვამისა „ენა დედაა ერისა“, ამიტომაც აშკარად გამჭვირვალეა ყადის დამოკიდებულება ხულოს მეჯლისში შესული ერთ-ერთი საჩივრის ავტორის მიმართ:

1891 წელს ერთმა მაჰმადიანმა ქართველმა ხოჯამ მოითხოვა იმ კაცის დასჯა, რომელმაც მას თავის მრევლში შეურაცხყოფის მიზნით „ქართველი“ უწოდა. ამ ფაქტის შესახებ გაზეთი „საქართველო“ (1915, №101) წერდა:

„– თქვენს სახლში ქალ-ბაღანა რა ენაზედ ლაპარაკობს?

ხოჯას პასუხი იყო, რომ გურჯისაზეო; სიტყვა ქართველი არ ახსენა, მაშინ ნური ეფენდიმ ასე აუხსნა:

– გურჯი ოსმალური სიტყვა არის და ჩვენებურს ენაზედ იგი ნიშნავს ქართველს. შენი ქალ-ბაღანა თუკი სახლში ამ ენაზედ ლაპარაკობს, მაშ იმას სწორედ უთქვამს შენთვის და ამიტომ მის დასჯის თხოვნას თავი დაანებეთ.

ნური ეფენდიმ დააწყენარა ხოჯა და საჩივარიც გაუქმებულ იქნა მეჯლისში“.

1895 წელს გაზეთმა „ივერიამ“ (25 ივლისი, სამშაბათი, №156) გამოაქვეყნა შემდეგი ინფორმაცია: „სხალტაში ორნი ძმანი ყოფილან, ერთი მალე გათათრებულა და ამიტომ სხვა სოფელში გადასახლებულა. ამისთვის თათრულეზ ოსმანი უწოდებიან, მეორე ძმა კი სხალტაში დარჩენილა ქრისტიანათ. ორ ძმას შუა მამულების შესახებ ჩხუბი და დავიდარაბა ამტყდარა. ამათი საჩივარი გაურჩევია სხალტის უფროს

მღვდელმთავარს და მომჩივანი დაუშოშმინებია. ამ საქმის გუჯარი ჰქონია სოფელ ხულის ხოჯას, ჰაჯი ნური ეფენდი ბერიძეს... გუჯარი წაიკითხეს, გაარჩიეს და 185 წლისა აღმოჩნდა“.

ჩვენს ხელთ არსებულ საარქივო დოკუმენტებსა და სპეციალურ ლიტერატურაში ნური ბერიძეს არსად ეწოდება ჰაჯი. თუ „ივერიის“ ცნობა ზუსტია, მაშინ გამოდის, რომ სახელოვან ხოჯასაც მოულოცავს მუსლიმანთა წმინდა ადგილები მექასა და მედინაში, თავისი სიმამრის – ლომან ეფენდი ქარცივადის მსგავსად, რაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

მაღალმთიან აჭარაში პირველი ქართული სკოლის დამაარსებელი ძალზე თავმდაბალი ადამიანი ყოფილა. მას არაერთხელ შესთავაზეს ბათუმისა და გონიოს მოსამართლის თანამდებობა, მაგრამ ყოველთვის დელიკატურ უარს ამბობდა – ზღვის სანაპიროს კლიმატი არ მიხდებაო; არწივის ბუდესავით ზეცას მიკრული ზეგნის ტერიტორია ყოველგვარ ბედნიერებასა თუ პირად კეთილდღეობას ერჩია.

მეცნიერების მრავალ დარგში განსწავლული სანაქებო იურისტი ნური ბერიძე ხშირად მონაწილეობდა არაერთი სახელმწიფო თუ საგანმანათლებლო კომისიის მუშაობაში. ასე მაგალითად: ის, როგორც აჭარის დელეგაციის წევრი, ქალაქ თბილისში ესწრებოდა რომანოვების დინასტიის არსებობის 300 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალს 1913 წელს და მისი ერთადერთი სურათიც, რომელიც დღემდე შემოგვრჩა, სწორედ ამ დღესასწაულზეა გადაღებული.

თავის დროზე ოსმალეთმა ქართველ თავადაზნაურობას ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მიანიჭა შესაბამისი თურქული წოდებები: თავადს – ბეგისა, აზნაურს – აღისა, გაიცა ტიტულთა ამსახველი სიგელებიც. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ მაღალი წოდების ქართული საზოგადოების მხოლოდ თითო-ოროლა წარმომადგენელს აღუდგინეს ძველი ტიტულები, ამიტომაც რუსეთის იმპერატორის ადმი-

ნისტრაციაში უამრავი თხოვნა შედიოდა წოდებათა დამტკიცების თაობაზე. ხელისუფლება იძულებული გახდა, შეერჩია სინდის-ნამუსით გამორჩეული, ავტორიტეტული, მიუკერძოებელი ადამიანები, რათა აჭარაში რუსეთის მმართველობის შემოსვლის შემდეგ შექმნილიყო მოსამართლეთა სახელმწიფო კომისია, რომელსაც უნდა განეხილა სოციალურ-წოდებრივი ტიტულატურის (Князь; Дворянин) პრობლემატიკა. წევრს ამ კომისიისა, რომელშიც გადამწყვეტი სიტყვა ნური ბერიძეს ეკუთვნოდა, მინიმუმ სამი ენა (რუსული, ქართული, თურქული) კარგად უნდა სცოდნოდა, რათა გულდასმით და იურისპრუდენციის მოთხოვნათა საფუძველზე დეტალურად გამოკვლეულიყო ყოველი კონკრეტული პიროვნების პრობლემატიკა. მაშინ არაერთმა არისტოკრატმა მოითხო ხელი, ნური ეფენდი კი არათუ „ამაღლდა“ წოდებრივად, არამედ ამ საკითხთან დაკავშირებით განცხადებაც კი არ შეუტანია განსახილველად.

მკითხველს მინდა დიდი სიამოვნებით ვაუწყო, რომ XIX-XX საუკუნეების აჭარაში გამორჩეული პიროვნების, ხულოს მეჯლისის წევრის, საოცრად სამართლიანი ყადის ნური ბერიძის ღვაწლის შესახებ პროფესორი რამაზ სურმანიძე (წინამდებარე წიგნის სარედაქციო საბჭოს თანათავმჯდომარე) ამზადებს სპეციალურ მონოგრაფიას და რომ იტყვიან, „სამართალმა პური ჭამა“-ო, სწორედ ასეთი სიტუაცია გვექნება მომავალში, მანამდე კი დავიმოწმებთ ამონარიდს ბატონი რამაზის ერთი სტატიიდან, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალში „ლაკლაკეთი“ (№5, 2015 წ.): „ვეფიქრობთ, ოლადაურის ინტელიგენცია იზრუნებს იმაზე, რომ ნური ბერიძის – ღვაწლმოსილი პიროვნების, ჩინებული აღმზრდელის, მიუკერძოებელი მოსამართლისა და ქართველი პატრიოტის – სახელი მიენიჭოს მის მიერ საუკუნის წინ დაარსებულ ოლადაურის სკოლას“.



ბათუმის ოლქის დეპუტაცია თბილისში რომანოვების მეფობის 300 წლის იუბილეზე 1913 წელს.

მარცხნიდან

I რიგში: ოსმან კურდიკიძე (იმერხევი), ჯეფერ მიქელაძე (აჭარა), თემურ ბეგ ხიმშიაშვილი (აჭარა), ადულ ალა (აჭარა), შევქეთ გოგორაძე (შავშეთი);

II რიგში: თოფან ბეგ შერვაშიძე (აჭარა), რეჯებ შაშიკაშვილი (ბათუმი), ყადი ნური ეფენდი ხერიძე (აჭარა), მემედ სარაჯოღლინაგაშიძე (ბათუმის მუფთი), ისაკ ხალვაში (მარადიდი), რეჯებ ბეგ ნიჭარაძე (ბათუმი), ყემხერ ალა ხარაზი (ქობულეთი).

III რიგში: ასლან ალა ჯიჯარაძე (შავშეთი), ქერიმოღლი (შავშეთი), შუქრი თურმანიძე (აჭარა), აზმი ეფენდი ყუმბაძე (შავშეთი), თორუნ ფანეჯიძე (იმერხევი), ჰაიდარ ბეგ ხიზინიშვილი (ბათუმი)

Deputation from the Batumi Region in Tbilisi in 1913 at the 300<sup>th</sup>  
anniversary of the reign of the Romanovs.

From the left:

In the 1<sup>st</sup> row: Osman Kurdikidze (Imerkhevi), Jefer Mikeladze (Ajaria), Temur Khimshiashvili (Ajaria), Adul Aga (Ajaria), Shevket Gogoradze (Shavsheti);

In the 2<sup>nd</sup> row: Tofan Beg Shervashidze (Ajaria), Rejeb Shashikashvili (Batumi), Qadi Nuri Effendi Beridze (Ajaria), Memed Sarajogli-Nakashidze (Mufti of Batumi), Isak Khalvashi (Maradidi), Rejeb Beg Nizharadze (Batumi), Qember Aga Kharazi (Kobuleti);

In the 3<sup>rd</sup> row: Aslan Aga Jijaradze (Shavsheti), Kerimogli (Shavsheti), Shukri Turmanidze (Ajaria), Azmi Effendi Qumadze (Shavsheti), Torun Panejidze (Imerkhevi), Haidar Beg Bibineishvili (Batumi).

## **Haji Loman Effendi Kartsivadze and Qadi Nuri Effendi Beridze**

Georgia is a country of the greatest and ancient culture – this elementary truth has been long well known for intellectual society throughout the world. In Georgia those people who have brought *“Georgia with its turquoise-like sky and emerald-like land”* up today have always been greatly respected. We were (and are still) tolerant towards the followers of all religions. But in the Soviet period it was difficult to pay ancestors a proper respect. Among them was outstanding **Loman Effendi Kartsivadze** under the name of “Gurji Haji” “Great Professor” of the Istanbul University, i.e. the **first honorable Professor in the Maredi Gorge**, a tutor of the heirs to the throne of the Sultanate of Turkey, a prominent public and theological figure, versatile scholar, divine man of the second half of the 19<sup>th</sup> c. whose **200<sup>th</sup> birth anniversary** has been celebrated just recently. There is not much information about him and if there is any it has been preserved fragmentary in Georgian, Ottoman, Arabic and Russian publications and in the archaic materials. Today it is very topical to speak about the contribution of the people like Loman-Effendi, for just such people fought for better future of our homeland. If not ‘Gurji Haji’ and his followers, a Georgian man would have no longer lived in one of the most beautiful and richest regions of Georgia – Ajaria and who knows what ethnic people this place would have been inhabited by!

We tried to carry out fundamental and academic study on Loman Effendi’s life for what we used new research methods of culturology, modern technological processing means of archival materials.

And still who was Loman Kartsivadze? In the second half of the 19<sup>th</sup> c. he was the most authoritative person in Upper Ajaria (Makardze 2003:98). I’ll try to show his contribution as fully as



possible for when the program "*Morning wave*" of the Ajaria TV was broadcasting the information about Loman Effendi, a program presenter suddenly shouted: "*Shamefully for me! I knew nothing about him until today – what a great man we – Georgians have!*"<sup>29</sup>. Just right then we decided to create a scientific project in order to give good examples of the activities of the worthy ancestors to middle and old generations – it is especially necessary today, in complicated political and social epoch, when our tiny but a picturesque country is observed with the eye of custom.

Loman Kartsivadze was born in 1812 in the village Oladauri (Upper Ajaria), in the family of local headman (*mukhtari*) Ali M. Kartsivadze. For at that time Ajaria was separated from mother-Georgia, Georgian educational space, local youth had to go to the famous universities (Cairo, Baghdad, Damascus, Istanbul) within the Ottoman Turkey's borders to acquire education.

In the Mareti Gorge the Kartsivadzes family was distinguished by strong craving for education. They lived in affluence. Therefore, with the help of his parents, Loman Effendi left for the ancient town of the central Anatolia – **Kaiser** to continue his studies. According to the 1834 census materials which are preserved in Ottoman Turkey's archive, at that time in this town there were studying only two young men from the village Oladauri – Lomani and Ahmed. By that time Loman had the title of Mullah (*molla* is an Arabic word and in Georgian it means 'educated, doctor of Muslim Law, a pupil of theological school').

Exceptional talent, remarkable diligence, aspiration towards foreign languages and analytical knowledge showed his worth in many fields of science: he was a pedagogue at secular as well as religious and military institutions in Istanbul. He was a Sultan

---

<sup>29</sup> A short film has been prepared on initiative of the head of the Batumi Niko Berdzenishvili Institute Prof. Roin Malaqmadze and Prof. Shushana Putkardze.

Abdul Mejid's advisor and "Great Professor" of Fatih madrasa of the Istanbul university. Effendi enjoyed great prestige at the court, had the highest title of **Sheikh-Ul-Islam** (only a few Georgians enjoyed that!) and all bore his opinion in mind. **He repeatedly pilgrimed to Mecca and Medina.**

Still homeland was the most valuable for Loman Effendi Kartsivadze. Just due to it in old age he left luxurious life and returned to native Oladauri. He greatly helped his village – he saved his neighbors from islamization (didn't allow them to go as Muhajirs!) and opened schools for them in homeland. Georgians greatly valued their respectful professor, as well.

Heartbreaking is a poet Petre Umikashvili's one unpublished article which was especially researched by an ethnologist Vladimer Mgeladze who unfortunately passed away: *"Christian Georgia is deeply concerns about Muslim Georgians. If the Ajarian population entirely die out in unequal battle or move in Ottoman Turkey, a question arises: "What use a desolated and depopulated place is to us if the place saturated and protected with the blood of our ancestors is abandoned by our descendants?!"* (Mgeladze 2014: 136).

Clear memory on Loman Effendi Kartsivadze was especially kept by the descendants of the Muhajirs who had moved from Oladauri and Jumushauri.

In 1989 at the ceremony of the 100<sup>th</sup> anniversary of Loman Effendi's death, Prof. Shushana Putkaradze met her 100 year-old great-grandmother **Muntaha Nene** who in 1903 had been taken to Ottoman Turkey as a Muhajir by her parents. She was often holding amber beads and counting:

*"I am praying for well-being of my Ajaria, my Oladauri and Jumushauri and asking the Creator God to be close to our great Khoja – Loman Effendi. I know he is in the Paradise as he was saint in his life. I want to be close to him. This tespa (beads) is a great keepsake (memorable thing) for me. Great Loman Effendi*

*presented it to my sister. My sister lived on the other side of Oladauri, she married Paposhvili. When we were moving she had just given birth and was lying in bed. My mother and I saw her before leaving and took leave. She gave me this tespa in memory and said: "Ask the God to return". But we could not return. When I die my soul will fly away and I will see my Ajaria, will fly over my house and yard and my tears will wet the grave of great Loman Effendi like the morning dew" – she told the Professor of the Batumi Shota Rustaveli State University.*

If we knew nothing more, only these 100-year-old woman's thrilling words are sufficient to be focused the attention of contemporary kartvelologists, turcologists and semitologists on the first professor of Ajaria. Loman Effendi really deserves this!

Many recollections which then became legends were revived in the orally transmitted folklore of the Muhajir Georgians. Some legends are about Loman Effendi Kartsivadze's miracles. They say: his praying reached to the God and people's difficulties were overcome.

*"Once when a ship was taking the Muhajir Georgians from Batumi to Istanbul among them there was Loman Effendi. When the ship was in the middle sea suddenly the weather changed: terrible storm rose, and the ship was in danger of sinking. Passengers asked a higher theological person to ask the God for help. Indeed, a white-bearded old man come onto a deck and with tearful voice asked the God to save people. After the prayer the storm fell, the sea died down. And the passengers peacefully arrived in the appointed place" – narrates this legendary reality Asie Baikozishvili – a woman who went as Muhajir from Oladauri.<sup>30</sup>*

---

<sup>30</sup> In detail about Loman Effendi Kartsivadze's merit in Istanbul and Georgia see the Shushana Putkaradze's and Ramaz Surmanidze's articles which are dedicated to the 200<sup>th</sup> birth anniversary of Great Haji.

In the 19<sup>th</sup> c. the Ajarian population who resided in Turkey, almost became a victim of treacherous ambitions of two great empires. But despite living in the Islamic environment Ajarians could protect Georgian lifestyle and cultural traditions: they imposed ethnic function upon ancient traditional customs, native language, so called “woman’s handwriting” by what they opposed the Ottoman lifestyle based on Islam that was and still is a basic precondition of national self-assertion (Khakhutaishvili 2011, II: 278).

During Loman Effendi’s career in Istanbul nobody could treat Georgians badly. But unfortunately he was badly treated in our reality. Firstly, only one photo of him was preserved. Secondly, nobody can complain of a lack of information about him, since in Georgian fundamental book “*Georgians of Ottoman Turkey*” (author a local Prof. Murat Kasab) that has been recently published in Istanbul, Loman Effendi Kartsivadze isn’t mentioned. We suppose that in Turkey there has been still maintained a ban on their loyal professor who had preferred living in the beautiful palace carved with a pure gold to living in difficult social conditions and climate of his native village. The way in search of a better future for his native people led him in St. Petersburg – he was even invited to the inauguration of Alexandre III. His house in highland Ajaria was built by famous Laz craftsmen. Unfortunately the house was accidentally (!) burned. But excellent offspring of great ancestor restored the house from ashes again by Lazes and it is still proudly standing in Oladauri. Nearby there is a Loman Effendi’s ordinary grave. On the gravestone there is engraved a tree of life and Turkish epitaph.

Public figures like “Gurji Haji” live forever. But generation should never forget their deeds! Just due to this it is necessary to study their contributions scrupulously!

Among the Georgian public figures of the 19-20<sup>th</sup> cc. Qadi **Nuri Effendi Beridze** should be distinguished. He was a son of **Akhmed Beridze** who was called Inja Qadi ( 'the most sacral and righteous judge'). He was himself a righteous, as well (Tsuladze 1991:23). They were Upper Ajarians, inhabitants of Purtio. Both have contributed greatly to the development of social, cultural and educational life of the contemporary society.

Purtio is one of the oldest villages in Upper Ajaria. There archeologists can find Christian and paganism remains. This is supported by the archaic names of it as well as of a neighboring village Neni (Surmanidze 2004: 70).

In old Georgian *purto-j* means 'glowing embers/coins' which supposedly is connected with *put-* ('smoke', *fig.* 'family, hearth') attested in the Ajarian, Gurian and Imerian dialects. According to Sul Khan-Saba Orbeliani, *didi puti* 'big smoke' is 'bad smoke'; *put-* has two meanings: 1. *piti* – dry honeycomb; 2. stripped off tree bark. In Imerian dialect 'tree bark groove' is still called *put-i*. According to the eight-volume Georgian explanatory dictionary (editor-in-chief Acad. Arnold Chikobava) *put-i* denotes 'rotten and dry eroded tree', 'emptiness and hollowness in a tree trunk', 'very skinny hen'.

In the neighborhood of Ajaria, in Meskheti, near Vale, a lexeme *put-ur-o* denotes 'fruitless hills'.

In the Gurian dialect *put-ur-s-i* denotes 'an empty walnut/nut', in the Kiziq dialects – 'rotten firewood'. The metathesis forms of the word *pur-ut-i*, *pur-ut-s* denote 'lightweight' in Imerian, in Ingilo *pürt* denotes 'lung'. In the Ajarian dialects *put-n-s-j* is a masdar expressing a 'spit ting process'.

Thus, as it is obvious, there are semantic and structural diversity of the analytical lexemes according to *put-/pur-* root. A question arises: whether we are dealing with one root ( with *r*

sonor in inlaut or without it) or different roots. To this point it is essential to bring relevant Laz, Megrelian and Svan roots to carry out comparative and etymological analysis – until the issue on origin of the toponym **Purtio** couldn't be resolved scientifically.

Throughout Georgia (especially in Svaneti, Pshavia, Khevsuria and in highland Ajaria) the great name of the King Tamari is associated with many temples, towers, bridges and other historical monuments. This is reflected in oral narrating, legends, verses and toponyms. *“Nobody has been born equal to our blessed Queen over the world yet”* – say the inhabitants of Ajarian (Please, recall: *“Tinatin rivalled the sun, which attempted in vain to outshine her.”*).

ღია გაკვეთილს სასწავლო ნაწილის გამგე და კიდევ რამდენიმე მასწავლებელი ესწრება; კლასში 27 მოსწავლეა. გაკვეთილის თემაა „უკრაინა“. საშინაო დავალებას პედაგოგი რამდენიმე ეტაპად ყოფს. დაფასთან პირველი გამომსვლელი უკ-

რაინის ჰავაზე, მეორე – დიდ ქალაქებზე, სხვები კი – საქართველოსთან ქვეყნის ისტორიულ კავშირებსა და მრეწველობაზე საუბრობენ. გაკვეთილზე დიდი დრო დაუთმეს უკრაინის ინდუსტრიული განვითარების განხილვას, რამაც ვახტანგ მასწავლებელი ცოტა ხნით წარსულში დააბრუნა, ამ დროს მის ხმას სინანულიც შეეპარა. „ახლა ისე კარგად ვერ მუშაობენ, როგორც საბჭოთა კავშირის დროს იყო, მაგრამ მაინც მუშაობენ...“ – დაამთავრა მან მოსწავლეები.

ვახტანგ მაკარაძე მოსწავლეთა მომზადების დონით კმაყოფილია. მისი აზრით, ნიჭიერი თაობა მოდის: წინათ სამ ჯგუფად ვყოფდით აღსაზრდელებს: მოწინავე, სამოსანი და ოროსანი. ახლა ორი კატეგორიაა, ერთი – მოწინავე, ვისაც სწავლა უნდა და მეორე – ვისაც არ უნდა.

ვახტანგ მაკარაძეს პედაგოგიური მოღვაწეობის 58 წლის გამოცდილება აქვს. ის ჯერ კიდევ 18 წლის იყო, როცა მართის ხეობის სოფელ ოლადაურის წერა-კითხვის უცოდინართა ჯგუფის მასწავლებლობა დაავალეს. ამ საქმეს 1939-1941 წლებში ემსახურებოდა, 1952 წელს კი, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ქალაქის მე-6 საშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა, ხოლო 1953 წლიდან დაბა შუახევის საშუალო სკოლის დირექტორად გადაიყვანეს. სხვადასხვა დროს ის მუშაობდა: შუახევის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ, ოლადაურის სკოლის დირექტორად, ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის გეოგრაფიის მეთოდური კაბინეტის გამგედ და ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ.

1985 წლიდან დღემდე ფერიის საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელია. ამავე სკოლაში მუშაობს მისი მოსწავლე თეონა აბაშიძე, ისიც გეოგრაფიის სპეციალისტია – ამ საგნისადმი მისი დაინტერესება და სიყვარული ვახტანგ მასწავლებლის დამსახურებაა.

*„იყო კარგი მასწავლებელი, ნიშნავს დაიბადო მასწავლებლად, ანუ უპირველესი გენეტიკაა, მეორე კი – სპეციალობის სიყვარული. ჩემი კრედიო პატიოსნება, შრომისმოყვარეობა და მეგობრობაა. ბავშვებს სულ ვეუბნები: არავის დაუჯეროთ, რომ სხვა ქვეყანაში ბევრი ფულია და იქ წასვლა სჯობს, ცხოვრება ფერიაშიც შეიძლება“, – ამბობს ვახტანგ მაკარაძე.*

*კოლეგებში დამკვიდრებულ აზრს, რომ მასწავლებლის შრომა დღეს საქართველოში დაუფასებელია, თავადაც ეთანხმება. „ანაზღაურებით თუ ვიმსჯელებთ, ნამდვილად დაუფასებელია, 260 ლარს ვიღებ ხელზე, რაც ძალიან ცოტაა. მგზავრობაში ბევრი მეხარჯება – აქ მოსვლამდე ორ სამარშრუტო მიკროავტობუსს ვიცვლი. ვიყოთ პირდაპირები, დეპუტატს სამი ათასი ლარი ხელფასი და მასწავლებელს – ორასი?! რას აკეთებს დეპუტატი? აიღე ხელი და დაუშვი, აიღე და დაუშვი! – ეს არის მაგათი საქმე“.*

*ვახტანგ მაკარაძე ყოველკვირეულად სკოლაში 18 საათს ატარებს.*

*ღია გაკვეთილის დასრულების შემდეგ ფერიის საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელმა ნანა ნაგერვაძემ მისი მოსწავლეების ნამუშევრების დათვალიერება შემომთავაზა. „ბავშვები ულამაზეს ნივთებს ქმნიან, მათი ფანტაზია უსაზღვროა, ძალიან მინდა, მათ მეტის გაკეთების საშუალება მივცე, მაგრამ გული მწყდება, რომ ჩვენს სკოლას სამუშაო მასალების ყიდვის საშუალება არ აქვს“.*

**P. S.** ბატონმა ვახტანგმა სულ ახლახან აჭარის განათლების, მეცნიერებისა და სპორტის მინისტრის, პროფესორ გიორგი თავამაიშვილის მადლობის სიგელი მიიღო ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის:



ახარის ავტონომიური რესპუბლიკის  
განათლების, კულტურისა და სპორტის  
სამინისტრო

## მადლობის სიგელი გადაცემა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის  
სოფელ ფერის საჯარო სკოლის პედაგოგს

### ვახტანგ მჟაპრუაძეს

ხანგრძლივი და ნაყოფიერი  
საქმიანობისათვის

აურის ა. გნალები  
კულტურისა და სპორტის მინისტრი  
გიორგი თაყაიშვილი

2014 წელს

ვუსურვებთ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს, რაც აჭარაში  
დღესაც კი არავის უკვირს.

ოლადაურის სკოლის ამაგდარი დირექტორის, შუახევის  
რაიონის განათლების განყოფილების ყოფილი გამგის, 92  
წლის ასაკშიც მოქმედი მასწავლებლისადმი მიძღვნილ ჩვენს  
სამადლობელს დავამთავრებთ მისი ყოფილი მოწაფის, პრო-  
ფესორ აკაკი ზერიძის სიტყვებით: „არიან ადამიანები,  
რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე გზას  
გინათებენ. სწორედ ასეთი იყო ვახტანგ მას-  
წავლებელი. ის ჩემთვის დღესაც ასეთია“.

**დღესაც ამბობს თავის სიტყვას  
სკოლა, ცოდნის ტაძარი,  
თაობების აღსაზრდელად  
იგი კვლავაც მზად არის.**



გადაშლილი ოლადაური – მრავალი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ღირსეული მასპინძელი.

სოფლის ცენტრში მოსულ სტუმარს შეუმჩნეველი არ დარჩება კაპიტალური ორსართულიანი სკოლის შენობა, რომელიც აგებულია 1972-1973 წლებში. მას შემდეგ სკოლას რემონტი არ ჰქონდა ჩატარებული. ამიტომაც ჩემი უპირველესი საზრუნავი ამ რემონტის ორგანიზება იყო. 2010 წელს თებერვლის თვეში შევხვდი შუახევის მაჟორიტარ დეპუტატს, საქართველოს პარლამენტის წევრს ბატონ ელგუჯა მაკარაძეს. ოლადაურის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულს კარგად ესმოდა ჩვენი ყველა ტკივილი. დაახლოებით ერთი თვის თავზე

ბატონმა ელგუჯამ უზრუნველყო USAID-ის დაინტერესება, რის შედეგადაც 2010 წლის ოქტომბრიდან 2011 წლის მაისამდე აღნიშნული ორგანიზაციის მიერ სკოლას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (სააქტო დარბაზის, სპორტული დარბაზისა და გარე ფასადის გარდა), შეიქმნა მყარ საწვავზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სისტემა.

2 მაისს სკოლის გარემონტების საზეიმო გახნას მუნიციპალიტეტისა და განათლების სისტემის სხვა უწყებების სტუმრებთან ერთად ესწრებოდა ამერიკის შეერთებული შტატების იმდროინდელი ელჩი საქართველოში, ბატონი ჯონ ბასი. **სოფელი ოლადაური, ოლადაურის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლე-ახალგაზრდობა კიდევ ერთხელ დიდ მადლობას უხდის ამერიკელ ხალხს ასეთი საჩუქრისათვის.**

სკოლის შენობის დარჩენილი ნაწილი (სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი და გარე ფასადი) გარემონტდა საქართველოს ბიუჯეტის დაფინანსებით. სამწუხაროდ, სამუშაოების შემსრულებელმა კომპანიამ გამოუმშრალი ხის მასალა გამოიყენა დარბაზების იატაკთა შესაკეთებლად, რის გამოც ისინი კვლავ შესაცვლელია... სამწუხაროდ, დღესაც არ გვაქვს კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი.

სკოლის განვითარებისათვის საჭირო იყო ინოვაციების შემოტანა. სწორედ ამ დროისათვის მივიღეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ USAID- ი ახორციელებდა სპეციალურ პროგრამას (Georgia Primary Education Project – GPRIED) საქართველოს სკოლებისათვის: დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და მათემატიკის მასწავლებლები კვალიფიკაციას აიმაღლებდნენ 18 თვის მანძილზე. **საქართველოს მასშტაბით საპილოტედ შეირჩა 122 სკოლა, მათ შორის ერთ-ერთი ოლადაურის საჯარო სკოლაც იყო.** აღნიშნული პროექტი დასრულდა მიმდინარე წლის ივნისში.

ამ დროის განმავლობაში სკოლის დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და მათემატიკის მასწავლებლებმა გაიარეს ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო ტრენინგები სრულიად უფასოდ, მეტიც – აღნიშნული ორგანიზაცია ანაზღაურებდა მგზავრობისა და კვების ხარჯებს. მასწავლებლების მიერ შეძენილ ახალ მეთოდებსა და უნარებს GPRIED-ი ამოწმებდა და აფასებდა თითქმის ყოველთვიურად. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ტრენინგები ჩაუტარდათ დირექტორებსაც სხვადასხვა თემაზე („სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა, სწავლების ინოვაციური მეთოდები და საკლასო დაკვირვება, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის შეფასება“). სკოლას გადაეცა მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსები.

ოლადაურის საჯარო სკოლაში ამჟამად 44 მოსწავლე ეუფლება ცოდნას. **გულდასაწყვეტია ის, რომ 1989 წელს აჭარის მაღალმთიანეთში განვითარებულმა სტიქიურმა მოვლენებმა გამოიწვია ჩვენი სოფლის მცხოვრებთა მიგრაცია.** ისინი ჩასახლდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ეს პროცესი დღესაც გრძელდება, რამაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდაზე.

სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმეს 21 პედაგოგი ემსახურება. თითოეული მათგანი დღენიადაგ მუხლჩაუხრელად შრომობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევისათვის. პედაგოგები თავიანთ მუშაობას წარმართავენ მოსწავლეებისთვის არა მარტო ინფორმაციის მიწოდებისკენ, არამედ მიღებული ინფორმაციის საშუალებით უვითარებენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ გამოადგებათ მთელი ცხოვრების მანძილზე.

სწავლებაში ინერგება სიახლეები. პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ ცალკეული საგნების მიხედვით გამართულ ტრენინგებში. ყოველი მათგანი ყველაფერს აკეთებს

იმისთვის, რომ სასწავლო პროცესი გახდეს უფრო საინტერესო და მიმზიდველი.

გულმოდგინე შრომას ყოველთვის მოაქვს თავისი შედეგი. ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ საატესტატო და ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

კლასის დამრიგებლების მიერ ჩატარებული ზნეობრივ-პატრიოტული შინაარსის ღონისძიებანი, ინტელექტუალური თამაშობანი, მოსწავლეთა მონაწილეობა შემოქმედებით კონფერენციებსა თუ სხვადასხვა ოლიმპიადებში ხელს უწყობენ ღირსეული და განათლებული მომავალი თაობის ჩამოყალიბების საქმეს.

ახალგაზრდები თავიანთ სიტყვას ხელოვნებაშიც ამბობენ. სკოლაში შექმნილი მხატვრული მუსიკალური წრის წევრები ყოველწლიურად წარმატებით გამოდიან რაიონულ თუ საქალაქო ოლიმპიადებში.

მეამაყება, რომ პროფესიით მათემატიკოსი უკვე მე-ნ წელია ვხელმძღვანელობ ოლადაურის საჯარო სკოლას; სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოსთან ერთად სისტემატურად ვზრუნავ მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმის სათანადო სიმალლეზე დაყენებისათვის, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, რითაც ვფიქრობ, ნათელ პატივს მივაგებ ჩემს წინამორბედ დირექტორებს.

ოლადაურის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თუ ადმინისტრაცია არ ღალატობს თავის წარსულ ტრადიციებს – ყოველთვის იყოს მოწინავეთა რიგებში, დამსახურებული პატივი მიაგოს სკოლაში ადრე მოღვაწე პედაგოგთა ნათელ ხსოვნას, გაზარდოს, ამრავლოს ახალი თაობა და იამაყოს განათლების სისტემაში, საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ჯანდაცვის, კულტურისა და სხვა უწყებებში მოღვაწე ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთა საქმეებით.



1915 წლის შემოდგომაზე აწკრიალდა პირველი ქართული სკოლის ზარი ოლადაურში. იმდენად დიდი იყო მშობლიური ენის, მეცნიერებისა თუ თეოლოგიის სხვადასხვა დარგის შესწავლის ინტერესი და სიყვარული, რომ ამ სოფლის მკვიდრმა, ყოველმხრივ განსწავლულმა ნური ბერიძემ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ძალისხმევით თავად დააარსა და საკუთარი სახლი დაუთმო სკოლას.

2015 წლის შემოდგომაზე 100 წელი შეუსრულდა მაღალ მთაზე დადგმულ ცოდნის ტაძარს.. პედაგოგიური კოლექტივი და მისი ხელმძღვანელობა ფუნდამენტურად ვემზადებით იუბილარი სკოლისათვის სათანადო პატივის მისაგებად.

„ცხოვრების ყველა სფეროს თავისი განზომილება აქვს. განათლების დარგი ყოველთვის პრიორიტეტული იყო. სწავლა-აღზრდა, როგორც საზოგადოების წინმსწრები ფენომენი, მომავალში უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს. ახალგაზრდობის ჰარმონიული აღზრდის, ცხოვრებისათვის მომზადების იდეები და კონკრეტული პრინციპები გაცხადებულია დამოუკიდებელი საქართველოს ახალ კონსტიტუციაში და განათლების შესახებ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში“ (წულუკიძე 2002: 5).

**გჯეროდეთ, – ღირსეული თაობების აღსაზრდელად სკოლა კვლავაც მზად არის...**

**მერაბ ფუტყარაძე**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის  
სოფელ ოლადაურის საჯარო სკოლის დირექტორი

# ნური ბერიძის საგანმანათლებლო ტრადიციათა კვალდაკვალ

## § 1. ერთ-ერთი პირველთაგანი (ფაჩხის სკოლას 100 წელი უსრულდება)



1916 (ზოგიერთი მონაცემით 1915) წელს ზემო აჭარაში, ქართული საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით, ხულოს მაზრის (დღევანდელი ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების) რამდენიმე სოფელში (მათ შორის ფაჩხაშიც) გაიხსნა პირველდაწყებითი ქართული სკოლები. ეს დიდი მოვლენა იყო მხარისათვის, რომლის მოსახლეობას 300 წლიანი გაუცხოების შემდეგ პირველად ეძლეოდა სა-

შუალება, მშობლიურ ქართულ ენაზე შეესწავლა წერა-კითხვა და ამის საფუძველზე გასცნობოდა საკუთარი ქვეყნის წარსულს, რათა ამ გზით უფრო დაახლოებოდა საუკუნეებით დაშორებულ თანამოძმეებს.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ“ და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებებთან ერთად აჭარის სოფლებში ქართული სკოლების გახსნის მოთავენი იყვნენ ადგილობრივი მოწინავე ადამიანები: ყადი ნური ეფენდი ბერიძე ოლადაურში, თემურ ბეგ ხიმშიაშვილი თხილვანაში, ბაშჩაუშ(სადიყ) ბოლქვაძე და დურად მახარაძე ფაჩხაში,... ამ მხრივ

მეტად მნიშვნელოვანია აპოლონ წულაძის წერილი, გამოქვეყნებული გაზეთ „საქართველოს“ 1916 წლის 22 აპრილის (89, გვ. 4) ნომერში:

„სოფ. ოლადაური სხალთის ხეობაშია, ხულოდან 20 ვერსზე. სკოლა დაარსებულია ქრისტეშობისთვიდან, სწავლობს 20 ვაჟი. მასწავლებლად არის ახალგაზრდა ილ. ნაცვალაძე, რომელიც დიდრონებსაც ასწავლის. მასწავლებლის სიტყვით, პატარა აჭარლებს სწავლა დიდათ უნდათ, მაგრამ მშობლებს სკოლაში არ შეყავთ, ოჯახურ საქმეს რომ არ აცდნენ. **სჯულის მასწავლებლად არის მთელ აჭარაში კარგად ცნობილი ხოჯანური ეფენდი ბერიძე, რომელიც სკოლის წარმატებას დიდათ უწყობს ხელს.** სკოლაში მისი ვაჟიც სწავლობს და გადაწყვეტილი აქვს შვილს სწავლა გიმნაზიაში გააგრძელოს. **ნური ეფენდი ყველას ეჩიჩინება: შვილები სკოლაში აღზარდეთ და ქართველებთან<sup>38</sup> დაახლოვებას ეცადეთო“.**

გადმოცემით, ფაჩხის სკოლის გახსნის შესახებ განცხადება დაუწერია და მაზრაში მიუტანია იმ დროს სოფელში ქართული წერა-კითხვის ერთადერთ მცოდნეს – ნესტორ (ნური) სურმანიძეს (1894-1968 წ.წ.), ბაშჩაუშ ბოლქვაძის შვილს.

ფაჩხის სკოლისთვის საკუთარი სახლის ორი ოთახი დაუთმია დურად მახარაძეს.<sup>39</sup> ზოგიერთი ადგილობრივი და, აგრეთვე, მეზობელი სოფლების მუსლიმი-ფანატიკოსები სახლის გადაწვით ემუქრებოდნენ, მაგრამ დურად მახარაძეს გონიერება გამოუჩენია და სოფლის მეჩეთისთვის, რომელიც მისსავე კუთვნილ მიწაზე იყო აგებული, მიუდგამს ორი საკლასო ოთახი. ამ ხერხმა გაჭრა, რადგანაც სასწავლებლის ნაგებობის დაწვას მეჩეთის დაწვაც მოჰყვებოდა. სწორედ ამის

---

<sup>38</sup> იგულისხმებიან ქართველი ქრისტიანები.

<sup>39</sup> როგორც ჩანს, პროგრესულ მოღვაწეთაგან ახლად დაარსებული სკოლების ფუნქციონირებისათვის საკუთარი სახლის დათმობის ფაქტი არც ისე იშვიათი მოვლენა ყოფილა აჭარაში (ი. წ.).

გამო ფანატოკოსებმა ხელი აიღეს შენობის დაწვაზე. სკოლის პირველი მასწავლებელი ყოფილა მარტიანე ზიბინიშვილი გურიიდან. მას ხელფასს უხდიდა ღურად მახარაძე.

**ფაჩხაში სკოლის გახსნის საქმეში უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო ნური ეფენდი ზერიძისა და ღურად მახარაძის მოყვრობა.** ამ უკანასკნელის ქალიშვილი იყო ნური ეფენდის რძალი.

ბაბუაჩემის – ინუს მახარაძის (1894-1989 წ.წ.) მონათბრობის მიხედვით, ფანატოკოსებმა თავისი მაინც გაიტანეს და 1917 წელს მიაღწიეს სკოლის დახურვას, მაგრამ საბჭოთა პერიოდში, კერძოდ, 1926 წელს, სკოლა კვლავ გაიხსნა.

საწყის ეტაპზე და დიდხანსაც სკოლაში მასწავლებლები, ძირითადად, იყვნენ დასავლეთ საქართველოდან (გურია, იმერეთი, სამეგრელო), მათ შორის: თამარ რამიშვილი, ტატიანა თოხაძე, შუშანა ტაბიძე, ნუცა ნუცუბიძე, სულიკო ხაბეიშვილი, ნათელა კალანდაძე, მიტუშა ღურჭუმელია, ლამარა ხომტარია, ნათელა ხაინდრავა, თამარ ჩხარტიშვილი და სხვები.

სოფლის დაწყებით სკოლაში თანდათანობით გამოჩნდნენ ადგილობრივი კადრები: დავით, ქაზიმ და ნოშრევან მახარაძეები, მაქსიმე და ასლან ბოლქვაძეები, ოთარ სურმანიძე... სკოლის პირველი გამგე იყო დავით მახარაძე(1917-1958 წ.წ.), რომელიც შეცვალა მაქსიმე ბოლქვაძემ(1912-1990 წ.წ.). ამ უკანასკნელმა დიდი ამაგი დასდო ახალი შენობის აგებას (მანამდე სკოლა 1944-1955 წლებში შუა აზიაში უსაფუძვლოდ გასახლებული ალი ზანდარაძის სახლში იყო შეკედლებული). მ. ბოლქვაძე თვეების განმავლობაში ხან ტყეში და ხან სახერხქარხანაში ათენებ-აღამებდა, რის შედეგად 1957 წლის პირველ სექტემბერს ფაჩხის უკვე შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეები ახალ და საკუთარ შენობაში შეუდგნენ სწავლას.

სხვადასხვა დროს ფაჩხის სკოლის დირექტორები იყვნენ: მაქსიმე, მიხეილ, ზია და იოსებ ბოლქვაძეები, სოსლან ხილაძე და იური ბარათაშვილი, თამარ ჩხარტიშვილი, გურამ და ბეჟან სურმანიძეები, ნოდარ და ავთანდილ მახარაძეები.

ამჟამად სკოლას ხელმძღვანელობს დირექტორების ოჯახური დინასტიის წარმომადგენელი – როლანდ ბოლქვაძე.

**სოფელი ფაჩხა, ოლადაურის მსგავსად, ცნობილია გამო-  
რჩეული ადამიანებით. ამაში, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი  
როლი შეასრულა სკოლამ, რომელიც ერთ-ერთი პირველთაგა-  
ნი (მეორე) იყო ზემო აჭარაში. პირველი მსმენელები, რომელ-  
თაგან ზოგიერთის ასაკი ორ ათეულ წელს აღემატებოდა, სა-  
ბჭოთა პერიოდში ჩადგნენ სოფლის საერთო სამსახურში. თან-  
დათანობით სკოლის აღზრდილთა მოღვაწეობა გასცდა ფა-  
ჩხის საზღვრებს. მათ ვხედავთ მეზობელი სოფლის კოლმე-  
ურნეობის თავმჯდომარედ, სხალთისა და დიოკნისის სასოფ-  
ლო აღმასრულებელი საბჭოების თავმჯდომარეებად და  
მდივნებად (მათ შორის იყო სამი ქალი – თამარ, სულიკო და  
ქოლიე ბოლქვაძეები), რაიონის შინაგან საქმეთა და უშიშროე-  
ბის სამსახურების უფროსებად, ქ. ბათუმის არასაუწყებო დაც-  
ვაში და სხვა. მათ შორის არიან უშიშროებისა და შინაგან სა-  
ქმეთა სამსახურის პოლკოვნიკები, ვიცეპოლკოვნიკი, მაიორი  
და კაპიტანი.**

ფაჩხის სკოლის აღზრდილები მოღვაწეობდნენ არჩევით  
ორგანოებში. 1978-1983 წლებში საბჭოთა კავშირის უმაღლესი  
საბჭოს დეპუტატი იყო თალიკო მახარაძე(1954-1985 წ.წ.), გასუ-  
ლი საუკუნის 80-იან წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლი-  
კის უმაღლესი საბჭოს წევრი გახლდათ მერი დავითაძე-მახარა-  
ძე, ხოლო 2004-2008 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლი-  
კის უმაღლესი საბჭოს წევრი და შემდგომში (2008-2012 წ.წ.)  
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იყო მიხეილ მახარაძე. მანა-  
მდე, 2004 წლის თებერვალ-აპრილის თვეებში, იგი იყო საქარ-  
თველოს პარლამენტის წევრი, 2012 წლის 21 ოქტომბრიდან კი  
ახალი მოწვევის პარლამენტის წევრია.

სკოლის ხუთი აღზრდილი მონაწილეობდა მეორე მსოფ-  
ლიო ომში. მათგან სამი – ხემიდ, აბას და რასიმ მახარაძეები  
ომიდან არ დაბრუნებულა, ხოლო ბედელო ზანდარაძე და იო-  
სებ ხოზრევანიძე სხვადასხვა დასახიჩრებით დაუბრუნდნენ  
სოფელს. ამასთან, იოსებ ხოზრევანიძემ (1919-1986 წ.წ.) არაერ-  
თი მაღალი ჯილდო დაიმსახურა ფრონტზე და დემობილიზა-  
ციის შემდეგ მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა ორგანოებში.  
ის 18 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ხულოს რაიო-  
ნის შინაგან საქმეთა განყოფილებას და ვიცეპოლკოვნიკის  
რანგში დაასრულა კარიერა.

ფაჩხის სკოლადამთავრებულებმა თავი გამოიჩინეს  
შრომაშიც. გასული საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს ამ  
სოფლიდან სამს – **უნქერ ბოლქვაძეს, ხასან სურმანიძესა და  
ხამზა მახარაძეს** მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის  
წოდება მაშინ, როცა მთლიანად რაიონში მხოლოდ ათამდე  
გმირი იყო. მოგვიანებით კი ნადიე ბოლქვაძე დაჯილდოვდა  
ლენინის ორდენით.

ფაჩხის სკოლის აღზრდილებს დამთავრებული აქვთ სა-  
ქართველოსა და ყოფილი საბჭოა კავშირის სხვადასხვა უმაღ-  
ლესი სასწავლებლები: **აკაკი შაინიძე პირველი იყო ხულოს  
რაიონიდან, ვინც დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტი; ზაქრო ბოლქვაძე ასევე პირველი ფარმაცევტი  
იყო რაიონიდან; ომარ მახარაძემ დაამთავრა მოსკოვის ლომო-  
ნოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო მიხეილ მახარა-  
ძემ(უმცროსი) – კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტი და ახლა წარმატებული ბიზნესმენია  
მოსკოვში.**

ფაჩხაში 8 კლასი დაამთავრა მიხეილ მახარაძემ(უფროსი).  
მას დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტი ფილოსოფიის სპეციალობით. ის არის პირველი მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი ხულოს რაიონიდან. გამოქვეყნებული აქვს 27 წიგნი, მიღებული აქვს პრესტიჟული პრემიები ლიტერატურაში და მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მ. მახარაძე დაჯილდოებულია ღირსების, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხისა და გიორგი ბრწყინვალეს საპრეზიდენტო ორდენებით. არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

ფაჩხის სკოლის ზოგიერთ პედაგოგზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება:

აკაკი შაინიძე(1911-1978 წ.წ.) ყინჩაურის (ამჟამად სხალთის) საშუალო და ფაჩხის რვაწლიან სკოლებში გერმანულ ენას ასწავლიდა, თუმცა დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. ჩემთვის აკაკი მასწავლებელი უფრო სხვა მხრივ იყო საინტერესო. ის ბევრს გვესაუბრებოდა უნივერსიტეტზე, მის სტრუქტურაზე, ცნობილ მეცნიერებზე, ცოდნის ამ ტაძრის გამორჩეულობაზე და ა. შ. ის, რომ მე უნივერსიტეტი ავირჩიე სწავლის გასაგრძელებლად, ამაში ძალზე დიდი აკაკი შაინიძის წვლილი.

არაორდინარული პიროვნება გახლდათ მაქსიმე ბოლქვაძე (1912-1990 წ.წ.). შეიძლება ითქვას, რომ ის იყო უნივერსალური დიაბაზონის პედაგოგი, ვინც ერთნაირი წარმატებით ასწავლიდა ისტორიას, მათემატიკას, ქიმიას, ბიოლოგიას და საჭიროების შემთხვევაში სხვა საგნებსაც. მ. ბოლქვაძე წარმატებით იღვწოდა სოფლის მეურნეობის სფეროშიც. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მან საქართველოში ერთ-ერთმა (თუ სულაც პირველმა არა) გამოიყვანა სიმინდი, რომლის ტაროსაც 51 რიგი ჰქონდა. 1946 წელს ის თბილისში დაესწრო გამორჩენილი ქართველი ფილოსოფოსის კოტე ბაქრაძის ლექცია-სე-

მინარებს და მოამზადა რეფერატი პლატონის დიალექტიკაზე, რითაც აღფრთოვანებულა ბატონი კოტე. პროფესორმა მ. ბოლქვაძემ ასპირანტურა შესთავაზა, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო (ამ დროისთვის ის ოთხი შვილის მამა იყო), მან შეთავაზებაზე უარი ითქვა.

როგორც ყველა არაორდინალურ ადამიანს, მ. ბოლქვაძესაც ახასიათებდა უცნაურობანი. ერთხელ, ზამთარში, თავის მამიდაშვილს – აკაკი შაინიძეს იმდენი ესაუბრა ქიმიკაზე, რომ ქუდებზე თოვლის მტკაველი გვირგვინი დაეხუნძლათ. საუბრის აზარტში შესულებს იქვე, ნალიის ქვეშ, თავის შეფარებაც კი ვერ მოუფიქრებიათ. სხვადასხვა დარგებში ღრმად ჩახედულს ქიმია უპირველეს მეცნიერებად მიაჩნდა... **მე რომ ფილოსოფიაში დავსპეციალდი, ამაში მთავარი „დამნაშავე“ მაქსიმე მასწავლებელი იყო.** აკი ამაცობდა კიდევ: „ჩემს ჩანაფიქრს ჩემი მოწაფე ახორციელებსო“.

მომავალი თაობების აღზრდაში მნიშვნელოვანი წლილი მიუძღვის დავით მახარაძეს(1917-1958 წწ.), რომელიც 1946-1947 წლებში იყო სოფელ თხილვანას რვაწლიანი სკოლის დირექტორი, შემდეგ სოფელ ყინჩაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ფაჩხის დაწყებითი სკოლის გამგე და ბოლოს ყინჩაურის საშუალო და ფაჩხის შვიდწლიანი სკოლების პედაგოგი. რომ არა ტრაგიკული შემთხვევა, დ. მახარაძე კიდევ ბევრს გააკეთებდა მომავალი თაობების სწორი დაკვალიანების საქმეში.

არაერთი თაობა აღზარდა **ნოშრევან მახარაძემ(1927-2014 წწ.)**, რომელიც, სკოლის გარდა, სხვადასხვა დროს მუშაობდა სხალთის სასოფლო საბჭოს მდივნად და თავმჯდომარედ, ფაჩხის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. **მას დიდი და გადამწყვეტი წვლილი მიუძღვის ჩემს სწორ გზაზე დაყენებასა და ჩამოყალიბებაში.**



ასევე ბევრი აქვთ გაკეთებული მომავალი თაობებისთვის აწ გარდაცვლილ პედაგოგებს: ქაზიმ მახარაძეს (1925-1949 წწ.), ნურგუზელ ცეცხლაძე-მახარაძეს, ნორა ბოლქვაძეს, ოთარ სურმანიძეს (1924-2009 წწ.), დავით მახარაძეს (უმცროსი, 1935-2014 წწ.), ზია (1935-2015 წწ.) და იოსებ (1940-2015 წწ.) ბოლქვაძეებს.

ზ. ბოლქვაძე ჯერ ასწავლიდა დაწყებით კლასებს და შემდეგ ფიზკულტურას ყინჩაურის საშუალო სკოლაში. წარსულში კარგი სპორტსმენი სპორტთან ერთად კაცობასაც გვასწავლიდა. მშობლიურ სკოლაში დაბრუნების შემდეგ დიდხანს ატარებდა გაკვეთილებს ისტორიაში, მერე კი იყო სასწავლო ნაწილის გამგე და სკოლის დირექტორი.

ი. ბოლქვაძე განათლებით იყო ბიოლოგი. მან რამდენიმე წელი იმუშავა ფაჩხის სკოლის პედაგოგად, დირექტორად და შემდეგ სხალთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ.

ასეთია 100 წლის წინათ დაარსებული სოფელ ფაჩხის სკოლის მოკლე ისტორია, სკოლისა, რომელმაც ოლადაურის, თხილვანისა და იმ დროს სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოების მიერ აჭარაში გახსნილ სკოლებთან ერთად გამოზარდა ჭეშმარიტ მამულიშვილთა ათეულობით თაობა.

## **მიხეილ მახარაძე**

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს პარლამენტისა და მწერალთა კავშირის წევრი, ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე.

## § 2. ასწლოვანი სკოლის ისტორია



აჭარაში პირველი ქართული სკოლების გახსნის თარიღები და სოფლები თავიანთ ნაშრომებში დასახელებული აქვთ პედაგოგიურ საზოგადოებაში აღიარებულ მკვლევარებს: ვლადიმერ ჭანტურიას, გრიგოლ ბაბილოძეს, აბელ სურგულაძეს, დიმიტრი ხოზრევანიძეს, ეთერ ცივაძეს, ვახტანგ წულუკიძეს, ნანი გუგუნავას, ვაჟა მაკარაძეს, მერი დიასამიძეს, ვახტანგ მაკარაძეს, იოსებ ხალვაშს.

მკვლევართა ნაწილი ქართული სკოლების გახსნის თარიღად 1915 წელს მიიჩნევს, სხვები კი 1916 წელს ასახელებენ.

გრიგოლ ბაბილოძე წიგნში „ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან აჭარაში“ წერს, რომ 1916 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის ქუთაისის სახალხო სასწავლებლის დირექტორის №2303 მიმართვის საფუძველზე საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ აჭარაში დააარსა ექვსი პირველდაწყებითი ქართული სკოლა: **ყოროლისთავში, ხუცუბანში, ალამზარში, ჩხუტუნეთში, ქვედა აგარასა(ქედა) და ზედა აგარაში(ხულო)**. რაც შეეხება **თხილვანასა და ოლადაურის** სკოლებს, ისინი გაიხსნა 1915 წელს სამინისტროს<sup>40</sup> მიერ და მათ მთავრობა ინახავდა (გვ. 34 და 52).

---

<sup>40</sup> ჩვენი აზრით, გრიგოლ ბაბილოძე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გულისხმობს (ი. ჩ.), რომელსაც „ხალხი სრულიად სამართლიანად სახალხო განათლების სამინისტროს უწოდებდა“ (წულუკიძე 2002: 34).

სოფელ თხილვანაში ქართული სკოლის გახსნა დაკავშირებულია დიდი პატრიოტისა და საზოგადო მოღვაწის **თემურ ხეგ ხიმშიაშვილისა** და მისი დედის – **მესუდე ხანუმის** სახელებთან. თემურ და ჯემალ ხიმშიაშვილებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ხულოს ეკლესიის მოძღვართან – ბესარიონ დოლიძესთან და ხულოს რუსული სკოლის გამგე-მასწავლებელთან – იოსებ მელიქიშვილთან. მათ არაერთხელ მიმართეს იოსებ მელიქიშვილს თხოვნით, ეშუამდგომლა საქველმოქმედო საზოგადოებასთან სოფელ თხილვანაში ქართული სკოლის დაარსების თაობაზე.

ეს საქმე დააჩქარა 1916 წლის მარტის დამდეგს თბილისში აჭარელთა იმ დეპუტაციის სტუმრობამ, რომლის შემადგენლობაში თემურ ხიმშიაშვილიც იყო. **ოღონდ კი სასწავლებელი გახსნილიყო და ადგილობრივი ზეგი მას თავის საცხოვრებელ სახლს უთმობდა ფუნქციონირებისათვის** (ხაზი ჩვენია – **ო. ჩ.**).

1916 წლის ოქტომბერში დაარსდა თხილვანას ერთკომპლექტიანი სკოლა, სადაც მასწავლებლად დაინიშნა ჩოხატაურის რაიონის სოფელ განახლების მკვიდრი თევდორე დოლიძე. ამ დროს გაზეთებში იბეჭდებოდა განცხადებები აჭარაში ქართული სკოლების გახსნისა და მათთვის მასწავლებელთა კადრების შერჩევის შესახებ, რასაც ფართოდ გამოეხმაურა საქართველოს პედაგოგთა საზოგადოებრიობა. ბევრი მათგანი საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას უზღავნიდა განცხადებებს აჭარის ქართულ სკოლებში მასწავლებლად დანიშვნის შესახებ. ამ საქმიანობის „კეთილსაიმედოობას“ საქველმოქმედო საზოგადოება უთანხმებდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს, აგრეთვე ადგილობრივ ადმინისტრაციას, კერძოდ, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს. თევდორე დოლიძის „კეთილსაიმედოობის“ შესახებ ხულოს

ეკლესიის მოძღვრის – ბესარიონ დოლიძისა და რუსული სკოლის მასწავლებლის – იოსებ მელიქიშვილის რეკომენდაციები საკმარისი აღმოჩნდა.

1916 წლის ოქტომბრიდან თევდორე დოლიძე უკვე სამსახურშია. მან მოსახლეობას აუწყა, რომ იგი დანიშნული იყო თხილვანას ახლად გახსნილი სკოლის მასწავლებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ადგილზე მას გარკვეული სიძნელეები შეექმნა. აქაურმა ხოჯა–მოლებმა და თურქული ორიენტაციის ადამიანებმა განგაში ატეხეს, თითქოს მასწავლებელი უპირებდა მათ შვილებს გაქრისტიანებას. პროგრესულად მოაზროვნენი გვერდში ამოუდგნენ თევდორე დოლიძეს. თემურ ბეგმა პარასკევის ლოცვის შემდეგ მოსახლეობას ასე მიმართა: **„სკოლაში მიიყვანეთ თქვენი შვილები და ასწავლეთ; მე მიიწვევთ თქვენში სინათლე შემოვიდეს“** (გაზეთი „თანამედროვე აზრი“, №243, 1916); იქვე სიტყვით გამოვიდნენ, აგრეთვე, ახალგაზრდა მემედ ბოლქვაძე და მასწავლებელი თევდორე დოლიძე, რომლებმაც მოსახლეობას განუმარტეს, რომ ქართული მათი წინაპრების მშობლიური ენა იყო და ამ ენაზე სწავლება სრულიადაც არ ნიშნავდა რჯულის შეცვლას. აჭარა ისტორიულად საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო და წარსულში ამ კუთხეს ბევრი რამ გაუკეთებია ქართული კულტურის განვითარების საქმეში.

სკოლას საკუთარი ხუთოთახიანი სახლი დაუთმო თემურ ბეგ ხიმშიაშვილის დედამ–მესუდე ხანუმმა, რომელიც საცხოვრებლად გადავიდა ქოჩახში, მეუღლის – შერიფ ხიმშიაშვილის სახლში. ადგილობრივი მოხელე – ასლო ქამადაძე თემურ ბეგის დავალებით ჩავიდა ხულოში, სადურგლო სახელოსნოში, სადაც გამოცდილი ხელოსნების – სიმონ ჯიღაურისა და ანდრო გოჩიტაშვილის დახმარებით მოკლე დროში შე-

ისწავლა მერხების დამზადება. სოფელში დაბრუნების შემდეგ მან სკოლას შესძინა 15 მერხი და მასწავლებლის მაგიდა (მთქმელი ასლან ბოლქვაძე, 80 წლისა, 1985 წ.).

მოგვიანებით თხილვანას სკოლა ახლომახლო სოფლებიდან 25-ზე მეტი მოსწავლით შეივსო...

1996 წლის ოქტომბერში საზეიმო ვითარებაში აღინიშნა სკოლის დაარსების 80 წლისთავი. პირველი მოსწავლეებიდან მაშინ ცოცხალი მხოლოდ **რასიყ ნაკაშიძე** იყო, რომელმაც დიდი სიყვარულით გაიხსენა მოსწავლედ გახდომის პირველი დღე: „თემურ ბეგის დავალებით მამამ სკოლაში წამიყვანა, 8 წლის ვიყავი. ეზოში მასწავლებელი დაგვხვდა, ორივეს მოგვესალმა: მე თავზე ხელი გადამისვა, მომეფერა, მერე კი მე და ჩემს ამხანაგებს ქართული წიგნები დაგვირიგა“.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე – **დავით მამულაძე** თავის მემუარებში წერს: „მე სკოლაში არ დავდიოდი, ისე კი ძალიან მინდოდა სწავლა, მაინტერესებდა მასწავლებლის ნახვაც. ერთხელ იგი ჩვენს ოჯახში მოვიდა და ვნახე კიდეც; ახლაც მახსოვს მასწავლებლის შავი პიჯაკი თეთრი საყელოთი, კოხტად ჩაცმული ინტელიგენტის ლამაზი სახე. თევდორე დოლიძის ნახვამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“ (მამულაძე 1997: 17).

ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე ბავშვები სკოლაში მეცადინეობას შუადღის ლოცვის შემდეგ იწყებდნენ, დილას კი მედრესეში ხოჯასთან იკრიბებოდნენ. ყველა საგანს (ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, ბუნება, ისტორია, **სამშობლოსმცოდნეობა**).<sup>41</sup> ერთი პედაგოგი ასწავლიდა. მასწავლებლის თვიური ხელფასი 110 მანეთს შეადგენდა.

---

<sup>41</sup> კარგი იქნება, ჩვენი განათლების სისტემის მუშაკებს თუ გაახსენდებათ ამ საგნის აღდგენა სკოლებში (ე. ზ.).

„თვედორე დოლიძემ მალე მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. ბავშვებსაც შეგვიყვარდა, ჩვენ მიმართ მშობლიურ მზრუნველობას იჩენდა. მისი გაკვეთილები სასიამოვნო მოსასმენი იყო. სულ მალე შევისწავლეთ მშობლიურ ქართულ ენაზე წერა-კითხვა, მეტყველება, ანგარიში. მასწავლებელი ჩვენი ოჯახების ხშირი სტუმარი იყო“ (ისა ბოლქვაძის მოგონებიდან).

სამწუხაროდ, სკოლამ მხოლოდ ერთ წელს იარსება. მეჯიდ გუნდაძის გადმოცემით, 1917 წლის აპრილში მასწავლებელი სკოლიდან წასულა, როგორც კი გაუგია რუსეთის იმპერატორის – ნიკოლოზ მეორის ტახტიდან ჩამოგდების ამბავი. როცა მოსწავლეები სკოლაში მისულან, მათ იატაკზე ჩამოგდებული ხელმწიფის სურათი უნახავთ.

მიუხედავად თხილვანას სკოლის ხანმოკლე არსებობისა, თვედორე დოლიძის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს და მადლიერებით აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მან ამ მოკლე დროში 25-ზე მეტ ახალგაზრდას ასწავლა მშობლიური ქართული წერა-კითხვა, შეაყვარა ქართული წიგნი, სკოლა, შეაგნებინა სწავლა-განათლების მნიშვნელობა, გაუღვიძა მისი შეძენის სურვილი, აღანთო ისინი ახალი, ცივილიზებული ცხოვრებისათვის. **ეს იყო პირველი ხანმოკლე, მაგრამ ძლიერი ჩირადდანი ახალგაზრდობისათვის აქ, ამ მხარეში, სხალთახიხანის ხეობაში. მოსწავლეები შემდგომში დიდი სიყვარულით იგონებდნენ თავიანთ პედაგოგს და სიამაყით ამბობდნენ ხოლმე: „ჩვენ ქართული წერა-კითხვა თვედორე დოლიძემ გვასწავლაო“.** რამდენიმე მათგანი ამ ელემენტარული ცოდნის საფუძველზე დაადგა თვითგანათლებისა და თვითგანვითარების გზას, ისწავლეს კიდევაც მოკლევადიან კურსებზე და სოფლის თავკაცობასაც ახერხებდნენ წლების მან-

ძილზე. ბევრი საბუღალტრო აღრიცხვის, ვაჭრობის დარგისა თუ სატყეო მეურნეობის მუშაკი გახდა ან ჩაება საინჟინრო-ტექნიკურ საქმიანობაში.

ადგილობრივი მოსახლეობა ყოველთვის მადლიერების გრძნობას გამოხატავს ქართველი ინტელიგენციის მიმართ, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა სოფლის თხოვნა და გახსნა ქართული სკოლა – ჩირაღდანი სწავლა-განათლების განვითარებისათვის.

## † შოთა ბოლქვაძე

თხილვანას საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი, სხალთა-ხიხანის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი

**მოგონებანი გარდასულ დღეთა...**



## § 1. ჩემი სკოლა დღევანდელი თვალთახედვით



ჩემი ბავშვობის დროინდელი სკოლა, საგანმანათლებლო დანიშნულების გარდა, სხვა, გაცილებით დიდ მისიას ასრულებდა – სოფლის მთავარი სახელმწიფო დაწესებულება მომავალ თაობას და მისი მეშვეობით მთელ მოსახლეობას ზრდიდა ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით, წარსულის პატივისცემით, მომავლის დიდი იმედით.

ახალდამთავრებული იყო მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც სოფლის მრავალი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა, მოიტანა უკიდურესი გაჭირვება, რაც, მართალია, მხოლოდ რამდენიმე წელს გაგრძელდა, მაგრამ ყოველწლიურად ხდებოდა სურსათისა და აუცილებელი მოხმარების საგნების გაიფხება, რასაც ბავშვებიც ვგრძნობდით და გვჯეროდა უკეთესი მერმისისა.

ომისშემდგომი პერიოდის უმრავლესი ქართული სოფლის მსგავსად, ოლადაურშიც არ იყო არც ერთი რელიგიური საკულტო ნაგებობა. შეიძლება ამ მიზეზითაც იყო, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სკოლას ისეთივე მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობოდა, როგორც მორწმუნენი ეკლესიას, მეჩეთს, სინაგოგას... გარკვეულწილად იგი სოფლის მოსახლეობის სულიერი აღზრდის ფუნქციასაც ითავსებდა.

სკოლა მოსახლეობისა და ხელისუფლების მუდმივი მზრუნველობით იყო გარემოსილი. ყოველი სასწავლო წლის

წინ გაცხოველებული სამზადისი მიმდინარეობდა. საგულდა-გულო შეკეთება უტარდებოდა სკოლის შენობა – ნაგებობებს, სახურავს, ეზოს, შემოჰქონდათ და უფასოდ გვინაწილებდნენ სახელმძღვანელოებს. საზამთროდ სამყოფ შეშას პირველად სკოლისთვის იმარაგებდნენ. განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ ინტერნატისადმი, სადაც შორეული სოფლების ბავშვები ცხოვრობდნენ.

**პირველ სექტემბერს ნამდვილი დღესასწაული თენდე-ზოდა, მთელი სოფელი ზეიმობდა სწავლის დაწყებას.**

დიდმა ილიამ ბრძანა: **განათლება ქვეყნის მომავლის განმსაზღვრელია, განათლება და მეცნიერება უნდა დაედოს საფუძვლად ერის აღორძინებასო.** ამ უდიდესი ეროვნული საქმის მთავარი შემოქმედი მასწავლებელია. პედაგოგთა უმრავლესობა ჩემი მოწაფეობის დროს მოწვეული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან – გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, რჩეული ქართველები, ნამდვილი პატრიოტები, საკუთარი შვილებივით გვზრდიდნენ. საგანთან ერთად ადამიანობას, სამშობლოს სიყვარულს გვასწავლიდნენ. სოფლის მცხოვრებლები მათ უდიდეს პატივს მიაგებდნენ, ბავშვები კი დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ისინი ანგელოზის სისპეტაკით ცხოვრობდნენ.

**განგებამ იწება, რომ ჩემი პირველი პედაგოგი, რომელმაც ქართული წერა-კითხვა მასწავლა, დიდი ღირსი ეფენდი ქარცივაძის შვილთაშვილი, რევაზ ქარცივაძე ყოფილიყო.** მახსოვს, როგორი ნებისყოფით, რუდუნებით გვავარჯიშებდა კალმის სწორად დაჭერაში, ასოს მოხაზულობას ჩვენს ხელზე თავისი ხელის მიყოლებით გვისწორებდა. იობის მოთმინებით გვასწავლიდა ასოების შესატყვისი ბგერების, მარცვლების, სიტყვების სწორად წარმოთქმას, მართლწერის ელემენტებს. არასოდეს გვინახავს რევაზ მასწავლებელი ჩვენგან დაღლილი, გაღიზიანებული ან გაბრაზებული. ღმერთმა გაანათლოს მისი სული!..

დიდი მადლიერებით მაგონდება დაწყებითი განათლების ბრწყინვალე სპეციალისტი **ლეონინა არჯევანიძე**; კურორტ წყალტუბოს მკვიდრი ახალგაზრდა, ლამაზი, კარგი ოჯახის შვილი ლეონინა ჯერ ხულოს რაიონის სოფელ ქვედა თხილვანასა და ბაკოს სკოლებში მუშაობდა, შემდეგ კი ჩვენთან გადმოიყვანეს. მალე აქ გულისწორს მიაგნო, შესანიშნავ ადამიანთან – შოთა ქარცივაძესთან ერთად შექმნა ბრწყინვალე ოჯახი და ახლაც ოლადაურში ცხოვრობს.

ლეონინა მასწავლებელი მაშინდელი სკოლის დირექტორის – **სოლომონ მაკარაძის** ოჯახში ცხოვრობდა, საიდანაც გათხოვდა კიდეც, საკუთარი ქალიშვილივით გაამზიბთვა და არაჩვეულებრივი ქორწილი გადაუხადა სოლომონ ბიძიამ. მთელმა სოფელმა მოილხინა. არ ვიცი რატომ, მაგრამ მშობლებსაც კი არ დაუშლიათ ჩვენთვის იმ დღეს ქორწილში წასვლა.

10 წლის წინ ლეონინა მასწავლებელს ბათუმში 80 წლის იუბილე გადავუხადეთ. ბევრი ვიყავით მისი აღზრდილები თხილვანადან, ბაკოდან, ოლადაურიდან, ნათესავები წყალტუბოდან, შვილები, შვილიშვილები.

სკოლის დირექტორი, დიდებული გვარის წარმომადგენელი, ახმედ ეფენდი მაკარაძის შვილიშვილი – სოლომონ მაკარაძე ჩვენი ოჯახის ახლო მეზობელი გახლდათ. მათ ყველა თაობასთან ბერიძეებს ტრადიციულად შესაშური მეგობრობა გვქონდა. უაღრესად რთულ პერიოდში – მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომ წლებში უხდებოდა სკოლის გაძლოლა სოლომონ ბიძიას. სიძნეელების მიუხედავად, დირექტორის თავდადებული შრომით ოლადაურის სკოლას მუდმივად მოწინავეთა შორის მოიხსენიებდნენ, შესანიშნავი პედაგოგი და ორგანიზატორი იყო. მის ნიჭიერებაზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ. დამთავრებული ჰქონდა პედსასწავლებელი და სამასწავლებლო ინსტიტუტი, მერე კი, 1950 წელს, ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტში, იურიდიულ ფაქულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობდა მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე – იყო პარტიის შუახევის რაიკომის პირველი მდივანი, აჭარის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, აჭარის იუსტიციის მინისტრი, მრავალჯობის დეპუტატი.

**სოლომონ მაკარაძის მოღვაწეობა მისაბამ მაგალითად დარჩა ოლადაურის სკოლის ყველა თაობის მოსწავლეთათვის.**

საქართველოს რაიონებიდან მოწვეული მასწავლებლები უმთავრესად 2-3 სასწავლო წლით ჩერდებოდნენ ოლადაურში. ყველაზე ხანგრძლივად (1946-1961 წლებში) მასწავლებლობდა **სარდიონ კალანდარიშვილი** – უაღრესად განსწავლული, ენციკლოპედიური ცოდნის მქონე, აღმატებული კაცური თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი. მუშაობის მთელ პერიოდში იყო სასწავლო ნაწილის უცვლელი გამგე, ქიმიის, ბიოლოგიისა და გერმანული ენის მასწავლებელი. დარწმუნებული ვარ, ყოველი გაკვეთილისთვის გულმოდგინედ ემზადებოდა უდიდესი პასუხისმგებლობით, რადგანაც ყოველთვის აკადემიურ სტილში ატარებდა გაკვეთილს.

მოფერებაც იცოდა, შიგადაშიგ გურულ იუმორსაც ჩაურთავდა ხოლმე. ქიმიის გაკვეთილზე ისეთ საინტერესო ცდებს გვიტარებდა, რომ შემდეგ, სამედიცინო ინსტიტუტის ანალიზური ქიმიის ლაბორატორიის ცდები სულაც აღარ მაკვირვებდა. ყოველი გაკვეთილის ბოლოს გვავარჯიშებდა ტვინის საჭყლეტი ქიმიური ამოცანების ამოხსნაში. სკოლის პროგრამას ამდიდრებდა უმაღლესი სასწავლებლის თემატიკით, რის გამოც ინსტიტუტში სწავლის პერიოდში გამიადვილდა ქიმიური საგნების დაძლევა. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ გერმანული ენის ცოდნაში თბილისის სკოლადამთავრებული, რეპეტიტორებთან ნავარჯიშები თანაკურსელებიც რომ ვერ მჯობდნენ, ეს, რაღა თქმა უნდა, სარდიონ კალანდარიშვილის დამსახურებაც

იყო. ჩვენი მასწავლებელი სალამოს საათებში დამატებით გაკვეთილებსაც გვიტარებდა ხოლმე, ცხადია, უანგაროდ.

სკოლა ისე დავამთავრე, რომ სოფელში ელექტროდენი არ ყოფილა. მე და ჩემი ძმა – ჯემიკო გაკვეთილებს ნავთის ლამპის, სანთლის, კვარის ან სულაც მთვარის შუქზე ვამზადებდით. ზამთრის გრძელ ღამეებში არაიშვიათად პედაგოგებიც გვსტუმრობდნენ. ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი **ეთერ ფუთურიძე** ოჯახის წევრებისა და მეზობლების აუდიტორიაში რიგრიგობით ხმამაღლა გვაკითხებდა ჟიულ ვერნის, არტურ კონან დოილის, ვაჟა ფშაველას, პარმენ ლორიას და სხვათა საოცარ ნაწარმოებებს.

სკოლაში ახალი პედაგოგის გამოჩენას ბავშვური ცნობისმოყვარეობით ვხვდებოდით, კარგა ხანს „ვზვერავდით“ ერთმანეთს მასწავლებელი და მოსწავლეები. ახალინსტიტუტდამთავრებული, ჩვენი ახლო მეზობელი **მიხეილ მაკარაძე** ისტორიის სპეციალისტი იყო. უზადო პატრიოტიზმით გვასწავლიდა საქართველოს გმირულ წარსულს! მარტო თარიღების დამახსოვრებას კი არა, ისტორიულ მოვლენათა ანალიზს გვთხოვდა მსოფლიოსა და მეზობელი ქვეყნების გლობალური პოლიტიკის გათვალისწინებით. მახსოვს, როგორი აღტაცებით გვიყვებოდა დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, დიმიტრი თავდადებულის, გიორგი ბრწყინვალეს, ერეკლე მეორის სამშობლოს ერთგულების, სიბრძნისა და საბრძოლო მამაცობის შესახებ. მემამყება, რომ ჩემი თაობის მოსწავლეები ისტორიას ვსწავლობდით სახელმძღვანელოთი, რომელიც იოსებ სტალინის დავალებთ შექმნეს დიდმა ქართველმა მეცნიერებმა—ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა და სიმონ ჯანაშიამ (1955 წ. ნ. ხრუმჩოვმა აკრძალა ამ სახელმძღვანელოთი სწავლება, წიგნები ამოიღეს სასკოლო პროგრამიდან და განადგურეს). ვფიქრობ, ახლანდელი ეროვნული ხელისუფლება უნდა დაინტერესდეს ჩვენი ისტორიის კორიფების მიერ შექმნილი დიდებული ნაშრომის ხელახალი გამოცემით.



პროფესორი აკაკი ბერიძე თავის უახლოეს მეგობართან –  
ცნობილ მწერალ რამაზ სურმანიძესთან ერთ-ერთ საჯარო სხდომაზე.

დიდად სასიხარულოა, რომ მიხეილ მასწავლებლის საქმეს ღირსეულად აგრძელებს მისი ვაჟი – არჩილ მაკარაძე, ისიც ისტორიის მასწავლებელია, რომლის შეგირდები უმაღლეს ჯილდოებს იღებენ აჭარისა და რესპუბლიკის მასშტაბით გამართულ მოსწავლეთა ტურებში. არჩილმა, რაიონში პირველმა, დააარსა სოფლის (ოლადაურის) ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც წარმოდგენილი ექსპონატები თვალნათლივ მოგვითხრობენ ჩვენი სოფლის წარსულზე ნეოლითის ხანიდან დღემდე.

ფიზკულტურა, ხატვა, სიმღერა ჩემი მოწაფეობის დროს მეორეხარისხოვან საგნებად ითვლებოდა. ერთ მშვენიერ პირველ სექტემბერს ოლადაურს მოველინა ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი კარლო გუგუშვილი. მალე მან სკოლაში შემოიტანა: კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ბილიარდის, ტანვარჯიშის ინვენტარი და დაიწყო ფიზკულტურის ბუმი, რომელიც მეზობელი სოფლების სკოლებსაც გადაედოთ და მთელი რაიონი მოიცვა.

ადრე მშობლები ბურთის თამაშს გვიკრძალავდენ – დროს ტყუილად აცდენთო, კარლო მასწავლებლის მიერ შექმნილ სპორტულ სექციებში კი დაღამებამდე ვვარჯიშობდით. ძალიან მალე რაიონის მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებში ოლადაურის სკოლა პირველ ადგილზე გამოდიოდა, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში, მრავალი წლის მანძილზე, პირველობას არ ვთმობდით აჭარის მასშტაბით. კარლო მასწავლებლის მეუღლე – **ქალბატონი ლამარა** რუსულ ენას გვასწავლიდა. სწორედ მან შეგვაყვარა დიდი ერის ლიტერატურა; სოფლელი ბავშვები დედანში ვკითხულობდით რუსი კლასიკოსების – პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, ჩეხოვის, გოგოლის შედევრებს.

ყველა საგანს თანაბარი სიბეჯითით ვსწავლობდი; ხუთიანის გარდა, ძალიან იშვიათად დამიმსახურებია სხვა შეფასება, მაგრამ ყველაზე მეტად მათემატიკური საგნები მიტაცებდა, რაც უდავოდ ბრწყინვალე მასწავლებლების – **კუკური ხელაძის**, **აკაკი მსხილაძის**, **ნიკოლოზ გეგელიას** და **გივი ხალვაშის** დამსახურებაა. ნიკოლოზ გეგელია ასაკოვანი კაცი იყო, ამბობდნენ – გიმნაზია დაამთავრაო. საშუალო სკოლის ნაირნაირ საგანთა სწავლების დიდი გამოცდილება ჰქონდა; თუ რომელიმე სკოლას ამა თუ იმ საგნის სპეციალისტი დასჭირდებოდა, ნიკოლოზ მასწავლებელს მიავლენდნენ ხოლმე. ასე მოხვდა იგი ჩვენს სკოლაშიც – ალგებრას გვასწავლიდა. ისე შეგვაყვარა საგანი, რომ მსიამოვნებდა ალგებრული ამოცანების ამოხსნა. კისელიოვის ამოცანათა კრებულიდან თითქმის ყველა მქონდა ამოხსნილი.

ყველა მასწავლებელი მეგობრობდა ჩვენს ოჯახთან, მამას ძალიან სიამოვნებდა, ჯემალს და მე რომ გვაქებდნენ.

ჩემი მოსწავლეობის პერიოდში ოლადაურის რვაწლიანი სკოლა საშუალოდ გადაკეთდა, ჩვენი კლასი იყო მისი პირველი გამოშვება, მე კი ამ სკოლის პირველი ოქროსმედალოსანი გახლდით.

აღბათ, ისიც ღვთის ნება იყო, რომ ამ პერიოდში სკოლის დირექტორად ლომან ეფენდი ქარცივამის კიდევ ერთი შვილთაშვილი – შოთა ქარცივამე მუშაობდა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, უადრესად განათლებული, კეთილშობილი პიროვნება, ნამდვილი ინტელიგენტი იყო. განსაკუთრებულ მზრუნველობას, დირექტორის მუდმივ კონტროლს ვგრძნობდით დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, ამიტომაც იყო, რომ ყველამ წარმატებით ჩავაბარეთ გამოსაშვები გამოცდები, უმრავლესობამ კი შემდეგ უმაღლესი განათლებაც მიიღო. სპეციალური აღნიშვნის ღირსია ამ ბრწყინვალე პედაგოგის დამსახურება ე. წ. „გზასაცდენილი“ ბავშვების დაკვალიანებაში. კომუნისტური რეჟიმის დროს ჩინოვნიკთა უმეტესობა საკუთარ სკამს, რეპუტაციას უფრო ხილდებოდა და უბრალო „დანაშაულის“ გამოც კი სკოლიდან რიცხავდნენ მოსწავლეებს. შოთა ქარცივამემ თანამდებობის დაკარგვის რისკის ფასად ყველა მათგანს (რამდენიმე ათეულ მოსწავლეს) თავშესაფარი მიუჩინა თავისი სკოლის ინტერნატში, სადაც არ აკლდათ მზრუნველობა, ადამიანური სითბო, საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობები. ყველა მათგანი ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბდა და თავი გამოიჩინა ქვეყნის სამსახურში: უმრავლესობამ უმაღლესი განათლებაც მიიღო.

გამიგონია: „ყველას აქვს ის პატარა სამშობლო, ურომლისოდაც დიდი წარმოუდგენელია“. ოლადაური ადგილის დედაა, საიდანაც იწყება ჩემი თვალსაწიერი და სანუკვარი საქართველო. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, სკოლის, მშობლების, საზოგადოების უპირველესი ვალია ყრმის კაცად ჩამოყალიბება. მიმაჩნია, რომ სოფელში გაზრდილ კაცს დიდი უპირატესობა აქვს ქალაქელთან შედარებით. სოფელში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს, მეზობლის ბავშვს ისე ეპყრობიან, როგორც საკუთარს. ოლადაურში არც ერთ ბავშვს არ აპატიებდნენ უფროსები ბილწსიტყვაობას, დაცინვას, უადგილო ანცობას... სოფლელ ბავშვს ყოველი ქმედება მოზომილი, გააზ-



რებული უნდა ჰქონდეს, რადგანაც ასი კეთილმოსურნე თვალი და ყური აკონტროლებს. ალბათ ამიტომაც, რომ საქართველოში გამოჩენილ ადამიანთა, დიდ მეცნიერთა უმეტესობა სოფელში იყო გაზრდილი, მაგალითად, ქირურგიის კორიფეები: აკადემიკოსები ეგნატე ფიფია, მიხეილ ჩაჩავა, მამია კომახიძე,...

სოფელში ადამიანს უსაქმოდ გაჩერებულს ვერ ნახავდით, ყველა შრომობდა ქალიც და კაციც, მოხუციც და ბავშვიც. სოფელში აღზრდილს ბვალ-რბილში აქვს გამოჯდარი შრომისმოყვარეობა, რაც შემდგომი წარმატების საწინდარია.

ჩვენს ოჯახში მშობლების ძირითად საზრუნავს ბავშვების აღზრდა-განათლება წარმოადგენდა. „ხალხის მტრის“ შვილად გამოცხადებული მამა, რომელსაც თავის დროზე არ მიეცა სათანადო განათლების მიღების საშუალება, ყოველმხრივ ცდილობდა, ეს დანაკლისი ჩვენი სწავლით შეეცსო. დედა თავისი მომთხოვნელობით იყო ცნობილი, ბეზია (მამის დედა) კი განსაკუთრებული სითბოთი გვანებივრებდა. მახსოვს, გაკვეთილების მომზადებაში ღამენათევებს, დილით მაგრად რომ გვეძინა, ბეზია ლოგინში მიძინარეებს გვაცმევდა ტანსაცმელს, სკოლაში რომ არ დაგვგვიანებოდა.

**ჩემი და ჯემალის კაცებად ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულია ბიძის – ნიაზ ბერიძის დამსახურება.** იგი მრავალი ათეული წლის განმავლობაში ოლადაურის სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად და ინტერნატის მოსწავლეთა აღმზრდელად მუშაობდა. მისი მოწაფეები რაიონისა და აჭარის ჩემპიონები ხდებოდნენ სხვადასხვა სახეობებში, უფრო მეტად სამთო-სათხილამურო სპორტში. მოგვიანებით მათ ჩვენც წავეშველეთ – ჯემალმა სკოლის სათხილამურო ბაზას საბაგრო გზა გაუკეთა, მე 50 წყვილი თხილამური ვაჩუქე სათანადო აღჭურვილობით. ნიაზ ბიძია ინტერნატში მცხოვრებ მოსწავლეებს საკუთარი შვილებივით უვლიდა, ხშირად მიძინარეებსაც დახედავდა – ავად არ გამიხდნენ, რამე არ უჭირდეთო. ნიაზ ბერიძის მონაწილეობის გარეშე სოფელში არ აშენდებოდა სახლი, არ გაიმართებოდა ქორწილი თუ მიცვალებულის

დაკრძალვა – სასიკეთო საქმის თავგაბი იყო ყველაფერში. მე, ჯემალს, თავის შვილებს: გურამს, თემურს და ყველა მოსწავლეს ნიაზ ზიძიამ ყველაზე დიდი სიკეთე – შრომის სიყვარული ჩაგვიწერა.

ცნობილია, რომ ზოგად განათლებას, ძირითადად, სკოლა იძლევა. მაშინდელი სასკოლო პროგრამებიც ზოგად განათლებაზე იყო გათვლილი, გააზრებულად შედგენილი. სასწავლო დისციპლინებთან ერთად გვასწავლიდნენ საზოგადოებრივ საქმიანობას, კრების მომზადებას, მოხსენებითი ბარათის შედგენას, ოქმის დაწერას, სიტყვით გამოსვლას. ეწყობოდა ექსკურსიები საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილებში. ზეფრი რამ გვასწავლეს დიდებულმა, გამოცდილმა პედაგოგებმა: ვახტანგ მაკარაძემ, ვლადიმერ მიქელაძემ, ჯულიეტა კვერენჩხილაძემ, ციალა ანდღულაძემ.

1954 წელს ტურისტული პიონერული საგზურით გამგზავნეს რუსეთში – რაიონიდან მარტო მე ვიყავი, აჭარიდან სულ 32 მოსწავლე და 4 პედაგოგი. ბათუმიდან ვმგზავრობდით მატარებლით. მარშრუტი ასეთი იყო: ბათუმი–როსტოვი–სტალინგრადი–მოსკოვი–ბათუმი. როსტოვის დათვალიერების შემდეგ ვოლგა-დონის არხით, კომფორტაბელური სამდინარო ლაინერით „ალექსეი ტოლსტოი“, ვიმგზავრეთ სტალინგრადამდე. არაჩვეულებრივი სანახაობა იყო: გემის ყოველ გაჩერებაზე სახელდახელო კონცერტი იმართებოდა რუსული „გარმონითა და ჩასტუსკებით“. სტალინგრადის დათვალიერებით გაოცებული დავრჩი – ომის დამთავრებიდან მხოლოდ 9 წელი იყო გასული და ნაცარტუტად ქცეული ქალაქი, ძირითადად, ფერფლიდან აღდგენილიყო. მამაის ყორღანი, პავლოვის სახლი, წისქვილი (ჯარისკაცთა დროებითი თავშესაფარი დიდ სამამულო ომში), გრანდიოზული შენობები, განიერი პროსპექტები, შადრევნები – თვალს გვჭრიდნენ. მოსკოვში 5 დღე გავჩერდით; დავათვალიერეთ: კრემლი, ტრეტიაკოვის გალერეა, რევოლუციის მუზეუმი, მოსკოვის მეტროპოლიტენი, ლომონოსოვის უნივერსიტეტი...

სოფელში ახლო სამეზობლოს ბავშვები მთელ დღეს ერთად ვატარებდით. მე და ზურაბ მაკარაძე სულ ერთ მერხზე ვისხედით, დასაძინებლად მშობლები ძლივს გვაცილებდნენ ერთმანეთს საღამოობით. ვმეგობრობდი აგრეთვე 1-2 წლით უფროს ბიჭებთან – ვაჟა მაკარაძესთან, შოთა ბერიძესთან, ოთარ მაკარაძესთან, ენვერ ქარცივაძესთან.



ნური ეფენდის შვილთაშვილი, პროფესორი აკაკი ბერიძე, თავის შვილთაშვილთან – პაწია მია ბერიძესთან ერთად

საშუალო სკოლის გახსნის შემდეგ ჩვენი კლასი შეივსო სხვა სასწავლებლებიდან გადმოსული ბავშვებით, რომლებმაც თავისებური სითბო და კოლორიტი შემოიტანეს. უმრავლესობა ინტერნატში ცხოვრობდა, ამიტომაც ერთად ვიყავით გაკვეთილების დამთავრების შემდეგაც. სკოლის დამთავრება ერთად ვიზიემეთ: ნაზი ზოიძემ, რუსუდან მაკარაძემ, ნაზი ქარცივაძემ, ნოდარ და შოთა ბერიძეებმა, ვაჟა თურმანიძემ, არჩილ დიასამიძემ, ავთანდილ თავდგირიძემ, რაფიელ, ზურაბ, კარლო, აბესალომ ფუტკარაძეებმა...ზოგიერთი ცოცხალი აღარაა – ღმერთმა გაანათლოს მათი სულები!

ვგრძნობ ცოტა ზედმეტი გამოივიდა, კარგად გვასწავლიდნენ და კარგადაც ვსწავლობდით-მეთქი. ძირითადად, მართლაც ასე იყო, მთავარი მიზეზი მაინც ისაა, რომ მაშინდელ ბავშვებს სწავლის მოტივაცია გვექონდა, რადგანაც განათლებასთან იყო ასოცირებული ჩვენი მომავალი ცხოვრება: ვინც კარგად სწავლობდა, კარგ სამსახურს აძლევდნენ, კარგი სპეციალისტები – პედაგოგები, ექიმები, ეკონომისტები, ინჟინრები, მეცნიერები ხდებოდნენ. მაგალითები კი ბევრი გვექონდა ირგვლივ. ამას გვასწავლიდნენ ჩვენი განმანათლებლებიც: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“..., „ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი – თავის ხელითა“ და ა. შ.

დიდი ილია ხაზგასმით ბრძანებდა; „ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად: რასაც მცოდნე კაცი ერთ საათში მოიამაგებს, იმას უცოდინარი მონადრემებს ოთხ-ხუთ საათს“...

დამქანცავი ფიზიკური შრომისაგან თავის დახსნის ერთადერთი გზა სწავლა იყო. უკეთესი მოტივაცია არ არსებობს!

**გული მწყდება რომ ახლანდელი ოლადაური ხალხისაგან ნახევრად დაცარიელებულია, თუმცა ჩვენები უკეთეს მოსავლიან მიწებზე დასახლდნენ საქართველოს სოფლებში, დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც. „მწვანელივით მოგვყარეს საქართველოსო“, – ხუმრობენ ოლადაურლები. მადლიერნი არიან ხელისუფლებისა, ადგილობრივი მოსახლეობისა, ძმებივით რომ მიიღეს და დაიმეზობლეს. ბევრმა ქალაქშიც დაიდო ბინა, მაგრამ მაინც მწყდება გული, ოლადაურის სკოლის ახლოს, „შადრევანში“, რომ ველარ ვისმენ მერჯან, დაუდ, ისმაილ, ემინ მაკარაძეების, შადიმან, ლოღმან, ახმედ ქარცივაძეების, ოსმან, ბაირამალ, სევასტი ფუტკარაძეებისა და სხვა ბრძენკაცების საუბრებს...**

**სოფელში ერთადერთი ნათელი იმედის მომცემი შუქურა ისევ მშობლიური სკოლაა. გულს მალამოდ ედება აქაური თვალციმციმა გონიერი გოგო–ბიჭების სილამაზე, ზრდილობა, განსწავლულობა კომპიუტერულ ტექნიკაში, უცხო ენებში... „კიდევაც დაიზრდებიან“!**

**იმრავლონ, იხარონ!**

## **აკაკი ბერიძე**

**სოფელ ოლადაურის საშუალო სკოლის პირველი ოქროსმედალოსანი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კლინიკა „მედი-ნას“ ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ქირურგთა საერთაშორისო საუკუნოვანი ასოციაციის წევრი, არაერთი საავტორო ოპერაციის შემოქმედი, ბათუმისა და შუახევის საპატოო მოქალაქე, აჭარელ ბერიძეთა თავკაცი.**



ბათუმის ინტელიგენცია შუახევში, ქართული სიმღერის ტრადიციულ დღესასწაულზე (მარცხნიდან): ჯანრი კაშია (ფილოსოფოსი, მწერალი, პუბლიცისტი), რამაზ სურმანიძე (პროფესორი, მწერალი, პუბლიცისტი), ფრიდონ ხალვაში (პოეტი) და აკაკი ბერიძე (პროფესორი, ექიმი).

**P.S.<sup>1</sup> ბატონი აკაკი ბერიძე – ღრმად პატივცემული** (როგორც ამას დიდ ნური ბერიძეზე ამბობდნენ ჩვენი სანაქე-ბო მამულიშვილები) **პროფესორი** ქრისტეშობისთვეშია დაბადებული. ყველა მისი გადარჩენილი პაციენტის სახე-ლით, 76 წლის ბრწყინვალე ექიმს – „**აღსავსეს ყოვლითა სიკეთითა**“, მხოლოდ ერთადერთ შეკითხვას დავუსვამთ და ვთხოვთ, გვიპასუხოს თავისი დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, რომელიც, მიუხედავად წუ-თისოფლის არაერთი უკუღმართობისა, გვეჯერა, რომ ფანტას-ტიკური გრანდიოზულობით ჩაივლის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში:

„ჩვენი სატკივარი დეკემბერშიც გათბობთ,  
თუ მას ფრთაფარფატა ფანტელები ათოვს?..“

უდიდესი მოკრძალებით მინდა გამოვხატო საოცარი სა-მადლობელი არა მხოლოდ იმის გამო, რომ სახელგანთქმულმა ქირურგმა, 20000-ზე მეტი ოპერაციის წარმატებით დამაგვირ-გვინებელმა, სრულიად მოულოდნელად მიყენებული ტრავ-მით გამოწვეული ხეიბრობისგან უოპერაციოდ მიხსნა, არამედ მარადიულად დრო-ჟამმოუცლელმა ბათუმის მუზეუმებში, არქივებსა თუ ბიბლიოთეკებში არსებული თითქმის ყველა ადგილობრივი წყარო შემიკრიბა და თბილისში გამომიგზავნა ან ჩამომიტანა, რომლის დროსაც არაერთ დაბრკოლებას წა-წყდა. ამიტომ ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა ზოგიერთი თანამშრომლის მიმართ ერთგვარი საყვედურიც მინდა ვთქვა: როცა იცით, რომ ძალიან ხშირად პაციენტთა სიცოცხლე მხო-ლოდ პროფესორ აკაკი ბერიძის „ოქროს ხელებსა“ და სკალ-პელზეა დამოკიდებული, მას 26 დღე არ უნდა ალოდინოთ ამა თუ იმ კონკრეტული დოკუმენტის მიღებისთვის... გარდა ამი-სა, კარგად უნდა გვახსოვდეს ჰომეროსის სიტყვებიც: გა-მოცდილი ექიმი ქვეყნისათვის დიდი განძია!

**წინამდებარე წიგნის ავტორის მინაწერი**

**P.S.<sup>2</sup> „ქირურგია პროფესორ აკაკი ზერიძის მეორე სიცოცხლეა. იცით კი, რამდენი სიცოცხლე აქვს ამ კაცს? – პოეზიით სუნთქავს, ხელოვნებით იკვებება, ისტორიით ცხოვრობს. დედა სამშობლოს სიყვარულით გაჯერებული მისი სისხლის ყოველი წვეთი, გულიდან გადატუმბული, ტვინამდე აღწევს და ეს საოცარი აბსტრაქტული ცნება – პატრიოტიზმი აკაკი ზერიძეში მთლიანად მატერიალიზდება – მისი სისხლის, ტვინის, გულისა თუ სულის ელემენტი ხდება.**

ვერ ვიტყვით, საიდან აქვს ასეთი დიდი ცოდნის მარაგი, ან ესოდენი აღტაცების უნარი, ანდა სიყვარულის უსაზღვრო ნიჭი! **როგორ შეიძლება ამ ხნის კაცი ასე ანთებული ეგებებოდეს მზის ყოველ ამოსვლას, ან ასე თავაწყვეტილი სურვილი მიერეკებოდეს იქ, მაღლა, მთებისკენ, გულის გასკდომამდე ეფერებოდეს საქართველოს და რაინდი მეციხოვნის დარად იცავდეს თავისი აჭარის აღმატებულ ღირსებათა ხელშეუხებლობას?!“**

არც ის ვიცი, თუ როგორ დაჯაბნა ბატონმა აკაკიმ წუთისოფლის ამაოება, როგორ მარტივად აჯობა ბოროტს და სიკეთეს აუნთო სხივი ან რა მანქანებით შეინარჩუნა ჭაბუკური რომანტიკა, რომლის სამანი არავინ უწყის!“.. (მჭედლიშვილი 2001 და 2009: 175-176).



## § 2. ჩემი სკოლა

სკოლა და მშობლიური ოჯახი, სადაც მე ვიზრდებოდი 17 წლის ასაკამდე, ჩემთვის განუყოფელი იყო. ეს თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი სახლიდან სკოლამდე სულ რაღაც 100 მეტრი მანძილია და სკოლის ეზო იყო ადგილი, სადაც გავიზარდე. გარდა ამისა, სკოლაში სწავლობდა ჩემი უფროსი და ერთადერთი ძმა – აკაკი, რომლის ნებისმიერი ქცევა ჩემთვის მაგალითი იყო (ცნობილია, რომ ეს ყოველთვის ასე ხდება რამდენიმე წლის ასაკით განსხვავებულ ერთი სქესის ბავშვებში). როდესაც ის გაკვეთილებს ამზადებდა, მე ყოველთვის მის გვერდით ვიჯექი და ვსწავლობდი ანბანს, წერასა თუ ლექსებს. იმიტომ სკოლის ასაკისათვის (მშობლებმა სკოლაში ექვსი წლისა შემიყვანეს, თუმცა იმ დროს სასკოლო ასაკად შვიდი წელი იყო მიღებული) კარგად ვიცოდი წერა-კითხვა და, ალბათ, პირველი კლასის არითმეტიკის პროგრამაც. საერთოდ, ჩვენს ოჯახში სკოლა და სწავლა პრივილეგირებული ცნებები იყო. ალბათ, ამას ჩვენი ოჯახის ისტორიაც განაპირობებდა. ხომ ცნობილი ფაქტია, რომ ოლადაურში პირველი ქართული სკოლის დამაარსებელი და საკუთარ სახლში დამფუძნებელი ჩვენი დიდი ბაბუა – ნური ხერბია!

სკოლის ასაკამდე და სკოლაში სწავლის პერიოდშიც მასწავლებელი ზეადამიანად მესახებოდა; ვერ წარმოვიდგენდი, რომ პედაგოგი უსუფთაო ტანისამოსით ყოფილიყო ან ცუდი გემოს საჭმელი შეეჭამა (იმ დროს მხედველობაში, ალბათ, ლობიო მექნებოდა). ასე რომ, 1950 წელს პირველ კლასში თითქმის მშობლიურ გარემოში მოვხვდი.

სკოლაში ჩემი პირველი მასწავლებელი იყო ქალბატონი ნინო ქარცივაძე. ახლა ქალბატონს ვუწოდებ, თორემ მაშინ სრულიად ახალგაზრდა გოგონა იყო, ხულოს ქალთა პედაგო-

გიური სასწავლებლის ახალკურსდამთავრებული. მახსოვს, როგორ წამიყვანა ნინომ სახლიდან პირველ სექტემბერს სკოლაში. ეს მისთვის მასწავლებლობის პირველი დღე იყო, ჩემთვის კი – მოსწავლეობისა. შემდგომ, მე-4 კლასის ჩათვლით, ჩემი მასწავლებლები მორიგეობით იყვნენ ნინო (სახლში მას ნინო მამიდას ვეძახდი, რადგან ის ჩვენი ახლო ნათესავიც იყო) და ქალბატონი **ლეონინა არჯევანიძე** – არაჩვეულებრივი პედაგოგი, ტკბილქართულად მოსაუბრე იმერული კილოთი (ქ-ნი ლეონინა წარმოშობით წყალტუბოელია), ასევე ჩვენი ნათესავი **ოჯახის რძალი და დედაჩემის დიდი მეგობარი**.


ოლადაურის სკოლაში, ისევე, როგორც ზემო აჭარის სასწავლებელთა უმრავლესობაში, პედაგოგები ჩამოსული იყვნენ საქართველის სხვადასხვა რეგიონებიდან, ძირითადად, გურიიდან და იმერეთიდან. მათ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი) დამთავრების შემდეგ სამუშაოდ ანაწილებდნენ ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების სკოლებში. ყველა მათგანი, ვინც მე მასწავლიდა ათი წლის განმავლობაში, მიუხედავად ახალგაზრდობისა, ჩემი აზრით, მოწოდებით პედაგოგები იყვნენ, რომლებიც მაშინდელი ყოფითი პირობების მოუწესრიგებლობისა და მთის მკაცრი კლიმატური პირობების მიუხედავად, მთელ თავიანთ ცოდნასა და ენერჯიას გვახმარდნენ მოსწავლეებს; თუმცა სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სოფელი ჩემი მოსწავლეობის წლებში ელექტროფიცირებული არ იყო, კინოს იშვიათად აჩვენებდნენ, ამიტომ გართობის საშუალება, როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს, პრაქტიკულად არც ჰქონდათ. შესაბამისად, ძირითად **საქმედ სწავლა და სწავლება რჩებოდა**, რასაც დადებითი შედეგი მოჰქონდა. ამასთან დაკავშირებით მოვლენებს ცოტა წინ გავუსწრებ და ერთ ამბავს გავიხსენებ:

1974 წელს და შემდგომ წლებში საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის დოცენტი და კავშირგაბმულობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ვიყავი, ამიტომ ზაფხულობით რეგულარულად მტოვებდნენ მისაღებ გამოცდებზე, სადაც ვასრულებდი საპრეტენზიო კომისიის ორგანიზატორ-მდივნის ფუნქციებს. მე ვამაყობდი იმით, რომ აბიტურიენტები ზემო აჭარიდან პრეტენზიებს აცხადებდნენ არა იმაზე, რომ გამოცდაზე ჩაიჭრნენ, არამედ მოითხოვდნენ (და ხშირ შემთხვევებში სამართლიანადაც) მიღებული შეფასებების ამაღლებას. საგამოცდო კომისიაში ასეთი გამოთქმაც დამკვიდრდა – ჯემალ ბერიძეს აჭარელი მცოდნე აბიტურიენტი მოუვიდაო.

ოლადაურის სკოლაში, გარდა ახალკურსდამთავრებული მასწავლებლებისა, მოღვაწეობდნენ ხანშიშესული, რევოლუციამდელ გიმნაზიებში ნამუშევარი პედაგოგები – **სარდიონ კალანდარიშვილი** და **გრიგოლ ჭავჭავანიძე**. ბატონი სარდიონი იყო ღრმად განსწავლული პიროვნება. ის ერთნაირი კვალიფიკაციითა და გულმოდგინებით ასწავლიდა ქიმიას, ბიოლოგიას, გერმანულ და რუსულ ენებს; დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს შორის, ასევე მთელ საზოგადოებაში. ბატონ სარდიონს უღრმესი პატივისცემით ეპყრობოდა ოლადაურისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობა – დიდი თუ პატარა.

1954 წლიდან, ოლადაურის რვაწლიანი სკოლის საშუალო სასწავლებლად გარდაქმნის შემდეგ, ჩვენთან მოვიდნენ ახალი მასწავლებლები: **აკაკი მსხილაძე**, **დავით ბელთაძე**, **კარლო გუგუშვილი**, **ოთარ ჯინჭარაძე**, **ვასილ ღვინიაძე** და სხვები. ამასთანავე, უკვე ადგილობრივმა კადრებმაც მიიღეს უმაღლესი განათლება და ღირსეულად შევიდნენ სკოლის კოლექტივში.

1952 წელს სკოლის დირექტორად დაინიშნა ქართული ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე სპეციალისტი, ოლადაურის მკვიდრი, ბატონი შოთა ქარცივაძე. სკოლაში მოღვაწეობას შეუდგნენ, აგრეთვე, მასწავლებლები (ასევე ადგილობრივი მკვიდრები): ვლადიმერ და შოთა მიქელაძეები, ნიაზ ბერიძე, შალვა ქარცივაძე, მამია დავითაძე, მიხეილ მაკარაძე და სხვები.



**პროფესორი ჯემალ ბერიძე შვილიშვილებთან ერთად**

აუცილებლად უნდა გავიხსენო ბატონი ვლადიმერ მიქელაძის მიერ ჩატარებული გაკვეთილები ასტრონომიაში (მაშინ სკოლის პროგრამით გათვალისწინებული იყო ასტრონომიაც, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს აღარ ისწავლება). იმ პერიოდში, უშუქობის პირობებში, ბატონმა ვლადიმერმა მოახერხა, ნა-

ვთის ლამპის შუქის გამოყენებით ჩაეტარებინა მზისა და მთვარის დაბნელების ისეთი სასწავლო ექსპერიმენტები, რომლებითაც არათუ მხოლოდ მაშინ გავიგე სრულად ამ მოვლენების არსი, არამედ იმ დროს მიღებულ ცოდნას დღესაც ვიყენებ კოსმოსური კავშირგაბმულობის სალექციო კურსის წაყვანისას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ბატონი სარდიონი, ქიმიის კურსის სწავლებისას, ისეთ საინტერესო ცდებს ატარებდა, რომელთა შესახებ მოგვიანებით, უკვე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის დროს, მოვუყევი ჩემს ქიმიის პროფესორს, სახელგანთქმულ მეცნიერს, რუსუდან ნიკოლაძეს (გამოჩენილი ქართველი სწავლულის, პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის უფროს ქალიშვილს). ქალბატონი რუსუდანი გამესაუბრა და მითხრა: თუ ეს ყველაფერი ოლადაურის სკოლაში შეისწავლე, მაშინ შენს მასწავლებელს ერთდროულად ქიმიისა და პედაგოგიკის პროფესორობა უნდა მიენიჭოსო.

ფიზიკას გვასწავლიდა ბატონი ვასილ ღვინიაძემ, რომელმაც შეამჩნია ჩემი მიდრეკილება ტექნიკური დისციპლინებისადმი და, შეიძლება ითქვას, ჩამაბარა ლაბორატორიის გასაღები, სადაც საათობით „ვიკარგებოდი“ საინტერესო ცდების ჩატარების დროს. განსაკუთრებით შემეყვარდა ელექტროობა, რამაც განაპირობა მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრება. ათი წლის ასაკში ავაწყვე ელექტროზარი, ცხადია, ბატარებზე, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სოფელში ელექტროფიკაცია ჯერ არ იყო განხორციელებული. ამას მოჰყვა პირველი მიკროსიმბლავრის წყლის ელექტროსადგურის დაყენება ოლადაურის დელეზე სკოლის ფიზიკის კაბინეტიდან აღებულ დინამომანქანის გამოყენებით, ბატარებზე მომუშავე რადიომიმღებების შეკეთების ორგანიზაცია სოფელში და ა. შ.

ამგვარად, სკოლა ჩემთვის, და საერთოდ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, იქცა როგორც სწავლის შეძენის, ასევე შემოქმედებითი განვითარების ადგილად, სადაც მუშაობდა


სხვადასხვა საგნობრივი წრეები, დრამატული წრე, ხალხური შემოქმედების წრე და ა. შ.

ოლადაურის სკოლაში მოვლინებულმა ახალგაზრდა პედაგოგებმა აღზრდა-განათლების საქმეში ახალი სიტყვა თქვეს. განსაკუთრებით მინდა გავიხსენო ფიზკულტურის მასწავლებლის, ბატონი კარლო გუგუშვილის მოღვაწეობა. მან სკოლაში შემოიტანა და დაამკვიდრა სპორტის რამდენიმე სახეობა – მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი და სხვ. თითქმის ყოველდღიურად, სადამოს, სკოლის ეზოში, კარგად მოწყობილ სპორტულ მოედანზე, იმართებოდა შეჯიბრებები. განსაკუთრებული სპორტული მაჩვენებლები გამოავლინა ოთარ მაკარაძემ, რომელსაც მეტსახელად „კოტრიკაძე“ შეარქვეს, რადგან იმ პერიოდში თბილისის საფეხბურთო გუნდის – „დინამოს“ კარს სახელგანთქმული მეკარე იცავდა და მას ფეხბურთის ქომავთა საყოველთაო სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. ოთარი თავისი სიმკვირცხლით სადღაც წააგავდა კიდევ სერგო კოტრიკაძეს – ამიტომ მას ეს მეტსახელი სიცოცხლის ბოლომდე შერჩა.

სკოლის მოსწავლეები კარგ შედეგებს აღწევდნენ სხვადასხვა რანგის სპორტულ შეჯიბრებებზე აჭარისა თუ სრულიად საქართველოს მასშტაბით. კარლო გუგუშვილისაგან ესტაფეტა მიიღო პედაგოგმა ნიაზ ზერიძემ, რომელმაც დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი ქ. თბილისში და სკოლის სპორტული მიღწევები კიდევ უფრო განამტკიცა, განსაკუთრებით სამთო-სათხილამურო სპორტის მიმართულებით.

ოლადაურის საშუალო სკოლის პირველი გამოშვება შედგა 1957 წელს. ამ დროიდან მოყოლებული ჩვენი კურსდამთავრებულები ნაყოფიერად იღვწიან საზოგადოებრივი საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში – განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემებში, მეცნიერებაში, ბიზნესში და ა. შ. საამაყოა, რომ ოლადაურის სკოლის კურსდამთავრებულთა შორის რამდენიმე მეცნიერებათა დოქტორი, ათეულობით

მეცნიერებათა კანდიდატი ან აკადემიური დოქტორია. თბილისში, როდესაც ჩვენი სკოლის მიღწევებით ტრაბახს ვიწყებ, მეგობრები ხუმრობით მეუბნებიან ხოლმე: ალბათ, ოლადაურში დენი რომ არ იყო, ახალგაზრდებს მეტი საქმე არ გქონდათ და მეცნიერებას იმიტომ გაჰყევითო.



მსოფლიოს პარლამენტართა საერთაშორისო კავშირის ყრილობის მონაწილე, დეპუტატი ჯემალ ბერიძე გაეროს შტაბ-ბინის სკვერში, ვუჩეტაძის ცნობილი მონუმენტის წინ

სკოლის კურსდამთავრებულებს შორის არიან ბრწყინვალე ჟურნალისტები, იურისტები, პარლამენტარები, პოლიტიკოსები, ექიმები, წარმატებული ბიზნესმენები.

ცხადია, როგორც ყველგან, ისე ჩვენს სკოლაშიც ხდებოდა კურიოზები, ბავშვური ოინბაზობები და ა. შ. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელო დილის გამამხნევებელი ვარჯიში, რომელიც სკოლაში ყოველდღე, გაკვეთილების დაწყებამდე 10-15 წუთით ადრე, ტარდებოდა, რაც თავისთავად კარგი საქმე იყო, მაგრამ, როდესაც ვარჯიშში მონაწილეობას აიძულებდნენ მოსწავლეებს, რომლებსაც სახლიდან სკოლამდე, დილაუთენია, 3-5 კილომეტრი გზა ფეხით ჰქონდათ გამოვლილი, ეს ანეკდოტურ სიტუაციას ემსგავსებოდა.

სკოლაში ბავშვური ოხუნჯობანიც მრავლად იყო, მაგალითად: მასწავლებლის სკამზე ჭიკარტების ფარული განლაგება, მისთვის ფეხმორყეული სკამის დადგმა და სხვა უბოროტო ხუმრობები, რომლებიც მოსწავლის კუთხეში დაყენებით, მშობლების სკოლაში დაბარებით ან სხვა „დამსჯელი“ ღონისძიებებით მთავრდებოდა.

მინდა აღვწერო ერთი ეპიზოდი ჩვენი მაშინდელი ცხოვრებიდან:

სკოლაში, როგორც ეს მიღებული იყო კომუნისტურ ეპოქაში, მოქმედებდა სამი ორგანიზაცია – პიონერული, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, მოსწავლეთა კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე იყო ჩვენი მეზობელი და მეგობარი, ამჟამად ცნობილი ექიმი ზურაბ მაკარაძე, და კომკავშირული, ჩემი ძმის – აკაკის ხელმძღვანელობით. ერთ დღეს თავის კაბინეტში „საიდუმლო სერობაზე“ დამიზარა სკოლის დირექტორმა, ბატონმა შოთა ქარცივაძემ, რომელმაც დამავალა, მომდევნო საერთო კრებაზე პროფილაქტიკის მიზნით გამეკრიტიკებინა ზურაბი და აკაკი, მათი მუშაობის სტილი და ა. შ., თანაც მომცა სათანადო მითითებები, თუ რაზე უნდა გამემახვილებინა



ყურადღება. სიტყვით გამოსვლა იმთავითვე არ მიჭირდა, ამიტომ ზედმიწევნით კარგად შევასრულე ბატონი დირექტორის დავალება. სკოლის საერთო კრებაზე ქვა ქვაზე აღარ დავტოვე, ისე „მოვთხარე“ მოსწავლეთა და კომკავშირის კომიტეტების მუშაობა. ჩემი გამოსვლის განმავლობაში ზურაბი და აკაკი დარბაზიდან მუშტებით მანიშნებდნენ, თუ რა მომელოდა კრების დამთავრების შემდეგ. ვიცოდი, ცემა არ ამცდებოდა, ამიტომ კრების დამთავრებისთანავე შეუმჩნევლად გავძვერი მოსწავლეებს შორის, გავიქეცი სახლში და მივვარდი ბებიას, რომელსაც სასწრაფოდ ავუხსენი, რაშიც იყო საქმე – ვუთხარი, რომ „მოსაკლავად მომდევდნენ“ და მომხდურებისაგან დაცვა ვთხოვე. ბებია, რა თქმა უნდა, იმწამსვე გადამეფარა და აიღო თავისი ჯოხი, რითაც ზურაბის, აკაკისა თუ მათი მეგობრების პირველი „რისხვა“ ავიცილე. მეორე დღეს კი მომხვდა, მაგრამ ის უკვე იმ სიმკაცრით არ იყო შესრულებული, როგორც ცხელ გულზე შეიძლებოდა მომხდარიყო.

მახსენდება ეპიზოდი, როდესაც ჩემმა ძმამ და მისმა მეგობრებმა ქიმიური ექსპერიმენტის საგნად გამომიყენეს. გაკვეთილზე ბატონმა სარდიონმა მოსწავლეებს აუხსნა, რომ ქიმიური ნივთიერებების – ტუტისა და მჟავის – შერევით ხდება რეაქცია, რომელსაც დიდი რაოდენობით ქაფის გამოყოფა მოსდევს. მოსწავლეებს, როგორც ჩანს, ნანახი ჰქონდათ, როგორი ქაფი აქვს შამპანურს ჭიქაში ჩასხმის დროს. ამიტომ ცდის ჩასატარებლად შეიკრიბნენ ჩვენს სახლში, აიღეს სოდა, ჩაყარეს მჟავე წვენში და როცა გვარიანად აქაფდა, მიღებული ნარევი შამპანურის რანგში დამალევინეს. მათ აინტერესებდათ ამ ხსნარის მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე. დედაჩემს რამდენიმე დღე დასჭირდა შვილის მოსულიერებისათვის, ჩემი ძმა და მისი მეგობრები კი, ამ „ექსპერიმენტის“ გამო, გვარიანად მიიტყვიპნენ.

კარგი სწავლისათვის მოსწავლეებს ზოგჯერ ამა თუ იმ წახალისების ფორმით გვაჯილდოებდნენ. ასე მაგალითად:

1956 წელს მე და ჩემი თანაკლასელი, ფრიადოსანი მოსწავლე ალექსანდრე მაკარაძე ჩავგვრთეს ბათუმის ნორჩ ნატურალისტთა სადგურის მიერ მოწყობილ ექსკურსია-ექსპედიციაში აღმოსავლეთ საქართველოში. დავათვალიერეთ ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, დიდი ილიას სახლ-მუზეუმები ყვარელსა და საგურამოში, ვიყავით მთაწმინდის პანთეონში.

ქალაქ თელავის დათვალიერების დროს მოვხვდით ერთ-ერთ უბანში, რომელსაც **ნადიკვარი** ეწოდება. სოფელ ოლადაურშიც გვაქვს უბანი ანალოგიური დასახელებით – ნადიკვარა, ამიტომ თელავის „ნადიკვარი“ რაღაც ახლობლად, მშობლიურად მოგვეჩვენა.

არასოდეს დამავიწყდება და ყოველთვის ვამაყობ იმით, რომ 1958 წელს მე, როგორც წარჩინებული მოსწავლე, მოვხვდი შუახევის რაიონის მოსწავლეთა დელეგაციის შემადგენლობაში, რომელმაც მონაწილეობა მიიღო თბილისის 1500 წლისთავის იუბილეში. ეს იუბილე ნამდვილ საერთო-სახალხო ზეიმად იქცა. ძირითადი საზეიმო ღონისძიება ვაკეში, ლოკომოტივის სტადიონზე, შედგა. მთელი ცხოვრება მახსოვს, როგორ მღეროდა ხალხით გაჭედილი სტადიონი რევაზ ლალიძის ახალ სიმღერას თბილისზე, როგორი აღტაცება იკითხებოდა თითოეული მონაწილის სახეზე. სწორედ მაშინ 14 წლის ახალგაზრდამ გულში გავიფიქრე, რომ აუცილებლად ვიცხოვრებდი თბილისში, რაც, ღვთის წყალობით, ამისრულდა კიდევ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამავე დელეგაციის შემადგენლობაში იყო წარჩინებული მოსწავლე სოფელ ლომანაურიდან, შემდგომში წარმატებული ექიმი, ოთარ ფუტკარაძე. მე და ოთარი თბილისის საიუბილეო დღეების განმავლობაში სულ ერთად ვიყავით, დავმეგობრდით და ეს მეგობრობა გავაგრძელებით სტუდენტობის წლებში, შემდგომშიც. ძალიან სამწუხაროა, რომ განგების ძალით დღეს ოთარი ჩვენს გვერდით აღარაა.

ოლადაურის სკოლაში კარგად რომ ვსწავლობდით, ამაში ლომის წილი მიუძღვით ჩვენს მშობლებს. ყოველი პირველი სექტემბერი – სწავლის გაგრძელება მომდევნო კლასში – ჩვენთვის ზეიმი იყო. დედა ლამაზად გამოგვაწყობდა მოსწავლის ფორმაში, მოდაზე გაგვკრეჭდა, დაგვლოცავდა და ისე გავაცილებდა, სკოლაში კი სარდიონ მასწავლებელი მე და კაკოს, როგორც მოდელებს პოდიუმზე, ისე წარგვადგენდა ხოლმე – აი, ასე უნდა გამოიყურებოდეს ჩვენი სკოლის ყველა მოსწავლეო.



**პროფესორი ჯემალ ზერიძე მეგობრებთან (მურთაზ უგულავა, თემურ გრიგორაშვილი, ზურაბ ხანძელაძე და ალბერტ ასანიძე).**

ძნელია ერთ პუბლიკაციაში მოაქციო ყველაფერი, რაც სკოლას უკავშირდება. ეს ცხოვრების ათი საუკეთესო წელია, როცა ადამიანი ხარბად ისრუტავს და ითავისებს ყველაფერს,

246

რასაც აწვდიან ან თვითონ მოიპოვებს – კარგსაც და ცუდსაც. ჩემი სკოლის დიდი დამსახურება ისაა, რომ მან მხოლოდ კარგი მომაწოდა და შემასწავლა, გამზარდა ისე, რომ ყოველთვის მახსოვდეს დიდი შოთა რუსთაველის შეგონება – „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

მიუხედავად იმისა, რომ ორმოცდათხუთმეტი წელია აღარ ვცხოვრობ ოლადაურში და სკოლასთან ჩემი კონტაქტები შემცირებულია, ურთიერთობა მასთან არასდროს შემიწყვეტია. გულით მიხაროდა მაშინ, როდესაც სკოლაში დირექტორებად მოღვაწეობდნენ გამორჩეული პედაგოგები ვახტანგ და ვაჟა მაკარაძეები, მასწავლებლებად – ოთარ, ირაკლი, ვახტანგ, მიხეილ და აკაკი მაკარაძეები. მიხარია, რომ სკოლაში ბევრია ახალგაზრდა პედაგოგი – მედეა, მიხეილ და არჩილ მაკარაძეები, მერაბ ფუტკარაძე – ოლადაურის საჯარო სკოლის ამჟამინდელი დირექტორი, მერაბ მაკარაძე, ზადრი ქარცივაძე და სხვანი და სხვანი.

პატიებას ვთხოვ ყველა პედაგოგს, რომელთა ღვაწლი ჩვენს პუბლიკაციაში სათანადოდ ან საერთოდ ვერ აისახა, ქედს ვიხრი ამ ქვეყნიდან წასული მასწავლებლების ნათელი ხსოვნის წინაშე, ჯანმრთელობას და ხანგრძლივ ნაყოფიერ საქმიანობას ვუსურვებ ოლადაურის სკოლის ყველა ყოფილ და მოქმედ პედაგოგს.

საორიენტაციო სტატისტიკური კვლევის მიხედვით, შეიძლება იმის დიდი ალბათობით ვარაუდი, რომ ოლადაურის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთა მიერ უმაღლესი განათლების მიღების პროცენტული მაჩვენებელი, რაც ნებისმიერი სასწავლებლის მუშაობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, არაფრით ჩამოუვარდება საქარ-

თველოს პრესტიჟული სკოლების ანალოგიურ მაჩვენებელს და ზოგჯერ აღემატება კიდევ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იუბილარი სკოლა აგრძელებს ფუნდამენტური სწავლა-განათლების ორგანიზების მდიდარ ტრადიციებს.

დიდება ოლადაურის სკოლას!

## ჯემალ ბერიძე

ოლადაურის საშუალო სკოლის ოქროს მედალოსანი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატელეკომუნიკაციო ქსელების კათედრის გამგე, სრული პროფესორი, კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი.

**P.S.** ბატონი ჯემალი თავსდამტყდარი ტრაგედიის (რომლის ფასიც შვილის სიცოცხლეა) შემდეგ განუსაზღვრელ ტკივილთან ერთად ცხოვრობს. თუ არ იცი ამის შესახებ, ვერც შეამჩნევ – არც კი გაგრძნობინებს, ვერც გაიფიქრებ; თვლის, რომ ეს მისი საკუთრებაა და არ თმობს. სამაგიეროდ, აფრქვევს უზომო სიკეთეს, აკეთებს იმაზე მეტს, რაც ერთმა ადამიანმა უნდა გააკეთოს იმიტომ, რომ იგი საქართველოს თავისი შვილის – **ირაკლის წილ სამსახურსაც უწევს** (ალეკო ბაკურიძე 2009: 16). მან საკუთარ თავში იპოვა ჭირთათმენის საოცარი ძალა და თავისი თავი, როგორც მოღვაწემ, შეუნარჩუნა ქვეყანას, შვილიშვილებს, შვილებს, ბერიძეების დიდ ოჯახსა და სამეგობროს. ყოველი ადამიანის ჭირისა თუ ლხინის გამზიარების შესახებ ხშირად ხუმრობენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში: ბათუმი-თბილისის მატარებლის ჩამოსვლას

დეპუტატ ჯემალ ბერიძესთან მოსული მთხოვნელებით ვგებულობთ და ისიც ყოველთვის ახერხებს, ყველას გაუნაწილოს თავისი გულის სიტბო, ანუ ლუკმაც კი გაუყოსო. ამის შემდეგ სულაც აღარაა გასაკვირი, რომ დიდებულ პროფესორს თურმე ძალიან ხშირად ესიზმრება უმშვენიერესი ოლადაურის სანახები – თავისი უდარდელი ბავშვობა, ასე რომ: „კვიცი გვარზე ხტის“



მალამთიანი აჭარის სოფლის სკოლიდან საერთაშორისო ასპარეზამდე – პროფესორი ჯემალ ბერიძე (მარჯვნიდან პირველი) სინგაპურის კონგრესზე ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან ერთად.

### § 3. მმაფრად განცდილი



ჟამთა სვლამ ჩვენი ცხოვრების, მათ შორის უახლოესი წარსულის, მრავალი ეპიზოდი უღმობლად გაცრიცა, დაგვა-ვიწყა. მხოლოდ ის გვახსოვს, რაც მმაფრად განვიცადეთ, რაც მეხსიერების დახლართულ ლაბირინთებში დაილექა და სამუდამოდ დაიდო ბინა. ასეთია ჩვენი ბავშვობის

სურათები, დროდადრო მეხსიერების ზედაპირზე რომ ამოტივტივდება, თავს შეგვახსენებს, მიგვაახლოებს იმ დროს, როცა პირველყოფილი სიწრფელით აღვიქვამდით, ფართოდ გახელილი თვალებით შევიმეცნებდით ირგვლივ ყველაფრს, მრავალსახოვან სამყაროს. საოცარია, რომ, რაც დრო გადის, უფრო გვახსენებენ თავს მოგონებები, თითქოს მეტად და მეტად ვუახლოვდებით საკუთარ ბავშვობას. როგორც ჩანს, ასეთია კაცის ბუნება.

და ახლა მახსენდება სოფელ ოლადაურის სკოლა, ხის კომპაქტური შენობა, რომელიც ჩვენი სახლიდან, სადაც ვიზრდებოდი, სულ რამდენიმე მეტრით იყო დაშორებული. **ზარი, რომელიც გაკვეთილის დაწყებას გვამცნობდა, ჩვენს სახლშიც ირეკებოდა.** მახსოვს, ჯერ კიდევ სკოლამდელი ასაკის ბავშვი ყოველ დილას შურის თვალით შევეყურებდი უფროს ბიძაშვილებს, რომლებიც ზარის ხმაზე სკოლისკენ მიიჩქაროდნენ.

შემდეგ მეც ვეწიე სასკოლო ასაკს. სკოლაში წასვლა ჩემთვის ლამის საკრალური აქტის ტოლფასი იყო. ამიტომ ცხადად მახსოვს არა მარტო პირველი დღე, პირველი გაკვეთილი, პირველი მასწავლებელი (**ჩვენი ლეონინა მასწავლებელი**), კლასელები, რომელთა ნაწილს მანამდეც ვიცნობდი, არამედ ფეხსაცმელიც კი, რომელიც მშობლებმა სასკოლოდ შემიძინეს, შეშის ღუმელი, რომელსაც ზამთარში, ყინვაში, რიგრიგობით ვეფიცებოდით.

შემდეგ ჩემი პირველი სკოლის ადგილას ახალი, უფრო თანამედროვე შენობა ააგეს. ახლაც მახსოვს, როგორ ვცდილობდი, დავხმარებოდი მუშებს, რაც უმეტესად წყლისა და სამუშაო იარაღების მიწოდებაში გამოიხატებოდა, **მიხაროდა, რომ მეც, თუნდაც ამ სახით, ვმონაწილეობდი სკოლის, იმდროინდელი ჩვენი სოფლის ერთგვარი საკულტო ნაგებობის, მშენებლობის პროცესში**. მერე უკვე ახალაშენებულ სკოლაში გავაგრძელე სწავლა.

წელი წელს ცვლიდა... ზოგჯერ სიზარმაცეც დამრევდა ხელს, **მზეზრდებოდა სწავლის რუტინული პროცესი**, ველოდებოდი საზაფხულო არდადეგებს, თუმცა სულ მალე კვლავ სკოლა, ამხანაგები, მასწავლებლები მენატრებოდნენ და მოუთმენლად ველოდი ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, შემთხვევას არ ვუშვებ ხელიდან, თანაკლასელებთან შეხვედრისას არ გავიხსენო სახალისო, ზოგჯერ პიკანტური ამბები სკოლის ცხოვრებიდან. **ის წლები, რომლებიც სკოლაში გავატარე, ახლაც ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდი**ა. კარგად მახსოვს თითოეული პედაგოგი, რომელთა დიდი ნაწილი დღეს ცოცხალი აღარ არის(მოკრძალებით ქედს ვიხრი მათი ხსოვნის წინაშე!) და ცალკული გაკვეთილი, ცალკეული შეგონებაც კი. ახლაც მიკვირს, როგორ ახერხებდნენ



მოსწავლეებთან, რომელთა დიდ ნაწილთან პატარა სოფლის-  
თვის დამახასიათებელი ახლონათესაური ურთიერთობა აკავ-  
შირებდათ, გულწრფელი, მოსიყვარულე და იმავე დროს  
საქმიანი, ობიექტური დამოკიდებულება შეენარჩუნებინათ!..

შემდეგ იყო სკოლის დამთავრება, უნივერსიტეტი, ასპი-  
რანტურა, თუმცა რაღაც უხილავი ძაფები სკოლასთან, ბავშვო-  
ბასთან ყოველთვის მაკავშირებდა. მახსოვს, თბილისის სა-  
ხელმწიფო უნივერსიტეტმა მადლობის წერილი მოამზადა  
ოლადაურის სკოლის სახელზე, მადლობას უხდიდნენ ჩემი  
კარგი აღზრდისათვის (წესი იყო ასეთი!). გულის ფანცქალით  
ველოდი წერილის ადრესატამდე მისვლას. თან ამ ფაქტს აღ-  
ვიქვამდი არა ჩემს, არამედ ჩემი სკოლის, მასწავლებლების(წე-  
რილის პათოსიც ამას გამოხატავდა!) წარმატებად. შემდეგშიც  
**მომეცა საშუალება, მოკრძალებული წვლილი შემეტანა სკო-  
ლის განვითარებაში, რაც ჩემი საზოგადოებრივი საქმიანობის  
მთავარ შედეგად მიმაჩნია... თუმცა მოუხდელი ვალდებულე-  
ბის გრძნობა დღემდე მაწუხებს და, ალბათ, გამყვება სიცო-  
ცხლის ბოლომდე.**

## **ელგუჯა მაკარაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუ-  
მის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სრული პროფესორი, საქართველოს პარლამენტის ორ-  
გზის მოწვევის დეპუტატი.

#### **§ 4. ჩემი სკოლა – ჩემი სიამაყე და სიხარული..**

ვცდილობ არ შევიმჩნიო, მაგრამ ჩემი სკოლის შესახებ მოგონების წერას აულელვებლად ვერ ვახერხებ; ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ყველას, ვინც შენს აღზრდა-განათლებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, დამსახურებული პატივი უნდა მიაგო, ამაგი უნდა დაუფასო, სიკეთის დამნახავი კაცის სახელით უნდა ისაუბრო, სათქმელი ღირსეულად და სრულად უნდა წარმოაჩინო, არავინ უნდა გამოგჩრქეს, თანაც მკითხველის ყურადღებაც უნდა მიიპყრო. აღნიშნული რომ ადვილი შესასრულებელი არ არის, სწორედ ამიტომაც განვიცდი და ვღელავ, თუმცა თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ყველაფერს, რაც სკოლის მოგონებებს უკავშირდება, გულწრფელად და მიუკერძოებლად წარმოვაჩენ, მასში ჩემს სიხარულს, მასწავლებლებისადმი სიყვარულს არ დავაკლებ; სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი დღეს ცოცხალი აღარ არის – ღმერთმა ნათელში ამყოფოს პედაგოგთა სულები, რათა იმქვეყნად მარადიული სასუფეველი დაუმკვიდრდეთ...

საშუალო სკოლა, სადაც მე სწავლა დავიწყე, ისტორიული მარეთის ულამაზეს ხეობაში, სოფელ ოლადაურში, მდებარეობს. ეს ის სოფელია, რომელიც თავისი ხიბლით ბრწყინავს და გამოირჩევა მთელ აჭარაში; ისტორიული წარსულით, კულტურული და მეცნიერული მემკვიდრეობით, სილამაზითა და მნიშვნელობით მან თავიდანვე მიიპყრო მეცნიერების, მოგზაურებისა თუ საზოგადო მოღვაწეთა ყურადღება, ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ სოფელთან მიმართებაში უამრავი ისტორიული ნარკვევი, სამეცნიერო პუბლიკაცია, პუბლიცისტური სტატია და ლექსი დაიწერა. მათი ავტორები გახლავან: ელგუჯა მაკარაძე, ოთარ ფუტკარაძე, აკაკი ზოიძე, ბიჭიკო დიასამიძე, ვახტანგ მაკარაძე, ლევან მაკარაძე, სერგო დუმბა-

ბე, არჩილ იშხნელიძე, ვაჟა მაკარაძე, რეზო ზოსიძე, გულნარა ზოლქვაძე, ნუკრი ჯანხერიძე, ოთარ თურმანიძე, ზურაბ გორგილაძე, ნესტორ მალაზონია, ფრიდონ ხალვაში, მერაბ მაკარაძე, ციალა ნადარეიშვილი, ... გამოქვეყნდა ვახტანგ მაკარაძის 675 გვერდიანი წიგნი „გამონათლევის გამონათება“.

ეს ის სოფელია, რომელსაც ნესტორ მალაზონიამ შესანიშნავი ლექსი უძღვნა:

**შეხვალ, მაგრამ ვერ გამოხვალ,  
გული გეტყვის: დარჩიო,  
ასეთ სოფელს ვერსად ნახავ,  
ათასში რომ არჩიო.**

ეს ის სოფელია, რომელმაც სამშობლოს უამრავი ღირსეული და ცნობილი მეცნიერი (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აკაკი ბერიძე; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯემალ ბერიძე**; ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლევან მაკარაძე**; ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი **ელგუჯა მაკარაძე**, მედიცინის აკადემიური დოქტორები: **ნარგიზ ბერიძე**, **ჯამბულ მაკარაძე** და **სოლომონ ფუტკარაძე**, ვეტერინარიის აკადემიური დოქტორები **შალვა და ზურაბ მაკარაძეები**, ფიზიკამატემატიკის აკადემიური დოქტორი **სოლომონ მიქელაძე**), საზოგადო მოღვაწე (**ლომან ქარცივაძე**, **ნური ბერიძე**, **ახმედ მაკარაძე**, **ვახტანგ მაკარაძე**) თუ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი აღუზარდა. მარეთის ხეობის ამ პატარა სოფლის ასეთი წარმატება განაპირობა იმან, რომ ჩემ მიერ მინიშნებულ ყველა პიროვნებას საბაზისო განათლება მიღებული აქვს ოლადაურის საშუალო სკოლაში, რომელიც 1915 წელს დაარსდა და გადაიქცა მძლავრ საგანმანათლებლო კერად აჭარაში. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან დასახელებული სოფელი ადრიდანვე

გამოირჩეოდა ცნობილი პიროვნებებით, რომლებიც უდიდეს როლს ანიჭებდნენ განათლების მიღებას და თავიანთი საქმიანობით აქტიურად იყვნენ ჩართულნი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებასა და აჭარაში წერა-კითხვის გავრცელების საქმეში. განსაკუთრებულია მათი ღვაწლი საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტისა და მამულიშვილური საქმეების კეთების თვალსაზრისით:



სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე**, ამავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **გურამ ლორთქიფანიძე**, პროფესორები **გურამ გრიგოლა** და **ლევან მაკარაძე**.

ოლადაურელი იყო **ლომან ქარცივაძე** (1812-1891 წწ.), რომელმაც უმაღლესი სასულიერო განათლება სტამბოლში მიიღო. მან დიდი გავლენა მოიპოვა სულთან აბდულ აზიზის კარზე, რადგანაც მისი მრჩეველი და მასწავლებელი იყო გეოგრაფიაში, ასტრონომიაში, ფიზიკასა და სამხედრო საქმეში.

იცოდა არაბული, სპარსული, თურქული და ლათინური ენები, მიჰყავდა არაერთი სალექციო კურსი მეცნიერების სხვადასხვა დარგში, რისთვისაც „**დიდ პროფესორს**“ უწოდებდნენ... ლომან ქარცივაძე სამშობლოში 1878 წელს დაბრუნდა. მაღალი ღირსების გამო, მას რუსეთის ხელისუფლება უდიდეს პატივს მიაგებდა. 1883 წელს ალექსანდრე მესამის მეფედ კურთხევის ცერემონიალზე იგი რუსეთში მიიწვიეს და, როგორც დეპუტატს, 200 ოქრო პენსიად დაუნიშნეს. ლომან ქარცივაძემ ქრისტიანი იმპერატორის პენსია არჩია ოსმალეთის სულთანთან ფუფუნებაში ყოფნას და მის სასახლეში განცხრომით ცხოვრებას.

ოლადაურელმა **ნური ბერიძემაც** უმაღლესი იურიდიული განათლება სტამბოლში მიიღო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი ღირსეულად ემსახურებოდა სამართლიანობის საქმეს – გამოირჩეოდა პრინციპულობითა და მიუკერძოებლობით, რის გამოც თავიდანვე ხალხის ნდობა და დიდი სიყვარული დაიმსახურა. **სწორედ მის სახელს უკავშირდება ახლანდელი შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურში 1915 წელს პირველი ქართული სკოლის გახსნა. სახელგანთქმულმა ხოჯამ აღსაზრდელებსა და აღმზრდელებს თავისი საკუთარი სახლი დაუთმო.**

სტამბოლში უმაღლესი განათლება მიიღო, აგრეთვე, ოლადაურელმა **ახმედ მაკარაძემ**. ლომან ქარცივაძესა და ნური ბერიძესთან ერთად ის წინ აღუდგა მუჰაჯირობას. ბატონი ახმედი ამბობდა: „ჩვენი კუთხის ხსნა ქართული წერა-კითხვის შესწავლასა და მშობლიურ ენაზე განათლების მიღებაში მდგომარეობსო“.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული დიდებული პიროვნებები თურქეთში დასპეციალდნენ, ისინი უმწიკვლოდ ემსახურებოდნენ ქართულ საქმეს – საქართველოში სკოლების

დაარსებას და მშობლიურ ენაზე განათლების მიღებას. სწორედ ასეთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების თანადგომით ხორციელდებოდა წერა-კითხვის გავრცელება აჭარაში და, რა თქმა უნდა, ფასდაუდებელია მათი ამაგი სოფელ ოლადაურისათვის ღირსეული ისტორიული წარსულის მინიჭებისა და სკოლის სახით განათლების კერის ჩამოყალიბების საქმეში.

ბრწყინვალე ტრადიციები წარმატებით ვითარდებოდა შემდგომ თაობებში, რომელთაგან გამოირჩეოდნენ: ვახტანგ და ნადია მაკარაძეები, ნური ბერიძე (უმცროსი), ნესტორ და მიხეილ მიქელაძეები, ნათელა ქარცივაძე, ზულეიხა ფუტკარაძე.

ოლადაურის, როგორც ისტორიული მნიშვნელობის, დასახლებაზე მიუთითებს ისიც, რომ სწორედ ამ სოფელშია: თამარის ჭალა, ნადიკვარი, რკინის ჯვრის მთა, რომელიც მოიაზრება საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებლის ანდრია პირველწოდებულის მიერ ჯვრის აღმართვის ადგილად (იხ. ოთარ ფუტკარაძის ვრცელი ისტორიული ნაშრომი „სად მდებარეობს მთა, რომელზეც ანდრია პირველწოდებულმა რკინის ჯვარი აღმართა“, ჟურნალი „ჭოროხი“, №1, ბათუმი, 2013). აქვე მინდა დავამატო ისიც, რომ ოლადაურში ისტორიის პედაგოგის – მიხეილ მაკარაძის კვალის გამგრძელებლის – არჩილ მაკარაძის თაოსნობით გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც მეცნიერთათვის ძალიან საინტერესო და ისტორიისათვის ღირებული ექსპონატებიჭა არის წარმოჩენილი.

ყოველივე ზემოაღნიშნული ჩემს მოგონებას იმიტომ წავუმძღვარე, რომ თვალნათლივ ავხსნა, თუ რატომ გამოირჩევა მშობლიური სოფელი ოლადაური და მისი საშუალო სკოლა, სადაც მე, პატარა ლევან მაკარაძემ, სწავლა პირველ კლასში 1959 წელს დავიწყე. მასწავლებლებად იმ პერიოდში მუშაობდნენ ნინო ქარცივაძე და ლეონინა არჯევანიძე. ორივეს თავისი ხელწერა ჰქონდა – პირველკლასელებთან მუშაობის თვალ-

საზრისით ორივენი გამორჩეულნი იყვნენ. ჩემს მასწავლებელს ნინო ქარცივამეს ახასიათებდა ზომიერი სიმკაცრე. ბავშვებისადმი განსაკუთრებული სიყვარული, რაც მეტად მნიშვნელოვანი იყო პირველ კლასში მისული ახალბედა მოსწავლისათვის. სწორედ ქალბატონმა ნინომ შემაყვარა იაკობ გოგებაშვილის „აი ია“. სადოქტორო ნაშრომის დაცვის შემდეგ, ჩემი ოლადაურში რამდენიმე დღით ყოფნის პერიოდში, ოჯახში გვესტუმრა ნინო მასწავლებელი, რომელმაც გულწრფელად მომილოცა დისერტაციის წარმატებით დაცვა და თან დააყოლა: „თუ, შვილო, ცოტათი მკაცრი ვიყავი, იმიტომ, რომ დღევანდელი დღისთვის გამზადებდიო“. ქალბატონი ნინო ჩემს მეხსიერებაში დარჩა როგორც გულისხმიერი და არაჩვეულებრივი ბუნების მქონე პედაგოგი, სწორედ ისეთი, როგორიც უნდა იყოს პირველი კლასის მასწავლებელი.

**ოლადაურის სკოლის მასწავლებლები გამოირჩეოდნენ მაღალი პროფესიონალიზმით და არც იყო გასაკვირი, რომ მათი დიდი ნაწილი მიწვეული იყო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაღები გამოცდების კომისიათა შემადგენლობაში, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მსმენელებთან ლექციების წასაკითხად მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში. რა დამავიწყებს ჩემს მასწავლებლებს: ვახტანგ, მიხეილ, ვაჟა, ირაკლი, ოთარ, აკაკი, ნოდარ მაკარაძეებს; შოთა, აკაკი, შალვა ქარცივაძეებს; ვლადიმერ და შოთა მიქელაძეებს, ნიაზ და რეზო ბერიძეებს, ვლადიმერ ფუტკარაძეს... მაღლობა მათ გაწეული უანგარო შრომისათვის!**

დღითიდღე ვგრძნობდი, რომ სკოლაში ყოფნის პერიოდში ნელ-ნელა მივიწევდი წინ: სკოლა წარჩინებით დავამთავრე, უნივერსიტეტიც – „წითელ დიპლომზე“. სწავლას არასდროს „ვღალატობდი“, მაგრამ სპორტითაც ვიყავი გატაცებული, რაც ფიზკულტურის მასწავლებლის ნიაზ ბერიძის

დამსახურებაა. ბატონი ნიაზი გახლავთ უკეთილშობილესი პიროვნება, ძალიან გულისხმიერი და დაუზარელი. იგი ყველას უყვარს, რადგან მას ყველგან ნახავთ – ლხინშიც და ჭირშიც. სწორედ მისი დაუღალავი შრომის შედეგია, რომ გავხდით აჭარის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის სათხილამურო სპორტში და პირველთანრიგოსანი. სპორტს რომ გავყოლოდი, დარწმუნებული ვარ წარმატებები მექნებოდა, მაგრამ მეცნიერებაში გადასწონა, ორივე ერთად კი ძნელი ტვირთი იქნებოდა.

მინდა გავიხსენო შესანიშნავი პედაგოგისა და უკეთილშობილესი პიროვნების, ბატონ რეზო ბერიძის ნაამბობი. თურმე მას უთხრეს: შუახვევის რაიონის რომელიმე სკოლაში დირექტორად წასვლას ოლადაურში რიგითი მასწავლებლობა გერჩიოსო, და ახალგაზრდა პედაგოგმა არჩევანი სწორედ ამ სკოლაზე შეაჩერა, რომელსაც იმ დროისათვის ბატონი ვახტანგ მაკარაძე ხელმძღვანელობდა. ახლა სულაც არ მიკვირს, როდესაც ჩემი ცხოვრების მეგობარი, ჩემი მეუღლე ლიანა (დოდო) ბერიძე სიამაყით იხსენებს ოლადაურის საშუალო სკოლაში გატარებულ წლებს და იმ ღირსეულ პედაგოგიურ კოლექტივს, რომელსაც მის მომავალ წარმატებებში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის.

დღესაც დიდი სიყვარულითა და სიამაყით ვათვალიერებ მოსწავლეობის პერიოდში მიღებულ არაერთ დიპლომს, საპატიო სიგელსა თუ სამკერდე ნიშანს, ჩემ შესახებ დაწერილ საგაზეთო სტატიებს.

მშობლებს ჩემზე მეტად ახარებდათ და ეამაყებოდით შვილის წარმატებები. სწავლის ფასი ოდითგანვე ღირსეულად იყო წარმოჩენილი ოჯახში: მამა – აჭარის მედიცინის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებით იყო დაჯილდოებული, დედა – აიშე ზოიძე ყოველთვის მხარში ედგა შვილებსაც



და მეუღლესაც. აღარაფერს ვამბობ ბებიანზე – თავადის ქალბატონ ფადიმე დიასამიძეზე, რომელიც შვილიშვილებისთვის კარგი განათლების მიღებას ყველაზე დიდ სიმდიდრედ მიიჩნევდა.

მახსოვს, ერთხელ მამამ სკოლიდან გამომიყვანა, მეტად სიმპათიური და წარმოსადეგი ადამიანი მაჩვენა და მითხრა: „აი, ეს არის აკაკი ბერიძე, რომლის შესახებაც სახლში ხშირად ვსაუბრობთ და მისი წარმატებების სადღეგრძელოსაც ტკბილად ვამბობთო. ის მისაბამია ყველასთვის – სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. თუ შენც კარგად ისწავლი, ყველა პატივს გცემს და კაკოსავით ეყვარებო“. მახსოვს, დიდხანს ვუყურებდი ხალხის გარემოცვაში მოქცეულ უსაყვარლეს ექიმს, რომელსაც ყველა გულისყურით უსმენდა. მკითხველს მინდა შევახსენო, რომ ეს ის აკაკი ბერიძეა, რომელმაც თავის დროზე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ახლა საპატიო პროფესორია; დიდი ხნის განმავლობაში სათავეში ედგა აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, დღეს კი კლინიკა „მედინას“ მთავარი ქირურგია.

აქვე მინდა გავიხსენო, დიდებული ქალბატონი ნათელა ზოლქვაძე, რომლის წინდახედულებამ და მეუღლისადმი სიყვარულმა ბევრად განაპირობა ბატონი აკაკის ესოდენ დიდი წარმატებები. მის მიმართ მოკრძალება და პატივისცემა ბავშვობიდანვე მომყვება. ერთხელ, როცა ქალბატონი ნათელა ბატონ აკაკისთან ერთად სოფელში გვესტუმრა, მე ახალბედა მოსწავლემ გამოვიჩინე „ინიციატივა“ და ოჯახში განვაცხადე: – ხომ არაფერი ვაჩუქოთ, გაეხარდება, მითუმეტეს, რომ კაკო ჩემი ნათლიაა-თქო. მივხვდი, ჩემი ნათქვამით ყველა კმაყოფილი დარჩა; ამით შეგულიანებულმა, ოჯახში მოვიძიე ყველაზე ლამაზი ჩითის ნაჭერი და ქალბატონ ნათელას ვაჩუქე. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მახსოვს, როცა ასპირანტურა-

ში ჩავიციხე, ქალბატონმა ნათელამ მაჩვენა ჩემი ნაჩუქარი ჩიტი და თან დააყოლა: „ყველაზე დიდი სიხარული შენმა საჩუქარმა მომანიჭა, ამდენ ხანს იმიტომაც ვინახავ და ვუფრთხილდებიო“. გაოგნებული დავრჩი, თანაც პატარა ბავშვივით გამიხარდა, ვერც კი წარმომედგინა, ამდენ ხანს თუ შეინახავდა ჩემს საჩუქარს ქალბატონი ნათელა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!..

მეც ძალიან მინდოდა, მამას ენახა ჩემი მოკრძალებული წარმატებები, მაგრამ განგებამ ასე არ ინება; მამა ადრე გარდამეცვალა, ის ვერ მოესწრო ჩემს ვერც საკანდიდატო და, მითუმეტეს, ვერც სადოქტორო დისერტაციებს... ეჰ, ამ პერიოდის გახსენება ძალიან მიმძიმს...

მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივის დამსახურება იყო ის, რომ სკოლადამთავრებულთა დიდი ნაწილი სწავლას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აგრძელებდა. პედაგოგთა ასეთი კოლექტივის შექმნაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ჩემი სწავლის პერიოდის სკოლის დირექტორებს – ბატონებს: **ვახტანგ და ვაჟა შაკარაძეებს, შოთა ქარცივაძეს, ვლადიმერ მიქელაძეს**. ყველა მათგანს გამორჩეული ადგილი უკავია სკოლის წარმატებების მიღწევაში, მაგრამ განსაკუთრებით მინდა გამოვყო ბატონი ვახტანგ შაკარაძის საქმიანობა, რომელიც დიდი ხანია გასცდა პედაგოგიური ასპარეზის ჩარჩოებს და 92 წელს მიღწეულმა საზოგადო მოღვაწემ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მომავალზე ორიენტირებულ სამეცნიერო ინტელიგენციაში. მის კალამს ეკუთვნის 300-ზე მეტი ისტორიული ნარკვევი თუ პუბლიცისტური სტატია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ავტორობით გამოცემული შესანიშნავი მონოგრაფია „გამონათღვის გამონათება“ და პროფესორ ბიჭიკო დიასამიძესთან თანამშრომლობით შექმნილი წიგნი „მარეთის ხეობა“.



პროფესორი ლევან მაკარაძე წარჩინებულ სტუდენტებთან ერთად

ბატონი ვახტანგი არის ერთ-ერთი ინიციატორი სოფელ ოლადაურში, გამონათლევში, წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობის დაწყებისა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვახტანგ მაკარაძეს სიცოცხლეშივე ხვდა აღიარება და ღირსეული პატივი. ვალმოხდილი და ღვაწლმოსილი პედაგოგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, არაერთი მედლით (მათ შორის ყველაზე ძვირფასია იაკობ გოგებაშვილის მედალი!) და საპატიო სიგელით. წარჩინებული მოღვაწეობისათვის მინიჭებული აქვს საქართველოს პრეზიდენტისა და ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის პრემიები. მან პირველმა დაიმსახურა „საპატიო მარეთელის“ წოდება, არის „საპატიო შუახვეველი“.

ბატონი ვახტანგი წარდგენილი იყო საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად, მაგრამ სახელმწიფოში მოულოდნელად წარმოშობილმა პოლიტი-

კურმა გადატრიალებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. კარგი იქნება, თუ ახლა მაინც გამოსწორდება მაშინდელი შეცდომა და მშობლიური სკოლის ასწლოვან იუბილეზე, 92 წლის ასაკში, ამავე სკოლის ღირსეულ დირექტორს ღირსეულ პატივს მიაგებენ შესაბამისი საგანმანათლებლო ორგანოები...

ვახტანგ მაკარაძის უდიდეს დამსახურებაზე მიუთითებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მილოცვა დაბადებიდან 90 წლისთავზე:

„ბატონო ვახტანგ! გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს. თქვენ ბრძანდებით ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილი და ღირსეული მეციხოვნე, რომლის მთელი ცხოვრება მაგალითია სამშობლოსათვის მუშაკობისა. ღმერთმა დაგლოცოთ და კვლავაც დიდხანს გამსახუროთ ღმერთსა და მოყვასს“.

აი, ასეთი ღირსეული პიროვნება გახლავთ ოლადაურის საშუალო სკოლის დირექტორი და შუახვევის განათლების განყოფილების გამგე (წლების მანძილზე!) ვახტანგ მაკარაძე. ერთსაც დავამატებ – ბატონი ვახტანგი ძალიან წინდახედული ადამიანია და ცდილობს, მის მიერ მოპოვებული ისტორიული მასალები საიმედოდ ინახებოდეს. მკითხველს ვთავაზობ ამ საკითხზე მის მიერ ჩემდამი გამოგზავნილი წერილის ქსერო-ასლს:

ქვისღვანთი ლეონ!

ქაუპოვეთ ხეტი წიხარო ახტოვარს ქეჩი ლეონ  
ქოზ ნანოლო, ხაძა თი ჩამოჭაქებო წაიუონს და  
ოთაყარფხო გუფუკებოსოფოლ.  
წიანებო, ბაქკე ქაბოაქნა, ანათეხეო წაიგიფაქნ  
პოქოქოქონებო.

კანკარე გუქახე  
9/1/1111 - 2000  
ქ. ხაყთია

მგრფასო მკითხველო, მიხარია და მეამაყება, რომ ჩემი ბავშვობის პერიოდი უკავშირდება სოფელ ოლადაურს, მის საშუალო სკოლას, ნათელ მოგონებებს ჩემს მასწავლებლებზე, კლასელებზე, ღირსეულ ადამიანებზე. რამდენად წარმოვაჩინე ჩემი ნააზრევი, განსჯა თქვენთვის მომინდვია, მაგრამ მათი სიყვარული და პატივისცემა თუ ნათელი კვალი რომ მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვება, ამაში ეჭვი არ მეპარება.

**ლევან მაკარაძე**

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სა-ვეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სავეტერინარო განათლების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ასოცირებული წევრი.

## § 5. ასაკით, დამსახურებითა და ღირსებით გამორჩეული სკოლა



ოლადაურის სკოლას ასი წელი შეუსრულდა. ეს არ არის მხოლოდ ერთი სკოლის საიუბილეო თარიღი! იგი მთლიანად აჭარის მოსახლეობის, ქართული სულის ზეიმია, რადგან სწორედ ამ პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი ქართული საერო სკოლების დაფუძნებას აჭარისწყლის ხეობის სოფლებში, რაც აქაურებს აზიარებდა ქართულ

ეროვნულ მსოფლმხედველობას, იძულებით მივიწყებულ საუკუნოვან ტრადიციებსა და კულტურას.

ოლადაურის სკოლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დიდი მამულიშვილის – ნური ხერიძის მიერ დაარსებულმა პირველმა ქართულმა სასწავლებელმა ზემო აჭარაში ამ მხრივ ღირსეულად შეასრულა საქვეყნო ვალი: მისი აღზრდილები არიან სახელოვანი მეცნიერები, ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ღირსეული წარმომადგენლები.

ამ სკოლის კურსდამთავრებული იყო ჩემი ძმაც – რაფდენ დიასამიძე, რომელიც, ახლა ცოცხალი რომ იყოს, გაცილებით უკეთესად და ვრცლად დაწერდა მშობლიური სკოლის შესახებ, მაგრამ, საბედნიეროდ, დაგვიტოვა წიგნი („ჩემი ცხოვრების გზაზე“, ბათუმი, 2004), რომელშიც საოცარი სითბოთი და სიყვარულით მოგვითხრობს ოლადაურის სკოლაში გატარებულ წლებზე (კვიახიძეების რვაწლიანი სკოლიდან

გადასული). აი, როგორია პირველი შთაბეჭდილება რვაკლას-  
დამთავრებულისა:

*„სოფლის შუაგულში ყველაზე საუკეთესო და ხელსაყ-  
რელი ადგილი საშუალო სკოლის და მისი ინტერნატის შენო-  
ბებს ეკავა. ეზოში შესულები მივადექით ფიცრულ კიბეს, რო-  
მელმაც დირექტორის კაბინეტში შეგვიყვანა. არასოდეს ამო-  
იშლება მებსიერებიდან აწ განსვენებულ პატივცემულ შოთა  
სეიფეთინის ძე ქარცივაძესთან ჩვენი პირველი შეხვედრით  
დატოვებული შთაბეჭდილება. ეს იყო ორმოც წელს მიახლოე-  
ბული, საშუალოზე ოდნავ მაღალი, თხელი ტანის, სანდომია-  
ნი, ახლად მელოტშეპარული ჰკუიანი შუბლის მქონე კაცი,  
რომელსაც მამაჩემთან საუბარში სწავლა-აღზრდის საკითხზე  
ერთი ზედმეტი სიტყვაც კი არ დასცდენია. გამომკითხა, რო-  
მელი სკოლის კურსდამთავრებული ვიყავი, კმაყოფილებით  
მოისმინა ჩემი პასუხები და მითხრა: თუ არ ისწავლი, რო-  
გორც ჩაგრიცხე, ისე გაგრიცხავ, ინტერნატში ადგილები შე-  
ვსებულია, მაგრამ ნოემბერში როგორმე მოგათავსებ, თუ კარ-  
გად ისწავლიო...“*

*სკოლის დირექტორი, პატივცემული შოთა ქარცივაძე,  
სიტყვის კაცი აღმოჩნდა. თორმეტ ნოემბერს ჩამრიცხა სკოლის  
ინტერნატში“ (გვ. 66-67).*

ალბათ, მკითხველისათვის უფრო საინტერესო იქნება იმ  
დროის ოლადაურის სკოლის ცხოვრების წესის, მასწავლე-  
ბელ-მოსწავლეთა დამოკიდებულების ფორმის, მოსწავლეთა  
კონტინგენტის ჩვენება, რომ სრულად წარმოიდგინოს მისი  
დამსახურება არა მარტო მარეთის ხეობელთა წინაშე.

წიგნის ავტორი რაქდენ დიასამიძე სკოლის ინტერნატში  
დამკვიდრებულ წესს ასე აღწერს:

„ინტერნატში, დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, სამხედრო წესრიგი სუფევდა. გარდა ჩვენი საძინებელი ოთახისა, მორიგეობა კვირაში ერთხელ მიხდებოდა შენობის შესასვლელშიც. ვერავინ გაბედავდა ფანჯრიდან ნაგვის, ქაღალდისა თუ სხვა ნარჩენების გადაყრას. დღის მორიგე ცვლას მოწესრიგებულ მდგომარეობაში გადააბარებდა. ასეთი წესრიგი შემდგომ ჯარში გაწვეულმა ვიხილე... სკოლას პატრონი ჰყავდა! დირექტორის გამოჩენა საკმარისი იყო, რომ ყველა დაფაცურებულიყო და საქმისთვის მოეკიდა ხელი.

ინტერნატში სამჯერადი კვება გვქონდა. ოცდაათამდე გოგო-ბიჭს საკუთარ ოჯახებზე მეტად გვანებივრებდნენ. თუ ორიანს მიიღებდი, სადილი „დაკარგული“ გქონდა, თუ – ხუთიანს, მოთხოვნისამებრ, ულუფას დაგიმატებდნენ. სწავლა-აღზრდის საათივით აწყობილ რიტმს შესაშური პატიოსნებით უზრუნველყოფდნენ აღზრდელი, სამეურნეო ნაწილის გამგე – სევასტი ფუტკარაძე და მზარეული – შადიე ქარცივაძე...

მოხდა ისე, რომ ერთხელ ქიმიიაში გაკვეთილი მოუმზადებელი დამრჩა. მეზობელ ოთახში მცხოვრებმა ქიმიის მასწავლებელმა (იმავე დროს სასწავლო ნაწილის გამგეც იყო), პატივცემულმა სარდიონ კალანდარიშვილმა ორიანი ჩამიწერა ჟურნალში.

ტრადიცია და შინაგანაწესი ყველაზე ერთნაირად ვრცელდებოდა: ინტერნატის აღზრდელმა – ნიაზ მასწავლებელმა სადილად თავისთან წამიყვანა, ოჯახში, მორცხვობის ზღვარი დამარღვევინა და კარგადაც დამაპურა“ (გვ. 67-68).

მაშინდელი ოლადაურის საშუალო სკოლა იმითაც იყო გამორჩეული, რომ აქ სწავლობდნენ სხვა სკოლებიდან გარიცხულ-განთესილი დაოჯახებული ყმაწვილები, ასევე, სხვა-



დასხვა სოფლების რვაწლედდამთავრებულები. ამიტომაც ჰყავს ამ სასწავლებელს განსაკუთრებით ბევრი გულშემატკივარი. მოვუსმინოთ წიგნის ავტორს:

*„ინტერნატში გვერდიგვერდ ვცხოვრობდით და ვსწავლობდით ყმაწვილებიცა და „დაოჯახებულებიც“, რომლებიც სხვა სკოლებიდან განთესილებად ითვლებოდნენ (ამ ან სხვა მოტივით). ჩემთან ერთად ინტერნატის გემრიელ ფაფას შეექცეოდნენ ტომამეთელი გიორგი მევლუდის ძე და ალიოზა ნურის ძე ფუტკარაძეები, დარჩიძეებიდან: დიმიტრი ცეცხლაძე, ალექსანდრე ჯაფარიძე, ალექსანდრე სურმანიძე, შუბნელი შოთა ფუტკარაძე, კობალთელი ნოშრევან ბოლქვაძე, კარაპეტელი ივანე კეკელიძე და კოროჭელი ნოდარ, გიორგი, ლამარა, კარლო ფუტკარაძეები...“*

*მომდევნო წელს ჩემსავე გზას დაადგნენ კვიახიძეების სხვა სკოლადამთავრებულებიც: ჩემი ბიძაშვილ-დეიდაშვილები – ოთარ დიასამიძე, ვიქტორ და გურამ ფუტკარაძეები. თუ კვიახიძეებიდან ოლადაურში მანამდე მხოლოდ ორნი (მე და თემურ ფუტკარაძე) ვსწავლობდით, ახლა უკვე საკმაო „ძალას“ წარმოვადგენდით. ბიჭურ მუშტ-კრივში დიდს ვერაფერს დავიტრახაბებდით, სამაგიეროდ, სიმღერასა და ცეკვაში ჩვენს ჯგუფს ვერავინ გაეჯიბრებოდა“ (გვ. 69).*

ავტორი წიგნისა საინტერესო მაგალითების მოყვანით გვიხასიათებს სკოლის დირექტორს – შოთა ქარცივაძეს და მის მოადგილეს – სარდიონ კალანდარიშვილს, მასწავლებლებს: შოთა მიქელაძეს, მამია დავითაძეს, ნიაზ ბერიძეს, ირაკლი და ვახტან მაკარაძეებს, ... იხსენებს, როგორ გაჩნდა მფრინავი ფრაზა: „რას მიყურებ ბედრეთინას თხასავით“, გამოთქმა „მემწვანილე ინტერნატელები“ და სხვა.

ასეთია 55-58 წლის წინანდელი წარჩინებული მოსწავლის მიერ დანახული და დამახსოვრებული სკოლა, მე კი, რომელსაც იმავე წლებში მომიწია სწავლა ხულოს სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში და ძმასთან ურთიერობით გარკვეული წარმოდგენა მქონდა ოლადაურის სკოლის ავ-კარგზე, შემდეგ, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქმიანობის ხუთი ათეული წლის მანძილზე, ამ სკოლის არაერთ კურსდამთავრებულთან და პედაგოგთან, განსაკუთრებით, ღვაწლმოსილ მასწავლებელთან – ვახტანგ მაკარაძესთან ურთიერთობით, მის ღონისძიებებში მონაწილეობით, **საბოლოოდ ჩამომიყალიბდა შეხედულება ჩვენს მხარეში ასაკით, დამსახურებითა და ღირსებით გამორჩეულ სკოლაზე.**

დიდი გულისტკივილით მოვისმინე ბატონი ვახტანგის სიტყვები ამასწინანდელ შეხვედრაზე:

„ჩვენი სკოლის წარჩინებული მოსწავლე, რომელსაც, კარგად მახსოვს, სიმწიფის ატესტატი მე გადავეცი, არაერთ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა; ბოლოს მინისტრის მოადგილედ გახდა, მაგრამ, მისთვის გულს რომ არ ემტყუნა, ახლარაუდენი პოლკოვნიკი კი არა, გენერალიც იქნებოდა, ისეთი წარმატებული იყო თავის საქმიანობაშიო“.

რას ვიზამთ?! – ზედისწერას ვერავინ გაექცევა...

## **ბიჭიკო დიასამიძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი

## § 6. საუკუნოვანი სკოლის სათავეებთან

„**ნური ეფენდი** პატივცემული მოხუცია. ოცდათორმეტი წელიწადი ყადათ იყო. თავისი გავლენით დიდათ შეუშალა ხელი აჭარელთა ოსმალეთში გადასახლებას. დიდი მომხრე და მქადაგებელია ქართველ ქრისტიანებთან ურთიერთობისა. აჭარლებისა და მისი მეზობელი ქართველების ისტორია კარგათ იცის.“

აპოლონ წულაძე

„**ნური ბერიძე** არა მარტო მოსახლეობას, არამედ მოლაზხოჯებსაც ჩააგონებდა, რომ ჩვენ ქართველები ვართ და ჩვენი დედა ენა ქართულია, აჭარა საქართველოს ნაწილია და ჩვენი სამშობლო საქართველოა.“

ზაქარია ჭიჭინაძე

„**ნური ბერიძის** სიახლოვემ აჭარის პატრიოტულ ძალებთან, მათ შორის ხულოს სკოლის მასწავლებელ ი. მელიქიშვილთან, გადამწყვეტი როლი შეასრულა ოლადაურის სკოლის გახსნაში“.

შოთა მიქელაძე,  
ოლადაურელი პედაგოგი



პოეტი ფრიდონ ხალვაში და ჟურნალისტი ოთარ ფუტკარაძე დიდებული ტაძრის – ოშკის სანახებთან ტაო-კლარჯეთში.

წლეულს, 19 ნოემბერს, საზვიამოდ აღინიშნა ოლადაურის პირველი სკოლის დაარსების 100 წლისთავი.

საიუბილეო ცერემონიალის დაწყებამდე თანასოფლელებმა, ნათესავეებმა და სტუმრებმა გვირგვინებით შეამკეს სახელოვანი ოლადაურლების – ჰაჯი ლომან ეფენდი ქარცივაძისა და სოფლის პირველდაწყებითი სკოლის დაარსების ინიციატორის, ყადი ნური ეფენდი ბერიძის საფლავები.

დიდმა სწავლულმა ლომან ეფენდიმ უმაღლესი სასულიერო და საერო განათლება სტამბოლში მიიღო. ერთხანს ოსმალეთის დედაქალაქში მოღვაწეობდა, შემდეგ კი, იმის მიუხედავად, რომ სასულთნოში საკმაოდ პრივილეგიური მდგომარეობა ეკავა, სამშობლოში დაბრუნდა და საქმიანობა აქ გააგრძელა. იგი იმ პროგრესულ სასულიერო მოღვაწეთა სათავეში იდგა, რომლებიც 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომისა და აჭარის დედამამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ, მუჰაჯირულ მოძრაობას წინ აღუდგნენ და უცხოობაში გადასახლებისგან უამრავი თვისტომი იხსნეს. მისი ღვაწლი სათანადოდაა შეფასებული XIX საუკუნის 80-90-ანი წლების პრესაში („დროება“, „ივერია.“ „Кавказ“,...).

ლომან ეფენდის სიძემ (ქალიშვილის მეუღლემ) ნური ბერიძემაც უმაღლესი იურიდიული განათლება სტამბოლში მიიღო. იმპერიის სატახტო ქალაქს მან სიმამრის რჩევით მიამურა და ზოგ საგანში ლექციებსაც მისგან ისმენდა. ოსმალთა ბატონობისგან აჭარის გამოხსნის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ ავტორიტეტიანი იურისტი ხულოს მაზრის მოსამართლედ (ყადად) გაამწესა. იგი დიდ მამულიშვილურ საქმიანობას ეწეოდა – ზრუნავდა კუთხის აღმავლობისთვის, იყო მთიელთა მწე და ქომაგი, რისთვისაც კარგად ახასიათებენ სხვადასხვა დროს აჭარაში მოგზაური დიდი ქართველი მოღვაწეები – ზ. ჭიჭინაძე, თ. სახოკია, აპ. წულაძე და სხვები. ნური ბერიძე მათ მეგზურობდა, აცნობდა აჭარელთა ყოფა-ცხოვრებას, კუთხის წარსულის უმნიშვნელოვანეს მომენტებს, რაც მოგზაური-ეთნოგრაფების ნაშრომებში სათანადოდ აისახა.

„წევრი ხულოს მეგლისისა წმინდა ქართული სტუმართმოყვარეობით გაგვიმასპინძლდა. აქეთკენ ნასწავლ კაცად ითვლება, რის გამოც ეფენდის ტიტული აქვს. ქართულად წმინდად ლაპარაკობს. იცნობს აჭარაში ქართული წიგნების შემოტანის პიონერს – ბატონ ზ. ჭიჭინაძეს.“ – ასე ახასიათებს ნური ბერიძეს თედო სახოკია.

ახლა ისევ სკოლის იუბილეზე:

სადღესასწაულო საღამო სასწავლებლის დირექტორმა მერაბ ფუტყარაძემ გახსნა და დამსწრეთ სკოლის ისტორია მოკლედ გააცნო.



ოლადაურის სკოლის კურსდამთავრებული, პროფესორი აკაკი ბერიძე საიუბილეო საღამოზე „ქართლის ცხოვრებისა“ და „აქარული საუნჯის“ ტომებს უბღენის მშობლიური სკოლის ბიბლიოთეკას.

მისასალმებელი სიტყვებით და საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ სკოლის ყოფილი და ახლანდელი მასწავლებლები: ვახტანგ, არჩილ, მერაბ მაკარაძეები, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი თავაშაიშვილი, ოლადაურის საშუალო სკოლის პირველი ოქროსმედალოსანი, პროფესორი აკაკი ბერიძე და სხვები.

საიუბილეო ღონისძიებას ალამაზებდნენ ანსამბლ „გამონათლევისა“ და სკოლის მომღერალთა გუნდის წევრები.

ერთი სიტყვით, შეხვედრა მეტად შინაარსიანად წარმართა, მაგრამ იყო ერთი გარემოება, რამაც საზეიმო განწყობას მეტ-ნაკლები ჩრდილი მიაყენა. საქმე ისაა, რომ მხცოვანი პედაგოგის – ვახტანგ მაკარაძისა და პროფესორ აკაკი ბერიძის გარდა, არავის „გახსენებია“ 1915 წელს გახსნილი პირველდაწყებითი სკოლის დაარსების ინიციატორის – ნური ბერიძის დამსახურება, არადა, სასწავლებლის ამოქმედების ისტორია ხომ ამ წლიდან აღინუსხება და ასი წლისთავის იუბილეს აღნიშვნაც სწორედ ამ ამბის გახსენებას, სკოლის პირველმკვალავების დამსახურების შეფასებას ემსახურებოდა!

მოხსენება აგებული იყო სკოლის მიერ განვლილ გზაზე 1922 წლიდან დღემდე. ერთი სიტყვაც არ თქმულა იმაზე, რომ სოფელ ოლადაურში ქართული წერა-კითხვის სწავლება დაიწყო 1915 წლის ოქტომბერში, რაშიც დიდი წვლილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიუძღვის. იმ პერიოდში (1915-1916 წ. წ.) აჭარის მთიანეთში ხუთი სკოლის გახსნა იყო დაგეგმილი. ერთიც მერე დაემატა.

რომ არა ნური ბერიძე, შესაძლოა, ოლადაურში და, საერთოდ, მარეთის ხეობაში, სასწავლებლის გახსნაზე არც არავის ეფიქრა! განათლებულ, ჭკვიან და მშობლიურ კუთხეზე უსაზღვროდ შეყვარებულ კაცს სიტყვა გაუდიოდა და დიდი როლი, უთუოდ, ამანაც ითამაშა – ოლადაურელ ახალგაზრდებს მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების საშუალება მისცა. არც ისაა გამორიცხული, რომ მეექვსე სკოლა, რომელიც სოფ. ჭვანაში გაიხსნა, მისი „ხათრიტ“ დაამატეს.

პირველმა ოთხწლედმა ორ წელიწადს იარსება, 1917 წლის ოქტომბერში დაიხურა და ეს იმხანად განვითარებულმა რევოლუციურმა პროცესებმა განაპირობა.

სამწუხაროდ, საარქივო (ბათუმის, ქუთაისის, თბილისის) საცავებში ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ სკოლის დაარსებასთან დაკავშირებულ ზუსტ დოკუმენტებს; ის კი ცხადია, რომ ამ დიდ მამულიშვილურ საქმეში ნური ბერიძე მარტო არ

ყოფილა – მას თანასოფლელები და ნათესავები: ემინ ეფენდი ქარცივაძე, ნუსრედინ თავდგირიძე, ალისულთან გელაძე, იუ-ნუს ბერიძე და სხვები ედგნენ მხარში.

იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში თანამედროვენი ნური ბერიძეს დიდებულად ახასიათებენ, აღფრთოვანებით წერენ მის ქართულ ორიენტაციაზე, მამულისმოყვარეობაზე, ღრმა განსწავლულობაზე, სამართლიანობასა და, რაც მთავარია, დიდ სურვილზე, თავის სოფელში სკოლა გაეხსნა. ამის დასტურია ზ. ჭიჭინაძის. თ. სახოკიას და აპ. წულაძის ნაშრომები. ისინი დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ მათ კეთილ, მრავლისმცოდნე და დაუზარელ მეგზურს.



აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, პროფესორი გიორგი თავამაიშვილი, ნური ბერიძის შვილთაშვილი, პროფესორი აკაკი ბერიძე, ადგილობრივი ხელისუფლება და პედაგოგები ოლადაურის სკოლის დამაარსებლის – ნური ბერიძის საფლავთან.



ფაქტს, რომ 1915 წელს ნური ბერიძემ საკუთარ სახლში პირველდაწყებითი სკოლა გახსნა, პირველი მოსწავლეების – მ. მიქელაძის, ხ. ფუტყარაძის, მ. მაკარაძის, კ. ქარცივაძისა და სხვათა მონათხრობზე (ჩაიწერა პედაგოგმა ვახტანგ მაკარაძემ) დაყრდნობით მომზადებულ პუბლიკაციებში ადასტურებენ: ნოე დუმბაძე, შოთა მიქელაძე, ვახტანგ, ვაჟა მაკარაძეები, ოთარ ფუტყარაძე, რამაზ სურმანიძე, ნანი გუგუნავა, ოთარ გოგოლიშვილი, რომან, ნუგზარ ზოსიძეები, გივი თურმანიძე, ნუგზარ ჯაფარიძე, შოთა ცეცხლაძე და სხვები. ისინი ცნობილი მკვლევარი-მეცნიერები, პედაგოგები, ჟურნალისტები არიან, რომლებმაც ამ სკოლას არაერთი საგაზეთო-საჟურნალო წერილი და ნაშრომი მიუძღვნეს.

ერთადერთი საბუთი, რომელიც განსხვავებულ აზრს გამოხატავს, არის ოლადაურის სკოლის ერთ-ერთი მოსწავლის – ნური თავდგირიძის ავტობიოგრაფია, რომელიც აჭარის სახელმწიფო არქივის ფრიდონ ხალვაშის ფონდშია დაცული. „სხალთის მაშინდელი გლავა იუნუს ბერიძის დახმარებით ნური ეფენდი ბერიძემ, ხუსეინ თავდგირიძემ, ალისულთან გელაძემ სოფ. ოლადავრში მოითხოვეს სკოლის გახსნა. ბინა იქნა ქარცივაძეების საკუთარ სახლში“ – წერს ნური თავდგირიძე. ამ მოგონებაში ბევრი რამ სადავოა, თუნდაც ის, რომ სკოლის გახსნის თარიღად 1914 წელია მინიშნებული. ალბათ, მის ავტორს ეს იმისთვის დასჭირდა, რომ ეთქვა: „იქ დავამთავრე ოთხი კლასი,“ ანუ ოთხწლიანი განათლება მივიღეო (იმხანად ოთხწლედდამთავრებული „განათლებულ“ კაცად ითვლებოდა). არადა, ცნობილია, რომ სკოლამ მხოლოდ ორ წელიწადს იარსება. თავის წიგნში „მშური სიტყვა“ აპოლონ წულაძე გვიდასტურებს, რომ აჭარის მთიანეთში ოთხწლედები არა 1914, არამედ 1915-1916 წლებში გაიხსნა.

ყველა თაოსანი ოლადაურელი არ არის, მაგრამ ისინი ნური ბერიძის ნათესავები არიან, კერძოდ: იუნუს ბერიძე მისი ძმისშვილია (იმხანად სხალთის თემის თავმჯდომარე – ამ თემში ოლადაურიც შედიოდა), ხუსეინ თავდგირიძე და ალისულთან გელაძე (ხულოს მაზრის უფროსის თანაშემწე) კი სიძეები – ქალიშვილების ქმრები. ბუნებრივია, პატრიოტ კაცს ამ დიდი საშვილიშვილო საქმის დაგვირგვინებაში თანამოაზრეები, პირველ რიგში კი, ნათესავები ედგნენ მხარში.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ სხვა სოფლებში გახსნილ ანალოგიურ სკოლებში სწავლა ნაშუადღევს იწყებოდა. დილით მოსწავლეები მეჩეთთან არსებულ მედრესეში არაბულს ეუფლებოდნენ, შემდეგ კი მეცადინეობას ქართულ სკოლაში აგრძელებდნენ.

ოლადაურში სწავლა დილითვე იწყებოდა. პირველ გაკვეთილზე დედაენა ისწავლებოდა, მეორეზე – რუსული, მესამეზე – არაბული, შემდეგ კი ხან მათემატიკა, ხანაც მუსიკა. არაბულს თვავად ნური ეფენდი ასწავლიდა, დანარჩენ საგნებს კი გურიიდან მოვლინებული მასწავლებელი ილიკო ნაცვალაძე.

მუსულმანებით დასახლებულ ახალშემოერთებულ მხარეებში რუსეთის ხელისუფლებამ ყადის (მოსამართლის) ინსტიტუტი დატოვა. იგი სახელმწიფო სამართლის პარალელურად მოქმედებდა.

ყველა მაზრაში ყადებად უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ადგილობრივი, ავტორიტეტისანი პიროვნებები ინიშნებოდნენ. ხულოს მაზრის ყადობა დააკისრეს ნური ეფენდი ბერიძეს, რომელიც ოსმალთა დროსაც ამ მოვალეობას ასრულებდა. იგი ხულოს მეჯლისისა და წოდებების მიმნიჭებელი კომისიის წევრიც იყო.

საქმე ისაა, რომ აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ ალა-ბეგებს ოსმალური წოდებები არ აღუდგინა. ამის გამო, სახელმწიფო კანცელარიაში უამრავი თხოვნა-საჩივარი შედიოდა. ცარიზმის მოხელეები იძულებულნი გახდნენ, აჭარაში სამი კაცისგან შემდგარი შესაბამისი კომისია შეექმნათ. დიდი ავტორიტეტის გარდა კომისიის წევრს რუსული, ქართული და თურქული ენების ცოდნა მოეთხოვებოდა. ამ მოთხოვნებს ნური ბერიძე სავსებით აკმაყოფილებდა.

ასე რომ, ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა იმას, ვის სახლში გაიხსნა სკოლა (ნური ბერიძისა თუ მისი ცოლისძმის – ემინ ქარცივამისა), არამედ პიროვნების სურვილს, ინიციატივას, მის ავტორიტეტს. აკი, აპოლონ წულაძეც წერს: – „ნური ყველას ეჩიჩინებოდა, სკოლაში მიეყვანათ ბავშვებიო.“



სკოლის ასწლოვან იუბილეზე მიწვეული სტუმრები ოლადაურელი „დიდი პროფესორის“ – ლომან ქარცივამის საფლავთან.

ოლადაურელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შე-  
ავსეს კლასი – ახალგაზრდები იმ სოფლებიდანაც მოიზიდეს,  
სადაც ქართულად სწავლა-განათლებას მოლა-ხოჯები ამრე-  
ზით უყურებდნენ და საწინააღმდეგოდაც ირჯებოდნენ.

ვფიქრობთ, ამას იმანაც მოუმზადა საფუძველი, რომ ჯერ  
კიდევ ოსმალების დროს, ოლადაურელი სწავლული – „დიდი  
პროფესორი“ (როგორც მას სტამბოლში უწოდებდნენ) ლომან  
ეფენდი ქარცივაძე მუსლიმანური რელიგიის მსახურთ ჩააგო-  
ნებდა, მეჩეთებში ქართულად იქადაგეთ, რომ არაბული ლოცვე-  
ბი მოსახლეობისთვის გასაგები იყოსო. სინამდვილეში მისი მი-  
ზანი გახლდათ, აჭარლებს მშობლიური ენა არ დავიწყებოდათ.

**ოთარ ფუტკარაძე**

დამოუკიდებელი ჟურნალისტი, ოლადაურის  
საშუალო სკოლის კურსდამთავრებული.

## **ბერ- ძირის ვარიაციები ისტორიულ ონომასტიკონში** (ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით)

ყოველი გვარი ერის გენეტიკური საგანძურია, მაგრამ, თუ რომელიმე მათ შორის „კაიკაცობრივი“ მრავალრიცხოვნებითაცაა გამორჩეული, ეს უკვე მშობლიური ხალხის უკვდავების ტოლფასია! საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, ამ თვალსაზრისით **ბერიძეთა** საგვარეულო უნდა განვიხილოთ, რომელიც 30000-მდე სულისგან შედგება, მათ შორის მხოლოდ აჭარაშია 14192;

იმის მიხედვით, თუ ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში ცხოვრობს **ბერ-** ძირის შემცველი გვარის ოჯახი, შესაბამის **პატრონიმთა** სემანტიკა განსხვავებული გამოვა, რადგანაც სემანტიკურად ერთგვარი, თუმცა ფორმოზოზად ნაირ-ნაირი დაბოლოებანი ქმნიან საკმაოდ რთულ სურათს: -**მე**, -**შვილი**, -**იან** > -**ია**, -**უან** > -**უა**. ყველა მათგანი გამოიყენება ქართულ გვარებში და, ძირითადად, „შთამომავალს“ შეესაბამება, მაგრამ მაინც ვერ გავიზიარებთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას (მაისურაძე 1981: 34) იმის შესახებ, რომ **ბერ-** „ვაჟს, ძეს, ყრმას“ აღნიშნავს, მითუმეტეს, ძნელი დასაჯერებელია, საანალიზო ძირი ლაზურ **ბერე** („ვაჟიშვილი, ბავშვი“)ს უკავშირდებოდეს (კობაიძე 2012: 65; ქამადაძე 2009: 28-29). თუ ამ ვარაუდებს დავეთანხმებით, მაშინ სემანტიკურ ჭრილში სერიოზულ უხერხულობას წავაწყდებით, რადგანაც „ბერიძეც“ და „ბერიშვილიც“ ისტორიულად „შვილიშვილი“ გამოგვივა. უფრო მეტიც: 1995 წლის 1 თებერვლის საპასპორტო მონაცემებისა და მეტრიკული ამონაწერების მიხედვით (იხ. ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბილისი, 1997), გურჯაანში, გარდაბანში, ბათუმსა და თბილისში ცხოვრობს **ბერიძიშვილთა** 329 ოჯახი, რომელთა სა-

ხელწოდების ეტიმოლოგია „შვილიშვილიშვილს“ წარმოგვიდგენს, რაც, რაღა თქმა უნდა, ძნელი დასაჯერებელია – მაინც ვისი შვილთაშვილები უნდა ყოფილიყვნენ **ბერიძეშვილები**?! – ბერიძეთა თუ ბერიშვილებისა?!

**ბერ-** ძირი პატრონიმებში წარმოდგენილია ნაირ-ნაირი (ძირითადად, კნინობითი) სუფიქსებით ან კომპოზიტური სტრუქტურით; გამონაკლისს ქმნის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული **-ურ** (დისიმილაციით **-ულ**), რომელიც, ჩვეულებრივ, არ გვხვდება **ბერ-**თან კომბინაციაში. ძალზე იშვიათი შემთხვევა წარმოდგენილია 1700 წლის დოკუმენტში: ქაიხოსრო, ფეშანგ და თამაზ ყანჩაველების მეკოდისპურე ყმები არიან: ვინმე თევდორე **ბერ-ა-ულ-ი**, მამისიმედ **ბერ-ი-ულ-ი** და ნადირა **ბერ-ი-ულ-ი**. ამ იშვიათობას განეკუთვნებიან, აგრეთვე, თბილისში, დედოფლისწყაროსა და თელავში დღეს მცხოვრები **ბერ-იკ-ა-ულ-ებ-ი** (33 სული).

საანალიზო ძირის შემცველი **ანთროპონიმისა თუ პატრონიმის** მქონე პიროვნებანი ისტორიულად დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან – ძირითადად, ამა თუ იმ ეკლესია-მონასტერს შეწირული ყმები, თუმცა გვხვდებიან თავადიშვილებიც (შედარებით იშვიათად) და აზნაურიშვილებიც. მაგალითად: ხორეშან ბატონიშვილის ვაჟს ერქვა **ბერი**, სიგელ-გუჯრებში იმავე სახელითაა მოხსენიებული **ჩიხ'ის'ელი დადიანის შვილი** და **მანგლ'ის'ელი აზნაურისშვილი**; ერთი **ბერ-ი** ქართლის ბატონიცაა XVII საუკუნის ბოლოს, ხოლო ვინმე **ბერ-იკ-ა** დერბუკელი მამასახლისია, 1682 წლის 2 ნოემბრის დოკუმენტის მიხედვით, **გიორგი ბერიძე** მესტუმრეთუხუცესია გიორგი გურიელის კარზე 1664-1677 წლებში [ეს ის ცნობილი გიორგი გურიელია, რომელმაც იერუსალიმის ჯვრის მონასტერს წელიწადში ორასი მარჩილი შესწირა, ხოლო 1664 წელს აფხაზეთის კათალიკოსს სვიმონ ჩხეტიძეს პირობა მი-

სცა, რომ მის დაუკითხავად ეპისკოპოსს არც დანიშნავდა და არც გადააყენებდა (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991: 749)]; სხვა **გიორგი ბერიძე** კი სამეგრელოს მთავრის-კაცია დადიანის სასახლეში მსახურობდა. სწორედ მისი შთამომავლები იყვნენ თანამედროვე ბერიძეთა შორის თავიანთი ღვაწლით ყველაზე მეტად გამორჩეული აკადემიკოსები, მამა-შვილი **ვუკოლ და ვახტანგ ბერიძეები** (ბერიძე ვ., მოგონებები, თბილისი, 1987: 136-137).

საქართველოს მოსახლეობის 1904 წლის აღწერის მიხედვით, სამეგრელოს სოფელ აბასთუმანსა და გურძემში მცხოვრები **ბერძეფი** (ადგილობრივი გამოთქმით) აზნაურები იყვნენ, ხოლო გურული ბერიძეები – თავადიშვილები.

ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ მთელ საქართველოში ყველაზე გავრცელებული (მათ შორის მესხეთში, აჭარასა და გურიაში პირველ ადგილზე მდგარი) გვარი ძველიც იყოს. ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდაა აღიარებული ოფიციალურ პატრონიმთა შედარებით გვიანდელი წარმომავლობა, რასაც მხარს უჭერს კომპარატივისტული ლინგვისტიკაც. თითო-ოროლა მაგალითის გარდა (ვთქვათ: მეგრული **შომახ-ია** და ქართული **სომეხ-ი**, ბაქარ გიგინეიშვილის აზრით), მათთან თითქმის არ დასტურდება რეგულარული ფონემათშესატყვისობანი ქართველურ ენებში. სწორედ ამიტომ ვერ გავიზიარებთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს **ბერიძეთა** თუ მისი ამოსავალი ძირისგან ნაწარმოებ უამრავ გვართა ლაზური **ბერე** („შვილი, ძე, ყრმა“)’დან მომდინარეობის შესახებ, მით უფრო, რომ ჩვენი ეთნოლინგვისტები ეყრდნობიან ივანე ჯავახიშვილს (იხ. მაგალითად, ბერიძე 2000: 9), ვინც შესაბამის ვარაუდზე მსჯელობისას სრულიად საპირისპიროს ამბობს: „**ბერე არც მეგრულსა და სვანურში და არც სამწერლობო ქართულში არა ჩანს, ჯერჯერობით მაინც,**

მაგრამ წინათ ყოფილა“ (ჯავახიშვილი 1937: 209). თურმეობითის გაგებით ნათქვამი ხომ ფაქტი არ არის?

**ბერ-ის-ძე > ბერ-ო-ძე, ბერ-ის-შვ-ილ-ო > ბერ-ო-შვ-ილ-ო, ბერ-ოა-ს-შვ-ილ-ო > ბერ-ოა-შვ-ილ-ო, ბერ-ოა-ს-შვ-ილ-ო > ბერ-ოა-შვ-ილ-ო** თუ სხვა ანალოგიური პატრონიმები (გენეტიკის მორფემამოკვეცილი თუ მოუკვეცილი) სათავეს იღებენ XIII საუკუნის ერთი ისტორიული დოკუმენტიდან (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991: 524), ხოლო, 1411 წლის 25 ოქტომბრით დათარიღებული საბუთის მიხედვით, ვინმე **დავით ბერისძეს** სვეტიცხოვლის ტაძრისთვის თავისი ვენახი შეუწირავს.

ძველ სიგელ-გუჯრებში დადასტურებულია **ბერ-ძირი** არაერთ პატრონიმში (სხვადასხვა ინფიქსაციითა თუ სუფიქსაციით): ბერიძე, ბერაძე, ბერია, ბერაია, ბერანაძე, ბერნაძე, ბერანიძე, ბერიანიძე, ბერიანი, ბერინაშვილი, ბერიშვილი, ბერაშვილი, ბერიაშვილი, ბერბერაშვილი, ბეროშვილი, ბეროძე, ბერიკაშვილი / ბერეკაშვილი / ბერიკიშვილი / ბერუკაშვილი / ბრეკაშვილი, ბერიკელაშვილი / ბერიკიანი, ბერუაშვილი, ბერუჩაშვილი, ბერებიშვილი, ბერელიძე/ბრელიძე, ბერელაშვილი, ბერულაშვილი, ბერულავა, ბერიტაშვილი, ბერიძიშვილი, ბერკაცაშვილი, ბეროზაშვილი(?).

**ბერ-ი** ყველა თანამედროვე ქართველური ენის დიალექტებში ე. წ. შავი სამღვდლოების წარმომადგენელს ნიშნავს, ვისაც არ შეიძლება ოჯახი (ცოლ-შვილი) ჰყავდეს, რადგანაც ის საზოგადოებისგან მოშორებულ მონასტერში განდგომილად ცხოვრობს. ვფიქრობთ, თანდათანობით ამ ლექსემის მნიშვნელობა გაფართოვდა და იგი „ხატისა“ თუ „ხვეის უფლის“ აღსანიშნავადაც იქნა გამოყენებული: ფშაურსა და ხევსურულ დიალექტებში **ბერ-ზაადური** გუდანის ჯვრის სახელწოდებაა, იმავე მეტყველებაში **ბერ-ი** „კოპალას“ (ხატია!) ეპი-



თეტია, ხოლო ხევსურები და მთიულეები **ბერ-ზვარ-ა/ბერ-ზორ-ა**ს „ხატისთვის შეწირულ ხარს“ უწოდებენ. მულახელი მოსე ნიგურიანის მიერ 1937 წელს ჩაწერილ ძველ სვანურ ხალხურ სიმღერაში **თათრიშ ლაშგარ** (იხ. სვანური პოეზია 1939: 44-52) ჯარის მეთაურს – **ბერ გელუჟან**ს კლავენ, რომლის კარავში, მიცვალებულის სასთუმალთან, **სალშგარჷ ხნტ** („სალაშქრო ხატი“) ეკიდა. თავისთავად ცხადია, გელოვანი სასულიერო პირი არაა, მაგრამ მას სახელად **ბერ** ჰქვია; შდრ. ქართული **ბერ-ა, ბერ-ია, ბერ-ოა, ბერ-უა** ანთროპონიმები; ყველა შემთხვევაში ამოსავალია არა შავი სამღვდელოების აღმნიშვნელი ლექსემა **ბერ-ი**, არამედ კონკრეტული ანთროპონიმი, რომელიც, თავის მხრივ, ზოგადი სახელისგან („მოხუცი, უფროსი, მთავარი, ხანდაზმული, ბებერი“) მომდინარეობს (შდრ. ძვ. ქ. **ხვეისბერი/ხვეისუფალი**, ერთი მხრივ, და **ბერათითი**, მეორე მხრივ).

-**ბერ-** კომპოზიციური სტრუქტურის მქონე არაერთი ქართული გვარის შემადგენელი კომპონენტია, რომელთაგან ზოგიერთი მხოლოდ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარშია“ დაცული (იხ. ჯიქია ს., ტ.II, 1941); ესენია:

გიორ-**ბერ-ი-ძე** / გიორ-**ბელ-ი-ძე** (დისიმილ.) < გიორგ-**ბერ-ის-ძე**

გოგი-**ბერ-ი-ძე**

გულ-**ა-ბერ-ი-ძე**

გუგუ-**მ-ბერ-ი-ძე**

დედაზრიშვილი < \*დე-და-**ბერ-ის-შევ-ილ-ი**

დიდ-**ბერ-ი-ძე** / დიდ-**ზარ-ი-ძე**

დოლ-**ა-ბერ-ი-ძე**

ედი-**ბერ-ი-ძე**

ვაჩი-**ბერ-ი-ძე**

თავ-**ბერ-ი-ძე**

თით-**ბერ-ი-ძე** / თუთ-**ბერ-ი-ძე** < \*თუთა-**ბერ-ი-ძე**,

თით-მერ-ია < თით-ხერ-ია  
ია-ხერ-ი-ძე  
კაკუ-ხერ-ია  
კახა-ხერ-ი-ძე / კახ-ხერ-ი-ძე  
კახაზრიშვილი < \*კახა-ხერ-ის-შევ-ილ-ი  
კილ-ა-ხერ-ი-ძე, კილ-ა-ხერ-ია  
ლაშა-ხერ-ი-ძე  
ლოს-ა-ხერ-ი-ძე

მაღლა-ფერ-ი-ძე < მაღლა-ხერ-ი-ძე (შდრ. ძვ. ანთროპ. მაღალ-ა-  
ხერ-ი)

მაც-ა-ხერ-ი-ძე (შდრ. ანთროპ. მაც-ი)  
მიქა-ხერ-ი-ძე  
სახ-ა-მ-ხერ-ი-ძე  
სულ-ა-ხერ-ი-ძე  
ტურა-ხელ-ი-ძე < \*ტურა-ხერ-ი-ძე  
ქურუ-ხერ-ია  
ღვა-ხერ-ი-ძე > ღვა-ზრ-ა-ძე  
ღვა-მ-ხერ-ია  
ღოღო-ხერ-ი-ძე  
ყურ-ა-ხერ-ი-ძე  
შავ-ხერ-უა-შვ-ილ-ი  
შალამ-ხერ-ი-ძე  
შატ-ხერ-ა-შვ-ილ-ი  
შეშა-ხერ-ი-ძე  
შიო-ზრ-ი-შვ-ილ-ი < \*შიო-ხერ-ის-შვ-ილ-ი  
შუშა-ხერ-ი-ძე  
ჩაკა-ხერ-ია > ჩიკა-ხერ-ია  
ჩხ-ა-ხერ-ი-ძე < \*ჩახ-ა-ხერ-ი-ძე  
ცხად-ა-ხერ-ი-ძე  
ჭია-ხერ-ი-ძე

კიაზრიშვილი < \***კია-ბერ-ის-შევ-ილ-ი**  
**კიქა-ბერ-ი-ძე**  
**ჭუმ-ბურ-ი-ძე** < \***ჭუმ-ბერ-ი-ძე**  
**ხობ-ბერ-ი-ძე**  
**ხუც-ი-ბერ-ი-ძე**  
**ჯამ-ზრ-ი-შვ-ილ-ი**  
**ჯამ-ბერ-ი-ძე** > **ჯამ-ბურ-ი-ძე**  
**ჯამ-ბურ-ია**  
**ჯან-ბერ-ი-ძე**  
**ჯან-ბერ-ია**  
**ჯგუ-ბურ-ია** < **ჯგირ-ბერ-ია** (?)  
**ჯორ-ბენ-ა-ძე** < **ჯორ-ბერ-ა-ძე** (?)  
**ჯობ-თ-ა-ბერ-ი-ძე**

ამგვარად წარმოქმნილ პატრონიმებსაც საკმაო ისტორია უნდა ჰქონდეთ, რადგანაც **ნინია კახაბერისძე** და სახელგანთქმული მწიგნობარი **ნიკოლოზ გულაბერისძე** X და XI საუკუნეებში მოღვაწეობდნენ.

ცხადია, **ბერ-** ძირის შემცველი გვარები მოსალოდნელია სვანეთშიც, სამეგრელოშიც, ლაზეთშიც:

დღეს სვანეთში, სოფელ მარგვიშში (ლენტეხის რაიონი), ცხოვრობს **არდაშა ბერიძის** ერთადერთი ოჯახი, რომლის წინაპარი – **შახი ბერიძე** XVIII საუკუნის ბოლოს თავის ხუთ ძმასთან ერთად რაჭიდან (ამბროლაურის რაიონის სოფელი ღადიში) ასულა მაშინ უკაცრიელ ადგილას, სადაც ერთადერთ კოშკში გამაგრებულნი იყვნენ ზემო სვანეთიდან, მკვლელობის ჩადენის გამო, გამოქცეული ყიფიანები. ისინი შეზმნიან ერთმანეთს – ბერიძეებს ყიფიანები დაუმარცხებიათ და დაუსახლებელ ტერიტორიაზე დაუწყიათ სახლის მშენებლობა, რის შემდეგაც შახის მეზობელი სოფლიდან უთხოვია ჯამბურიძეთა ასული. მათ მემკვიდრეებს დღეს ქვემო სვანები **შოშკაშვრ**

(„შოშკასანი“) ს ეძახიან, რომელთა ღირსეული წარმომადგენელია საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის III რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი, ფოლკლორული ანსამბლის – „ლაშხეთის“ ხელმძღვანელი, შესანიშნავი მომღერალი **კობა ბერიძე**.

**ბერძენების** სამი ოჯახი ცხოვრობს დღეს სოფელ სასაშში, რომლებიც შახი ბერიძეზე გვიან ასულან ლაშხეთში იმერეთიდან.

იცოდა თუ არა შახი ბერიძემ, რომ XIII საუკუნის ერთი დიდებული ძეგლის („მატიანე სუანეთისა კრებისაჲ“) მიხედვით, სოფელ ცხუმარის<sup>42</sup> საეკლესიო კრებას „მოეგება და სული შეჰვედრა“ **შაჰაშან ჯამბურთანმა** თავის მეუღლესთან – ბორენასთან ერთად (სვანეთის ისტორიის ფურცლები 2011: 152-153), ძნელი სათქმელია. ამავე კრებას ესწრება **შალვა ჯამბურთანიც** [სამწუხაროდ, 2011 წლის გამოცემაში კორექტურული შეცდომა – **ჯამბურთანო** (გვ. 155) წერია, ამიტომ იხ. პავლე ინგოროვასეული გამოცემის (1941 წ.) IX მატიანე: 59]. იმერეთსა და რაკა-ლერჩუმში დღესაც გვხვდებიან **ჯანბურიძეები**, ხოლო ქვემო სვანეთში, ჩოლურის თემში, მცხოვრები **ჯამბურიძეების** გამომხატველი ლექსემა ამ პატრონიმის ფონეტიკურ (ლაბიალური მ, ზ ფონემების მომდევნო პოზიციაში მყოფი -ჟ ხმოვნის ასიმილირებულ) ვარიანტს წარმოადგენს.

XIV საუკუნის I ნახევრის სეტის კევის საბუთებში ინახება ვინმე გავაშელ **კამბურთანის** წერილი ივანე სეტელიანისადმი (სვანეთის წერილობითი ძეგლები 1986: 176). იმავე დროსაა შედგენილი მეორე დოკუმენტიც ივანე სეტელიანისადმი, ოლონდ უკვე შატმახ **კონბურთანის** დაწერილი (იქვე: 182).

---

<sup>42</sup> ტექსტი არის ცხმარის, რადგანაც XIII საუკუნეში სვანურ ცხმარს ქართულ ფრაზაში სხვაგვარად ვერ წარმოგვიდგენდნენ (ანტონ კათალიკოსმა ქართულ ანბანში ანაპტიქსური გ XVIII საუკუნეში შემოიღო მხითარ სებასტიანის სომხური გრამატიკის გავლენით).

დღეს სვანეთში ეს გვარი გადაშენებულია, მაგრამ ერთი საინტერესო ამბავი გვინდა მოგითხროთ ამასთან დაკავშირებით:

1994 წელს კოდორისხეობელი სვანი მალხაზ კორძაია (წარმოშობით მესტიის რაიონის სოფელ ივარიდან) იმყოფებოდა უკრაინაში, ქალაქ უჟგოროდში, სადაც იგი სრულიად შემთხვევით შეხვდა ორ ძმას, რომლებიც **კუ'მ'ბერიანები** იყვნენ და საბჭოთა პასპორტში ეროვნების გრაფის გასწვრივ ეწერათ СВАН („სვანი“). როგორც ჩანს, მათი წინაპარი სწორედ **კამბერიანი** იყო (გარკვეული ფონეტიკური წესების საფუძველზე რამდენადმე შეცვლილი ფორმით), რადგანაც ძმებმა საუკუნეების შემდეგაც კი იცოდნენ რაღაც თავიანთი კავკასიური წარმომავლობის შესახებ (იხ. ჩვენი „კოდორული ქრონიკები“, 2007-2010: 193) – თავისთავად ცხადია, ამაღელვებელი ფაქტია!.. დალხენილი ცხოვრების გამო, ბუნებრივია, თავის დროზე კამბერიანები სამშობლოდან უცხო ქვეყანაში არ გადაიხვეწებოდნენ.

უცხოეთში კი არადა, ცნობილი ფაქტია, რომ ქართველ მთიელებს ჩვენი ქვეყნის როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი თუ ჩრდილო-სამხრეთი ნაწილებიდან ბარად ჩამოსვლაც კი უჭირთ, თუ გამოუვალი სიტუაცია არაა. ასე გახდნენ იძულებულნი სვანები, 1887 წლის\*სტიქიური კატასტროფის შემდეგ ჩამოსახლებულიყვნენ ქვემო ქართლში – გარდაბნის, მარნეულის, დმანისისა თუ ბოლნისის რაიონებში, მათ შორის იყო შვიდი ოჯახი **ბერიანებისა** მესტიის რაიონის მულახის თემის სოფელ ზარდლაშიდან. მათ არაჩვეულებრივი ტერიტორია ერგოთ წილად ბრწყინვალე მწერლისა და უდიდესი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის მშობლიურ სოფელში – ტანძიაში, მაგრამ ისინი მაინც თავიანთ წყალწაღებულ ზარდლაშს მისტირიან. რა დასანანია, რომ მოსახლეობის 1995 წლის აღწერის შემდეგ გამოცემულ ა. სილაგაძისა და

ა. თოთაძის წიგნში „გვარ-სახელები საქართველოში“ ბერიან-თა ხსენებაც კი არაა სვანეთში – არადა სულ რაღაც რვა წელი იყო მაშინ გასული ცნობილი ავადსახსენებელი წარღვნიდან. დღეს **ბერიანთა** მხოლოდ 155 ოჯახი ცხოვრობს ბოლნისში, გარდაბანსა და თბილისში, სამაგიეროდ, **ბერიანიძეები** 2013 კომლით წარმოგვიდგებიან შიდა ქართლში – კასპში, თბილისსა თუ გორში. ცხადია, ორივე პატრონიმისთვის **ბერ-** ძირია ამოსავალი, რომელიც თუმცა სხვადასხვა, მაგრამ მაინც ქართველური მორფემოიდითაა გაფორმებული.

გასაოცარია, რომ არც სვანეთის სულთა მატეანეში, არც საოჯახო-საგვარეულო მოსახსენებლებში, არც ფრესკულ ისტორიულ წარწერებსა თუ გრაფიტებში არსად გვხვდება **ბერიანი**, მაგრამ ყველა მათგანშია დადასტურებული ანთროპონიმი **ასიბერი** და პატრონიმი **ასიბერიანი**. არც ერთი დღეს აღარ გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა ჩოლურში (ლენტეხის რაიონში) ჯამბურძიძეების ერთ-ერთი შტო-გვარია, ანუ კომლთა ფილიაციური სახეობაა **ასა-შ-ერ-აღ** („ასასანე-ბი“), რომელიც მომდინარეობს მამაკაცის ძველი სვანური საქუთარი სახელისგან **ასა**, დღეს რომ აღარავის არქმევენ.

XIV საუკუნის ბოლოს სავიანებს (ე. ი. სვანებს) შეუდგენიათ „გარდაწყვეტილობა“ სექციელებთან სასარჩლო ყანების შესახებ (რათა მათ შორის ამიერიდან აღარ ყოფილიყო „**სასანდურაო** არა დიდი, არა პატარა, არაის თანა არაი“), რომლის „თავდებნი არიან: უპირველესად ღმერთი, ხოლო კაცთაგან: თვალიანი გელიანი, ბეურაზ **ბერანეგანი** და შხასანი დეუდორიანი“ (სვანეთის წერილობითი ძეგლები 1986: 177). მოსალოდნელია, **ბერ-ან-ეგ-ან-ი ბერ-იან-ი**ს გართულებული ვარიანტი იყოს, მით უფრო, რომ, 1995 წლის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ზუგდიდსა და ფოთში ცხოვრობს: **ბერანაძე** (88 კომლი), გორში, კასპსა და თბილისში – **ბერანიძე** (29 კომლი), ხოლო ზუგდიდში, თბილისსა და გორში – **ბერნაძე** (23 კომ-

ლი), რომლებიც ბერიანიძეებთან ერთად ისტორიულად, ალბათ, ბერიანები იყვნენ.

მართალია, ბესარიონ ნიჟარაძის „ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი“ ჩვენს ეპოქაში გამოვიდა, მაგრამ იგი შედგენილი იყო 1888 წელს. ახლაც ინახება პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არქივში 812 გვერდის შემცველი ხელნაწერი, რომელიც 1912 წელს შეუძენია რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას, აკაკი შანიძის ცნობით [ჩანტლაძე 2000: 113; ნიჟარაძე 2007: 13]. მაშასადამე, XIX საუკუნის დასასრულის მონაცემთა მიხედვით, არა მხოლოდ ბერიანები ცხოვრობენ ზემო სვანეთში, არამედ ასუმზარიც (ალბათ, ასიბერიანის ფონეტიკური ვარიანტია!), კახბერიძეც და ბერჩლიანიც (თუ კორექტურული შეცდომა არაა!).

ყურადსაღებია, რომ ბერიანი ტოპონიმიცაა სვანეთში, შესაძლოა, ჩრდილო კავკასიაშიც (ყაბარდო-ბალყარეთში), ბესარიონ ნიჟარაძის მიერ უშუალოდ ჩაწერილი ერთი ძველი სიმღერის („ისლამ“) მიხედვით:

[ისლამს] უოშთხუ ღეთ ზაილდ ბერმანს ხადა – [ისლამს] ისლამმა ოთხიოდე წელი ბერიანში („ბერიანს“) დაჰყო („ჰქონდა“ – სვ. პოეზ., 1939: 116).

მაშასადამე, ბერიანი ანთროპოლოგონიმთა კატეგორიას განეკუთვნება (შდრ. ტოპონიმები: მინაძე, ძინძე, ჯუჯულაძე, ჭიდალაძე, საღრაძე, ოსიძე, მელქუაძე, კოპაძე, ... – სამცხეში და დარჩიძეები, ტაკიძეები, ჯაბნიძეები, ჯუმუშაძეები... – ზემო აჭარაში). ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ბერიანისა და ბერიების ურთიერთმიმართების ორი ასპექტის წარმოდგენა:

1. პატრონიმი ბერ-იან (სვანეთში) > ბერ-ია (სამეგრელოში);
2. ტოპონიმი ბერ-იან (სვანეთში) > ბერ-ია, ბერ-ი-ებ-ი (სამცხეში).

მ. ბერიძე ერუშეთის მთიანეთის ფერდობზე ოდესღაც შეფენილი სოფლის – ერკოტას ნასოფლარის (ბერიები || ბერია) სახელწოდების ამოსავლად მიიჩნევს ბერ-ა („შუაგასავალი“) ლექსემას, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტოპონიმში დაცულია -ო- ხმოვანი (ბერიძე 2013: 8-12).

გადმოცემის მიხედვით, თანამედროვე ასპინძელი ბერიძეები სწორედ ბერიებიდან არიან წამოსულნი.

რაც შეეხება ზემოაჭარელ ბერიძეებს, როგორც ჩანს, ისინიც ყოფილი მესხები არიან. ივანე გიგინეიშვილის, ვარლამ თოფურიას და ივანე ქავთარაძის „ქართული დიალექტოლოგიის“ I ტომში (1961: 362) ნათქვამია: „სოფელ ერკოტის უმრავლესობა გვარად ბერიძეები არიან, რომლებიც მოშენებულან ერთი ბერისაგან. თათრების შემოსევის დროს ეს ბერი გამოქცეულა ზარზმოდან. თათრებს რომ ეკვი არ მიეტანათ, ამიტომ სოფელ ერკოტაში უთხოვია ცოლი, მიუყვია ხელი გლეხობისათვის და თურმე ჩუმად დარბაზებში მაინც სწირავდა ხოლმე“. 1873 წლის აღწერის მიხედვით, მისი შთამომავლები ბერიძესშვილებად, ხოლო 1886 წლიდან ბერიძეებად მოიხსენიებიან.

ილია მაისურაძის ცნობით (1965, 1979), ბერიძეთა წინაპარი სამი ძმა ყოფილა – სამივე ასკეტი. რაღაც ჯამიანობას სოფელ ზარზმამში ხალხი გაუწყვეტია; მხოლოდ იქაური მონასტრის ბერები გადარჩენილან, რომელთათვის იმ დღიდან ბერობა აუკრძალავთ – უნდა დაოჯახდეთო. ერთი ძმა მესხეთ-ჯავახეთში გამრავლებულა, მეორე – აჭარაში, მესამე კი – გურიაში.

საუკუნეთა მანძილზე ოსმალთა აღვირახსნილობის წინააღმდეგ ლეგენდარულად მებრძოლი სამცხე-ჯავახეთისა და ზემო აჭარის ურთიერთმიმართების საილუსტრაციოდ მეტად საინტერესოა ყოფილ „სამუსლიმანო საქართველოში“ ქართუ-



ლი სკოლების დაარსებისა და ქართული წიგნებისა თუ ჟურნალ-გაზეთების გავრცელების თავგანწირული სულისჩამდგმელის ზაქარია ჭიჭინაძის ერთი დაკვირვება 1991 წელს:

**„ზეგნის** (ქვაბლიანისა და ახალციხის მარჯვენა მხარის) **ხალხი** უფრო შავგვრემანია, **მესხებს ჰგვანან**, დაბალ ტანისა, თუმც ტანოვან კაცთა და ქალთაც ხშირად შეხვდება კაცი. ამათი სამშობლო ქართული ენა მცირედ განირჩევა ქვედა აჭარის, კინტრიშის, მაჭახლის, ლივანის და სხვების ქართულ ენისაგან, უფრო **ჯავახეთის ქართული ენის კილო შერჩენიათ** და შიგადაშიგ ზოგიერთს სიტყვების დაბოლოვება გურულს წაგავს. **ოსმალური სიტყვები აქ მცირედ არის შემოტანილი...** ჩემის თვალით ვნახე ქართველი მაჰმადიანები, რომელთაც თათრულის ათი სიტყვაც არ იციან, ქალებმა ხომ სულ არ იციან თათრული...

**აქაურ ხალხის გვარებში კაცი ნამდვილ ჯავახურს გვარებსაც შეხვდება“** (ჭიჭინაძე 2013: 215)...

„ზეგნელნი საკმარისად ჰგვანან აჭარლებს, მაინც ესეც აჭარა არის. ზეგნელნი უფრო მუშაკნი არიან; შესანიშნავია ამ კუთხის ქართველი მაჰმადიანები მითაც, რომ ამათ დღემდე თავიანთ დედაენა-ქართული კარგად აქვსთ დაცული. ეს საკვირველია მით უფრო, რადგანაც ზეგანს საზღვრავს ქვაბლიანი და ფოცხოვი, რომელ კუთხენიც ზეგანს, მესხეთსა და ჯავახეთს შუა სძევს და ამ კუთხის ქართველ მაჰმადიანებში კი ქართული ენა დამხობილი, დავიწყებული აქვსთ“ (იქვე: 221) – ცხადია, განსხვავებული სიტუაცია მშობლიური ენისადმი დამოკიდებულებისა ამ ორ ძირძველ მოსახლეობაში იმით აიხსნება, რომ მესხეთ-ჯავახეთი საუკუნით ადრე დაიპყრეს ოსმალებმა, ვიდრე აჭარა.

დიახ, სასწაულებრივად გადაურჩნენ გათურქებას სამხრეთ საქართველოში, თუმცა ლაზეთიდან მხოლოდ ნახევა-

რი სოფელიდა შემოგვრჩა სარფში, ყველა დანარჩენი გეოგრაფიული პუნქტი კი, სადაც დღეს ლაზური მეტყველება ისმის, ლაზისტანად იქცა. ამიტომ სხვა ათასგვარ პრობლემასთან ერთად ბერიძეთა იქ განსახლების სიტუაციაც უცნაურად შეიზღუდა.

„დანდალოს ახლოს, თამარის ხიდთან,  
სადაც სისხლისფრად ყვავის ვარდები,  
თითქოს მდინარე იძლევა კითხვას  
და მთა პასუხობს: არ გავთათრდები!“

(ვახტანგ გორგანელი)

რაც შეეხება სამეგრელოს, აქაც გარუსება-გააფხაზება ელის ხალხს სამურზაყანოში, ანუ უსათუოდ შეჩერდება „მამულისა ჩვეულებისაებრ სვლა“ (იოვანე საბანისძე), თუ დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება არ შეიცვალა.

1990-1996 წლებში პაატა ცხადაიას მიერ მოძიებული მასალების მიხედვით, სამეგრელოსა და სამურზაყანოში (ნაწილობრივი ანალიზის საფუძველზე!) ცხოვრობენ:

1. **ბერიძეები** (ადგილობრივი გამოთქმით **ბერძეფეი**) – 86 კომლი (გვხვდება ტოპონიმები **ლებერიძე** და **ლებერძე** „საბერიძეო“);

2. **ბერიშვილები** (ადგილობრივი გამოთქმით **ბერ<sup>ა</sup>ი<sup>ა</sup>სქეფეი**), თავის დროზე ჩოხატაურის რაიონის სოფელ სურებიდან გადასახლებულნი – 1837 სული.

(გვხვდება ტოპონიმები: **ლებერსქეუ**, **საბერსქეო** / **ნაბერისქეუ**, **ებერ<sup>ა</sup>ი<sup>ა</sup>სქეუ** || **ებერსკუე**);

3. **ბერია** – 1698 სული

(გვხვდება ტოპონიმები: **ლებერიეი** || **ბერიათი**, **საბერიო**);

4. **ბერნაძე** – რამდენიმე კომლი ზუგდიდის რაიონში (მდრ. **ბერანძე**);

5. **ბერულავა** – 1463 სული

(გვხვდება ტოპონიმები: **სახერულო, ლებერულე, ნახერულუ**);

6. **ბერაია** – 1742 სული

(გვხვდება ტოპონიმი **სახერაიო**);

7. **ბერანძე** – 190 სული || **ბერანძე** (ზუგდიდის რაიონში);

(გვხვდება ტოპონიმი **სახერანძო**);

8. **ბერამე** – 50 კომლი (იმერეთიდან ჩამოსახლებულნი);

(გვხვდება ტოპონიმი **სახერამო**);

მაშასადამე, **ბერ**- ძირის შემცველი გვარები სრულიად საქართველოშია გავრცელებული, რომლებიც ანთროპონიმული (და არა ასკეტური სახელწოდების!) წარმომავლობისანები არიან თითქმის ყველა შემთხვევაში; მათ სემანტიკას განაპირობებდა ადამიანთა პატივისცემის, მოკრძალების გამოხატვა. საინტერესოა, რომ კახეთში, სოფელ ბოდბისხევში, ერთი ახალგაზრდის თიკუნია **ბებერო**, ვინც სხვათაგან მხცოვანი (ბრძენი) კაცისთვის დამახასიათებელი ჭკუით გამოირჩევა (ცხადია 2005: 11,97).

ქართულ პატრონიმთა **ბერ**- ძირის ჩვენეული ეტიმოლოგია, ვფიქრობთ, სრულიად შეესატყვისება XIX-XX საუკუნეების საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის **ნური ბერიძის** ღვაწლს, რომლის შესახებ ვიმსჯელებთ წინამდებარე ნაშრომში.

„გასრულდა ეს ამბავი“, მაგრამ არა „ვითა სიზმარი ღამისა“, არამედ როგორც საგალობლის მაგვარი სამადლობელი, წარმოთქმული ჩვენი მამა-პაპის საქველმოქმედო საქმეთა ახალგაზრდობისთვის შესახსენებლად, მათი ნათელი ხსოვნის უკვდავსაყოფად...

მთელ აჭარაში სამართლიანი ცხოვრების წესით გამორჩეული ნური ბერიძის მიერ დაარსებულ სკოლას უკანასკნელი ასი წლის მანძილზე არაერთი სახელოვანი მოწაფე აღუზრდია –

„ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა  
და ან ცაზე ვარსკვლავები?!“

თავისთავად ცხადია, ვერც ჩვენ ჩამოვთვლით მათ სახელგვარულ სინტაგმებს, მაგრამ ვერაფრით დავამთავრებთ წინამდებარე წიგნს სახელოვან წინაპართა ღირსეული მემკვიდრეების – ლევან მაკარაძისა და მერაბ ქარცივაძის ღვაწლზე მსჯელობის გარეშე:

პირველი მათგანი ოლადაურის სკოლის აღზრდილია, რომელიც მოგვიანებით ზემო აჭარაში ორი სხვადასხვა (ქართული და რუსული) სასწავლებლის დირექტორი გახლდათ. ხანდაზმულ ასაკში მაწყვალთელ ბავშვებს მან ულამაზესი სკოლის შენობა დაუტოვა, თავად კი გულმა ზღვისკენ გაუწია...

გემის კაპიტნად ყოფნის დროს კუბის ერთ-ერთი ქალაქის გაჭირვებულ პატარებს ლევანმა 35 000 მანეთი უბოძა. შემდეგაც არაერთხელ გამოიჩინა თავი ქველმოქმედებით, რისთვისაც ოლადაურელი ლევან ანდროს ძე მაკარაძე არჩეული იქნა იმ ქალაქის საპატიო მოქალაქედ, სადაც დღეს მისი სახელობის ქუჩაცაა.

ოლადაურის სკოლის აღზრდილი მერაბ ქარცივაძე სრულად ახალგაზრდა შეეწირა დედასამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას 1992 წლის 23 დეკემბერს. მის ოჯახში ახლაც სასოებით ინახება საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის, შეიარაღებული ჯარების მთავარსარდლის **ედუარდ შევარდნაძის** სამძიმრის წერილი:

### **ჩემო ძვირფასებო!**

*უმძიმეს ტრაგიკულ დღეებს განიცდის ჩვენი ქვეყანა. ცრემლითა და სისხლითაა მორწყული სამშობლოს მიწა, შავი ძაძები აცვიათ დამწუხრებულ დედეებს, დაქვრივებულ მეუღლეებს, უნუგემოდ დარჩენილ ობლებს... მეც მათთან ერთად ვწუხვარ და ვგლოვობ.*

*არ არსებობს სიტყვა, რომ შეეძლოს ამ ტკივილებისა და ჭრილობების მოშუშება... დღეს ომია საქართველოში... ეს, ალბათ, ბედისწერაა – ბევრ ოჯახში იავნანას ნაცვლად მწარე ქვითინი ისმის.*

*საქართველოს ჯარისკაცებისათვის ნასროლი ყოველი ტყვია ისე მტკივა, თითქოს ჩემს სხეულს ხვდება. ყოველი ჭეშმარიტი ჯარისკაცი ღვიძლი შვილივით მიყვარს, როგორც სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, და რომ შემეძლოს, მზად ვარ მათთვის ნასროლ ტყვიას საკუთარი მკერდი მივუშვირო.*

*აუნაზღაურებელია დანაკლისი, რაც თქვენმა ოჯახმა განიცადა. არ ვიცი, რა სანუგემო სიტყვა გითხრათ, რით ვუმკურნალო თქვენს ტკივილებსა და ჭრილობებს, რომლებიც ჩემი ტკივილებიცაა და ჩემი ჭრილობებიც.*

*მთელი სულითა და გულით ვიზიარებ თქვენს მწუხარებას და ქედს ვიხრი ოჯახისთვის უძვირფასესი ადამიანის ხსოვნის წინაშე.*

თუ სანუგეშო სიტყვა არსებობს, ეს, ალბათ, ის არის, რომ დღეიდან თქვენი ოჯახი საქართველოში იმ წმინდა და გმირულ ოჯახთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც საკუთარი შვილების სიცოცხლის ფასად იცავენ ერსა და მამულს, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

მადლიერი ერი თქვენს ამაგსა და თავგანწირვას არასდროს დაივიწყებს. ერი, სამშობლო და ღმერთი თქვენთანაა...

დიახ, არავინ და არაფერია დავიწყებული საქართველოს ისტორიის შემქმნელ ღირსეულ პიროვნებათა შორის!..

რაკი ისტორია „ყველას ღვაწლად და დიდებულ ტამრად“ (ილია) გვესახება, ამიტომ გავიხსენეთ ზემო აჭარის ერთ პატარა სოფელში დაბადებული დიდი ქართველი მამულიშვილი, 170 წლის ნური ხერიძე, მის მიერ დაარსებულ საუკუნოვან ქართულ სკოლასთან ერთად.

ღმერთმა დალოცოს ეს დიდი (არამხოლოდ რაოდენობრივად!) გვარი საქართველოში, განსაკუთრებით კი ნური ხერიძის შთამომავლები, რაკი ამჯერად წინამდებარე წიგნში მათ შესახებ ვმსჯელობთ. მართლაცდა რა ბედნიერებაა, ოჯახს მხოლოდ ორი ვაჟიშვილი ჰყავდეს და ორივე მეცნიერებათა დოქტორი, თანაც მათი დისერტაციების დაცვის ქრონოლოგია ერთსა და იმავე დროს ემთხვეოდეს!

რა საოცრად უყვართ ბატონ აკაკისა და ბატონ ჯემალს თავიანთი სახელოვანი წინაპრები, რომლებიც ერთხელაც კი არ უნახავთ თვალით. „ბადიშებმა“ მარტო დიდ ბაბუას – ნური ეფენდის კი არ აუგეს სამარადისო ძეგლი ოლადაურში, არამედ თავიანთი მამის მამას – 1938 წელს დედასამშობლოს უერთგულესი სამსახურისთვის დახვრეტილ ნუსრედინ ბერიძე-

საც მიაგეს შესაბამისი პატივი სიმბოლური საფლავის შექმნით, რითაც აუსრულეს დიდი ხნის ნატვრა ბატონ ლევანს – მთელ აჭარაში გამორჩეულ საზოგადო მოღვაწეს, დიდებულ შვილს, მეუღლეს, მამასა თუ ბაბუას.



**ნუსრედინ ბერიძე**  
(ნური ეფენდის შვილი)



**ლევან ბერიძე**  
(ნური ეფენდის შვილიშვილი)

კიდევ კარგი, რომ მას ღმერთმა მამის უეცარი „გაქრობით“ მიყენებული ტკივილი აკმარა და უფრო დიდ საშინელებას – ირაკლი ბერიძის (შვილიშვილის) ტრაგიკულ დაღუპვას არ მოასწრო!



**ასიე ბერიძე** (ნური ბერიძის შვილიშვილი და  
ლომან ქარცივამის შვილთაშვილი).

ამასწინათ აცრემლეულმა ასიე ბებომ ერთი ასეთი ეპი-  
ზოდის გაიხსენა:

*ჩვენ ბათუმის მახლობლად ვცხოვრობთ, სოფელ ჩელტა-  
ში, სადაც ავტობუსი ბოლომდე არ მიდის. ერთხელ თურმე  
ჩვენი მეზობელი თენზილე ქათამაძე მძიმე ჩანთებით ხელში,  
საშინლად დაღლილი, ფეხით მიდიოდა შინისკენ. უცებ მას  
თბილისიდან ჩამოსული ირაკლი დასწევია და ორივე ჩანთა  
გამოურთმევია. ძალზე გაჰკვირვებია ხანდაზმულ ქალბატონს  
ახალგაზრდის ასეთი საქციელი და უკითხავს:*

*– ვისი ხარ, შვილო, ასეთი კარგი? ამ გზაზე სულ მძიმე  
ჩანთებით დავდივარ, მაგრამ არასდროს არავის უფიქრია ჩემი  
დახმარება!*

*– ჯემალ ბერიძის შვილი ვარ – იყო პასუხი.*

*– მტკერი იყარე დიდ გორისა! – მთელი გულით დალო-  
ცა თენზილემ ირაკლი.*



რასაკვირველია, დაახლოებით მივხვდი ქვეტექსტს ლოცვისა, მაგრამ მაინც დავურეკე ქალბატონ თენზილეს და ვკითხე:

– რა უთხარით ირაკლის?

– შენი დიდი გვარის ყველა სიკეთე შეგყროდეს-მეთქი.

– კი, მაგრამ „მტვერი“ „სიკეთეს“ ნიშნავს აჭარულ დიალექტში? – გავოცდი.

– ხომ ხედავთ, რა ხალხი ვართ ქართველები! როცა ეს დალოცვა შეიქმნა, მაშინ „მტვერიც“ კი „სიკეთეს“ ნიშნავდაო – ამაყად მიპასუხა 80 წლის მოხუცმა.

ღმერთმა უმრავლოს ნური ბერიძის შთამომავლობას ირაკლის მსგავსი ვაჟკაცები, ოღონდ მისი ბედისწერის გარეშე, ბატონ ჯემალს კი, რომელიც თავისი შვილის ტოლ უამრავ ბიჭს ზრდის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ვერაფერს ვეტყვით სანუგეშოს – ძნელია, ძალიან ძნელი, რადგანაც ყველაზე დიდი ნუგეში თავადვე მოუძებნია – თურმე ყოველდღე მიდის ირაკლის საფლავთან...

„პატრიარქალურად ტრადიციული ირაკლი ბერიძე 17 წლის ასაკში უკვე იყო კაცი, რომელსაც სიცოცხლესაც კი ანდობდი და ისე გაუფრთხილდებოდა მას, სანაცვლოდ საკუთარს გაიღებდა... სამწუხაროდ, თავაწყვეტილი გაზაფხულუბის ხანაში იხმო იგი უფალმა თავისთან“ (მჭედლიშვილი 2009: 60).



ირაკლი ბერიძე – ნური ბერიძის შვილთაშვილის შვილი

365 წმიდა გიორგის მადლი ფარავდეს ყველა  
ქართველს (ბერიძესაც და არაბერიძესაც)!



**ვლტაჟ ბერძბეჟსა და  
მათ შთამომავალთ.  
ილია II**

2010 წლის 24 იანვარს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დალოცა ბერიძეთა დიდებული საგვარეულო. გთავაზობთ აჭარელ ბერიძეთა თავკაცის, პროფესორ აკაკი ბერიძის „სამადლო-ბელს“ ამ ფაქტთან დაკავშირებით:

„მაქვს პატივი და რწმუნება, მოგესალმოდეთ ბერიძეთა საგვარეულოს სახელით და უდიდესი მადლობა მოგახსენოთ თქვენ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს, ერის მამას, საქართველოში (განსაკუთრებით, აჭარაში) ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარის (30000-მდე სული) – ბერიძეების დალოცვისათვის. ამ ისტორიულ მოვლენას ბერიძეთა სამმო ღვთის წყალობად და ქრისტესმიერი სიყვარულის გამოვლინებად მიიჩნევს.

გვეამაყება, რომ აჭარა უბველესი და უპირველესი მხარეა, ქრისტეს სჯულზე რომ მოაქციეს და განანათლეს მაცხოვრის უშუალო მოწაფე – მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ; ეს უკანასკნელი აქვე აღესრულა და გონიოშია დაკრძალული. სიმბოლურია, რომ სიტყვა **გონიო** მართლის, ჭეშმარიტების, გონიერების გამომხატველი ცნებაა, **გონ** – სიტყვაპირისაგან მომდინარე. პირველი ქრისტიანული ეკლესიაც მთავარანგელოზის სახელზე ხომ სოფელ დიდაჭარაში აგებულა, ანდრია პირველწოდებულის ლოცვა-კურთხევით, დაახლოებით 50 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით! დარწმუნებულნი ვართ, ასეთ წყალობას მხოლოდ გამორჩეულ, მისთვის განსაკუთრებით საყვარელ ეთნოსს ანიჭებდა უფალი. ამ ტერიტორიაზე ახლაც არსებობს ტოპონიმი თავანგელო, რომელიც ერთგვარი ილუსტრაციაა ჩვენი დიდებული ისტორიის უბრწყინვალესი და ურთულესი მონაკვეთისა.

თქვენი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით, 20 წლის წინ, ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის პერიოდში, ადღა ღვთისმსახურება მაღალმთიან აჭარაში, სახელდობრ, სხალთის დიდებულ ეკლესიაში, რომელიც, მრავალჭირნახული ძნელბე-

დობის მიუხედავად, დღემდე ღირსეულად შემოინახეს ჩვენმა წინაპრებმა მეთორმეტე საუკუნიდან. სწორედ აქედან, სოფელ დიდაჭარიდან, მიეცა დასაბამი ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობას სრულიად საქართველოში, ყველგან, სადაც ქართველთა საცხოვრისია.

თქვენო უწმიდესობავ, თანდათან ფრთებს ისხამს თქვენი წინასწარმეტყველება: „აჭარამ უნდა მოაქციოს სრულიად საქართველო!“ გვჯერა, რომ უფლის წყალობით და კვლავაც თქვენი ლოცვა-კურთხევით, ქრისტეს რწმენით ამალღებული საქართველო მალე გამთლიანდება, ლაზარესავით აღდგება და გაბრწყინდება. ა მ ი ნ!

მე პროფესიით ექიმი გახლავართ. მოგეხსენებათ, რომ ქირურგობა ძალზე რთული საქმეა; თითქმის ყოველდღე სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე გვიწევს მუშაობა, მაგრამ მძიმე ოპერაციების დროს, სკალპელთან ერთად, სწორედ უფალი შეგვეწევა ხოლმე ექიმსაც და პაციენტსაც.

გპირდებით, რომ ამიერიდან ქრისტიანული საძირკვლების ჩაყრის ეროვნულ საქმეში უდიდეს წვლილს შეიტანს თქვენ მიერ დალოცვილი ბერიძეების საგვარეულოც!...

თქვენო უწმიდესობავ, მთელი სულითა და გულით მინდა, ჯანმრთელი დღეგრძელობა გიბოძოთ ღმერთმა ჩვენი ერის სანუგეშოდ, მამად და წინამძღვრად“.



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის, ბიჭვინთის, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II მესხეთ-ჯავახეთსა თუ აჭარაში მცხოვრებ ბერიძეთა თავკაცებთან – ვაჟა და აკაკი ბერიძეებთან ერთად მათი დიდებული საგვარეულოს დალოცვის დროს.

„**პოი, ჩვენო ენავ, ჩვენი მწუხარებისა და სიხარულის მესაიდუმლე, ცისარტყელასავით მშვიდობის მომფენო, მყინვარით სპეტაკო და თერგივით მშფოთვარევ! ჩვენო ხელთუქმნელო სვეტო, ცამდე ამაღლებულო, საუკუნეთა ქარტეხილებში გამოვლილო ლერწამო, საძირკველო და მტკიცე ფუძევ ჩვენო, ჩვენთა საუნჯეთა შემქმნელო და დამცველო, მთების ძლიერებავ, მეფევ და დარაჯო ქართველი ერის რწმენისა, ერთობისა და მთლიანობისა!..“ (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ს საშობაო ეპისტოლე, 2010 წ.)...**



ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს, რომ შემეძლოს,  
ჩვენს პატრიარქს უყოყმანოდ დავუთმობ...

(შოთა ზოიძე – პოეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი)

**ღმერთო, გადაგვიჩინე ქართული სწავლა-განათლება და მაღალაკადემიური მეცნიერების მრავალი დარგი მშობლიურ ენაზე!.. „ენა, რომელზედაც მეცნიერება არ არსებობს, დიდხანს ვერ იცოცხლებს, ხოლო მეცნიერება მაშინ იზადება და იზრდება, როცა ამ ენაზე მიმდინარეობს საგნების სწავლება ყოველს გვარს სასწავლებელში“ (გოგებაშვილი, IV, 1955: 167).**

ენა ერის სულია და ის ხორცს შეისხამს, ანუ განხორციელებს მატერიალური თუ სულიერი კულტურის მონაპოვრებში. ვერაფერს შექმნის ინდივიდი (და ერი) ისეთს, რომლის საფუძველი ენაში არ იყოს... **„ქება და დიდება ქართულისა ენისა“ ჩვენი მარადიული არსებობის იდუმალი ჰიმნია!** სწორედ ღვთიბუნებრივ ქართულ ენას (ერთადერთს, როგორც დედის უბეს) შეუნახავს ეროვნული სულის პური – მომავლის საგზალი (არაბული 2013: 254, 270).



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები თბილისელ და ფრანკფურტელ ქართველოლოგებთან ერთად.



ദ ാ ണ ഷ ള ത റ

**განათლება და ქართველთა ეთნიკური (/ეროვნული)<sup>43</sup>  
თვითაღქმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში  
/აჭარა, ლაზეთი, ტაო-კლარჯეთი, სამცხე-ჯავახეთი/**

მეტნაკლებად ყველა ადამიანს აწუხებს კითხვა – „ვინ ვარ? საიდან მოვდივარ?“. მოზარდს, რომელიც ცხოვრობს თავისი წინაპრების მიერ დაფუძნებულ სახელმწიფოში, აკადემიური სასკოლო განათლების სისტემა ნათლად უყალიბებს ამ კითხვაზე პასუხს; მაგ., **თავს ქართველად აღიქვამს** და გაორებული არ არის საქართველოში აღზრდილი და განათლებამიღებული ლაზი, მეგრელი, სვანი, აჭარელი, იმერელი თუ კახელი. საქართველოდან ევროპასა თუ ამერიკაში მიგრირებულ ქართველს ან სხვა ერის მიერ დაფუძნებულ სახელმწიფოს ველში მოქცეულ ავტოქთონ ქართველს დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ შეძლოს არაქართულენოვან სახელმწიფოში ინტეგრირებაც და შეინარჩუნოს/აღიდგინოს წინაპრებისგან გადმოცემული **დედაენა, რელიგია, ცხოვრების წესი, ეროვნული ტანსაცმელი თუ ეროვნული კვების სისტემა** (კერძები, სასმელი, პურობის წესები...), **ზოგადად, ეთნიკური იდენტობა**. სხვაენოვან სახელმწიფოში ადაპტაცია შედარებით იოლია, თუკი პირი უარს იტყვის წინაპრებთან ენობრივ-კულტურულ კავშირზე და თვითიდენტიფიკაციას მოახდენს მოქალაქეობის შესაბამისად; ასეთ შემთხვევაში ქართველისთვის (თუ მისი შთამომავლისათვის), **ზოგადად, ნებისმიერი ერის წარმომადგენლისათვის გარეგნულად დაფარულ, მაგრამ მოურჩენელ იარაღ დარჩება კითხვა: „ვისი გორისა ვარ?“**

---

<sup>43</sup> ტერმინი **ეროვნული თვითაღქმა** შეიძლება გულისხმობდეს როგორც სახელმწიფოებრივ, ასევე, ეთნიკურ (ენობრივ-კულტურულ-გენეტიკური ერთობით განსაზღვრულ) მეობას; ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ენობრივ-კულტურულ-გენეტიკური ერთობით განსაზღვრულ მეობას.

ოსმალეთის იმპერიის აგრესიის პირობებში ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში მცხოვრები ქართველობა დიდხანს უძლებდა დამპყრობელთა შემოტევას; სწორედ აჭარლების, ლაზების, ლივანელების, შავშელების, ტაოელების, სამცხელების, ჯავახების... წინააღმდეგობამ (სამხრეთის საზღვრებზე მეციხოვნეობამ!) გადაარჩინა საქართველოს შიდა კუთხეების – გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, ცენტრალური ქართლის – ქართველობა დიდ სისხლისღვრას, სრულ თუ ნაწილობრივ გადაგვარებას; სამხრეთ საქართველომ კი დიდი დარტყმა მიიღო: ოსმალეთის იმპერიის შემოტევის პირველ პერიოდში სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ მრავალრიცხოვან მომხდურთან დამარცხებულ ქართველებს აიძულებდნენ, მართლმადიდებლობაზე – ისტორიულ რწმენაზე – უარი ეთქვათ. მეორე ეტაპზე გამუსლიმანება ეკონომიკური ზეწოლით გაგრძელდა: ვინც გამუსლიმანდებოდა, ის არ იხდიდა მიწის გადასახადს. ამგვარი ხერხით ჯერ ლაზები და ზღვასთან ახლოს მცხოვრები სხვა ქართველები გაამუსლიმანეს, დროთა განმავლობაში კი მთებში თავშეფარებული მცირემიწიანი ქართველობაც გამუსლიმანდა (გადმოცემის მიხედვით, ზემო აჭარაში ფარული ქრისტიანობა შემორჩა მე-20 საუკუნემდე).

გამუსლიმანებულ ქართველთა უმრავლესობამ დედაენის – ქართული ენის – მშობლიური დიალექტის სახით შეინარჩუნა წინაპრების ენა, თუმცა, მუსლიმანური რელიგიისა და ოსმალეთის სახელმწიფოს მოქალაქეობის გამო, დროთა განმავლობაში ბევრის ეთნიკური იდენტობაც გაორდა:

ადამიანის იდენტობის ფორმირებაზე გავლენას ახდენს როგორც სქესი, გენეტიკური წარმომავლობა, დედაენა და ცხოვრების წესი, ასევე რელიგია და მოქალაქეობა; სათანადო განათლების არარსებობის პირობებში ადამიანს უჭირს ეთნიკური/ეროვნული თვითგამორკვევა. ქრისტიან და მუსლიმან ქართველებთან მრავალწლიანი უშუალო თანაცხოვრების პი-

რობებში მიღებული გამოცდილების შემდეგ შემიძლია თამამად ვთქვა, რომ პიროვნების თვითაღქმის, თვითიდენტიფიკაციის პროცესში არსებითია განათლება; კერძოდ, მაგ., თურქეთის მოქალაქე ქართული წარმომავლობის პირს თუკი გაცნობიერებული აქვს თავისი ენობრივ-კულტურული ისტორია, აღმსარებლობის მიუხედავად, მას არ უჭირს საკუთარი თავის ქართველად აღქმა, ხოლო პირმა, რომელმაც არ იცის საკუთარი დედაენისა თუ კულტურის ისტორია და თურქეთის მოქალაქე მუსლიმანი ქართველია, თავი შეიძლება თურქად აღიქვას; შდრ. ასევე: არაიშვიათია, რომ საქართველოს მოქალაქე ქართველმა, თუ არ იცის საკუთარი დედაენისა და კულტურის ისტორია, თვითიდენტიფიკაცია შეიძლება მოახდინოს მოცემული კუთხის მასშტაბით: ეთნიკურ-ეროვნულად თავი შეიძლება ჩათვალოს არა ქართველად, არამედ: აჭარელად, ლაზად, მეგრელად, სვანად, თუშად... განათლებისა და იდენტობის მიმართების თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს საზღვრებში მცხოვრები მუსლიმანი ქართველების – აჭარლების, სამცხელების, ჯავახების... – თვითაღქმის რეტროსპექტივა:

ისტორიული მესხეთი (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, ერუშეთი, ტაო, შავშეთი, მაჭახელი, ლივანა, ლაზეთის ნაწილი...) იყო როგორც წარმართული, ასევე ქრისტიანული საქართველოს ცენტრი, ბოლო 400 წელიწადში კი – ოსმალეთისა და რუსეთის ბატონობის პერიოდში – ეთნიკურად გაორებულ ქართველთა ბედი ორი მიმართულებით წარიმართა:

აჭარასა და ლაზეთის იმ ნაწილში, რომელიც საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში დარჩა რუსეთ-თურქეთის 1920-1921 წლების გარიგების შემდეგ, ისტორიული ეთნიკური თვითაღქმა (ქართველი) თითქმის სრულად აღორძინდა, სამცხე-ჯავახეთსა და თურქეთის შემადგენლობაში მოქცეულ საქართველოს ნაწილში მცხოვრები მუსლიმანი ქართველების ეთნიკური თვითაღქმა კი ისევ პრობლემური დარჩა; კერძოდ,

მიუხედავად იმისა, რომ განათლების დეფიციტის მქონე აჭარლებიცა და ლაზებიც თავს ქართველებად არ თვლიდნენ (მათთვის ქართველი და ქრისტიანი სინონიმური ცნებები იყო), მაინც ისინი უდიდეს შეურაცხყოფად იღებდნენ, თუკი მათ თურქებად ან თათრებად მოიხსენიებდნენ; პარალელურად, აჭარისა თუ ლაზეთის მოწინავე საზოგადოებას მიაჩნდა, რომ ისინი ქართველები არიან<sup>44</sup>. ქართველთა ამ ნაწილის თვალსაზრისის იგნორირებით 30-იანი წლების ბოლომდე რუსეთის საბჭოთა იმპერიის მესვეურნი აჭარლებსაც და ლაზებსაც „მცირე ნაციად“ თვლიდნენ; იხ., მაგ., ი. სტალინის პოზიცია, რომელიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა ელიტის სამაგიდო წიგნში: “მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი”<sup>45</sup>:

„კულტურულ-ნაციონალური ავტონომია გულისხმობს ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ეროვნებებს განვითარებული კულტურით, ლიტერატურით. უამპირობოდ ეს ავტონომია ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს, უაზრობად იქცევა. მაგრამ კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: შეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა არა აქვთ?“ (გვ. 138-139)... „ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები (შეგრელები, სვანები, აჭარლები... ხაზგასმა ჩემია – ტ. ფ.) უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ“ (გვ. 142). მსგავსი იდეოლოგიით შედგა საბჭოთა კავშირის ხალხთა ჩამონათვალიც.

---

<sup>44</sup> „აქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტის შესახებ“ იხ. ტ. ფუტკარაძე, ი. თანდილავა, მ. ლაბაძე, ლაზეთის მკვიდრ ქართველთა (ლაზთა) ენობრივ-ეთნიკური იდენტობის საკითხები, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, I, თბილისი, 2012, გვ. 207-222.

<sup>45</sup> ფრაგმენტებს ვიმოწმებთ 1952 წლის გამოცემიდან.

საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ (1921 წ.) ბოლშევიკები შეეცადნენ, ი. სტალინის პრინციპების მიხედვით დაეგეგმათ საქართველოს დამანაწევრებელი ენობრივ-ეთნიკური პოლიტიკა; შესაბამისად, აჭარელთა, ლაზთა, მეგრელთა და სვანთა შორის ემბდნენ აქტივისტებს, რომლებიც „იმუშავებდნენ“ კუთხური იდენტობის მიხედვით ახალი „ნაციის“ (აჭარელი, მეგრელი, ლაზი, სვანი...), კუთხური მეტყველების (დიალექტის) მიხედვით კი ახალი დამოუკიდებელი „ენის“ ჩამოყალიბებისათვის („გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგი იყო ის, რომ 20-იან წლებში თბილისში ჩატარებულ ბოლშევიკურ შეკრებაზე, 1925 წლის 5-9 აპრილს გამართულ საქართველოს საბჭოების III ყრილობაზე, მისასალმებელი სიტყვა მეგრულად წარმოთქვა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივანმა ბ. შოგირიძემ (გამოსვლა თარგმნა თორდიაშვილმა; ნიშანდობლივია, რომ ბ. შოგირიძემ კამათში მონაწილეობისას რუსულ ენაზე ლაპარაკობდა); ყრილობის მონაწილეებს სვანურად მიესალმა სვანეთის წარმომადგენელი, ვინმე აფრასიძე (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 284, აღ. 2, ს. 3, ფურც. 9; წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტის ანალიზისათვის იხ., აგრეთვე: ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, „მეგრული საკითხი“, თბილისი, 2009, გვ. 152).

XX საუკუნის 20-იან წლებში ი. სტალინის (და ვ. ლენინის) მოსაზრებების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საფუძველზე ზუგდიდში მოქმედებდა ბოლშევიკებისგან მართული სამი ჯგუფი და სამივე სამეგრელოს ავტონომიის თემას აკავშირებდა „მეგრული ენის განვითარების“ საკითხთან; კერძოდ, მიშო დადიანის ჯგუფი ითხოვდა სამეგრელოს ავტონომიას რუსეთის შემადგენლობაში და მეგრული ენის აღიარებას; გრიგოლ ახალაიას ჯგუფი – სამეგრელოს ავტონომიას საქართველოს შემადგენლობაში და მეგრული ენის აღიარებას,

ხოლო ისაკ ჟვანიას ჯგუფი – სამეგრელოს „ობლასტს“ საქართველოს შემადგენლობაში და მეგრული ენის აღიარებას<sup>46</sup>. 20-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო მეგრული გაზეთების გამოცემა და ე. წ. მეგრულენოვანი სკოლების გახსნა. მოვლენების ამგვარ განვითარებას შეეწინააღმდეგა მოწინავე საზოგადოება და სამეგრელოდან გამოსული ინტელიგენცია (თედო სახოკია, კონსტანტინე გამსახურდია...). ამის შედეგად უნდა მივიჩნიოთ ლ. ბერიას გადაწყვეტილება, რომ 1932 წ. სამეგრელოში მიევილინებინა ენათმეცნიერი, პროფესორი არნოლდ ჩიქობავა, რომლის დასკვნა შედგებოდა ორი ძირითადი პუნქტისგან:

1. მეგრული არ არის დამოუკიდებელი ენა; იგი არის ზანური ენის დიალექტი;
2. დაუშვებელია მეგრულენოვანი სკოლებისა და გაზეთების არსებობა.

სავარაუდოა, რომ არნოლდ ჩიქობავას დასკვნის შემდეგ ლავრენტი ბერიამ დაარწმუნა იოსებ სტალინი, რომ მეგრული თუ ლაზური სკოლების ამოქმედება და მეგრულ-ლაზური გაზეთების გამოცემა დიდი შეცდომა იყო; შედეგად, გასული საუკუნის 30-იანი წლების პირველ ნახევარში გაუქმდა დიალექტზე ორიენტირებული სკოლები და აღდგა დედაენაზე (ქართულად) სწავლება; შეწყდა ასევე, მეგრული და ლაზური (აფხაზეთში) გაზეთების ბეჭდვა და საქმისწარმოების მცდელობა. ყოველივე ამის გამო ლენინურ-სტალინურ ავტონომიზად თუ „ობლასტებად“ საქართველოს დანაწევრების მომხრე

---

<sup>46</sup> ტ. ფუტყარაძე, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები და ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ამოცანები (Actual Problems of Kartvelology and Objectives of the Kartvelology Centre of Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia), თბილისი, 2011, გვ. 28-30.

პირები არნოლდ ჩიქობავას ვაიმეცნიერად და ვაიმეგრელად მოიხსენიებდნენ; სამაგალითოდ დავასახელებ ენგურის ქალაქის კომბინატის პარტკომის მდივნის, ტარასი შენგელის მიერ დაწერილ „კოლექტიურ განცხადებას“<sup>47</sup>. პარალელურად, ლ. ბერიას დაუპირისპირდნენ საბჭოთა იმპერიის ცენტრიდან მართული „სეპარატისტული“<sup>48</sup> ჯგუფების გავლენიანი ლობისტები: ფ. მახარაძე, ალ. წულუკიძე, ს. ორჯონიკიძე, ა. გეგეჭკორი, მაგრამ ლ. ბერიამ ეს ბრძოლაც მოიგო.

რაც უნდა გასაკვირი იყოს, ლ. ბერია ი. სტალინის ე. წ. „ნაციონალურ“ პოლიტიკას შეეწინააღმდეგა აჭარლების გამოც და ამ შემთხვევაშიც თავისი გაიტანა; მოკლედ საკითხის ისტორიის შესახებ:

ი. სტალინის კონცეფციის შესაბამისად, 1926 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კომისიამ დამოუკიდებელ ნაციებად წარმოადგინა: ქართველები, მეგრელები, ჭანები, სვანები და ზაცხები.

საყოველთაო – საკავშირო აღწერის დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებით მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტმა 1937 წელს უფრო დაანაწევრა

---

<sup>47</sup> საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ.ნ. ს. 266, ფურცელი 22-231; რუსულენოვან დოკუმენტს თარგმანითა და კომენტარებით გამოსაცემად ამზადებს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი მარია თედორაძე. ამ დოკუმენტის მიმოხილვისათვის იხ., აგრეთვე, ვ. გვარამია, გ. ციციშვილი, „მეგრული საკითხი“, თბილისი, 2009, გვ. 392-393.

<sup>48</sup> ტერმინი „სეპარატისტი“ აღნიშნავს პირს, რომელიც ცდილობს, თავისი კუთხე რაღაც ფორმით გამოეცნოს ერთიანი სახელმწიფოსგან. პირები, რომლებიც რუსეთის იმპერიის დავალებით მოქმედებდნენ (და მოქმედებენ), უფრო კოლმპორადიონისტები არიან, ვიდრე „სეპარატისტები“; ასეთებად ვთვლით დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებსაც.



ქართველი ერი; მისი კვალიფიკაცია ასე გამოიყურებოდა: ქართველები, მეგრელები, ლაზები, სვანები, ბაცბები და აჭარლები, ხოლო იმავე აკადემიის ანთროპოლოგიის ინსტიტუტმა მთავრობას შესთავაზა მესამე კვალიფიკაცია: ქართველები (მეგრელები, ლაზები, სვანები, ბაცბები) და აჭარლები. სწორედ ეს უკანასკნელი დაედო საფუძვლად მეცნიერებათა აკადემიის მიერ მომზადებულ „ეროვნებათა ლექსიკონს“ („Словарь национальностей“). 1937 წელს ლ. ბერია (იმხანად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ პირველი მდივანი) კრიტიკულად მიმოიხილავს ქართველი ერის დანაწევრების საბჭოურ ისტორიას და ი. სტალინს სთხოვს:

**„აჭარლები ისეთივე ქართველები არიან, როგორც სხვა კუთხის ქართველები... გთხოვთ, სსრკ გოსპლანს მისცეთ მითითება, გაასწოროს საქართველოს ეროვნებათა არასწორი კვალიფიკაცია და აჭარლები ჩართოს ქართველი ერის შემადგენლობაში“** (Партархив Грузинского филиала ИМЛ при ЦК КПСС, фонд № 14, дело 3152, Опис №11, Коробка № 18)<sup>49</sup>.

ბაზგასმით აღსანიშნავია ისიც, რომ ლ. ბერიას გადაწყვეტილებას საფუძველს უქმნიდა აჭარის ხელისუფლების პირველი პირისა (ხ. ფუტკარაძე) და აჭარის რჩეული საზოგადოების განწყობა.

---

<sup>49</sup> საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ იმავე წლის 21 ოქტომბერს სტალინისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ლ. ბერია ოსი ეროვნების რანგში განიხილავს მეგრულსა და აჭარულს; კერძოდ, ი. სტალინს სთხოვს, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის პირველ მდივნად დაამტკიცოს მეგრული ა. რაფავა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აჭარული ხ. ფუტკარაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი – ოსი ვ. ხუბავეი (Партархив Грузинского филиала ИМЛ при ЦК КПСС, фонд № 14, дело 3152, Опись №11, Коробка № 18; МОСКВА, ЦК ВКП (б), Товарищу СТАЛИНУ: Серия Г).

კავკასიაში საბჭოთა იმპერიის შემოსვლის საწყის ეტაპზე ტბელ აბუსერიძის მშობელი კუთხის მოწინავე საზოგადოებამ ისურვა ქართულენოვანი სკოლების ქსელის გაფართოება; კერძოდ, აჭარის ხელისუფლებისა და ადგილობრივი ინტელექტუალური წრეების აქტიურობით განახლდა ილია ჭავჭავაძის, ზოგადად, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ შემუშავებული სახალხო განათლების პოლიტიკა – გაგრძელდა ქართულენოვანი სკოლების დაარსება<sup>50</sup>. სწორედ ამ პოლიტიკის გამოძახილი იყო სოფელ ოლადაურში ნური ბერიძის მიერ ქართული სკოლის დაარსების ფაქტი!

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ შეიქმნა (1879 წ.) ქართველთა ენობრივ-კულტურული კონსოლიდაციის მიზნით. ამ საზოგადოების მესვეურთა ყურადღების ცენტრში იყვნენ რუსეთისა თუ ოსმალეთის მიერ დეზორიენტირებული ჯგუფები აჭარაში, სამხრეთ საქართველოსა თუ სამეგრელოში; შემთხვევითი არ იყო, რომ ერთ-ერთი პირველი ქართულენოვანი სკოლა გაიხსნა 1881 წელს აჭარაში<sup>51</sup>.

---

<sup>50</sup> მაგ., ერთ-ერთი ასეთი სკოლა გაიხსნა ზემო აჭარის პატარა, 30 კომლიან სოფელ ტომაშეთშიც კი, მახუაჩემის მამის – ყია ფუტყარაძის – ოჯახში.

<sup>51</sup> 1881 წლის 23 მარტს უშუალოდ ილია ჭავჭავაძის ინიციატივით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ბათუმში დააარსა მის მიერვე დაფინანსებული პირველი ქართული სკოლა, რომლის გახსნას დაესწრო თავად ილია ჭავჭავაძე. ახალდაარსებული ქართული სასწავლებლის ყველა პირველ მოსწავლეს ილია შუბლზე ეამბოვრა. თავიდანვე იქ გვერდიგვერდ სწავლობდნენ ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველები; 1906 წელს ამ სკოლაში მხოლოდ 7 მუსლიმი ბავშვი სწავლობდა, რადგან რუსეთმა აჭარაში გააძლიერა ანტიქართული ღონისძიებები იმ მიზნით, რომ გაეთიშა მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველები. საზოგადოების ანგარიშით, სულ ბათუმის სკოლაში 1881-1913 წლებში ისწავლა 3242 მოსწავლე (<http://www.literacy.ac.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/sample-menu>).



ჩოხოსანი ტარიელ, ნიკოლოზ და ნიკა ფუტკარაძეები

აჭარის ქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებად მუშაობდნენ მეზობელი კუთხეების – გურიის, იმერეთის, სამეგრელოს – მკვიდრნი, რომლებიც დიდი რუდუნებით ცდილობდნენ, აჭარის მკვიდრთათვის მიეცათ დედაენობრივი განათლება და აეღორძინებინათ ქართველური მეობა. პირადად მე პირველ მასწავლებელთა თავდადებას მივიჩნევ იმ სისხლის კეთილშობილურ საფასურად, რაც ოსმალეთის ბატონობის პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ქართველებმა დაღვარეს ცენტრალური კუთხეების დაცვა-მეციხოვნეობაში...

## **სამწუხაროდ, სხვა მიმართულებით განვითარდა პროცესი სამცხე-ჯავახეთში:**

სამხრეთ საქართველოში გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ: მართლმადიდებელი, მუსლიმანი, კათოლიკე ქართველები და აქ ჩამოსახლებული მცირე რაოდენობის თარაქამები, ქურთები და თურქები; შესაბამისად, ამ კუთხეში მძაფრი იყო რელიგიური დაპირისპირება, რის გამოც **რელიგიური თვითაღქმა მკაცრად განზოგადდა ენობრივ-ეთნიკურ თვითაღქმადაც**: ეთნონიმი „ქართველი“ იქცა მხოლოდ მართლმადიდებლების აღმნიშვნელად, კათოლიკენი მოინათლნენ „ფრანგებად“, მუსლიმანები კი – „თათრებად“. „თათრებად“ გამოცხადებულ ქართველებსაც<sup>52</sup> და არაქართველებსაც საბჭოთა ხელისუფლებამ აზერბაიჯანულენოვანი<sup>53</sup> სკოლები გაუხსნა, რამაც კიდევ უფრო დაასუსტა ქართულენოვანი თვითაღქმაც და ქართული ენის გამოყენების ასპარეზიც. აზერბაიჯანული სკოლების გახსნამ მოკლე დროში სრულად დაარღვია სამცხე-ჯავახეთის მუსლიმან ქართველთა ეთნიკური მეობა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტაცია; **1944 წელს საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ უნდობლობა გამოუცხადა სამცხე-ჯავახეთის მუსლიმან საზოგადოებას და შუა აზიაში გადაასახლა**. მოგვიანებით ამ დეპორტირებული და ორიენტირებგაბუნდოვნებული საზოგადოების დიდი ნაწილისგან, აზერბაიჯანულენოვანი თუ რუსულენოვანი განათლების გამოც, ჩამოყალიბდნენ ე.წ. თურქი მესხები – ქართველობადაკარგული მუსლიმანები, რომელთა შთამომავლების დიდი ნაწილი დღეს შუა აზიაში, რუსეთში, ამერიკაში, აზერბაიჯანსა თუ თურქეთში ცხოვრობს და საკუთარ თავს „მესხეთელ თურქად“ თვლის.

---

<sup>52</sup> ეთნოგრაფიული მასალებისა თუ სხვა ცნობების მიხედვით, აჭარისგან განსხვავებით, სამცხე-ჯავახეთში მუსლიმან ქართველთა ნაწილიც თავს „თათრად“ აღიქვამდა.

<sup>53</sup> თურქულენოვანი სკოლები რომ გაეხსნათ, ხელი შეეწყობოდა ამ საზოგადოების თურქებთან გაერთიანებას.

სამცხე-ჯავახეთში გამუსლიმანებული ქართველების შთამომავალთა ძალიან მცირე ნაწილმა შეინარჩუნა ქართული იდენტობა.

**თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მოქცეული ქართველების თვითაღქმაც სხვადასხვაგვარია:**

**თურქულენოვანი განათლების პირობებში აღზრდილ ქართველთა ნაწილი თავს უკვე ეთნიკურ თურქად თვლის; ნაწილისათვის საამაყოა როგორც თურქული სახელმწიფოებრივი თვითშეგნება, ასევე, ქართული ენობრივ-ეთნიკური მეობა; ნაწილი კი თავს ან აჭარელად თვლის ან ლაზად (არც თურქად, არც – ქართველად). თურქეთის ქართველთა დიდი ნაწილისთვის ეთნონიმი „ქართველი“ ბოლო დრომდე მხოლოდ ქრისტიან ქართველს მიემართება; შდრ., ზოგისათვის გურჯი მხოლოდ მუსლიმანი ქართველის აღმნიშვნელია.**

**რელიგიური თვითაღქმის თემა ფაქიზია, ამიტომ არ ვაპირებ ამ მიმართულებით მსჯელობის გაგრძელებას<sup>54</sup>; აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ესა თუ ის რელიგია არის არა მხოლოდ მსოფლხედვისა და ცხოვრების წესის საფუძველი, არამედ ხალხის კულტურის ისტორიის არსებითი ნაწილი; ჩვენს შემთხვევაში საინტერესოა ფაქტი: არც აჭარლებისა და არც თურქეთში მოქცეულ ქართულ მიწებზე მცხოვრები სხვა ქართველების მიერ დღემდე არ შექმნილა ქართულენოვანი მუსლიმანური კულტურა<sup>55</sup>; სულ მცირე ტბელ ახუსერიძიდან მო-**

---

<sup>54</sup> შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე მუსლიმანი ქართველებისთვისაც კი უცხოა წინაპრების მიერ შექმნილი ქრისტიანული ძეგლები; შდრ., ბოლშევიკების ბატონობის 70-წლიან პერიოდში – ათეიზმის პირობებში – საქართველოს ცენტრალურ მხარეებში (გურიანი, იმერეთში, ქართლში...) უფრო მოკლე დროში გაუუცხოვდა ხალხი ქრისტიანულ ეკლესიებს.

<sup>55</sup> ოსმალობის პერიოდში ბევრი ნიჭიერი ქართველის შემოქმედება მიუერთდა თურქულ თუ არაბულ კულტურას. ჩემი წინაპარი ლომან ეფენდი ქარცივაძე უფრო იმიტომ შემორჩა საქართველოს ისტორიას, რომ მან დიდი მუჰაჯირობისგან (დაღლისგან) იხსნა აჭარა.

ყოლებული დღემდე, როგორც წესი, აჭარის ნიჭიერ მკვიდრთა შემოქმედება ქართულენოვან კულტურულ ნაკადს უერთდება, თუკი ამ კუთხეში აღზრდილი ქართველი შემოქმედი ქართველი ერის ისტორიულ რწმენაზეა ორიენტირებული.

ამრიგად, ლ. ბერიას აქტიურობით საბჭოთა პერიოდში აჭარაში შეჩერდა ქართველთა ეთნიკურ-ეროვნული დანაწევრების ხელოვნური პროცესი, თუმცა სამცხე-ჯავახეთის ქართველობის დიდ ნაწილს ვერაფერი ეშველა. უცვლელი დარჩა ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრებისათვის მიზანმიმართულად მომზადებული სხვა „იდეოლოგიური ბაზაც“ – ქართველთა ენობრივად დანაწევრების სქემა, რომლის მიხედვითაც საბჭოთა პერიოდში ქართველთა თითქმის ნახევარი „უმწიგნობრო ენის მქონე ხალხად“ ცხადდებოდა; მაგ., საქართველოს ერთ-ერთი მხარე – სვანეთი, მტერთაგან მიუვალობის გამო, მთელი ისტორიის მანძილზე იყო ქართული კულტურის საგანე; სვანეთშია გადაწერილი „საწელიწადომ იადგარი“, „იერუსალიმის განჩინება“, „საგალობლები“ და სვანი გადაწერების: გრიგოლის, იოვანეს, ვახტანგ ფარჯიანის, ივანე ფარჯიანის, ტიმოთეს, იოვანე ქსცხიანის, იოვანე ხარიტონიანის, დემეტრე ლოღელიანისა და სხვათა გადაწერილი მრავალი ხელნაწერი. ჟამთა სიავის დროს სვანეთში (სოფელ ადიში) გახიზნეს 897 წელს შატბერდის ლავრაში გადაწერილი ცნობილი ოთხთავი და ერუშეთში გადაწერილი „ადიშის იადგარი“; ასევე: მესტიაშია დაცული იშხანში 1033 წელს გადაწერილი ოთხთავი; სვანეთშია შემონახული ლექციონარის ორი ხელნაწერი (კალასა და ლატალში); სოფელ ადიშის ეკლესიებზეა შემორჩენილი XI საუკუნის ნაკაწრი ქართულენოვანი წარწერები და მრავალი სხვ.<sup>56</sup> როგორ შეიძლება, ასეთი კულტურული ისტორიის მქონე სვანეთის მკვიდრნი „უმწიგ-

<sup>56</sup> ვრცლად იხ. „სვანეთი – ქართული კულტურის საგანე“, თბილისი, 2008.

ნობრო ენის მქონე ხალხად“ გამოცხადდეს (ამას დღესაც აკეთებს ზოგი ევროპელი თუ რუსი პოლიტიკოსი!). იმავეს თქმაა შესაძლებელი სამეგრელოს ქართველობის მისამართით:

იოვანე ლაზიდან მოყოლებული სამეგრელოს რჩეული საზოგადოება ქმნიდა ქართულ კულტურას (მაგ., ქართული ხელნაწერების შეგროვებისა და შენარჩუნებისთვის დიდი ამაგი აქვს გაწეული დავით დადიანს, რომლის შვილმა ნიკო დადიანმა ეს ხელნაწერები გადასცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“); იგივე ითქმის საქართველოს ყველა სხვა კუთხის ქართველების მიმართ: საქართველოს ყოველი კუთხე იყო ქართული სამწიგნობრო კულტურის კერა და სავანე; დავასახელებთ ქართულენოვანი კულტურის რამდენიმე ძირითად ცენტრს: ოპიზა, ხანძთა, ბანა, იშხანი (ტაო-კლარჯეთში), აწყური, საფარა, ვარძია (სამცხე-ჯავახეთში), იყალთო, დავითგარეჯა, მცხეთა (ქართლ-კახეთი), გელათი, ბედია, ჭყონდიდი, მოქვი (ეგრის-აფხაზეთი)... ვიმედოვნებ, ამ ფაქტების გამო და, რაც დღეს ასევე არსებითია, სათანადო განათლების პირობებში ვეღარავინ შეძლებს ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დეზორიენტირებას:

დღეს საქართველო დიდი გეოპოლიტიკური დაპირისპირებების ეპიცენტრშია; შესაბამისად, არსებითია იმის გააზრება, რომ ენობრივ-ეთნიკურად თუ რელიგიურად ქართველთა ხელოვნური დაცალკევება არის მოკლე გზა ქართველი ეთნოსის დეზინტეგრაციისა. ისტორიის გათვალისწინებით იოლია მიხვედრა, რომ, თუ საქართველოში გამლიერდება გარედან მართული ახალი ე. წ. ენობრივი და ეთნოკულტურული რყევები, იმპერიული ძალები იოლად შეძლებენ საქართველოს შემდგომ ტერიტორიულ დანაწევრებას; შდრ., მაგ., რუსეთის იმპერიის მესვეურნი ღიად აცხადებენ, რომ მათი მიზანია საქართველოს საბოლოო დაშლა, განაპირა რეგიონების სა-

ბოლოო ანექსია და ცენტრალურ კავკასიაში გეოპოლიტიკური კონტროლის აღდგენა<sup>57</sup>. ამ მიმართულებით განსაკუთრებული როლი აკისრია საქართველოს ამჟამინდელ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. იმედია, თანამედროვე სამინისტრო შეძლებს, საქართველოს ყველა მოქალაქემდე მიიტანოს ობიექტური ენობრივ-ეთნიკური და პოლიტიკური ისტორია, რაც ხელს შეუწყობს ქართველთა ერთიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების სტაბილურობას.

**დასასრულ, ეთნიკური მეობის გააზრების კიდევ ერთი წახნაგის შესახებ:**

მიუხედავად თურქეთის მოქალაქეობისა, წინაპრების ენის (დედაენის) ვერფლობისა, აკადემიური განათლების დეფიციტისა და მუსლიმანობისა, თურქეთის ზოგი მოქალაქე თავს მაინც ქართველად თვლის იმიტომ, რომ მისი წინაპრები ქართველები იყვნენ. ამ შემთხვევაში ცოდნასთან ერთად არსებითი ჩანს სხვა მახასიათებელი: ძლიერი ბიროვნული ხასია-

---

<sup>57</sup> ა. დუგინის კონცეფციის კრიტიკისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, პუტინ-დუგინის გეოპოლიტიკური გეგმები და რუსული ოკუპაციის დასასრულის დასაწყისი; საქართველოს პარლამენტის ანტიკრიზისული სამჭოს ფორმატით გამართული სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები“, 2008 წლის 13 ოქტომბერი; The act April 9 of the restoration of independence of Georgia, geopolitical plans of Putin-Dugin's and the commence of the end of the Russian occupation; Anti-crisis council scientific conference of the parliament of Georgia: 'Perspectives for the restoration of entirety of Georgia', 13 October, 2008; <http://www.scribd.com/doc/6505547/The-Perspectives-of-Restoration-of-the-Entirety-of-the-Territory-of-Georgia>.

შდრ., ასევე: 1997 წელს შექმნილ კრემლის ერთ-ერთ დოკუმენტში „რუსეთის სტრატეგიული ინტერესები საზღვრეთში“ და უფარავად წერია რუსეთის ხელისუფლების მიზანი: საქართველ ფსთვის აფხაზეთის, შიდა ქართლის, სამეგრელოსა და აჭარის ჩამოშორება.

გ. გაჩეჩილაძე; <http://www.opentext.ge/index.php?no=28&y=2002&art=10644>;  
ზ. მჭედლიშვილი: [http://www.diaspora.gov.ge/index.php?lang\\_id=geo&sec\\_id=76&info\\_id=996](http://www.diaspora.gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=76&info_id=996)



თბ. ხასიათისა თუ შინაგანი სულიერი წყობის თემა შეიძლება განვაზოგადოთ:

ხშირად მინახავს: თბილისში, ქუთაისში, ახალციხეში, ბათუმში, ზემო აჭარაში, თურქეთის მაღალმთიან ქართულ სოფელსა თუ სტამბოლში გვერდიგვერდ ცხოვრობს ერთნაირი განათლების მქონე ქართული წარმომავლობის ორი პირი: ერთში ძლიერია ეროვნული (ეთნიკური თუ სახელმწიფოებრივი) თვითაღქმა, მეორეში – მეორეხარისხოვანია. ჩემი დაკვირვებით, **ეთნიკურ-ეროვნული თვითიდენტიფიკაციის დროს ხევრ რამეს განსაზღვრავს დედაენა, პირველი ენა, მოქალაქეობა, რელიგია, ცხოვრების წესი, ეროვნული ტანსაცმელი** თუ **ეროვნული კვების სისტემა** (კერძები, სასმელი, პურობის წესები...), **თუმცა ზოგჯერ არსებითია ძლიერი პიროვნული ხასიათიც**: ყველა ადამიანისთვის რთულია, სხვა ერის ენისა და კულტურის დომინანტობით შექმნილ სახელმწიფოში დაიცვას ეთნიკური მეობა (იდენტობა); მაგალითად, თურქეთსა თუ რუსეთში, ზოგადად, უცხოეთში მცხოვრებ ქართველთაგან ზოგს არ აინტერესებს ეთნიკური ფესვები თუ დედაენა და კარიერისა ან „გადარჩენის ინსტინქტის“ გამო, ცდილობს სრულ ინტეგრაციას უცხოენოვან გარემოში. ადამიანები, რომლებიც ამ ქვეყნის პატრიოტებიც არიან, ამავდროულად **ესწრაფვიან, შეინარჩუნონ (ან აღიდგინონ, განავითარონ) წინაპრების ენობრივ-ეთნოკულტურული მახასიათებლები**. ასეთ პიროვნებებს ურჩევნიათ, თავი ჩათვალონ მოცემული სახელმწიფოს ეთნიკურ უმცირესობად და, ტერორისტი ჯგუფებისგან განსხვავებით, ცივილიზებული მეთოდებითა და ფორმებით დაიცვან/წარმოაჩინონ თავიანთი დედაენა, წინაპრების კულტურა, ქართველური ღირსება და არ გაუუცხოვდნენ წინაპართა მემკვიდრეობას.

ზოგადად თუ ვიტყვით, უცხოეთში მცხოვრები ქართველების გაუცხოებას რამდენიმე მიზეზი აქვს:

– მწირი ობიექტური ინფორმაცია თავისი მოდემის ენობრივ-კულტურული წარსულის შესახებ;

– ისტორიულ ფესვებს მოშორება და დამხვდური საზოგადოების ცხოვრების წესისთვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობა;

– ახალ გარემოში ადაპტაციის სურვილი კარიერული წარმატების გამო;

– განსხვავებული მოქალაქეობრივი და რელიგიური მსოფლალქმა;

– უცხოენოვან საზოგადოებაში ეთნიკური მეობის დაცვისათვის საჭირო შინაგანი რესურსების სიმწირე.

**ეთნიკურ-ეროვნული თვითიდენტიფიკაციის თვალსაზრისით მთავარი მაინც საკუთარი ეთნიკური წარსულის შესახებ ცოდნის ფლობაა<sup>58</sup>. მოკლე პერიოდში აჭარის მოსახლეობის ეროვნული მეობის აღორძინება ცხადყოფს, რომ ბიროვნებისათვის აკადემიური განათლება ნათელი სარკის როლს ასრულებს: ადამიანს რეალურად აჩვენებს საკუთარ ენობრივ-ეთნიკურ ისტორიას, საკუთარ მეობას; შესაბამისად, ობიექტური ისტორიული ცნობები ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს: ყველა ადამიანს აქვს უფლება, იცოდეს საკუთარი ეთნიკური, ენობრივი თუ ეროვნული წარსული, მით უმეტეს დღეს – მეტად დინამიურ თანამედროვე სამყაროში. დღეს, როგორც არასოდეს, აუცილებელია, რომ ენათმეცნიე-**

---

<sup>58</sup> ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ისტორიასა და ქართველოლოგიის ორგვარ დაგეგმვას თვალის შეიძლება გაადევნოთ წინამდებარე წიგნს დართულ ბიბლიოგრაფიაში დასახელებულ ჩემს ნაშრომებში.

რებმა, ისტორიკოსებმა, ეთნოლოგებმა... შევძლოთ ერთობლივი არაპოლიტიზებული კვლევების განხორციელება და განსაზოგადოებრიობა. საერთაშორისო სამეცნიერო თუ საინფორმაციო ველში შეჯერებული ობიექტური კვლევების შედეგების ხელმისაწვდომობა ყველა საზოგადოებას შეუწყობს ხელს, განახორციელოს თავისი უფლება, იცოდეს საკუთარი ენობრივ-ეთნიკური წარსული.

### **ტარიელ ფუტკარაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი,  
ქართველოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი.

## ბიბლიოგრაფია Bibliography

აბაშიძე მ., თბზულებანი, რედაქტორ-გამომცემელი  
გ. შარაძე, თბილისი, 1998;

აბაშიძე მ., „დედა-ენა“ და სამაჰმადიანო საქართველო,  
გაზეთი „საქართველო“, თბილისი, 1916 წლის 17 მარტი, №61;

აბაშიძე ჰ., წერილები, თბილისი, 1963;

არაბული ა., ენა ჩვენი არსობისა, თბილისი, 2013;

ახვლედიანი ა., თამარ მეფე აჭარულ ზეპირსიტყვიერე-  
ბაში, სამეცნიერო-პოპულარული კრებული „გამონათლვეი“,  
ბათუმი, 2014;

ახვლედიანი ხ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან,  
ბათუმი, 1978;

ახვლედიანი ხ./კირისილოლი ნარკვევი აჭარის ისტო-  
რიიდან (XV-XIX საუკუნეები), ბათუმი, 1944;

ბაბილოძე გრ., ნარკვევები განათლებისა და კულტურის  
ისტორიიდან აჭარაში, ბათუმი, 1973;

ბაბილოძე გრ., აჭარის განათლებისა და საზოგადო მოღ-  
ვაწეთა პედაგოგიური შეხედულებანი, ბათუმი, 1972;

ბაკურიძე ალ., ღირსეული გვარის რჩეული წარმომად-  
გენლები, სამეცნიერო-პოპულარული კრებული „ძმები“, ბა-  
თუმი, 2009;

ბაკურიძე ალ., „თქვენო უწმიდესობავ, წმიდა სინოდის  
წევრებო!“ – სიტყვა, წარმოთქმული სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან შეხვედრისას ბათუ-  
მის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013  
წლის 19 ივლისს, სამეცნიერო-პოპულარული კრებული  
„გამონათლვეი“, ბათუმი, 2014;

**ზახტაძე ი.**, ცოტა რამ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ქუთაისის განყოფილებაში 1909-1912 წლებში ჩატარებული მუშაობის შესახებ, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა წიგნი 65, 26.XII.,1959, ქუთაისი;

**ბერიძე ვახტანგი**, მოგონებები, თბილისი, 1987;

**ბერიძე ეთერი**, ბერიძეები (სოფელი ფურტო, ფარნას შტო), ბათუმი, 2003;

**ბერიძე მარინე**, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, თბილისი, 2005;

**ბერიძე მერაბი**, გვართა ვარიანტულობა XIX საუკუნის მესხეთში, „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. 11, ქუთაისი, 2007;

**ბერიძე მერაბი**, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის, თბილისი, 2008;

**ბერიძე მერაბი**, ტაძრები და სახელები, თბილისი, 2010;

**ბერიძე მერაბი**, სოფლები და ნასოფლარები მოგვი-თხრობენ, თბილისი, 2011;

**ბერიძე მერაბი**, მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღე-ვანდღეობა, ახალციხე, 2013;

**ბერიძე მერაბი**, ნასოფლარი ერკოტა, ახალციხე, 2013;

**გამონათლევო**, სამეცნიერო-პოპულარული კრებული, მიძღვნილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის დაბადებიდან 80 და აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 135-ე წლის-თავისადმი, მთავარი რედაქტორები **ალ. ზაკურაძე** და **შ. ფუტკარაძე**, ბათუმი, 2014;

**გიგინეიშვილი ივ.**, **თოფურია ვ.**, **ქავთარაძე ივ.**, ქართუ-ლი დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961;

**გოგებაშვილი ი.**, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1940;

**გოგებაშვილი ი.**, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I-X, თბილისი, 1955-1965;

**გოგოლაშვილი გ.**, სიბრძნე იაკობისა, თბილისი, 1914;

**გოგოლიშვილი ო.**, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1910 წლებში, ბათუმი, 1996;

**გუგუნავა ნ.**, მემედ აბაშიძე – განმანათლებელი, ბათუმი, 1997;

**გოდერიძე ლ.**, მასალები „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ისტორიისათვის (1901-1920 წ.წ.), „საისტორიო მოამბე“, 41-42, თბილისი, 1982;

**გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი**, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიაშვილმა, ტ. II, თბილისი, 1941;

**დიასამიძე ზ.**, ისტორიული ეტიუდები, ბათუმი, 2009;

**დიდი ექვთიმე, რიონ მეტრეველის რედაქციით**, თბილისი, 2015;

**დუმბაძე ნ.**, ჩემი რექტორის ცრემლები, გაზეთი „აჭარა“, ბათუმი, 9.X., 1999;

**დუმბაძე ნ.**, პირველი ქართული სკოლების ისტორიისათვის აჭარაში, გაზეთი „ხულო“, 18.III., 2008;

**დუმბაძე ნ.**, ჩემი წილი სიცოცხლე, თბილისი, 2014;

**ვარშანაძე ჯ.**, მუჰაჯირობა სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2002;

**ზარზმა** (სამეცნიერო შრომების კრებული), წიგნის შემდგენელი და რედაქტორი **ნ. ვაჩნაძე**, თბილისი, 2007;

**ზოიძე ვ.**, ცხოვრების შინაარსი, ბათუმი, 1996;

**ზოსიძე რ.**, **ზოსიძე ნ.**, ეროვნული ინტერესების დამცველნი, შუახვევი (ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები), ბათუმი, 2008;

**ზოსიძე ნ.**, „აჭარა – ფარი საქართველომსა“, თბილისი, 2015;

**თავზიშვილი გ.**, სახალხო განათლება და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, თბილისი, 1949;

**თოფჩიშვილი რ.**, ტოპონიმები როგორც წყარო საქართველოს მთის მოსახლეობის შესასწავლად, „მაცნე“ (ისტორიისა და ეთნოგრაფიის სერია), №2, თბილისი, 1979;

**თურმანიძე გ.**, ჩემო სკოლაჲ!.. გაზეთი „აჭარა“, ბათუმი, 16.XII., 1995;

**კაკაურიძე ს.**, „კენწეროში გატკბილდების“, გაზეთი „აჭარა“, №228, ბათუმი, 15 XI, 1995;

**კობაიძე ლ.**, ბერიძეთა გვარი ვალეში, „გულანი“, №12, ახალციხე, 2012;

**კომახიძე თ.**, ზაქარია ჭიჭინაძე, ბათუმი, 2001;

**კომახიძე თ.**, მემედ აბაშიძე, ბათუმი, 1993;

**ლომსაძე შ.**, სამცხე-ჯავახეთი, თბილისი, 1975;

**მაისურაძე ი.**, „ბერ“ ძირი ქართულ სახელ-გვარებში, „მაცნე“, №1, თბილისი, 1965;

**მაისურაძე ი.**, ქართული გვარსახელები (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია), თბილისი, 1979;

**მაკალათია ს.**, მესხეთ-ჯავახეთი, ტფილისი, 1938;

**მაკარაძე ვაჟა**, ჩემო სკოლაჲ, მაღალ მთაზე ტაძარივით დადგმულო“, ბათუმი, 2003;

**მაკარაძე ვახტანგი**, გამონათლევის გამონათება, ბათუმი, 2006;

**მაკარაძე ვახტანგი**, მარეთელი სწავლულები, მარეთის ხეობა (ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები), ბათუმი, 2011;

**მაკარაძე ვახტანგი**, მარეთი და მარეთლები, ჟურნალი „ჰოროზი“, №5, ბათუმი, 2015;

**„მამულა საყვარელო“**, ბათუმი, 1971;

**მგელაძე ვლ.**, ზემოაჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, 1973;

**მგელაძე ვლ.**, პეტრე უმიკაშვილი და ოსმალობისდროინდელი სამხრეთი საქართველო, ბათუმი, 2014;

**მგელაძე ნ.**, სამცხური წარმომავლობის გენეალოგიური ჯგუფების ისტორიის ზოგიერთი საკითხი აჭარაში, „მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა“, ახალციხე, 2000;

**მეგრელიძე შ.**, აჭარის წარსულიდან, ბათუმი, 1964;

**მიქელაძე ა.**, წერილები აჭარიდან, თბილისი, 1991;

**მიქელაძე შ.**, პირველი ქართული სკოლა ჩვენთან, გაზეთი „დროშა“, №141, ბათუმი, 1967;

**მიქელაძე შ.**, სკოლა მთაში, გაზეთი „აჭარა“, №135, ბათუმი, 1994;

**მჭედლიშვილი ც.**, იმედის ობელისკები, თბილისი, 2001;

**მჭედლიშვილი ც.**, ირაკლი ბერიძე, კრებული „ძმები“, ბათუმი, 2009;

**ნადარეიშვილი ლ.**, მამულიშვილობა – ცნების ევოლუცია, სამეცნიერო-საზოგადოებრივი კონფერენციის („დღევანდელი და სახელმწიფოებრივი ცნობიერების პრობლემები“) მოხსენებათა კრებული, თბილისი, 1998;

**ნიჭარაძე ზ.**, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2007;

**ოზოლაძე უ.**, იაკობ გოგებაშვილი-ქართული ნაციონალური სკოლის მამა, თბილისი, 1986;

**პაპავა ნ.**, სახალხო განათლება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში, თბილისი, 1963;

**ყურნალი „განათლება“**, თბილისი, 1914, 1915, 1916;

**საქართველოს პროსოპოგრაფიული ბაზა და სოციალური კლასტერების ანალიზი**, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი, ხელმძღვანელი პროფესორი ნ. დობორჯგინიძე (იხ. [prosopography.iliauni.edu.ge](http://prosopography.iliauni.edu.ge));



სახოკია თ., მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბილისი, 1950;

სვანეთის ისტორიის ფურცლები, თბილისი, 2001;

სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I-II, ტექსტი გამო-საცემად მოამზადა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი და-ურთო ვ. სილოგავამ, თბილისი, 1986-1988;

სვანური პოეზია, ტ. I, სიმღერები შეკრიბეს და ქართუ-ლად თარგმნეს: ა. შანიძემ, ვ. თოფურიათ, მ. გუჯეჯიანმა, თბი-ლისი, 1939;

სილაგაძე ა., თოთაძე ა., გვარ-სახელები საქართველოში, თბილისი, 1997;

სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 1914-1918 წლებში, ბათუმი, 2002;

სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტო-პონიმიკა, I, თბილისი, 1958;

სურგულაძე ა., გულო კაიკაციშვილი, თბილისი, 1973;

სურმანიძე რ., მამულიშვილი, ჟურნალი „ჭოროხი“, №1, ბათუმი, 1971;

სურმანიძე რ., ისტორიის ერთი ფურცელი, გაზეთი „ცისკარი“, №29-30, ბათუმი, 2000;

სურმანიძე რ., ნაცნობი და უცნობი თედო სახოკია, ბა-თუმი, 2004;

სურმანიძე რ., ლომან ეფენდი ქარცივაძე, ჟურნალი „ჭო-როხი“, №3, ბათუმი, 2013;

სურმანიძე რ., ნური ეფენდი ბერიძე, ჟურნალი „ლაკლა-კეთი“, №5, შუახევი, 2015;

ტატიშვილი ი., დეკანოსიძე თ., მოსკოვის უნივერსიტე-ტი და ქართველი ახალგაზრდობა, თბილისი, 1960;

უმიკაშვილი ბ., ოსმალის საქართველო – აჭარა, ჟურნა-ლი „ივერია“, №13; შავშეთი – იქვე, №18, ტფილისი, 1977;

უმიკაშვილი ბ., ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II, თბილისი, 1964;

ფალავა მ., შიოშვილი თ., მამულაძე შ., ცინცაძე მ., ჩოხარაძე მ., შაშიკაძე ზ., ცეცხლაძე ნ., ფუტკარაძე თ., ხარამიძე მ., კარალიძე ჯ., ჩოხარაძე გ., შავშეთი, თბილისი, 2011;

ფუტკარაძე თამაზი, აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, ბათუმი, 2006;

ფუტკარაძე ოთარო, შუქი მთაში, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, №4, თბილისი, 1977;

ფუტკარაძე ოთარო, გაზეთი „დროება“ აჭარის შესახებ, ბათუმი, 1980;

ფუტკარაძე ტარიელი, ქართველები, ქუთაისი, 2005;

ფუტკარაძე ტარიელი, ქართველოლოგიის შესავალი, თბილისი, 2014;

ფუტკარაძე შუშანა, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993;

ფუტკარაძე შუშანა, ლომან ეფენდი ქარცივაძე – ჭეშმარიტი ერისკაცი, სწავლული, საზოგადო მოღვაწე, „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XVII (კრებული ეძღვნება ლომან ეფენდი ქარცივაძის დაბადების 200 წლისთავს), ქუთაისი, 2013;

ფუტკარაძე შუშანა, სამშობლოს ჭეშმარიტი ჭირისუფალი, „გამონათლვეი“, ბათუმი, 2014;

ქამადაძე მ., არ დაივიწყო, ვისი გორისა ხარ!, სამეცნიერო-პოპულარული კრებული „მშები“, ბათუმი, 2009;

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში 1914 წლისა, ტფილისი, 1915;

ქასაბი მ., ოსმალეთის ქართველები, სტამბოლი, 2013;

ქეშხაძე სტ., მოგონებები, ბათუმი, 1958;

ღლონტი ალ., ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი, 1967;

შადური გ., კავკასიის ქართული სკოლა (1888-1904 წ.წ.), თბილისი, 1990;

შანიძე ა., მთის კილოთა ლექსიკონი, თბზულებანი  
თორმეტ ტომად, ტ. I, თბილისი, 1984;

შამილიშვილი მ., აჭარა და ქართველი საზოგადო მოღ-  
ვაწენი, „მაცნე“ – ენისა და ლიტერატურის სერია, №3, თბილი-  
სი, 1990;

შარაძე გ., მემედ აბაშიძე (ისტორიულ-ლიტერატურული  
ნარკვევი), თბზულებანი, თბილისი, 1998;

შიოშვილი თ., თედო სახოკიას ფოლკლორისტული  
მოღვაწეობა, ბათუმი, 1987;

შიოშვილი თ., მემედ აბაშიძის ლიტერატურული მე-  
მკვიდრეობა, გაზეთი „აჭარა“, ბათუმი, 29.IV.1995;

შუახვეი (ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები), ბა-  
თუმი, 2008;

ჩანტლაძე ი., სვანური ენის ზოგადი დახასიათება, „კავ-  
კასიის მაცნე“, №1, თბილისი, 2000;

ჩანტლაძე ი., ერთი ისტორიული გვარი საქართველოში,  
XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სე-  
სია, ბათუმი, 2015;

ჩანტლაძე ი., ზერ- ძირის ვარიაციები ისტორიულ  
ონომასტიკონში, ონომასტიკური კრებული, ახალციხე, 2015;

ჩანტლაძე ი., მარგაიანი-დადვანი ქ., მარგაიანი-სუბარი ქ.,  
სადლიანი მ., იოსელიანი რ., კოდორული ქრონიკები, თბილი-  
სი, 2007-2010;

ჩიტაია გ., გლეხის სახლი ქვაბლიანში, შრომები, I, თბი-  
ლისი, 1997;

ჩიქოვანი თ., ზემოაჭარული სახლი, ბათუმის სამეცნიე-  
რო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. I, ბათუმი, 1960;

ჩხეტია შ., იოვძე ა., ცენტრალური სახელმწიფო საის-  
ტორიო არქივი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცე-  
ლებელი საზოგადოება“ – ფონდის აღწერილობა, თბილისი,  
1953;

ცეცხლაძე ნ., შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი,  
2000;

- ცეცხლაძე შ.**, ძმა ძმისთვისაო, ბათუმი, 2014;
- ცნობები** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა (დამატება ჟურნალ „განათლებისა“), თბილისი, 1912-1918;
- ცხადაია პ.**, სიღნაღი-2, თბილისი, 2005;
- ცხადაია პ.**, მეგრული გვარსახელები, თბილისი, 2000;
- ძმები** (სამეცნიერო-პოპულარული კრებული, მიძღვნილი პროფესორების – აკაკი და ჯემალ ხერიძეების საიუბილეო თარიღებისადმი), რედაქტორ-შემდგენელი გივი თურმანიძე, ბათუმი, 2009;
- წულაძე ა.**, ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს, „ალმანახ-ფურცელი“, ტფილისი, 1915;
- წულაძე ა.**, ძმური სიტყვა, ბათუმი, 1991;
- წულუკიძე ვ.**, განათლების ისტორიისათვის აჭარაში, ბათუმი, 2002;
- ჭავჭავაძე ი.**, ოსმალთა საქართველო, თბზულებანი, ტ. IV, თბილისი, 1987;
- ჭიჭინაძე ზ.**, ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება (არაბული ლოცვები ქართული ანბანით და ქართული თარგმანით, აგრეთვე, ქართული ფოლკლორული პოეზიის ნიმუშები), ტფილისი, 1916;
- ჭიჭინაძე ზ.**, მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, წიგნი შეადგინა, შესავალი, საძიებლები და ბიბლიოგრაფია დაურთო **ეთერ ხერიძემ**, თბილისი, 2013;
- ხალვაში ი.**, სკოლა ხიხანის ძირში, ბათუმი, 2006;
- ხახუტაიშვილი მ.**, ქართველი მუჰაჯირი დედები, „ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი“, II, ბათუმი, 2011;
- ხვედელიძე ნ.**, სკალპელიანი მინისტრი, ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი, სექტემბერი, 1999;
- ხოზრევანიძე დ.**, სკოლა მთაში, ბათუმი, 1959;
- ხუნდაძე ტ.**, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბილისი, 1951;

**ბუნდაძე ტ.**, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1879-1927 წ.“ (ნარკვევი საარქივო მასალების მიხედვით), თბილისი, 1958;

**ბუციშვილი ს.**, მანათობელი („ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 100 წელი“), თბილისი, 1980;

**ჯავახიშვილი ივ.**, საქართველოს საზღვრები, თბილისი, 1996;

**ჯავახიშვილი ივ.**, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1967;

**ჯავახიშვილი ივ.**, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937;

**ჯანზერძე (ჯაფარიძე) ნ.**, დათოვლილი ყვავილების სკოლა, გაზეთი „აღორძინება“, №38, 28.XI.1995, ბათუმი;

**Баградзе Дм.**, Археологическое путешествие по Гурии и Адчаръ (Съ Атласомъ), Санкт-Петербургъ, 1878;

**Казбер Г.**, Три мѣсяца в Турецкой Грузіи, Тифлисъ, 1875;

**Март Н. Я.**, Дневникъ поездки в Шавшетію и Кларджетію, Санкт-Петербургъ, 1911;

**Социальные проблемы миграций**, Москва, 1976.

**Хундадзе С.**, Профил грузинской интеллигенции в XIX веке, Тбилиси, 1927;

**Boeder W.**, Identität und Universalität, Georgica, №17, Konstanz, 1994;

**Reisner O.**, Die georgische Alphabetisierungsgesellschaft – Schule nationaler Eliten und Vergemeinschaftung, "Jahrbücher für Geschichte Osteuropas", 48, №1, 2000;

**Reisner O.**, Die Schule der georgischen Nation, Wiesbaden, 2004;

**Wartenweiler D.**, Civil Society and Academic Debate in Russia (1905-1914), Oxford, 1999.

სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?... ქართველისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის, იგი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის...

ილია ჭავჭავაძე


ჩვენი ქართველობა ოთხ ბურჯს ემყარება: მამულს, ენას, ეროვნულ სკოლას, სარწმუნოებას...

მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა, ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მებსიერებისანი... ბავშვი, მოშორებული და მოკლებული დედა-ენას, ვერასდროს ვერ მიესაყვარლება თავის მშობელთა და ნათესავთა სულის გრძნობის გამომხატველი სიტყვებით: შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენი კენესამე, შენ შემოგველე, წამლად დაგედე...

იაკობ გოგებაშვილი

სოფელ იასნაია პოლიანას სკოლის პედაგოგობის ჟამს შექმნილი პირველდაწყებითი სახელმძღვანელოს ავტორს – მაშინ 44 წლის ლევ ტოლსტოის მიაჩნდა, რომ ამ წიგნით (თავისი დიდებული რომანები არც უხსენებია!) სამარადისო ძეგლი დაიდგა; მაშ, რაღა უნდა ეთქვა 35 წლის იაკობ გოგებაშვილს 1876 წელს, „დედა-ენის“ პუბლიკაციისას?

ქართულ სინამდვილეში „დედა-ენის“ მსგავსი სახელმძღვანელო არ შექმნილა!



დაგლოცოთ პირმა ღვთისამა, ნაწილმა ბარძიმიისამა,  
ქვა ქვაზე აშენებულმა ქალაქმა სიონისამა...  
წვიმამ ყანა მოგიყვანოთ, მოსულმა შავი ზღვისამა...

(პეტრე უმიკაშვილის მიერ ზემო აჭარაში  
ჩაწერილი ხალხური ლექსი, 1890 წ.)

## ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	25
აჭარა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“	44
ჰაჯი <b>ლომან</b> ეფენდი <b>ქარცივაძე</b> და ყადი <b>ნური</b> ეფენდი <b>ბერიძე</b>	116
ოლადაურის საშუალო სკოლის მხცოვანი ( <b>ვახტანგ მაკარაძე</b> ) და ახალგაზრდა ( <b>მერაბ ფუტყარაძე</b> ) დირექტორები	189
<b>ნური ბერიძის</b> საგანმანათლებლო ტრადიციათა კვალდაკვალ .....	205
მ ო გ ო ნ ე ბ ა ნ ი გ ა რ დ ა ს უ ლ დ ღ ე თ ა...	219
<b>ბერ-</b> ძირის ვარიაციები ისტორიულ ონომასტიკონში (ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით) .....	280
ბოლოთქმა	295
დ ა ნ ა რ თ ი	308
განათლება და ქართველთა ეთნიკური (/ეროვნული) თვითაღქმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ( <b>ტარიელ ფუტყარაძე</b> ) .....	309
ბიბლიოგრაფია	327